სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ეკა კობიაშვილი

ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში

დისერტაცია

წარმოდგენილია ისტორიის დოქტორის (1004) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

თეიმურაზ ვახტანგიშვილი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მალხაზ ცირეკიძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებუ;ლი პროფესორი

თელავი

2018

სარჩევი

შესავალი..4

თავი I

1802 წლის ანტირუსული წინააღმდეგობრივი მოძრაობა საქართველოში, აჯანყება რუსული ჯარის განსადევნად და ქართული სახელმწიფოს აღსადგენად..22

თავი II

1804 წლის ანტირუსული აჯანყება საქართველოს მთიანეთში

§ 1. აჯანყების ისტორიოგრაფია, მიზეზები და ხასიათი 58

§ 2. აჯანყების მიზეზები, ხასიათი და მიმდინარეობა... 59

§ 3. აჯანყების მსვლელობა და აჯანყებულთა პირველი ბრძოლები (1804 წლის ივნისი-ივლისი).. 65

§ 4. აჯანყებულთა ბრძოლები 1804 წლის აგვისტო-სექტემბერში............................. 73

§ 5. აჯანყების ჩახშობა და მისი შედეგები.. 75

თავი III

1810 წლის იმერეთის საერთო - სახალხო აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ............79

თავი IV

1812-1813 წლების ანტირუსული აჯანყება კახეთში

§ 1. აჯანყების ისტორიოგრაფია, მიზეზები, მიზნები და ხასიათი........................... 95

§ 2. კახეთის აჯანყების დაწყება და მიმდინარეობა 103

§ 3. ბრძოლა ხევსურეთში 113

§ 4. კახეთის აჯანყების დამარცხების მიზეზები და შედეგები.................................. 120

თავი V

1819-1820 წლების აჯანყება დასავლეთ საქართველოში 123

თავი VI

1832 წლის პოლიტიკური მოვლენები და ქართული საზოგადოება

§ 1. საკითხის კვლევის ისტორიოგრაფია 136

§ 2. ქართული საზოგადოება XIX საუკუნის 20 - იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში 139

§ 3. საიდუმლო ორგანიზაციების შექმნა საქართველოში და მათი იდეური პროგრამები 145

§ 4. 30-იანელთა პოლიტიკურ - იდეოლოგიური საფუძვლები და ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათაგანი“ 156

§ 5. 1832 წლის პოლიტიკური მოძრაობის შედეგები და ისტორიული მნიშვნელობა 161

თავი VII

გურიის 1841 წლის აჯანყება

§ 1. გურიის სამთავროს გაუქმება და პოლიტიკური ვითარება გურიაში XIX საუკუნის I მეოთხედში 165

§ 2. გურიის აჯანყების მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები 172

დასკვნა 176

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 181

შესავალი

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში მრავალი მეცნიერის კვლევის საგანი ყოფილა, თუმცა, ეროვნული კონცეფციით სწორად გააზრებული და შეფასებული ნაშრომი პროცესის სრული წარმოჩენისათვის ჯერაც არ დაწერილა. ჯერ კიდევ მეფის რუსეთის ისტორიკოსები იკვლევდნენ აღნიშნულ საკითხს. რუსი ისტორიკოსებიც და ქართველი ავტორებიც ძირითად აქცენტს სოციალურ პრობლემებზე აკეთებდნენ, ცალკეული აჯანყებებისა და ანტირუსული გამოსვლების მთავარ მიზეზად სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამწვავებას ან რუსი მოხელეების დაუდევარ ქმედებებს ასახელებდნენ, მთავარი კი - ეროვნული საკითხი, მიმალული იყო. არც ერთი მკვლევარი არ გამოყოფდა ძირითად პრობლემას - ქართველი ხალხის შეურიგებლობას სახელმწიფოებრიობის დაკარგვასთან, რუსეთის იმპერიის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევასა და ქართლ -კახეთის სამეფოს ძალადობრივ დაპყრობას. ამასთანავე, ზოგიერთი მოვლენის დეფინიცია სხვადასხვა ავტორის მიერ განსხვავებულად და არასწორად ხდებოდა.

ჩვენი სამეცნიერო ნაშრომი ძირითად მიზნად ისახავს აღმოფხვრას ხსენებული ხარვეზი, სამეცნიერო ბრუნვაში აქამდე შემოუტანელი რუსული და ქართული პირველწყაროების საშუალებით, საარქივო მასალისა და სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე შეისწავლოს XIX საუკუნის I ნახევარში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, გამოავლინოს მისი თავისებურებანი, ამ ისტორიული მოვლენებიდან გამოყოს მთავარი, დაადგინოს ამ მოვლენების მიზეზები, მიზნები და შედეგები, და ბოლოს, შეაფასოს მათი როლი და ადგილი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და ისტორიული განვითარების მთლიან პროცესში, მოვლენების შეფასებისას გამოიყენოს ქართულ ისტორიოგრაფიაში შესრულებული ახალი კვლევები.

საკვლევი თემის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო ბრუნვაში პირველად შემოდის ახალი წყაროები, საარქივო დოკუმენტები, პირველად ხდება საკვლევი პრობლემის მონოგრაფიულად შესწავლა, სადაც ყველა ბრძოლა, ქართველი

ხალხის ყველა გამოსვლა ერთ მთლიან პროცესად, რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ ერთიან მრავალწლიან ომად გაიაზრება. საქართველოში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები ფასდება რამდენიმე მიმართულებით: 1. ისტორიული მოვლენის, როგორც ფაქტის შესწავლა. ისტორიული მოვლენის მიზეზებისა და კანონზომიერებათა ასპექტის დადგენა; 2. წყაროთმცოდმეობითი ბაზის განსაზღვრა, ისტორიული შეფასებების კრიტერიუმების დადგენა; 3. კვლევის საბოლოო შედეგების დადგენა, ისტორიული მოვლენების შეფასება როგორც კანონზომიერების დამდგენი საშუალების და მისი მნიშვნელობის განსაზღვრა.

ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების მიხედვით პირველად არის ყურადღება გამახვილებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავისებურებებსა და ქართული საზოგადოებრივი აზრის მიერ მისი გააზრების სხვადასხვა ასპექტზე. პირველად შემოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში ახალი დეფინიციები, მოვლენების განსხვავებული გააზრება. ყველა აჯანყება, რომელიც მე-19 საუკუნის პირველ მესამედში, კერძოდ, 1802-1832 წლებში მოხდა, ძირითადი ნიშნით ერთმანეთს ემსგავსება. ეს არის: 1. მათში ხალხის ფართო მასების (სოციალური ფენების, განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ნიშნის), ჩაბმულობა; 2. აჯანყებათა ფართო ლოკალიზაცია: ისინი ერთ ადგილზე იწყებოდა, მაგრამ მოიცავდა საერთო-ქართულ და კავკასიურ არეალს; 3. ყველა მათგანი მიზნად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას ისახავდა და ყველა აჯანყების დროს წამოყენებული იყო მომავალი მონარქის კანდიდატურა; 4. ყველა აჯანყება იყო ფაქტობრივი ომი, უთანასწორო შერკინება სახალხო-პატრიოტული ტიპის, ნაკლებად ორგანიზებულ და შეიარაღებული ლაშქრისა რუსეთის ორგანიზებულ სამხედრო ნაწილებთან, რასაც რუსი სამხედრო ავტორების მიერ აღწერილი ამ აჯანყებათა დეტალებიც კარგად აჩვენებს. 5. ყველა აჯანყების დროს გათვალისწინებული იყო საერთაშორისო ვითარება, აჯანყების მეთაურები დაკავშირებულნი იყვნენ გარეშე ძალებთან, სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში მათგან დახმარების მიღების თხოვნის მიზნით. ამდენად, ჩვენ ამ პროცესს ვაძლევთ რუსეთ-საქართველოს 30-წლიანი ომის შეფასებას, რაც შეეხება მომდევნო - გურიისა და სამეგრელოს აჯანყებებს, ისინი, რა თქმა უნდა, ქართველი ერის განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილად, გაიაზრება, მაგრამ მათი ძირითადი მახასიათებლები არ

ემთხვევა ზემოთ ჩამოთვლილ ნიშნებს: ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა, კონკრეტულად არც ერთ ამ აჯანყებას არ მოუთხოვია, პირიქითაც იყო, რუსეთის მიერ ინსპირირებული სამეგრელოს აჯანყება სამთავროს გაუქმებისკენ იყო მიმართული და იმ მცირე სახელმწიფოებრივ ნიშანსაც ებრძოდა, რაც, თუმცა ფორმალურად, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც არსებობდა და ამ აჯანყების შემდეგ გაქრა.

კვლევის მეთოდოლოგიად ნაშრომში გამოყენებულია კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში მოვლენათა ურთიერთგანპირობებულობისა და ურთიერთკავშირის დადგენის პრაგმატული მეთოდოლოგია, ასევე, ისტორიულ-შედარებითი, მეცნიერული ანალიზისა და სინთეზის უნივერსალური მეთოდები;

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, იმ დიდ ანტირუსულ აჯანყებებსა და ომზე, რასაც XIX საუკუნის I ნახევარში ჰქონდა ადგილი, შექმნილ ყველა ნაშრომს უდიდესი **თეორიული მნიშვნელობა** ენიჭება. მით უმეტეს, ჩვენ მიერ აღებული საკვლევი პერიოდი გამორჩეულ ინტერესს იწვევს. წინააღმდეგობის პროცესი ჯერ კიდევ არაა ბოლომდე შესწავლილი და გაცნობიერებული. შესწავლილი არაა ქართველ ერში გაჩენილი ნიჰილიზმისა და ორმაგი სტანდარტის დამღუპველი ნიშანი, რამაც ეროვნული ცნობიერების შესუსტება და ლამის გაქრობა გამოიწვია. აღნიშნული გამოკვლევით გვინდა, მეტნაკლებად, ამ ეპოქის თავისებურებანი გამოვააშკარაოთ, აქამდე არსებული ხარვეზები გამოვასწოროთ და გავაანალიზოთ ყველა ის ისტორიული მოვლენა და ფაქტი, რომელიც ამ მოძრაობის შემადგენელი ნაწილია.

სადისერტაციო ნაშრომს ექნება პრაქტიკული ღირებულება. ნაშრომში დამოწმებული და გაანალიზებული ფაქტობრივი მასალები, ისევე, როგორც კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, გამოადგება საქართველოს ახალი ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტებს, ის საშუალებას მისცემს ყველას - მიუდგომლად, ობიქტური კრიტერიუმით შეაფასოს ის ურთულესი მოვლენები, რომელიც საქართველოში განვითარდა XIX საუკუნის 10-40-იან წლებში, ამდროინდელი საზოგადოებრივი აზრის გაორება და იმ ერთეული ადამიანების ღვაწლი, რომლებმაც თავი დადეს ამ ურთულეს ომში დიდი და ძლევამოსილი იმპერიის წინააღმდეგ.

მთავარ კრიტერიუმად აღებული იქნება დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ინტერესი, მოვლენები შეფასდება იმის მიხედვით, ავნო

განსახილველმა მოვლენებმა და პიროვნებების ქმედებებმა სახელმწიფოებრივ ინტერესს, თუ არა.

საკითხის ისტორიოგრაფია და წყაროები. რაც შეეხება ჩვენი საკვლევი პრობლემის **ისტორიოგრაფიულ** ნაწილს, ის საკმაოდ დიდი მოცულობისაა და კონცეპტუალურად მრავალფეროვანი. ჯერ კიდევ რუს იმპერატორთა და იდეოლოგთა მტკიცება, რომ საქართველო თავისი ნებით შეუერთდა იმპერიას და ხალხი უფრო დაცულად და მშვიდად გრძნობდა თავს, სიცრუე იყო, რასაც მოწმობდა საქართველოში რუსეთის შემოსვლისთანავე დაწყებული ანტირეჟიმული აჯანყებები. პირველი ასეთი ანტირუსული გამოსვლა მოხდა 1802 წელს, კახეთში, სოფ. ქელმენჩურში, სადაც 60-ზე მეტი თავადი და აზნაური შეიკრიბა და იმპერატორს საპროტესტო წერილი გაუგზავნა. ამას მოჰყვა 1804 წლის მთიულეთის, 1812-1813 წლების კახეთის, 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებები, 1832 წლის მოვლენები, 1841 წლის აჯანყება გურიაში, რომელთა მასშტაბი იმპერიისთვის შემაშფოთებელი და დამანგრეველი საშიშროებით გამოიკვეთა. ცხადი გახდა, რომ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ვერ შენელდებოდა, ერი ვერ შეურიგდებოდა იმპერიის კოლონიურ-შოვინისტურ რეჟიმს, იმ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ აგრესიას, რომელიც მდიდარი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ტრადიციით გამორჩეული ქვეყნის წინააღმდეგ ტარდებოდა.

მიუხედავად უამრავი წყაროთმცოდნეობითი მასალისა და საისტორიოგრაფიო ნარკვევის არსებობისა, საკითხი მაინც არ არის ამომწურავად შესწავლილი და შეფასებული.

XIX საუკუნის I ნახევრის ეროვნულ-განმათავსუფლებელი ბრძოლის ცალკეული ეტაპები დოკუმენტურადაა ასახული **კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების I-XII ტომებში.** აკადემიკოს ადოლფ ბერჟეს მიერ შედგენილი და ტომებად გამოცემული ეს დოკუმენტური მასალები შეუცვლელი წყაროა კავკასიისა და საქართველოს ისტორიის სრულყოფილად შესწავლისათვის. ამ ნაშრომებში გატარებული იმპერიული იდეოლოგიის მიუხედავად, დღევანდელი გადასახედიდან მკვლევარს შეუძლია მოვლენები ობიექტურად დაინახოს და გაიაზროს.

1819-1920 წლების დასავლეთ საქართველოს აჯანყების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის **საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა)**. გამოყენებული ფონდები ასეთია: ფონდი 2, ან. 1, საქმე 1119 და ფონდი 2, ან. 1, საქმე 4089.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ასახულია XIX საუკუნეში თბილისში გამოცემულ **კავკასიური კრებულის ოცტომეულში** [Кавказский Сборник, 1876-1899].

საკვლევი პრობლემის შესასწავლად გამოვიყენეთ რუსი სამხედრო ისტორიკოსებისა და მეცნიერების - **ბუტკოვის** [Бутков, 1869], **დუბროვინის** [Дубровин, 1888], **პოტოს** [Потто,1887, 1906], **იოანისიანის** [Иоаннисян,1958], **კინიაპინის** [Киняпина, 1978**]**, **ბლიევისა და დეგოევის** [Блиев, Дегоев, 1984] ავტორობით შესრულებული ნაშრომები, რომელიც ეხება რუსეთის იმპერიის აღმოსავლურ პოლიტიკასა და კავკასიის საკითხის განხილვას.

რუსი სამხედრო ისტორიკოსებიდან საინტერესოა **პოტოს** ნაშრომები. მათში დაწვრილებითაა განხილული რუსული არმიის დაპყრობითი ომები კავკასიაში. ნაშრომში - „**История 44-го драгунскаго Нижегородскаго полка**" - ავტორი გადმოსცემს რუსული არმიის დამპყრობლურ სულისკვეთებას და ომებს მთელი XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის დასაწყისში.

პოტოს ამ ნაშრომის ორი თავი: 1. **„საქართველოს ფარგლებში (1809-1812)"** და **2. „კახეთსა და ხევსურეთში (1812-1813 წლები)"** საინტერესო ფაქტებს მოიცავს, რასაც თავის ანოტაციაც მოწმობს. ის ასეთი შინაარსისაა: „აჯანყება კახეთში. - ნარვის პოლკის დაღუპვა. - ნიჟეგოროდელების სამწუხარო ბედი სიღნაღში. - რუსული ჯარის შესვლა კახეთში და აჯანყების ჩაქრობა. - ნიჟეგოროდის პოლკის რუსეთში გადაყვანის საკითხის ხელახლა წამოჭრა. - ახალი წინააღმდეგობები. - კახეთის მეორე ბუნტი. - ნიჟეგოროდელები კახეთში. - სტალის მოქმედების კეთილშობილური ხასიათი. - დროებითი სიწყნარე და კახელების მესამე ბუნტი. - პოლკის კორდონში სამსახური საქართველოს სამხედრო გზაზე. - სამწუხარო შემთხვევა ნიჟეგოროდელთა შინაურ ცხოვრებაში. - ხევსურთა ქვეყანა. - სუვოროვული ლაშქრობა მთებში. - სტალის კოლონა ხევსურებთან ბრძოლაში. - პოლკი ყარაბახის საზღვარზე. - ნიჟეგოროდელები კახეთში დაბინავდნენ."პოტოს ნაშრომის მონაკვეთი - **„იმპერატორ პავლეს მეფობა"**- დაწერილია რუსი ოფიციალური სამხედრო ისტორიკოსის

პოზიციიდან, ის არსად არ აკრიტიკებს სამხედრო მეთაურებს, მათ დამპყრობლურ სულისკვეთებას, აქებს იმპერატორ პავლეს კავკასიურ პოლიტიკას, დაწვრილებით ეხება იმ გარეგნულ ცვლილებებს, რაც ჯარში შეიტანა პრუსიული წესების თაყვანისმცემელმა ახალმა იმპერატორმა. მართალია, ამ თავში პოტო ძირითადად ნიჟეგოროდის პოლკის ამბავს იხილავს, მაგრამ ეხება ციციანოვის მმართველობის დროსაც და დედოფალ მარიამის გადასახლებას რუსეთში. „ნიჟეგოროდელების მეხსიერებას შემორჩა იმდროინდელი ერთი მოვლენა, რომელიც მათში არცთუ ხალისიან განწყობას ბადებდა. ეს იყო ეკატერონოგრადის გავლით რუსეთში მგზავრობა საქართველოს ქვრივი დედოფლის მარიამისა, რომელიც ციციანოვმა გაგზავნა ვორონეჟის გუბერნიის ერთ-ერთ ქალთა მონასტერში გენერალ ლაზარევის ვერაგი მკვლელობისათვის. ლაზარევს ნეჟეგოროდელების უმრავლესობა იცნობდა. ეგერთა მე-17 პოლკი, რომელსაც ის მეთაურობდა ტფილისში, ფორმირებული იყო ყუბანის პოლკის ეგერებისაგან, მათთან კი ნიჟეგოროდელებს ძმური დამოკიდებულება ჰქონდათ ხანგრძლივი ურთიერთობის გამო თურქებთან თუ მთიელებთან სისხლისმღვრელი ბრძოლების პერიოდში. ივან პეტროვიჩ ლაზარევი იყო ნამდვილი რუსი კაცი, პატიოსანი, პირდაპირი, თავისი შესაძლებლობებით გამორჩეული და ცნობილი, და მისი სიკვდილი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო შეუმჩნეველი მაშინაც კი, რომ არ ყოფილიყო ის ტრაგიკული კოლორიტი, რაშიც ის ჩააგდო ვერაგი ქალის ხელმა. დედოფალი მიჰყავდათ ეკატერინოგრადის გავლით დახურული კარეტით, რომელიც გარშემორტყმული იყო ესკორტით, და ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის კაპიტანი ალბანსკი იქნა დანიშნული ესკორტის გამცილებლად ბოლომდე, ბელოგოროდის მონასტრამდე, სადაც დამნაშავე უნდა მოთავსებულიყო.“

როდესაც დედოფალ მარიამის „სივერაგეზე“ საუბრობს, პოტო, რა თქმა უნდა, ისევე ცალმხრივია მოვლენათა შეფასებისას და ისევე ტენდენციური, როგორც სხვა შემთხვევებში. მკვლელობას ჰქონდა საფუძველი, მას წინ უძღოდა რუსი გენერლის ინსინუაციები საქართველოს სამეფო კარზე, მის მიერ ბატონიშვილების ერთმანეთზე გადაკიდება, ქვრივი დედოფლისადმი მისი უხეშობა და სისასტიკე, რაც ძნელი ასატანი იყო ქართველი ქალისათვის, მითუმეტეს, ძალადობა მისი მცირეწლოვანი შვილების მიმართ. გენერლის ქმედებები შეიცავდა სისასტიკის ნიშნებს და ამის

აღნიშვნის ნაცვლად, რუსი ისტორიკოსი ლაზარევის გამორჩეულ დიდბუნებოვნებასა და პატიოსნებაზე საუბრობს.

პოტოს აზრით, შექმნილი მდგომარეობა მარტო თბილისს კი არ აღელვებდა, არამედ მთელ ამიერკავკასიის მხარეს, რომელიც ითხოვდა სპარსეთის საზღვარზე ჯარის გაძლიერებას. ამის პარალელურად, ის საუბრობს რუსეთის ომებზე ოსმალეთთან და სპარსეთთან XIX საუკუნის დასაწყისში. ამ ომებში ქართველების როლს არ გამოყოფს, მხოლოდ რუსული ჯარის სიმამაცეზე წერს.

დასახელებულ ნაშრომში პოტო ვრცლად აღწერს 1809 წლიდან 1812 წლამდე მოვლენებს: ანტირუსულ გამოსვლებს საქართველოში, უარყოფითად ახასიათებს იმერეთის მეფე სოლომონ II-სა და ბატონიშვილ ალექსანდრეს „მტრების ბანაკში გადასვლისათვის“ [Потто,1902].

კავკასიაში რუსული პოლიტიკის ყველაზე ვრცლად ამსახველია **პოტოს კავკასიური ომების ისტორიის სამ ტომეული,** რომელიც ცარიზმის დროს რამდენჯერმეა გამოცემული. ეს ნაშრომი დეტალურად გადმოსცემს აღმოსავლური ომების პერიოდის მოვლენებს, სპარსეთ-ოსმალეთის პოლიტიკურ ვითარებას, საქართველოს მონაწილეობას ამ პროცესებში და სხვ [Потто, 1887; 1889].

XVIII საუკუნეში საქართველოს საგარეო პოლიტიკის საკითხს ეხება **პოტოს ნაშრომი ყარაბახზე.** მასში აღწერილია ყარაბახის შიგნით არსებული დაპირისპირება რუსული ორიენტაციის გამო, ავტორი აღიშნავს, რომ ისინი თვითნებობდნენ მანამ, სანამ რუსული ხიშტები არ დაემუქრათ, ზოგი თავს მეზობელ სახანოს აფარებდა, ზოგიც ტფილისში გარბოდაო. ყარაბახსა და სხვა კავკასიურ სახანოებში შექმნილი სურათის აღწერით, ავტორი, ფაქტობრივად აადვილებს დავინახოთ რუსული იმპერიის შემოსვლა კავკასიაში და მათი დაპყრობითი ხერხები [Потто, 1902].

საქართველოს ისტორიული ვითარება XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში, რუსული მმართველობის შემოღება ქვეყანაში, ეროვნული ყოფა და ტრადიციები, ქართველი და რუსი მოხელეების შესახებ ცნობები დაცულია ნ. **დუბროვინის** ნაშრომებში. ნიკალოზ თევდორეს ძე დუბროვინი (1837-1904), გენერალ-ლეიტენანტი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი და მუდმივი მდივანი, ავტორია მრავალი ნაშრომისა: „ამიერკავკასია 1803 წლიდან 1806 წლამდე“ («Закавказье от 1803 по 1806 г.») (Дубровин, 1866); „გიორგი XII, უკანასკნელი მეფე

საქართველოსი და მისი შეერთება რუსეთთან“ («Георгий XII, последний царь Грузии, и присоединение ее к России»); „კავკასიაში რუსეთის მფლობელობისა და ომების ისტორია“ (Дубровин, 1897) და სხვ.

მისი საკმაოდ ვრცელი ნაშრომი - **„Тысяча-восемсот- второй год въ Грузии“** - დეტალურად ასახავს 1801-1802 წლების მოვლენებს. ამ ვრცელი ნაშრომის მხოლოდ ერთი, ყველაზე დიდი მოცულობის თავი (გვერდები 9-269) ეხება რუსული ხელისუფლების დამყარებას ქართლ-კახეთის სამეფოში, ქართველთა დამოკიდებულებას სახელმწიფოებრივი ცვლილებებისა და ახალი მმართველობისადმი, სპარსელთა შემოჭრის საშიშროების წინააღმდეგ დამდგარი ხალხის პანიკას, რუსი გენერლების - ლაზარევისა და კარიაგინის გალაშქრებას განჯისა და ნახჭევანის ხანების წინააღმდეგ. ავტორი აჩვენებს, რომ ამ ქმედებების გარეშე, ქართველ ხალხს უეჭველი განადგურება ელოდა. არსად არ მიუთითებს იმაზე, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა რუსების მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს ასე უსამართლოდ გაუქმებამ და რუსეთზე მიერთებამ.

დუბროვინი დეტალურად განიხილავს სამეფო კარის ამბებს, დედოფალ დარეჯანსა და ბატონიშვილებს შორის დამოკიდებულებას, ის იძულებულია აღიაროს, რომ შექნილმა ტრაგიკულმა ვითარებამ კი არ გათიშა სამეფო ოჯახი, პირიქით, გააერთიანა. რუსი სამხედრო მოხელის დამოკიდებულება მოვლენებისადმი ცხადია, თუმცა, მისი მოტანილი ფაქტები, რა თქმა უნდა, სხვა მასალებთან შეჯერების შემდეგ, ისტორიკოსს აუცილებლად დაეხმარება ობიექტური ისტორიული სურათის აღდგენაში.

დუბროვინის აღმატებული კრიტიკა მოდის დარეჯან დედოფალსა და ალექსანდრე ბატონიშვილზე, რომელიც დარეჯანს ურჩევდა, არ ნდობოდა რუსებს, რომლებმაც მოატყუეს მეფე გიორგი და მასაც მოატყუებდნენ, დარეჯანი კი განუწყვეტლივ სწერდა მეზობელ ხანებსა და ჩრდილო კავკასიელ მმართველებს წერილებს დახმარების თხოვნით და „ყველაფერს აკეთებდა შვილებთან ერთად რუსების სახელის გასატეხად“ [Дубровин, 1866, 26].

მიუხედავად ტენდენციურობისა, რუსული ხელისუფლების ხოტბისა და სამეფო სახლთან ერთად ქართველი თავადების ხალხის მძარცველებად მოხსენიებისა, დუბროვინი იძულებულია გამოააშკარავოს რუს მოხელეთა აღვირახსნილი ქმედება,

გამოავლინოს რუსული მმართველობის ზოგიერთი ნაკლი, მოხელეების მიერ ქართველი ხალხის ძარცვა. კერძოდ, ის საქართველოს მინისტრის თანამდებობაზე მყოფი კოვალენსკის მიერ გატარებულ საბაზრო-ეკონომიკურ პოლიტიკას ეხება. ავტორი აკრიტიკებს რუსული კანონების დანერგვას ისე, რომ ისინი ქართულად არავის უთარგმნია, არც თავადებმა და არც გლეხებმა, რომელთაც ევალებოდათ მისი დაცვა, არ იცოდნენ რა ეწერა კანონში. არც ერთმა რუსმა მოხელემ, რომელსაც ევალებოდა სამართლიანობის სამსახური, არ იცოდა მომჩივანის ენა, ის კი არადა, ერთ ექსპედიციაში მყოფ ქართველებსა და რუსებს არ ესმოდათ ერთმანეთის [Дубровин,1897, 234].

დუბროვინი რუსული მმართველობის ნაკლოვანებების აღწერისას მიუთითებს რუსი მოხელის - **ლოფიცკის** მიერ 1806 წლის 30 აპრილს იმპერატორ ალექსანდრესათვის აღნიშნული პრობლემის შესახებ წარდგენილ მოხსენებაზე. რუსეთის მიერ მიტაცებულ ქვეყანაში უსულგულო რუსი მოხელეების მიერ საშინელ დღეში ჩავარდნილი ქართველი ხალხის მდგომარეობის დასანახავად ამ რუსი ავტორების მიერ გაკეთებული ჩანაწერებიც საკმარის წყაროდ გამოგვადგება. როდესაც რუსული ისტორიოგრაფია ამტკიცებდა და ამტკიცებს რუსეთის „გამორჩეულ და კეთილშობილურ მისიაზე“ საქართველოს მიმართ, დუბროვინის შრომიდან - „1802 წელი საქართველოში“ - ამონაწერი რამდენიმე სტრიქონიც იკმარებს საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად: „თავისი მმართველობის დროის მცირე მონაკვეთში მმართველმა (კოვალენსკიმ - ე.კ.) მოიპოვა სახსარი მთლიანად შეესყიდა მთელი აბრეშუმი საქართველოში იმ მიზნით, რომ სარფიანად გაესაღებინა იგი ტფილისში მშენებარე მაუდის ფაბრიკაში. ყველასათვის იყო ცნობილი, რომ ეს ფაბრიკა სახელმწიფოს სახელით შენდებოდა ხაზინის კუთვნილ მიწაზე, ამავდროულად, მის მშენებლობაზე, იყენებდნენ ყოფილი მეფის სასახლის კედლების მასალას, რომელიც განადგურებულ იქნა აღა-მაჰმად-ხანის უკანასკნელი შემოსევისას და ეკუთვნოდა მეფისწულ დავითს“ [Дубровин, 1866, 236]. „მხოლოდ ეჭვის საფუძველზე იჭერდნენ ხალხს, უკრავდნენ ხელებს, გადააცმევდნენ კისერზე ყულფს და როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეები, ისე მიჰყავდათ 50 ვერსის და უფრო შორს მანძილზე ფეხით. მოხელეებსა და ოფიცრებს ძალით მიჰყავდათ ქალები და

გოგონები სოფლებიდან და აუპატიურებდნენ მათ“ [Дубровин, 1866, 238]. ამაზე მეტი სისასტიკე არც სხვა აზიელ დამპყრობლებს ჩაუდენიათ ქართველი ხალხის მიმართ.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესწავლისას საუკეთესო წყაროებია **დუბროვინის ნაშრომში - „Письма главнейщих деятелей в царствование императора“**- დაცული მიმოწერა რუს იმპერატორსა და მოხელეებს შორის. იგი მოიცავს 1807-1828 წლებს. ჩვენთვის საინტერესო მასალებს შორის შეიძლება დავასახელოთ: თავად პეტრე ბაგრატიონის წერილები იმპერატორისა და არაკჩეევისადმი, ასევე წერილები, სადაც მოხსენიებულია საქართველო და ქართველი თავადები [Дубровин, 1897, 15-17].

საქართველოში რუსეთის გაბატონების პირველ პეროდს ასახავს **დუბროვინის ცნობილი ნაშრომები - „История войны и владычества русских на Кавказе“,т.I-VI** და **„Закавказье от 1803-1806 г“ [Дубровин,1869].** რუსული იმპერიული იდეოლოგიის მოთხოვნებს პასუხობს დუბროვინის ნაშრომი - „გიორგი XII, უკანასკნელი მეფე საქართველოსი და მისი შეერთება რუსეთთან“ [Дубровин,1897].

ავტორი ეთნოგრაფიული სიზუსტით და ინტერესით აღწერს ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბებს, ზოგიერთ სახალხო ჩვეულებას შეფარული სარკაზმითაც კი გადმოსცემს.

დუბროვინის მიერ აღა მაჰმად-ხანის შემოჭრის აღწერაში არის ირონია და სიყალბე. კერძოდ, რუსი სამხედრო ისტორიკოსი აღწერს ქართლ-კახეთის სამეფოს ვითარებას, 1790 წელს ქართველ მეფე-მთავართა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას და მათ ერთიან მიმართვას რუსი იმპერატორისადმი, რათა ქართული სამეფო-სათავადოები თავის მფარველობაში მიეღო. ის ყურადღებას ამახვილებს იმერელთა ჩამოსვლაზე თბილისის დასაცავად, მათ რაოდენობაზე, ისინი 2000-მდე იყვნენ, მაგრამ ხალხს 8 ათასამდე ეგონა და გადამეტებული იმედები მიეცათო. გუდოვიჩი, რომელმაც ერეკლეს თხოვნა ჯარის გამოგზავნაზე არ დააკმაყოფილა, სამაგიეროდ თურმე იმით დაეხმარა ქართველ მეფეს, რომ საომრად გამზადებულ ავარიის ხანს გადააფიქრებინა საქართველოსკენ წამოსვლა. ხანმა ამისთვის გუდოვიჩისგან ჯილდო მოითხოვა და მანაც გაუგზავნა „ქურქი და წინადადება მისცა მალე მოეთხოვა რუსეთის ქვეშევრდომობა“.

წიგნი 12 თავისაგან შედგება და მასში დაწვრილებით არის აღწერილი იმ პერიოდის ამბები, როდესაც საქართველოს მეფეები - ერეკლე II და გიორგი XII

თავიანთი ქვეყნის ბედს რუსეთს უკავშირებდნენ, დუბროვინი ამ ისტორიულ გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, ამართლებს და მხარს უჭერს, წარსულში სპარსეთის გავლენაში მყოფი ქვეყნის მდგომარეობას კი უბედურს უწოდებს. ყველა ისტორიული ფაქტი და მოვლენა, რასაც რუსი ავტორი ეხება, ტენდენციურად, გარეშე მაყურებლის და არა ქართველი ხალხის გულშემატკივრის პოზიციიდან არის დანახული და ეს ბუნებრივიცაა. მიუხედავად ამისა, ამ ნაშრომს ქართველი ისტორიკოსისთვის აქვს გარკვეული ღირებულება, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ დავინახოთ რუსი ავტორების დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ვითარებისადმი, კიდევ ერთხელ შევიტყოთ თუნდაც სულ მცირე ნიუანსები წარსული მოვლენებიდან.

რუსული კოლონიზაციის I პერიოდს ასახავს **პლატონ ზუბოვის - „Картина Кавказского края, принадлежающего Росии и сопредельных оному земель, в историческом, статистическом, этнографическом отношениях.“ [Зубов, 1834].**

1826-1828 წლების რუსეთ-სპარსეთის ომსა და ერევნის ციხის აღებას ეხება ზუბოვის - **„Картина последней воины России с Персией, 1826-1828“ [Зубов, 1831].**

ზუბოვი სპარსეთის 1796 წლის ექსპედიციის მეთაური იყო. ეს მის ჩანაწერებს წყაროს მნიშვნელობას აძლევს. აღწერს რა სპარსეთის ბაბა-ხანის წინააღმდეგობას ერევნის სახანოს მფლობელობაზე, პლატონ ზუბოვი იმასაც ამბობს, რომ ერევნის სახანოზე მფლობელობა გამოჩენილ ქართველ მეფეს - ერეკლე II-ს ეკუთვნოდაო. ის სიამაყით აღწერს რუსული მსროლელი დივიზიის, ეგერთა პოლკებისა და სარდალთა შეტევას ერევანზე და ალექსანდრე ბატონიშვილის ღალატზე, რომელიც აბას მირზას მხარეზე დადგაო. ამ ომში ცნობილი ქართველი გენერლის - ერისთავის შესახებაც აწვდის მკითხველს მცირე ცნობას: „თუმცა ტოგან ხანი და ნაგი ხანი კავალერისტების მნიშვნელოვანი რაზმით გამოჩნდნენ არაქსის იქითა ნაპირზე იმ მიზნით, რომ თვალი ედევნებინათ ჩვენი მოძრაობისათვის, მაგრამ დარბეულები და დაფანტულები იქნენ გენერალ ერისთავის მიერ. იმ დროს ბევრი მომთაბარე ხალხი: შადლინები, ყარაბახელები, მილინები, მისკატები, კოლანები, შარულელები, სადარები ითხოვდნენ მიღებას რუსეთის მფარველობის ქვეშ“ [Зубов, 1831, 89].

ეს მცირე ფორმატიანი (135 გვერდი) წიგნი რუსული არმიის, ძირითადად პასკევიჩისა და ასევე სხვა გენერლების - ერმოლოვის, ბენკენდორფის, მადათოვის, კრასოვსკის, ტრუზსონის, პოლკოვნიკ რეუტის, პოლკოვნიკ მიშენკოს და სხვათა

გმირობას ეხება. ქართველების მონაწილეობაზე ომში ყურადღება ავტორს არ გაუმახვილებია. ზუბოვი არ მალავს, რომ რუსები სასულიერო პირებს იყენებდნენ ხალხის თავის მხარეზე გადასაყვანად. წერს, რომ ხოის სახანოს დაპყრობაში დაეხმარათ აზერბაიჯანის სულიერი წინამძღოლი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა ხალხში. [Зубов, 1831, 78].

საინტერესოა 1834 წელს გამოცემული **პლატონ ზუბოვის „ექვსი წერილი საქართველოსა და კავკასიაზე, დაწერილი 1833 წელს პლატონ ზუბოვის მიერ“.**

შესავალში ავტორი ამ მხატვრულად გადმოცემული წერილების დაბეჭდვას ამართლებდა იმით, რომ რუსულ ენაზე მანამდე ძალზე ცოტა მასალა მოიპოვებოდა საქართველოსა და კავკასიის შესახებ, არადა, ინტერესი და ცნობისმოყვარეობა დიდი იყო ამ მხარისადმი. „წერილები“ საინტერესოა მხოლოდ იმ აღწერის გამო, რომელიც ეხება ამდროინდელი საქართველოს სამხედრო გზას და იქ მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობას. ავტორი მიუთითებს, რომ ოდესღაც ამ გზაზე ყაჩაღობა იყო, რადგან მაშინდელი საქართველოს ხელისუფლება იყო სუსტი და ვერ ახერხებდა მათ ალაგმვას, ახლა კი აქ ისეთივე უშიშრად შეიძლება იაროთ, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებშიო. ზოგადად, ამ ხალხის ბედნიერება იქიდან იწყება, რაც „ჩრდილოეთის არწივი დაეპატრონა კავკასიასო“ [Зубов, 1834, 46] .

წიგნის 54-ე გვერდზე მოტანილია მეფე ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის საფლავის წარწერები. ავტორი ამბობს, რომ ეს წარწერები იმპერატორ ალექსანდრე I-ის დაკვეთით მარკიზმა პაულუჩმა გააკეთებინა ინჟინერ კონდრაშევს. გიორგი XII-ის საფლავზე წარწერაში იყო სიტყვები, რომ ქართველმა მეფემ თავისი ხალხის სიყვარულისათვის დაუთმო საკუთარი ტახტი რუსეთის იმპერატორს [Зубов, 1834, 54].

გარდა ამისა, ზუბოვი ყოფით მხარეებსაც ეხება. მისი ინფორმაციით, თბილისში რუსული ენა თითქმის ყველამ იცოდა, ქართველი ქალები სიხარულით ქორწინდებოდნენ რუს სამხედროებზე, რაც არ უნდა დაბალი ჩინის ყოფილიყვნენ ისინი, წერს, რომ უსიყვარულოდ თხოვდებოდნენ და დაქვრივების შემდეგ მკაცრად ერთგულებდნენ ქმრის ხსოვნას და ა. შ. [Зубов, 1834, 66].

ზუბოვის ამ ნაშრომში მრავალფეროვანი მონაცემებია საქართველოს ამდროინდელ ეკონომიკურ ცხოვრებაზეც.

საინტერესოა ჯერ კიდევ 1802 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული ევგენი ბოლოხვიტინოვის ნაშრომი - **„Грузия,в политическомъ, церковномъ и учебномъ ея состоянии“** [Болохвитинов, 1802]. ყურადღებას იქცევს მკითხველისადმი მიმართული შესავალი, სადაც წერია: სურდათ რა გაენაწილებინათ ის მშვიდი ცხოვრება და კეთილდღეობა, რაც რუსეთის მოქალაქეებს ჰქონდათ, საუკუნეების მანძილზე რუსეთის განაპირას მცხოვრები ხალხები რუსეთის სამეფო კარს თხოვდნენ თავის მფარველობაში მიღებას. „რუსეთი, თათართა უღლის გადაგდების დროიდან სამას წელზე მეტი ხნის შემდგომ, მომწიფდა თავის მრავალ ტომთა და ენათა სამფლობელოში. როგორც ძველმა რომმა ათასი წლის ძალით და დიდებით, რუსეთმაც დიდებით იპყრა დ განავრცო თავისი სამფლობელოები და საზღვრები ასწლეულთა ჟამს. ჩვენს დღეებშიც საქართველო, რომელიც 215 წელი ითხოვდა რუსი მონარქების მფარველობას, შეუდგა სრულყოფილად და უშუალოდ ქვეშევრდომობას სრულიად რუსეთის ტახტისა.“

ამიტომ საჭიროდ მიაჩნია, უკვე თანამემემამულეების შესახებ ცოდნა მისცეს რუს მოქალაქეებს, იმ ხალხზე მოუთხროს, „რომელთა ბედი რუსი ბრძენი მეფეების ხელში გადავიდა“. ავტორის აზრით, აქამდე საქართველოზე ცნობებს რუსეთში მხოლოდ ფრანგი მოგზაურების ნაწერებით იცნობდნენ, რომლებიც ისე აღწერდნენ ქვეყანას, რომ ხალხზე ბევრი არაფერი იცოდნენ. ის ასახელებს ამ ავტორებს (შარდენს, ტავერნიე-როვის, ტურნეფორტს და ლა-მოტრევს). მას მიაჩნია, რომ ამ ავტორებთან საქართველო ისეთია, როგორიც ის ან არასდროს ყოფილა, ან უკვე აღარ არის. გამონაკლისად მიაჩნია შრემბლევის 1800 წელს ვენაში გამოცემული დიდი ატლასი. თუმცა მაინც არ თვლის, რომ ევროპული მასალები ობიექტურია, ამბობს, რომ ამან გადააწყვეტინა ნაშრომის დაწერა, რომელსაც ნამდვილი წყაროები უნდა დასდებოდა საფუძვლად, ეს იყო პეტერბურგში ჩასული ქართველი ელჩების, დეპუტატების და სხვათა შესახებ არსებული მასალები.

წიგნში შედის 7 თავი. I თავში საუბარია საქართველოს უძველეს წარსულზე და მის შესახებ არსებულ უძველეს ცნობებზე; II თავში განხილულია ქრისტიანობის გავრცელების ისტორია და საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა; III თავი მოგვითხრობს ღვთისმსახურებაზე, ქართულ საეკლესიო წიგნებზე და ასევე საეკლესიო ტიპოგრაფიაზე; IV თავი ქართულ ენასა და დამწერლობას ეხება; V თავში

განხილულია განათლების, სკოლებისა და სასწავლო წიგნების მდგომარეობა. VI თავში განხილულია ქართული მატიანეები, ასევე ხალხში გავრცელებული თქმულებები. VII თავი ქართულ ლექსთ შემოქმედებასა და მუსიკას ეძღვნება. წიგნში შედის ასევე კახეთის, ქართლის და იმერეთის მეფეთა გენელოგიის ამსახველი დიაგრამები.

რუსეთის მიერ კავკასიის დაყრობა წყაროებზე დაყრდნობით, რუკებით, გეგმებითა და ილუსტრაციებით, დაწვრილებით და საინტერესოდ გადმოსცა **ინგლისელმა მეცნიერმა და მოგზაურმა ჯონ ფ. ბედლიმ** [Baddeley, 1908].

ბედლის ნაშრომში გადმოცემულია რუსების თავდაპირველი კონტაქტები საქართველოსთან, პირველი კონფლიქტები რუსებსა და კავკასიელებს შორის, დიდი კაზაკური ხაზის ჩამოყალიბების პროცესი, იმ მოვლენების აღწერა, რომელიც წინ უსწრებდა საქართველოს რუსეთთან შეერთებას (ის არ ხმარობს ტერმინს - „დაპყრობა", თუმცა ვრცელ ნაშრომში თავისუფლად აღწერს იმ ძალადობას, რასაც რუსი მოხელეები მიმართავდნენ დაპყრობილი მოსახლეობის, მათ შორის ქართველების მიმართ). ვრცელ მონოგრაფიაში გაანალიზებულია პეტრეს სამხედრო კამპანია, ეკატერინე II-ის ჩაბმა ოსმალეთთან ომში (1768-1774), ტოტლებენის და პლატოვის ოპერაციები, აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აღება, 1796 წლის სპარსეთის კამპანია, რუსი მთავარსარდლების მოღვაწეობა დაპყრობილ საქართველოში, კვკასიური ომის ისტორიის დეტალები. ნაშრომის ქრონოლოგია მოდის 1859 წლამდე, რუსეთის მიერ შამილის დატყვევებამდე, რასაც ის რუსეთის მიერ კავკასიის საბოლოო დაპყრობასთან აიგივებს.

ჯონ ბედლის ნაშრომი საქართველოს ისტორიის მკვლევარისთვის ბევრ საინტერესო დეტალს მოიცავს, თუმცა მას ეს მოვლენები შესწავლილი აქვს იმ ლიტერატურის საშუალებით, რასაც ამ პრობლემის ყველა მკვლევარი ეყრდნობა (აქტები, კავკასიის კალენდარი, დუბროვინი, პოტო, ბუტკოვი და სხვ.). მისი ნაშრომის სიახლე მდგომარეობს ავტორისეულ შეფასებებსა და საკუთარ კონცეფციებში მოვლენების მიმართ. ეს ეხება რუსეთის აღმოსავლურ ომებსა და ქართველების მონაწილეობას მასში, წარმოშობით ქართველი თავადის, გენერალ ციციანოვის მისეულ შეფასებებს, ასევე, საქართველოში მოღვაწე მთავარსარდლების მოქმედებათა აღწერა-ანალიზს, ფოთისა და ახალციხის აღების დეტალებს და სხვ.

რუსი ავტორებისაგან განსხვავებით, ჯონ ბედლი დაუფარავად აღწერს იმ სისასტიკეს, რასაც რუსები ჩადიოდნენ ქალაქებისა და პუნქტების აღებისას, ასევე მიუთითებს იმ სიმამაცეზე, რასაც ქართველები და სხვა ადგილობრივი კავკასიელები იჩენდნენ ბრძოლებში.

სამართლიანია ინგლისელი ავტორის მიერ 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ახლციხე-ახალქალაქში შეცვლილი დემოგრაფიული სურათის შესახებ გამოთქმული მოსაზრება: თუკი ტერიტორიის თვალსაზრისით პასკევიჩის ლაშქრობამ რუსეთს ბევრი არაფერი მოუტანა, მოსახლეობის მხრივ, საქმე სხვაგვარად იყო. 1828 წლის 4 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ნესელროდე სთხოვდა პასკევიჩს, გაეთვალისწინებინა, რომ სასურველი იყო დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობის დამორჩილება, იმერეთის, სამეგრელოსა და სხვა რეგიონების მომავალი კოლონიზაციის მიზნით. პასკევიჩი, რომელიც ამ კუთხეების სუსტ მხარეებს კარგად იცნობდა, დათანხმდა, შეძლებისდაგვარად დაეკმაყოფილებინა ნესელროდეს მოთხოვნა, თუმცა მისი საბოლოო მიზანი სულ სხვა იყო. პასკევიჩის აზრით, რუსეთს უნდა შეენარჩუნებინა თურქეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი (მის მიერ ნავარაუდები საზღვრები თითქმის დღევანდელის იდენტურია), ამიტომაც, 1829 წლის 11 იანვარს იგი იმპერატორს სწერდა: „სამხედრო ძალის მეშვეობით შესაძლებელია ტერიტორიების დაპყრობა, მათი შენარჩუნება კი, მოსახლეობის ნდობის მოპოვების გარეშე, შეუძლებელია“ [Baddeley, 1908, 241-246]. რუსეთის პოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით, პასკევიჩი მხარს უჭერდა თურქეთში მცხოვრები სომხების ბუნებრივ სურვილებსა და მისწრაფებას. ომის წყალობით ისინი თავიანთი მაჰმადიანი მეზობლების პირისპირ აღმოჩნდნენ, რაც მათ დევნასა და განადგურებას უქადდა... მიუხედავად იმისა, რომ მთავარსარდალი ნათლად ხედავდა ამგვარი პოლიტიკის საწინააღმდეგო მნიშვნელოვან არგუმენტებს, მაინც ითხოვდა ნიკოლოზ I-ისაგან უფლებას, თან წაეყვანა სომხების ის ნაწილი, რომელთაც თურქეთში დარჩენის ეშინოდათ. მეტიც, მან ბრძანა გაჭირვებულთათვის გაენაწილებინათ დარჩენილი სანოვაგე და 100 ათასი ჩერვონეცი (300 000 რუბლი)... პასკევიჩი გაოგნებული იყო პოტენციური ლტოლვილების რაოდენობით, რაც თურქეთის თითქმის მთელ სომხურ მოსახლეობას შეადგენდა, მაგრამ მათი თურქების საჯიჯგნად დატოვებაც არ შეეძლო. რუსეთის ბანაკში შეიქმნა

საემიგრაციო კომიტეტი, დაიხარჯა დიდძალი ფული, და როცა რუსულმა არმიამ, ბოლოს და ბოლოს, გადაკვეთა თურქეთის საზღვარი, მას 90 000 მამაკაცი, ქალი და ბავშვი ახლდა, რომლებიც თურქების მრისხანებას გაურბოდნენ" [Baddeley, 1908, 245-246].

1957 წელს ნიუ იორკში დაიბეჭდა ინგლისელი ორიენტალისტის დევიდ მარშალ ლენგის ნაშრომი „საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები", რომლის ქართული თარგმანი თბილისში გამოიცა 2003 წელს [ლენგი, 2003].

დევიდ ლენგი კავკასიათცოდნეობის პირველი პროფესორი იყო დიდ ბრიტანეთში, კარგად იცოდა გერმანული და რუსული ენები. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აღმოსავლეთმცოდნეობა და აქაური ენების ცოდნა პოპულარული გახდა, რადგან „ცივი ომის" გამო კონფლიქტის განახლების საშიშროება დადგა. ლენგი განსაკუთრებით საქართველოს ისტორიით იყო დაინტერესებული. ამან განაპირობა მისი არჩევა თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. ზემოთ დასახელებული ნაშრომი მან 32 წლის ასაკში დაწერა. თუმცა, მასში ჩანს რუსული იდეოლოგიის გავლენა, რაც ყველაზე კარგად აისახა ავტორის მიერ იმერეთის მეფე სოლომონ მეორის მძაფრ კრიტიკაში. წიგნი მაინც საინტერესოა, როგორც უცხოელის თვალით დანახული ქართველი ხალხის პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული გარემოს, არსებული მდგომარეობის შეფასების ნიმუში. წიგნის მთავარ თემას როგორც საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები, ასევე რუსული ოკუპაციის უშუალოდ მომდევნო წლები წარმოადგენს. ამ უკანასკნელს ორი თავი ეთმობა: 1. „მონარქიის გაუქმება აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში 1800-1810" და 2. „რუსული ხელისუფლების განმტკიცება 1800-1832". მასში ბევრი საინტერესო დოკუმენტი და საარქივო მასალებია ევროპისა და ამერიკის საცავებიდან ავტორის მერ მოპოვებული. ამ დოკუმენტური მასალების გამოყენება ანალიტიკურ პროცესში მკვლევრისთვის სწორი დასკვნების გაკეთებას აადვილებს.

რუსეთის მერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ქვეყნის მოსახლეობის უკმაყოფილებას ზრდიდა და აღრმავებდა. ანტირუსული აჯანყებების მიზეზად სწორედ რუსეთის მიერ წარმოებული აღმოსავლური ომებიც გახდა, სადაც ჩვენმა ქვეყანამ დიდი მატერიალური, სულიერი და ადამიანური რესურსები გაიღო. მთიულეთის და

კახეთის აჯანყებების პარალელურად მიმდინარეობდა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომები. ამ ომების ირგვლივ მდიდარი საისტორიო მასალა და წყარო მოგვეპოვება. განსაკუთრებულია რუსული ისტორიოგრაფიის ნარკვევები. ესენია: პოტოს, ზისერმანის, ტუჩკოვის, პეტროვის, მიხაილოვსკის, მარკოვას, ვანდალის, ჟიგარიოვის, ბესკროვნის, ფადეევის, მილერის, მარტენსის, იოანისიანის, კინიაპინას და სხვ. მონოგრაფიები და ნარკვევები.

თუ როგორი ფონი შექმნა ანტირუსული გამოსვლებისათვის აღმოსავლურმა ომების მთელმა წყებამ XIX საუკუნის I მესამედში, ამაზე ნათელ წარმოდგენას ქმნის ქართველ მკვლევართა ნაშრომები: ივანე ჯავახიშვილის [ჯავახიშვილი **1998]**, ნიკო ბერძენიშვილი [ბერძენიშვილი **1965, 1967]**, ნიკო ქორთუას [ქორთუა **1964, 1971]**, ბაგრატ და დავით ბატონიშვილების [ბატონიშვილები,**1941]**, მამია დუმბაძის [დუმბაძე, **1953, 1957]**, ალექსანდრე ბენდიანიშვილის [ბენდიანიშვილი **1980, 1999, 2006, 2008]**, ვახტანგ გურულის [გურული **2007, 2010, 2011, 2013]**, მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის [ვაჩნაძე, გურული, **2007]**, ხარიტონ ახვლედიანის [ახვლედიანი,**1957]**, ლუიზა შენგელიას [შენგელია,**1957]**, ეთერ ორჯონიკიძის [ორჯონიკიძე, **1961, 1973]**,შალვა ლეჟავას [ლეჟავა, **1974]**, მიხეილ გონიკიშვილის [გონიკიშვილი **1978]**, ბიჭიკო დიასამიძის [დიასამიძე, **2009]**, დოდო ჭუმბურიძის [ჭუმბურიძე, **2016]** და სხვ. ნაშრომები.

ანტირუსულ აჯანყებებსა და რუსული მმართველობის ხასიათზე დაწერილ ქართველ ავტორთა შრომებიდან აღსანიშნავია: ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძე) [ფრონელი, 1896], მაქსიმე ბერძნიშვილის [ბერძნიშვილი 1983], გიორგი გოზალიშვილის [გოზალიშვილი **1935]**, ვარლამ ტოგონიძის [ტოგონიძე **1951]**, შოთა ხანთაძის [ხანთაძე **1961]**, ნიკოლოზ მახარაძის [მახარაძე **1942]**, ალექსანდრე ქუთელიას [ქუთელია **1949]**, ლევან . ბარამიას [ბარამია **1951]**, პავლე ინგოროყვას [ინგოროყვა **1945,2003]**, აბელ კიკვიძის [კიკვიძე **1955]**, მიხეილ გოცაძის [გოცაძე **1973]**, აკაკი სურგულაძის [სურგულაძე **1968]**, ლევან ებანოიძის [ებანოიძე**1968]**, აკაკი გაწერელიას [გაწერელია **1965]**, ქ. ჩხატარაიშვილის [ჩხატარაიშვილი **1973]**, დიმიტრი შველიძის [შველიძე **2014]**, მიხეილ ვაჩნაძე **[2007]**, ოთარ ჯანელიძის [ჯანელიძე **2014]**, ნიკო ჯავახიშვილის [ჯავახიშვილი **2008]**, მერაბ ხომერიკის [ხომერიკი **2012]**, გიორგი ვაჭრიძის [ვაჭრიძე **1999]** და სხვათა ნაშრომები. ასევე პირველწყაროები:

ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, სოლომონ დოდაშვილის, ვახტანგ და ალექსანდრე ორბელიანების და სხვ. ნაწერები.

ამ ნაშრომებში მოვლენები სხვადასხვანაირად ფასდება, ხშირად წინ წამოწეულია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, უკმაყოფილების მთავარ საფუძვლად დანახულია ხალხის უკიდურესი გაჭირვება, გულისგატეხვა. ბევრი ავტორი ვერ ასცდა კომუნისტური იდეოლოგიის იმ კლიშეებს, რითაც რუსეთთან საქართველოს „ნებაყოფლობითი შეერთებაა“ აღიარებული, რომ ეს აქტი ქართველების ფიზიკური და სარწმუნოებრივი გადარჩენის ერთადერთ გზად მიიჩნეოდა, ბევრ ქართველ მეცნიერს აქვს გაზიარებული ქართველი ერის ჩამოყალიბების სტალინური თეორია.

ჩვენ ამ მოვლენასთან ერთად, პროცესების მთავარ მამოძრავებელ ძალად ეროვნულ საკითხს, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამპყრობლის წინააღმდეგ ამ მიზნით გამართულ უკომპრომისო ომზე ვამახვილებთ ყურადღებას.

გარდა ზემოთ დასახელებული ლიტერატურისა და წყაროებისა, ნაშრომში გამოვიყენეთ სხვა საისტორიოგრაფიო და საარქივო წყაროებიც, რომლებსაც ტექსტის სათანადო ადგილზე მივუთითებთ.

თავი I

1802 წლის ანტირუსული წინააღმდეგობრივი მოძრაობა საქართველოში: აჯანყება რუსული ჯარის განსადევნად და ქართული სახელმწიფოს აღსადგენად

რუს იმპერატორთა და იდეოლოგთა მტკიცება, რომ საქართველო თავისი ნებით შეუერთდა იმპერიას და ხალხი უფრო დაცულად და მშვიდად გრძნობდა თავს, სიცრუე იყო, რასაც მოწმობდა საქართველოში რუსეთის შემოსვლისთანავე დაწყებული ანტირეჟიმული აჯანყებები. სოფელ ქელმენჩურში 60-ზე მეტი თავადი და აზნაური შეიკრიბა და იმპერატორს საპროტესტო წერილი გაუგზავნა. მათ გლეხთა ერთი ნაწილის მიმხრობაც შეძლეს. პროტესტის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ყოველმხრივ ირღვეოდა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებები. მათი აზრით, მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთი გზა, ეს იყო 1783 წლის ტრაქტატის პირობების დაცვა და აღდგენა [Акты, 1866, 65].

პროტესტის ორგანიზატორთა შორის იყვნენ ბატონიშვილები: ვახტანგი და თეიმურაზი, ასევე, თავადთა დიდი ნაწილი: ოთარ ჯანდიერი, სვიმონ ქობულაშვილი. ხელმომწერთა შორის კი: ანდრონიკაშვილები, ვაჩნაძეები, ჭავჭავაძეები, ჯანდიერები და ა. შ. მათ შეადგინეს პეტიცია და გადასცეს რუსულ სამხედრო ხელისუფლებას, ამასთანავე, მოითხოვეს ხსენებული პეტიციის გაგზავნა იმპერატორისთვის, რაც უეჭველად იმის დამადასტურებელია, რომ მოვლენას არავითარი საერთო არ ჰქონია შეთქმულებასთან, ის ღია აქტი იყო და მისი მონაწილეები კონსპირაციას იმდენად მიმართავდნენ, რამდენადაც ამგვარი მკვეთრი დაპირისპირება იარაღის ძალით დამყარებულ კოლონიურ რეჟიმთან და ანტიქართულ ხელისუფლებასთან გარკვეულ სიფრთხილეს საჭიროებდა. შეთქმულებას მას მხოლოდ ერთი მიზნით უწოდებდნენ: ყველაფერი გადაბრალებოდათ ბატონიშვილებს, სამეფო ოჯახის წარმომადგენლებს და ამით მოძრაობის ვიწრო-პოლიტიკური ხასიათი და ინტერესები გამოეკვეთათ.

მკვლევარი დოდო ჭუმბურიძე სტატიაში - „1802 წლის დიდი წინააღმდეგობრივი მოძრაობის შეფასებისათვის“ - წერს: „1802 წლის დიდი ანტირუსული მოძრაობა საქართველოში ჩვენს ისტორიოგრაფიაში ძირითადად ერთი მოვლენით არის გამოკვეთილი, ესაა ქელმენჩურის ტრაქტატი და მასთან დაკავშირებული მაშინდელი ხელისუფლების რეაქცია. მართალია, ისტორიოგრაფია აღნიშნავს ამ წელიწადს მომხდარ ანტირუსულ გამოსვლებზე და საზოგადო უკმაყოფილებაზეც, მაგრამ ძირითად მოვლენად მაინც ეს აქტი სახელდება. სინამდვილეში ქელმენჩურის შეკრება და მის მიერ მიღებული დოკუმენტი მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმ დიდი საყოველთაო-სახალხო მღელვარებისა, რაც 1802 წელს მიმდინარეობდა საქართველოში. მთავარი ისაა, რომ ეს აღარ იყო ლოკალური მნიშვნელობის პროტესტი, მხოლოდ რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო მოქმედებით ქართველთა უკმაყოფილების გამოხატვა, არამედ ეს იყო საერთო-კავკასიური ამბოხება, ბრძოლა რუსეთის კავკასიიდან განდევნისათვის, დიდი ომის ნიშანი, რამაც ძალიან დააფრთხო რუსეთის ცარისტული რეჟიმი“ [ჭუმბურიძე, 2017, 22].

1802 წლის ივლისში გენერალი ლაზარევი მთავარმმართველ კნორინგს წერდა: ხალხის დაუმორჩილებლობა გაძლიერდა, ბატონიშვილი დავითი შეუერთდა იულონ ერეკლეს ძეს, მის მომხრეებს და ეხმარება მას სამეფო ტახტის დაკავებისათვის ბრძოლაშიო. ლაზარევის სხვა პატაკებიდანაც ჩანს, რომ თბილისის მოსახლეობა ღელავდა, საბრძოლველად შემართულნი იყვნენ ქართველი მთიელები, მასობრივი მოძრაობა აგორდა კახეთში.

გენერალ გულიაკოვის ერთ-ერთ პატაკში წერია, რომ საქართველოში თითქმის არავინ შეხვედრია სიამოვნებით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლას, კახელებმა დაარღვიეს იმპერატორისადმი მიცემული ფიცი და 40 ათას კაციანი თავყრილობა მოაწყვეს, სადაც რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულები ალექსანდრე, იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს ელოდებიან და სამართლიანობის აღდგენისათვის ბრძოლა საერთო-ქართულ მოძრაობად სურთ გადააქციონო.

1802 წლის გამოსვლის მონაწილეებმა თავიანთი მოთხოვნები ჯერ გენერალ გულიაკოვს მიართვეს, მაგრამ მიხვდნენ, რომ რიგით გენერალთან მოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ, რუსეთის იმპერატორისადმი გასაგზავნად შეადგინეს წერილი. აჯანყებულები წერდნენ, რომ რუსეთის მფარველობაში შესვლა

საქართველოს სურდა მხოლოდ ბაგრატიონების სამეფო ტახტის შენარჩუნებით. ამიტომაც თხოვდნენ იმპერატორს - აღედგინა ტრაქტატის პირობები, შეგვისრულეთ მეფე ერეკლეს ანდერძი და ჩვენც შეძლებისდაგვარად გემსახურებითო.

პროტესტი შეიარაღებულ გამოსვლამდე არ მისულა. რუსულმა ხელისუფლებამ, მაშინ საჭიროდ არ ჩათვალა, მკაცრი რეპრესიების განხორციელება. ამ პროტესტს არავითარი რეალური შედეგი არ მოჰყოლია. ამ შეთქმულებასა და მის წინაპირობებს საინტერესოდ გადმოსცემს რუსი სამხედრო ისტორიკოსი დუბროვინი.

საინტერესოა რუსი ისტორიკოსის დამოკიდებულება საქართველოში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისადმი, მისი თვალსაზრისი ქართული სამეფო კარისა და საზოგადოების როგორც ზედა, ასევე ქვედაფენების დამოკიდებულებაზე იმ ახალ რეალობასთან, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმება მოჰყვა. პირველივე წინააღმდეგობას რუსულ საიმპერიო პოლიტიკასთან მკვლევარი ტენდენციურად, მაგრამ საინტერესოდ წარმოადგენს. მას ხელთ ჰქონდა რუს სამხედრო მოხელეთა პატაკები და მიმოწერები, რომელთა საფუძველზეც აფასებდა მოვლენებს.

დუბროვინის აზრით, კახეთში შექმნილ ანტირუსულ განწყობას ხელს უწყობდა იმერეთის მეფე, რომელმაც „თითქოს იმერეთის რუსეთის ქვეშემრდომობაში მიღების თაობაზე თხოვნით, თავისი მდივანი თავადი ლეონიძე გააგზავნა საქართველოში, წერილებით მიმართა კახეთის ყველა თავადსა და მემამულეს, ასევე ხანებს, თავისი წარმატებებით იკვეხნიდა, იწვევდა მათ ერთობლივი მოქმედებისაკენ“ [დუბროვინი, 1888, 26].

ამ თვალსაზრისის არგუმენტად მას მოაქვს თავად კურაკინისადმი სოკოლოვის პატაკი, რომელიც 1802 წლის 30 აგვისტოთი იყო დათარიღებული და ინახებოდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამმართველოს არქივში. დუბროვინის აზრით, სოლომონმა ლეონიძის საშუალებით შეცდომაში შეიყვანა როგორც კოვალენსკი, ასევე კნორინგი, სინამდვილეში ხელი შეუწყო ქართლ-კახეთის სამეფოს დიდებულებში შეთქმულების გაღვივებასა და წინააღმდეგობის გაძლიერებას.

დუბროვინის თქმით, კნორინგი ფიქრობდა, რომ სოლომონის სურვილი გულწრფელი იყო, რომ მას ნამდვილად სურდა რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა, თავად ის კი ცდილობდა, უარი ეთქვა ამ განზრახვაზე, რადგან ეშინოდა ამით არ

აღძრა პორტას ყურადღება, რომლის „გარეშე“ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა იმერეთი [აქტები, 1866, 181].

სანამ გრძელდებოდა მოლაპარაკებები ლეონიძესთან, მან მოასწრო სისრულეში მოეყვანა მისი საქართველოში ჩამოსვლის ძირითადი დავალება და მიზანი, წერილები დაგზავნილ იქნა დანიშნულებისამბერ.

მეფისწულმა ალექსანდრემ მისი შუშაში გამგზავრების წინ მიიღო წერილი დედისაგან, დედოფალ დარიასაგან (დარეჯანისაგან - ე.კ.), რომელიც თხოვდა შვილს დაეჩქარებინა მის მიერ განსაზღვრული საქმის აღსრულება. დედოფალი ატყობინებდა შვილს, რომ ახლა იყო ყველაზე შესაფერისი დრო მცირერიცხოვან რუსულ ჯარებზე თავდასხმისათვის [Акты, 1866, 356].

სპარსეთის ჯარები განლაგებული იყვნენ ოსიანის საზღვრიდან, ნახიჩევანიდან 60 ვერსზე, მეფისწულები იულონი და ფარნაოზი ადრინდებულად იმერეთში იყვნენ, დაღესტნიდან ბელაქანში იკრიბებოდნენ ლეკები [Акты, 1866, 380].

განჯის ხანი შეუერთდა რუსეთისთვის არაკეთილგანწყობილ მხარეთ. ერევნის ხანი დუმილს ინარჩუნებდა. „გეგონებოდა, რომ საქართველოს ცა იმოსებოდა ღრუბლებით და მზადაა ამ საცოდავ ქვეყანას თავს დაატყდეს ახალი და ძლიერი ჭექა-ქუხილი თავისი შედეგებით“, - წერს დუბროვინი [Дубровин, 1897, 106]. რუსი ისტორიკოსი კოვალენსკის ხომ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს, მაგრამ კნორინგსაც არანაკლებ აკრიტიკებს, უწუნებს მას დიპლომატიასა და მიხვედრილობას.

რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ კნორინგმა დატოვა საქართველო, გაემგზავრა გეორგიევსკში და მას შემდეგ არც ერთხელ აღარ ჩამოსულა თბილისში. დუბროვინი წერს, რომ „მთავარსარდალი ვერ გაერკვა ჩვენთვის საქართველოს დაუფლების მნიშვნელობაში, ვერ გაიგო ის ადმინისტრაციული და საბრძოლო მნიშვნელობა, რომელიც განეკუთვნებოდა ამ ქვეყანას კავკასიის დაპყრობის საქმეში. მისცა რა საქართველოს მმართველს (კოვალენსკის - ე.კ.) უფლებამოსილება - თავის ჭკუაზე განეკარგა ყველაფერი, - კნორინგმა უპირატესობა მიანიჭა წვრილმან და უმნიშვნელ მოლაპარაკებებს მთიელებთან, მხარის ფაქტობრივ ჩამშვიდებას [Дубровин, 1897, 108]. .

„მთიელები იმთავითვე არ ასრულებდნენ მოცემულ დაპირებებსა და შეთანხმებებს, მაგრამ ეს არ უშლიდა ხელს მთავარსარდალს გაეფორმებინა მათთან

ახალი ხელშეკრულებები, რაშიც დიდი იმედი ჰქონდა რუსი კაცისათვის დამახასათებელ თვისებაზე, - ყველა მძიმე მდგომარეობიდან ნახოს გამოსავალი. საქართველოს კნორინგი გეორგიევსკიდან უყურებდა ცრუ სათვალეებით, რომელსაც მისი მმართველი უხატავდა, რისთვისაც შემდგომში არაერთი შენიშვნა და საყვედური მიიღო, თუმცა პირადად ის სრულებით არ იმსახურებდა ამას, მაგრამ მისი შეცდომები დაშვებული იყო ამ პიროვნების ხასიათის სისუსტისა ან სხვა რაიმეს გამო“, ასეთია კნორინგის დუბროვინისეული შეფასება [Дубровин, 1897, 113].

„ქართველები, უპირველეს ყოვლისა, თავის უბედურებაში კნორინგს ადანაშაულებდნენ და სამართლიანადაც. სისუსტე და უტაქტობა ხანდახან მავნებელია, ვიდრე სიმტკიცე და ნებისყოფის ძალა, თუნდაც ცუდისკენ მიმართული. ამ უკანასკნელისგან შესაძლებელია თავის დახსნა მაშინ, როდესაც პირველი შეიძლება გამოიყენოს არაკეთილსინდისიერად განწყობილმა ასობით პიროვნებამ და მათი გადაგდებული ბადისაგან ძნელად დაიხსნა თავი, ასე იყო ამ შემთხვევაში კნორინგთანაც“, წერს დუბროვინი. რუსულმა საიმპერიო კარმაც და კარის ისტორიკოსმა დუბროვინმაც მოვლენები შეაფასა ტენდენციურად: ქართველი ხალხის უკმაყოფილება დააბრალა რუსი მოხელეების არასწორ ქცევასა და უპრინციპობას, ასევე ქართველი ხალხის ცრუ მოლოდინებს, შიდადაპირისპირებასა და ზოგიერთი პიროვნების მიერ არასწორი ხმების გავრცელებას. მთავარი რუს ისტორიკოს თითქოს გამორჩა: ის არასწორი პოლიტიკა, რომელიც რუსეთმა გამოიჩინა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებითა და ქვეყნის ოკუპაციით. აი როგორ აღწერს დუბროვინი კახეთში განვითარებულ მოვლენებს: „ივლისის ბოლოს კახეთში გარკვეული მღელვარება დაიწყო, რუსეთთან მიერთებით უკმაყოფილო თავადებმა დაიწყეს ხმების გავრცელება იმის შესახებ, რომ რუსულ მთავრობას განსაზღვრული აქვს, ყველა ქართველი თავადი გაიყვანოს რუსეთში, რომ ყველა ქართველი იქნება გადასახლებული და მათ ადგილზე კაზაკებს ჩაასახლებენ; რომ ახლო მომავალში განხორციელდება რეკრუტში გაგზავნა; რომ საეკლესიო უძრავი მამულები ჩამორთმეული იქნება, ხოლო ხალხისაგან მოითხოვდნენ ორწლიან ხარკს“ [Акты, 1866, 442].

„თუ აქაური ამბები გაინტერესებს - წერდა უცნობი თავად ივანე ორბელიანს (რუსეთიდან), - მანიფესტი, რა თქმა უნდა, უკვე ნანახი გაქვს. ახლა კი დიმიტრი

ორბელიანს მისცეს სარდარობა, შენ კი უკვე აღარა გაქვს. მეფისწულებს უკან არ აბრუნებენ და ყური მოვკარი, რომ, მათაც ვინც თქვენთან არის, მათ გადმოყვანასაც ითხოვენ და როდესაც ისინი გადმოყვანილი იქნებიან, მაშინ საქმე ასე იქნება: ბაგრატიონების ყველა ნათესავი და ახლობელიც შესაძლოა აქეთ გადმოიყვანონ, ამასთან, მანდაურ ყველა დიდებულს, თავადებს, მემამულესა და გლეხებს გადმოიყვანენ და დაასახლებენ აქ, ხოლო აქაურ 14 ათას მოსახლე კაზაკს გადმოიყვანენ საქართველოში. თუ გინდა იცოდე, ყველაფერი ეს გაკეთებულია თქვენი გარსევანის მიერ, მას მისცეს გენერლობა, თქვენ კი დაიღუპეთ. მე შენი მამის პურით ვარ გაზრდილი და შენ სიმართლეს გწერ“ [Акты, 1866, 537].

სამაზრო პოლიციის უფროსი სოფლების შემოვლისას უცხადებდა მოსახლეობას, რომ ის არის მოურავი და მათ მას უნდა მიმართონ ყველა საჩივარით, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. თავადები, რომელთა ყოფა და შემოსავალი მხოლოდ თანამდებობაზე იყო დამოკიდებული, რა თქმა უნდა, ვერ დარჩებოდნენ გულგრილნი ასეთი გავრცებული ხმებისადმი, რაც მათთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად მიიჩნეოდა. თავადები აცნობიერებდნენ, რომ მათი არსებობა დამოკიდებული იყო თანამდებობით მიღებულ შემოსავალზე, რომლის ხელიდან გაშვება უდრიდა სიკვდილს [Акты, 1866, 38].

ისინი სთხოვდნენ იმპერატორ ალექსანდრეს დაეტოვებინათ დაკავებულ თანამდებობებზე და როცა გაიგეს, რომ მათი ეს თხოვნა არ იყო გადაგზავნილი დანიშნულებისამებრ, სთხოვდნენ საქართველოს მმართველს იმავეს, მაგრამ აქაც მიიღეს მათი თხოვნის შეუსაბამო პასუხი . მაშინ თავადებმა თხოვნით მიმართეს გენერალ-მაიორ გულიაკოვს. ისინი ჩიოდნენ, რომ არ სრულდება საქართველოს რუსეთთან მიერთების მანიფესტში მოცემული პირობები. - „უსაფრთხოებას დაგვპირდნენ, მაგრამ სად ჩანს ეს? სოფლები და დასახლებები ლეკების მიერ იძარცვება, თქვენ კი არაფერზე არ ზრუნავთ, ნაბრძანები იყო ეკლესიებისა და ეპისკოპოსების ღირსების ამაღლება, თქვენ კი მათ სამემკვიდრეო მამულები და გლეხები ჩამოართვით; ვალდებულება იყო თავადებზე ღირსებების მომატების, და ამასობაში ჩვენ, ვინც ვიყავით ღირსეულნი ჩვენი მპყრობელისაგან და ამით ვიკვებებოდით, ამ ღირსებასაც მოკლებულნი ვართ. აგრეთვე დარღვეულია ჩვენს შორის იმათი უფლებები, რომლებიც სოფლებს მართავდნენ თავისი დიდი

გმირობებისა და დაღვრილი სისხლის ფასად; გლეხებს ხელმწიფე დაპირდა წყალობას, რომ მათგან 12 წლის განმავლობაში გადასახადებს არ მოითხოვდა ; ასევე ბრძანა, რომ ჯამაგირებიდან გადარჩენილი თანხა, ჩვენი დანგრეული ქალაქის აღდგენისათვის მოეხმარა , მაგრამ არც ეს არ ახდა...“

ქელმენჩურის საზღვართან შეიკრიბნენ კახელი თავადები, თუშებისა და ქიზიყის უხუცესები.

დუბროვინი ამ შეკრებას ასე ახასიათებს: ისინი მოვიდნენ აქ მათი მომავალი ხვედრის, ახალი მოსალოდნელი უბედურების შესახებ მოსალაპარაკებლად. აქ გადაწყდა საკუთარი უფლებებისა და პრივილეგიების დაცვა. თავადები ხედავდნენ, რომ ეს ხალხის მხარდაჭერისა და მასთან თანხმობის გარეშე არ განხორციელდებოდა, აუცილებელი იყო დაყრდნობოდნენ ხალხის ნებას, მაშინ ახლომდებარე სოფლებში წარმოებდა გადაძახილი ღამ-ღამობით (მოწვევა), რათა ყველა მოსახლე მოსულიყო საერთო თათბირზე, ამასთან, როგორც ყოველ ასეთ შემთხვევაში, არც ძალადობა იყო გამორიცხული. ვისაც არ უნდოდა თათბირზე წასვლა, ძალით აიძულებდნენ.

ქელმენჩურის კრებაზე თავადებმა, სასულიერო პირებმა და ხალხმა შეადგინეს ხელწერილი, „წერილობითი აქტი“ და დაიფიცეს წმინდა სამების წინაშე, სთხოვონ რუს იმპერატორს დაამტკიცოს გარდაცვლილი მეფის ერეკლე II-ის სულიერი ანდერძი და დასვან მეფედ ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი, რომელიც იქნებოდა რუსი იმპერატორის დაქვემდებარებასა და მფარველობაში.

„ვინც ამ ვალდებულებას გადაუდგება, ნათქვამია შედგენილ აქტში, ის იქნება წყეული წმინდა სამების მიერ, ბაგრატოვანთა სახლის მოღალატე, რომლის დასჯაზე უფლებამოსილება ჩვენ გვაქვს“. ქელმენჩურის ხელწერილი დაეგზავნა თავადებს, კახეთის ყველა მოსახლეს. მეფისწულ იულონს გაეგზავნა წერილი, რითაც იგი მოწვეულ იქნა მალე ჩამოსულიყო საქართველოში სამეფოს ჩასაბარებლად. იმ მოსახლეობაში, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა კრებაში, კიდევ უფრო მეტი დარწმუნებისათვის, გავრცელებული იქნა ხმა, რომ თავადი სოლომონ ავალოვი იწერებოდა პეტერბურგიდან, თითქოს იმპერატორმა ალექსანდრემ საქართველოში გამოაგზავნა საიდუმლო მრჩეველი ლაშკარევი, ხალხისთვის შესაკითხად, ხომ არა აქვთ მათ სურვილი კვლავ ჰყავდეთ თავისი მეფე [Акты, 1866, 370]

ამ ცნობაზე დაყრდნობით, მრავალი პირი თავის მოქმედებას სამართლიანად და კანონიერად თვლიდა. პავლე სერგეის ძე ლაშქარევი (ლაშქარაშვილი-ბიბილური) (1776-1857), 1814 წელს გახდა გენერალი, იყო ძველი, ვახტანგ VI_ის დროინდელი ქართული ემიგრაციის წევრი, გარუსებული, რუსეთში დაბადებული. ლაშქარევი ეხმარებოდა რუსეთის საიმპერიო კარს ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთებასა და პეტერბურგში სამსახურს უწევდა ქართველ დიპლომატებს - ჭავჭავაძესა და ავალიშვილს.

კახეთის სხვადასხვა ადგილებში იკრიბებოდნენ თავადები და ხალხი სამომავლო მოქმედებებზე მოსალაპარაკებლად. ზოგიერთი შეკრება უპირობოდ ეთანხმებოდა იმას, რაც იყო დადგენილი ქელმენჩურის თათბირზე; სხვები, პირიქით, წაიკითხეს რა ხელშეკრულება, უკან აბრუნდებდნენ შიკრიკს და თან ეუბნებოდნენ, რომ ისინი მეტად უღირს, ღმერთისა და ხელმწიფის საწინააღმდეგო საქმეს აკეთებდენ [Акты, 1866, 302].

მღელვარება, რუსული სამხედრო ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით, იყო მხოლოდ თავადების საქმე და მათი უბრალო პროტესტის გამოხატვა გავრცელებული ცრუ ხმების წინააღმდეგ - მათი საუკუნოვანი პრივილეგიების შეზღუდვის თაობაზე. 25 ივლისს კახელმა თავადებმა მათ მიერ მოთხოვნილი მიტროპოლიტ იოანე ბოდბელის თანდასწრებით თავდაპირველად შეჰფიცეს იმპერატორ ალექსანდრეს, შემდეგ კი უფლისწულ იულონს, როგორც კანონიერ მეფეს. ნიშანდობლივია ის, რომ ფიცდადებულნი სთხოვდნენ ნეკრესის მიტროპოლიტს _ შეაგულიანოს ხალხი და დაავალდებულოს ისინი - იყვნენ იმპერატორისა და მეფე იულონის ერთგულნი [Акты, 1866, 364].

კახეთის ამბები მალე თბილისშიც გახდა ცნობილი, კოვალენსკი წერდა ლაზარევს, რომ მიიღო დასაბუთებული ცნობა „კახეთში შედგენილი ხელშეკრულების შესახებ და ხელმოწერებზეც კი, საერთო სიმშვიდის დასარღვევად და არსებული ხელისუფლების დამხობის შესახებ“.

ამის შემდეგ თბილისში მიღებულია 69 პირის მიერ ხელმოწერილი თხოვნა იმპერატორ ალექსანდრეს სახელზე.

„როდესაც ჩვენ ფიცს ვდებდით თქვენი იმპერატორული დიდებულების ერთგულებაზე, - წერდნენ ხელისმომწერნი, - მაშინ ჩვენ გამოგვიცხადეს უმაღლესი

მანიფესტი, რომელშიც სხვათა შორის ასახულია, ვითომ ჩვენ ვაუწყეთ უმაღლეს კარს, რომ არ გვსურს მეფე და თითქოსდა ჩვენ თქვენს ქვეშემრდომობასა და თქვენი ხელმწიფობის უმაღლეს მმართველობაში შემოვედით მეფის გარეშე.

ეს დაემგვანებოდა ფრანგულ რესპუბლიკას! ჩვენს მეფეებს ჩვენს წინაშე არავითარი ბრალი არ მიუძღვით და ჩვენ მათი საუარყოფო არაფერი არ გვაქვს. ათას წელზე მეტი, ბაგრატიონთა გვარი არის სამეფო, ბევრი მათგანი ქრისტესა და ჩვენთვის ეწამა, თავის სისხლს ღვრიდა და ჩვენც მათთან ერთად ვიღუპებოდით.

ასე და ამრიგად, მათი უარყოფა არ არის ჩვენი საქმე, არამედ მატყუარების გამონაგონი; ჩვენი სურვილი და თხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ დამტკიცებულ იქნას მამულის ღირსებისათვის დიდი გმირობებით გაბრწყინებული გარდაცვლილი მეფე ერეკლეს სულიერი ანდერძი და მისი ძალით მოგვეცეს ჩვენ მეფე, რომელთანაც ერთად ჩვენ დავრჩებოდით თქვენი უმაღლესობის მფარველობაში და ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში ვიქნებით თქვენი უმაღლესობის სამსახურში, ყოველივეს გთხოვთ მუხლმოდრეკითა და ვაებით“.

ამ წერილით უნდოდათ პეტერბურგში გაეგზავნათ დედოფალი დარია, რომელმაც ეჭვის გასაქარვებლად, უწინარეს ამ ამბებისა, განუცხადა კოვალენსკის სურვილი გაემგაზვროს ჩვენს დედაქალაქში თავის ორ ქალიშვილთან ერთად [Акты, 1866, 387].

თავადების ჩვენებებიდან ჩანს, რომ გადაწყვიტეს რა იულონის გამეფება, ისინი ფიქრობდნენ ეს გაეკეთებინათ მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მათ თხოვნას განიხილავდა იმპერატორი ალექსანდრე.

ამასობაში თათბირები და ყრილობები გრძელდებოდა; მანავის თავადები ყოველდღე მიემგზავრებოდნენ მთის იქით შეკრების ადგილზე, სადაც ელოდნენ უფლისწულ ალექსანდრეს და ემუქრებოდნენ მოსახლეობას გაჩანაგებით, თუ არ შეურთდებოდნენ მათ.

რჩებოდა რა მოუდრეკელი, ხალხი ითხოვდა შველას. მაშინ გადაწყდა დაეპატიმრებინათ თავადები.

მანავში გაგზავნილმა რაზმმა მოასწრო დაეპატიმრებინა ორი თავადი, დანარჩენი ოთხი, სროლით შეეფარნენ უღრან ტყეს და ბრძანეს მოსახლეობისათვის ეთქვათ, რომ „ისინი მათ, ვერ გაექცევიან და გავერანებულნი იქნებიან“. დევნით შეშინებული

გაქცეული თავადები ღამღამობით იკრიბებოდნენ და თითო ან ორი დღის შუალედით შესახვედრად სხვადასხვა ადგილს ნიშნავდნენ.

აუცილებელი იყო ზომების მიღება იმისათვის, რომ არაკეთილსინდისიერ პირებს არ შეეგულიანებინათ ხალხი და არ დამუქრებოდნენ მას. მრჩევლები კორნიევი და ლოფიცკი გაგზავნილ იყვნენ ტფილისიდან თელავში გამოსაძიებლად. საქართველოს მმართველი სთხოვდა ლაზარევს, დაუნიშნოს მათ ბადრაგი და უბრძანოს იქ განლაგებული ჯარების უფროსებს, დააპატიმრონ მათ მიერ დამნაშავედ ცნობილი პირები.

მიღებულია ცნობა, რომ რამდენიმე თავადი და სიღნაღის მაზრის მცხოვრებლები წავიდნენ უფლისწულ ალექსანდრესთან. კოვალენსკიმ ჩამოართვა მათ მამულები და ბრძანა მათი თანაზრახველების დაპატიმრება, რაც შესრულებულ იქნა კორნიევის მიერ გენერალ-მაიორ გულიაკოვის ხელშეწყობით. თავადები წინ აღუდგენ ასეთი სახის მოქმედებას, „რაც იყო ნაბრძანები ყოვლად მოწყალე ხელმწიფისაგან, - წერდნენ ისინი, ფიცის მიცემა თუ სხვა რაიმე - ჩვენ ყველაფერი შევასრულეთ, რასაც ჩვენი ხელმოწერები ამტკიცებს, თქვენ კი გაგვიმეტეთ ჩვენ ასეთი უბედურებისათვის“. თავადები ითხოვდნენ ეჩვენებინათ იმპერატორის ბრძანება. „ხელმწიფის ბრძანების გარეშე, - წერდნენ ისინი, - ნუ იჭერთ თავადებს“. ყოველივე ეს ბუნებრივია [Акты, 1868, 369].

დაპატიმრებები ძველებურად გრძელდებოდა. თავადებმა კვლავ მიმართეს თხოვნით გულიაკოვს - „ამის წინ ჩვენ გწერდით და დაწვრილებით მოგახსენეთ, თქვენ კი, ჩვენი წერილის გადმომცემი დააპატიმრეთ, ხელმწიფე კი არ იკადრებდა ამის გაკეთებას. გარდა ამისა, თქვენ კიდევ დააკავეთ თავადები, რომლებიც არაფერში არ არიან დამნაშავე. აქამდე ჩვენ ძალიან კმაყოფილი ვიყავით თქვენით, რადგან თქვენ ჩვენი ქვეყნისათვის ბევრი იღვაწეთ და სხვა შემთხვევაშიც კარგად გვექცეოდით; არ გვეგონა, რომ თქვენ უდანაშაულოდ აწყენინებდით ჩვენს ძმებს. თუ ჩვენს ნათქვამს სხვაგვარად გაწვდიან - ეს არის სიცრუე. როგორც ჩვენი, ასევე მათი (დაპატიმრებულების) აზრი აი, რაში მდგომარეობს: ჩვენთვის დამაშვრალმა აწ გარდაცვლილმა მეფე ერეკლემ დატოვა ანდერძი, რომელსაც ჩვენ შევფიცეთ, რომ მეფე გიორგის შემდეგ ჩვენი მეფე იქნებოდა იულონი. ჩვენც ამ ანდერძისა და ჩვენი ფიცის ერთგულნი ვართ; ჩვენ - ზოგადად ანდრონიკოვებმა, ვაჩნაძეებმა,

ჯანდიერებმა, ყველა ქიზიყელმა და სხვა თავადებმა და უბრალო ხალხმა, უპირველესად შევფიცეთ ხელმწიფეს ერთგულებაზე. შემდეგ კი - იულონს, ჩვენს მემკვიდრეობით მთავარს... ამჟამად მოგახსენებთ, ქრისტეს წყალობით, არ მიგვცეთ უბედურებას და არ ჩაგვთვალოთ ხელმწიფის მოღალატედ... კიდევ გემუდარებით, გაანთავისუფლეთ ჩვენი დაპატიმრებული ძმები, რათ დამშვიდდეს ჩვენიცა და ხალხის გულებიც“.

ზოგიერთს თავადებისაგან უნდოდა ძალის გამოყენებით გაეთავისუფლებინათ დაპატიმრებულები, ხალხს აქეზებდნენ საამისოდ, მაგრამ ვერ მოასწრეს რა, დანაწილდნენ უმნიშვნელო პარტიებად და იმალებოდნენ დღე ტყეებში, ხოლო ღამით - სოფლებში. შემდეგ ყველა ისინი შეიკრიბნენ ქიზიყში (სიღნაღი). ვერ მიიღეს რა დამაკმაყოფილებელი პასუხი გენერალ-მაიორ გულიაკოვისაგან, პროტესტით მიმართეს პოდპოლკოვნიკ სოლენივსს, რათა მას შეეწყვეტა დაჭერები. ლაზარევი წერდა გულიაკოვს, რომ მან დაპატიმრებები განახორციელოს ფრთხილად, რათა არ დაეჭირათ უდანაშაულონი და ამით არ გამოეწვიათ ხალხის სამართლიანი უკმაყოფილება. იგი ფიქრობდა, თვითონ დაძრულიყო კახეთისაკენ ეგერთა ბატალიონით, ერთი ქვემეხითა და რამდენიმე კაზაკით.

29 ივლისს, თავადმა ლუარსაბ ორბელიანმა განუცხადა ლაზარევს, რომ **რუსეთის მოწინააღმდეგე პარტიამ,** ისარგებლა რა მხარეში შექმნილი მდგომარეობით, წერდა უფლისწულ ვახტანგს, რომ არ შემოეშვათ საქართველოში ჩვენი ჯარები, დაენგრიათ გზაზე ხიდები და საერთოდ აღეკვეთათ ყოველგვარი კავშირი რუსეთთან. სამეფო კარის წარმომადგენლები ცდილობდნენ მოეჩვენებინათ, რომ არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ ამ არეულობაში. თეიმურაზი ჩამოვიდა ტფილისში და ცხოვრობდა საქართველოს დედაქალაქში. კათალიკოსი, უფლისწული ანტონი ცდილობდა გარეგნულად თავი ეჩვენებინა ჩვენდამი ერთგულად, თუმცა ცნობილი იყო, რომ საკმაოდ აქტიურად მონაწილეობდა სამეფო კარის ინტრიგებში. დედოფალმა დარიამ განუცხადა გენერალ-მაიორ ტუჩკოვს თავისი სურვილი, რათა მის სახლში დაეყენებინათ რუსი მცველი, ლაზარევმა ისარგებლა დედოფლის ამ განცხადებით და იქვე გააგზავნა მასთან 12 ჯარისკაცი, დავალებით, რომ თვალყური ედევნებინათ მისი მოქმედებებისათვის, დედოფალი კმაყოფილი იყო ასეთი

წინდახედულებით, თუმცა არ დაუთმია თავისი ინტრიგები, რომლის ცენტრი ამჟამად იყო უფლისწული ვახტანგი.

დუშეთში მყოფი უფლისწული მიწერ-მოწერას აწარმოებდა დედოფალ დარიასთან, უფლისწულებთან იულონთან და ალექსანდრესთან. პირველი მათგანი იყო იმერეთში, მეორე კი - სპარსეთში. ვახტანგი ატყობინებდა მათ ყველაფერს, რაც საქართველოში ხდებოდა, ღებულობდა მათგან სხვადასხვა ცნობებს, მიწერ-მოწერა ჰქონდა ბევრ თავადთან, აძლევდა მათ რჩევებს და „ამის გარდა, ართულებდა კომუნიკაციას რუსეთიდან აქეთ“.

პეტერბურგში მყოფი უფლისწულებიც - იოანე და ბაგრატი არ იყვნენ არხეინად.

„ასე რატომ დამივიწყეთ მე და უკვე აღარ გახსენდებით სისხლი და ხორცი, - წერდა იოანე თავად მაყაშვილს. რა მდგომარეობაში ბრძანდებით? დიდის მძებნელი ყოველი, დაეცემა და თქვენ მას უნდა მიჰყვეთ. აღარა აქვს უკვე იმის აზრი - ვისთვის რა არის კარგი. თუ კი თქვენზე რაიმე ძალადობა ხორციელდება, ან თუ ვინმე თქვენ რაიმეთი გაწუხებთ, მაშინ ყველაფერი ზოგადად მომწერეთ და ხელმწიფისათვის თხოვნას დაურთეთ ოთხი ან ხუთი თავადის ბეჭედი და გამომიგზავნეთ, მე აქ მათ ლაშქარევის წერილთან ერთად გადავცემ, ყოველი წვრილმანით: შემდეგ მე ვიცი რა გავაკეთო. ჩათვალეთ ეს საუდუმლოდ და აღსარებად, რათა არავინ გაიგოს. თქვენ გინდათ გყავდეთ თქვენი მეფე, ამის შესახებაც დაწერეთ - გაკეთდება. ყველაფერი თქვენი გადასაწყვეტია, თორემ პირველზე უარესი იქნება - ნება თქვენია“....

სრული სიმშვიდის აღსადგენად ლაზარევი უცილობლად და თითქმის ერთადერთ საშუალებად მიიჩნევდა დედოფალ დარიასა და მეფისწულ ვახტანგის დაპატიმრებას, როგორც ყველა ინტრიგისა და მღელვარების გამომწვევთ.

თათბირზე დადგინდა, ლაზარევი დაძრულიყო კახეთისაკენ, ხოლო გენერალ-მაიორი ტუჩკოვი- თავად თარხანოვთან ერთად - დუშეთისაკენ, მოეწვიათ ვახტანგი ტფილისში და თუ ის არ დათანხმდებოდა, დაეპატიმრებინათ უფლისწული [Акты, 1866, 270].

ლაზარევმა 3 აგვისტოს ყველა კახელ თავადს გაუგზავნა წერილი, რომლითაც მოითხოვდა, რომ „მათ აღიარონ თავისი ცდომილება და მოვიდნენ მასთან სიღნაღში 5 აგვისტოს“.

3 აგვისტოს ლაზარევი მიადგა სიღნაღს, დაბანაკდა სოფელ ნუკრიანში, თავის წერილზე პასუხის მოლოდინში. ორი დღის შემდეგ მასთან გამოცხადდა მიტროპოლიტი მაყაშვილი და მასთან ერთად რამდენიმე დიდგვაროვანი თავადი.

თავადებმა განუცხადეს ლაზარევს, რომ მას ეახლენ სრული მონანიებით, როგორც ფიცის გამტეხნი, აღიარებდნენ თავიანთი მოვალეობის საწინააღმდეგო მოქმედებების ჩადენას და პირობას დებდნენ, რომ მომავალში აუცილებლად შეეცდებოდნენ მიტევება დაემსახურებინათ. 6 და 7 აგისტოს ცხადდებოდნენ კახეთის დანარჩენი თავადები ზუსტად ასეთივე განმარტებებით.

ლაზარევმა, კვლავ დააფიცა რა ისინი ერთგულებაზე, გაიგო რომ მეფისწულ იულონს ისინი წერილებით მეფედ იწვევდნენ, ურჩია მათ ახლაც მიეწერათ იულონისათვის ამჟამინდელ გადაწყვეტილებაზე. თავადები იმწამსვე დაეთანხმნენ და დაწერეს ახალი წერილი იულონთან, სადაც უარყოფდნენ მისთვის მიცემულ ფიცს, რაც რუსეთის იმპერატორის საწინააღმდეგო ყოფილაო.

ლაზარევი დაბრუნდა თბილისში (10 აგვისტოს), სადაც მალევე მივიდა გენერალ-მაიორი ტუჩკოვი მეფისწულ ვახტანგთან ერთად.

რუსული ისტორიოგრაფია ასე დეტალებსაც არ ივიწყებს:

„ყოველგვარი ეჭვის გასაფანტად თბილისის შემოგარენში მდებარე თავად ორბელიანის სახლში დანიშნულია საღამო, რომელზეც მიწვეულნი არიან ტუჩკოვი და თარხანოვი. დაღამებისთანავე ტუჩკოვმა დატოვა ორბელიანის სახლი და გამოემგზავრა ქალაქიდან. მის ბადრაგში დანიშნული კაზაკები, გაშვებული იქნენ მანამდე ქალაქიდან, სხვადასხვა ჭიშკრიდან, სხვადასხვა დროს მცირე პარტიებად. ახლომდებარე ტყეში შეიკრიბა რაზმი და შეუერთდა ტუჩკოვს, დილით ადრე 1 აგვისტოს ტუჩკოვი ჩავიდა დუშეთში, ამ ქალაქში ტუჩკოვის ჩამოსვლის გამხელილი მიზანი იყო დუშეთში განლაგებული მისი პოლკის ასეულების დათვალიერება. მან გააგზავნა შიკრიკი უფლისწულისთვის სათქმელად, რომ სურს ეწვიოს მას, შიკრიკს უპასუხეს, რომ მეფისწულს ჯერ სძინავს, ამის შემდეგ ტუჩკოვმა სამჯერ გააგზავნა მეფისწულთან, მაგრამ ის სხვადასხვა მიზეზით აყოვნებდა შეხვედრას.

ციხე-დარბაზთან მოშორებით მდგომმა კაზაკებმა შეამჩნიეს, რომ ჭიშკრიდან გამოვიდა ერთი მხედრულად აღჭურვილი ქართველი, რომლის დაკავებაც უნდოდათ, თუმცა გაიქცა, მაგრამ დაკავებული იქნა და მიყვანილი ტუჩკოვთან,

ტუჩკოვმა უბრძანა მისი დაკითხვა, თვითონ კი წავიდა უფლისწულ ვახტანგთან. გზად მას მოახსენეს, რომ ციხე-დარბაზის უკანა ჭიშკრიდან გამოვიდა ორი ადამიანი, ხოლო შემდეგ მოახსენეს, რომ უფლისწული გაიქცა, ამხედრებული ტუჩკოვი კაზაკებით გავარდა დასაწევად და დუშეთში მყოფ გრენადერებს უბრძანა დაეკავებინათ უფლისწული ვახტანგი“.

უფლისწული ვახტანგი დუშეთიდან სამი ვერსის მანძილზე მდებარე გლახო ჭილაძის ციხე-სიმაგრისაკენ გაემართა.

უფლისწული მოეფარა გალავანს, რომელიც დაუყონებლივ იქნა გარშემორტყმული კაზაკებით, ტუჩკოვმა ბრძანა ჭიშკრის შემტვრევა, ყველა კარი ტუჩკოვს ჩაკეტილი დახვდა, ხოლო ოთახები - ცარიელი. არაფერი არ მოწმობდა ციხე-სიმაგრეში სულიერის არსებობას. ოთახებში იყო ნაპოვნი პროდუქტი, თოფების მნიშვნელოვანი ოდენობა, ტყვია-წამალი. „ბოლოსდაბოლოს ჩვენ მოვძებნეთ მოხუცი, წერს ტუჩკოვი, და დაკითხვის შედეგად ვაიძულეთ ეთქვა, სად იყო სარდაფი, რომლისგანაც საიდუმლო გასასვლელი იყო მეზობელ ტყემდე. ასე და ამრიგად უფლისწული გაგვექცა. მეტი არაფრის გაკეთება აღარ შეგვეძლო გარდა იმისა, რომ მთებში დაგვეწყო შეიარაღებული ძებნა.

ვახტანგის გაქცევის მიზანი იყო დამალულიყო მიუვალ ადგილებში მდინარე არაგვისა და თერგის მიდამოებში მდებარე მის სამფლობელოში, რომელიც კავკასიის ხაზს ეკვროდა. შეიარაღებულთა გარემოცვით ის ფიქრობდა მღელვარეთა მხარდაჭერას. ამიტომ, იგი უპირველესად გაეშურა მთიულეთლებთან, როგორც მისი ქვეშევრდომებიდან ყველაზე მებრძოლ ხალხთან.

ტუჩკოვმა ციხე-სამაგრესთან დატოვა დაცვა, თვითონ გაიქცა ახლომდებარე ტყისკენ, მაგრამ ვერც იქ ნახა უფლისწული. დუშეთში დაბრუნებულმა შეიარა მეფის ასულებთან, გარდაცვლილი მეფის მეუღლესა და გაქცეული უფლისწული ვახტანგის ძმისწულთან, მაგრამ მათგანაც ვერაფერი გაიგო გაქცეული უფლისწულის ადგილსამყოფლის შესახებ. სახლთან მიახლოებისას, სადაც თვითონ ბინადრობდა, შეამჩნია 10-მდე მხედრულად შეიარაღებული ქართველი, რომლებიც შემოგარენის მთებში ჯირითობდნენ და მოსახლეობას იწვევდნენ სახალხო კრებასა და საყოველთაო შეიარაღების თაობაზე. ესენი იყვნენ უფლისწულის ახლობლები.

დუშეთში იყო 60 გრენადერი და 50 კაზაკი. ამ უკანასკნელთ, დაღლილობის მიუხედავად, ებრძანა, თუ არ დაიჭერდნენ ამ ცხენოსნებს, სოფლებამდე მაინც არ მიეშვათ, რომ ხალხის მღელვარება არ გამოეწვიათ. ღართისწყაროში მდებარე ეგერების ასეულმა და ტფილისში მყოფი გრენადერების ასეულებმა მიიღეს ბრძანება დაუყოვნებლივ ჩამოსულიყვნენ დუშეთში. გადამძახებლები დარბეულ იქნენ; ერთი მათგანი, თიანეთელი მოურავი ჩამოყვანილი იქნა ტუჩკოვთან.

დუშეთისა და გორის მაზრებში დაგზავნილ იქნა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ვინც გაბედავდა უფლისწული ვახტანგის მხარდაჭერას, მისი ოჯახი დასჯილი იქნებოდა „წარმოუდგენელი სისასტიკით".

ამასთან ერთად, უფლისწულს ჩამოერთვა ყველა მამული, ასევე მიმართვები დაეგზავნა ხევსურებს, ფშავებს, თუშებს, ეცნობათ აგრეთვე - არ შეეწყოთ ხელი უფლისწულისათვის ჩანაფიქრის განხორციელებაში.

ტუჩკოვმა მოითხოვა თავისთან მემამულე მურვაძე, რომელიც უფლისწულ ვახტანგისადმი ერთგულებით იყო ცნობილი. ტუჩკოვმა გადასცა რა მას წერილი, უბრძანა მისი აუცილებლად უფლისწულისთვის გადაცემა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯება, როგორც მოღალატე, მისი ოჯახი დიდ უბედურებას შეეყრება. ეშმაკობამ გაამართლა. შეშინებული მემამულე დაადგა გზას და ოცდაოთხი საათის განმავლობაში ტუჩკოვს მოუტანა უფლისწულის პასუხი.

მითითებულ ადგილზე გაგზავნილებმა ვერ მოძებნეს უფლისწული. ტუჩკოვი შემოიფარგლა იმით, რომ დაიწყო მიწერ-მოწერა ვახტანგთან, არწმუნებდა მას დაბრუნებულიყო, მაგრამ უფლისწული უარით პასუხობდა.

თავისი რაზმის ჩამოსულებით შევსებისა და გაძლიერების შემდეგ ტუჩკოვმა კაზაკებისა და ქართველებისაგან შემდგარი რაზმი გაგზავნა სოფელ ყაზბეგში იმ მიზნით, რომ შეეკავებინა თაგაურები მღელვარებისა და ვახტანგის წაქეზებისაგან. ცალ-ცალკე, სხვადასხვა მიმართულებით გაგზავნილებმა გაიგეს, რომ უფლისწული არის მთიულეთის მთების ხეობაში, რომელიც ცნობილია გუდამაყრის ხეობის სახელით. მათ ემხრობოდათ ხევსურების, ფშავლებისა და თუშების სახლები, რომლებთანაც უფლისწული აგზავნიდა თავის წარმომადგენლებს.

8 აგვისტოს მიიღეს ცნობა, რომ ვახტანგს განზრახული ჰქონდა შეეღწია მთიულეთში. სამაზრო პოლიციის უფროსის, კაპიტან პერეიასლავცოვის კაზაკებთან ერთად გაგზავნილ იქნა კობში მისთვის გზის გადასაჭრელად.

„მე გამოვიძახე ჩემთან დეკანოზები, - წერს ტუჩკოვი, - რათა გადმომებირებინა ეს წვეროსანი მღვდლები, მოფერებით, საჩუქრებით, ჩემთვის უფლისწულის გადმოსაცემად, მაგრამ ისინი პასუხობდნენ: - „ის ბაგრატიონია და წმინდა მუხასთან იყო“, მაგრამ ამას არ შეუშლია ხელი დეკანოზებისათვის დაესახელებინათ ყველა ის ადგილი, რომელთა დაკავებით შესაძლებელი იქნებოდა ვახტანგისათვის გზის მოჭრა, თუ ის გაიფიქრებდა მათგან გაქცევას.

დაიკავა რა რაზმებით ყველა გამოსასვლელი, თვითონ ტუჩკოვი იდგა ხეობის უმთავრეს შესასვლელთან - გუდამაყართან. „ქვემეხების სროლა და ბარაბნის ხმები მწუხრისას გაისმოდა უფლისწულის ადგილსამყოფელში ყოველი მხრიდან. ისე რომ არ შეუწყვეტია დაწყებული მიწერ-მოწერა, ტუჩკოვი წერდა ვახტანგს და სთხოვდა მსტოვარს ეთქვა უფლისწულისთვის, რომ თუ ის პატიოსანი სიტყვით არ მივა მასთან, მოსალაპარაკებლად, მაშინ ის წავა ჯარით, სადაც არ უნდა იყოს ის.

ვახტანგი ჩიოდა კნორინგთან მისთვის მიყენებულ წყენაზე და აღწერდა თავის უდანაშაულობას. მთავარსარდალი ურჩევდა მას, ყველა შემთხვევაში ჩასულიყო თბილისში და უკვე იქ გაემართლებინა თავისი მოქმედებები, მაშინ უფლისწულმა მისწერა საქართველოს მმართველს და თანხმდებოდა თბილისში ჩამოსვლაზე მხოლოდ მაშინ, როდესაც შესრულებული იქნებოდა სამი პირობა: 1) დაბრუნებულ და გადაცემულ იქნას მის მმართველობაში ჩამორთმეული მამულები; 2) ის არ იქნებოდა გაძევებული საქართველოდან და 3) მისი თბილისში ყოფნის პერიოდში არც მას და არც მის ამალას არ მიაყენებდნენ შეურაცხყოფას; ამის საპასუხოდ უფლისწულმა მიიღო ჩვეულებრივი მოწვევა, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ჩამოსულიყო დედაქალაქში.

თავისთან ამალაში მხოლოდ 20 ერთგული ადამიანი ჰყავდა და იცოდა რა, რომ ყველა გზა ჰქონდა მოჭრილი, ვახტანგმა თავისი წარმომადგენელი წინასწარ გაგზავნა ხეობაში, რათა ეთქვა ტუჩკოვისათვის, რომ მალე ისიც პირადად წარსდგებოდა.

10 აგვისტოს იგი ჩამოვიდა ტუჩკოვთან თავისი ამალით.

რუსული ისტორიოგრაფია, კერძოდ დუბროვინი, ცდილობს, ყოველნაირად დააკნინოს ქართველი უფლისწული და მთელი ეს ანტირუსული წინააღმდეგობრივი მოძრაობა. თუმცა, ამ მასალებიდანაც ნათლად ირჩევა მებრძოლი სულისკვეთება და რეჟიმთან შეურიგებლობა. ჩანს ის ზედმეტი თუ გამოგონილი ფაქტების უსწორობა, რითაც ავტორს მკითხველის დაჯერება სურს და ისტორიის გაყალბებას ესწრაფვის. „მან მოიხსნა ხმალი და აზიური წესის თანახმად ჩამოიკიდა კისერზე, ვახტანგი ასეთი სახით წარსდგა ტუჩკოვთან. - აი ჩემი თავი, აი ხმალი, - ჩაილაპარაკა მან. მას უპასუხეს, რომ საჭიროა მხოლოდ მორჩილება და ჩამოსვლა ტფილისში, და მას შეუძლია ენდოს იმპერატორის დიდსულოვნებას“. „ვახტანგი, როგორც ჩანდა, გრძნობდა თავის დანაშაულს და თავის ქმედებებს ინანიებდა. ჩემი ხანგრძლივი მსახურების გამო, ამბობდა იგი, შეიძლება ერთი დანაშაული მაპატიო. დედაჩემმა და ჩემმა ნათესავებმა თუკი რაიმე გააკეთეს, მე არ ვარ დამნაშავე და მე მასში არ ვმონაწილეობდი. ჩემს გაქცევაში, – ამბობდა ის შემდგომში, - მე არავითარი ბოროტი განზრახვა არ მქონია, მეშინოდა, რომ დაპატიმრებული უღირსად ვიქნებოდი გადაყვანილი დუშეთიდან ტფილისში“.

თბილისში ვახტანგი დასახლდა დედის, დედოფალ დარიას სახლში. მასზე უკეთესი ზედამხედველობის მიზნით, დედოფლის კარზე მყოფი მცველების გარდა, ავლაბარში, სადაც მათი სახლი იყო, დაყენებულ იქნა კიდევ ეგერების ბატალიონი. უფლისწულს მიეცა მამულებიდან შემოსავლებით სარგებლობის უფლება, მაგრამ აეკრძალა ქალაქიდან გასვლა.

ეს აკრძალვა იმის ტოლფასი იყო, რომ მამული რჩებოდა როგორც ჩამორთმეული. ვახტანგი აცნობიერებდა, რომ არ შეეძლო პირადად მიეღო მონაწილეობა მამულების მართვაში. ის ახლა თბილისში მცხოვრებ მეტნაკლებად გავლენიან პირებს მიმართავდა. მოასწრო მიეწერა თავისი მამულის უხუცესებისათვის, რომ მიეცათ მისთვის რწმუნება იმისა, რომ არ მონაწილეობდა კახეთში მიმდინარე მღელვარებებში. უხუცესები ამის თაობაზე რჩევას ეკითხებოდნენ ლაზარევს, მიეცათ თუ არა მისთვის ამის დასტური, მათ უპასუხეს, რომ ეს დამოკიდებულია მათზე: რომ მათ უფრო იციან, იყო თუ არა ის ამ მღელვარებების მონაწილე. არ უპასუხეს რა პირდაპირ შეკითხვაზე, უხუცესებმა უარი უთხრეს რწმუნების გაცემაზე [Акты, 1866, 273-274].

ვახტანგი მაინც არ კარგავდა მამულის დაბრუნების იმედს; იგი კვლავინდებურად ცდილობდა დაემტკიცებინა თვისი უდანაშულობა.

- ხომ არ იმსახურებთ თქვენ უჭკუოს სახელს, ეუბნებოდა მას გრაფი მუსინ-პუშკინი, თუ კი იმას ფიქრობთ, რომ თქვენს სახლზე ხელყოფისათვის მტარვალებით, პრიმიტიული შეიარაღებითა და აზიური მოხეტიალე ჯარით შეძლებთ წინ აღუდგეთ რუსეთის იმპერიისა და ჯარების სიძლიერეს, რომლის წინაშე არაერთგზის ცახცახებდა ევროპა. რა შედეგები ექნება თქვენი და თქვენი თანამოაზრეებისათვის ასეთ ბრძოლას, რაზედაც რამდენიმე ამბოხებული თავადის გარდა, ქართველი ხალხი არასოდეს არ დაგეთანხმებათ? და ბოლოს, თქვენი მოკავშირეების დაღუპვით და თქვენი მამულის გაჩანაგებით ხომ არ მიაყენებთ ზიანს თქვენს მამულს, რომელიც, როგორც ვფიქრობ, გიყვართ?

- თქვენ ირწმუნებით, - აგრძელებდა გრაფი, - ისევე, როგორც დედოფალი, მაგრამ თქვენი ზრახვების არავითარი საბუთები არა გაქვთ. მე თვითონაც ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ ზედმეტად გონებაგამჭრიახი ბრძანდებით იმისათვის, რომ ანდოთ ასეთი მტკიცებულებები და განსაკუთრებით წერილობითი, უცხოს ხელში, მაგრამ მიპასუხეთ გულწრფელად, შეუძლია ჭკუათმყოფელ კაცს დაეყრდნოს (ენდოს) თქვენ რწმუნებებს?

- არ შეიძლება, - სიცილით პასუხობდა უფლისწული.

- რას უჩივით თქვენ? და როგორი ზომები უნდა მიიღოს მთავრობამ ხელმწიფე - იმპერატორისადმი თქვენი ასეთი წინააღმდეგობის აღსაკვეთად?

- რა შედეგები ექნება თქვენი და თქვენი სახლისათვის ყველა ამ მოქმედებას?

- მეტად დამღუპველნი, - პასუხობდა ვახტანგი. მე ძალიან ვწუხვარ ჩემს მდგომარეობაზე.

- თქვენ ტყუილად გეპარებათ ეჭვი იმპერატორის გულმოწყალებაში, მაგრამ თუ გინდათ, რომ მე თქვენ მოგცეთ მეგობრული რჩევა, დაიმსახურეთ ეს, მიმართეთ პირდაპირ მის საიმპერატორო ბრწყინვალებას, წრფელი აღიარებით, როგორც თქვენი, ასევე მისი აღმატებულება დედოფლის სახელით. მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელმწიფისათვის მით უფრო სასიამოვნო იქნება, დაგმოთ და გვერდი აუაროთ ყველა ირიბი გზები და თქვენი ნდობით იმპერატორის წინაშე, მოინდომეთ მოიპოვოთ მისი პატიება, და ამავდროულად განუცხადეთ თუ რა გსურთ, თქვენი სამეფო კარიდან

გამომდინარე, გვირგვინის სანაცვლოდ. ეცადეთ ჩააცხროთ საქართველოს დამქანცავი ამბოხებები და დაარწმუნეთ სამეფოდან წასული თქვენი ძმები მორჩილებაში, მე დარწმუნებული ვარ, რომ მათზე თქვენი გავლენა "წარმატებით განხორციელდება, აი ერთადერთი გზა, რომელიც თქვენდამი ჭეშმარიტი მეგობრობით შემიძლია შემოგთვაზოთ იმ დაღუპვისაგან თავის დასაცავად, რომელიც ისედაც გემუქრებათ თქვენ და თქვენს თანამზრახველებს.

- ჩვენი აღიარებით ხომ არ დავიტეხავთ თავს კიდევ უფრო დიდ უბედურებას- ეკითხებოდა უფლისწული - მისი საიმპერატორო აღმატებულებისაგან?

- ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ თქვენი ქმედებები უცნობია (დამალულია) ხელმწიფისათვის? ისინი მრავალგზის არის მისთვის ცნობილი. რა უფრო სასიამოვნო იქნება მისთვის: მათ შესახებ სხვებისაგან გაიგოს, თუ იხილოს თქვენი საკუთარი მონანიება სუფთა და ჭეშმარიტ აღიარებაში.

- ყოველნაირად შევეცდები, - ამბობდა უფლისწული ხელში აღებულ გულზე ჩამოკიდებულ ხატის წინაშე. დედასთან მოლაპარაკების შემდეგ, დავარწმუნო იგი, ძმებსაც მივწერ აგრეთვე.

ამრიგად, სამეფო ოჯახის წარმომადგენელთა მონაწილეობა კახეთში დატრიალებულ მღელვარებებში ნათლად გამოიკვეთა. მათთვის ძნელი იყო სამომავალოდ აღეკვეთათ ასეთი სახის მოქმედებები. რუსეთის ყველა წარმომადგენელის აზრით, იყო მხოლოდ ერთი საშუალება _ სამუდამოდ მოეცილებინათ ყველა ისინი საქართველოდან. კნორინგმა რამდენჯერმე თხოვა ამის თაობაზე იმპერატორ ალექსანდრეს, რომელიც არ იზიარებდა მის აზრს ასეთი მკაცრი ზომების აუცილებლობაზე, მიანიჭა რა საქართველოს ყველა ის უფლებები და უპირატესობანი, „რომლითაც სარგებლობს რუსეთის დიდი იმპერიის ყველა დანარჩენი ქვეშემრდომი", ალექსანდრემ ნება დართო რუსეთში მყოფ უფლისწულებს ჰქონოდათ სრული თავისუფლება და თუ მოისურვებდნენ გაემგზავრონ საქართველოში. ამის შემდეგ მან უბრძანა კნორინგს გამოიყენოს ნებაყოფლობითი შეთანხმება სამეფო კარის პირთა რუსეთში გამგზავრებისათვის, „რომლის გარეშე ბოლო არ ექნება მაგათ შეგულიანებებს.

მათი იძულებითი გამოყვანა საქართველოდან იმპერატორს „ზომაზე მეტ“ საშუალებად მიაჩნია, რომლის გამოყენება მხოლოდ უკანასკნელ და უცილობელ შემთხვევაშია საჭირო.

მეფისწულ ვახტანგის რუსეთში გამგზავრების მცდელობა ამაო იყო. უფლისწული უარით პასუხობდა.

ცნობამ იმის შესახებ, რომ რუსეთში მყოფ უფლისწულებს საქართველოში დაბრუნების უფლება მიეცათ, დაანაღვლიანა ხალხი და საკმაოდ შეაგულიანა რუსეთის მოწინააღმდეგე პარტია, თბილისში ამზადებდნენ სახლს უფლისწულებისათვის, ხალხი რომელსაც უხაროდა, რომ ტფილისში სამეფო კარის სამი პიროვნებით ნაკლები იყო, არკვევდა: სამართლიანია თუ არა რომ, უფლისწულები უკვე საქართველოს გზას დაადგნენ? პიროვნებებს, რომლებიც მმართველობის სათავეში იდგნენ, უხდებოდათ თქმა იმისა, რომ არ იცოდნენ ამის შესახებ. ქალაქში სხვადასხვა ხმა ვრცელდებოდა, მეფობის აღდგენის მსურველთა პარტია ამას თავისებურად ხსნიდა. „ოცდაათი წლის განმავლობაში, - ამბობდნენ ისინი, რუსები იყვნენ საქართველოში და ყოველთვის მფარველობის დასრულების შემდეგ, ქვეყანას უტოვებდნენ მეფეებს. ჯარების ახლანდელი ყოფნაც არის დროებითი და გაგრძელდება მხოლოდ იმ დრომდე, სანამ იმპერატორი ალექსანდრე არ დანიშნავს ვინმეს სამეფო გვარიდან მეფედ, იმპერატორის განზრახვა - აგრძელებდნენ ისინი ხალხის დარწმუნებას, - დასტურდება იმით, რომ ის სამეფო კარის წევრებს არა თუ იწვევს საქართველოდან, არამედ პირიქით, ამჟამად რუსეთში მყოფთ უშვებს თავის სამშობლოში. რუსეთის ერთგულ პარტიებს ასეთი ხმების გავრცელებისას ეშინოდათ თავისი მომავლის და ფიქრობდნენ, ჭორის გამართლების შემთხვევაში რუსეთში ეძებნათ გადრჩენის საშუალება.

ამ საუბრების დროს, ოქტომბრის თვეში, სანკტ-პეტერბურგიდან ჩამოვიდა ყოფილი ელჩი გარსევან ჭავჭავაძე. თავად ჭავჭავაძის გვარი კავკასიის ხალხთა შორის განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა. ამ გვარის თავადებს ყოველთვის ყველაზე საუკეთესო და გამოჩენილი ადგილები ეკავათ ქვეყნის ადმინისტრაციულ მმართველობაში. თავად გარსევან ჭავჭავაძის მმართველობაში მყოფი კაზაკი ხალხის თითქმის ყველა აღალარი გამოემგზავრა სოფ. ყაზბეგში მის დასახვედრად ორასზე მეტი თათარის თანმხლებით. ასეთი დახვედრა მთიელი ხალხის ჩვეულებაა და ეს

ყაზახების ხასიათშიც იყო. აქ არავითარ ამბოხების მომენტი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, ეს იყო უბრალო ჩვეულება, საშუალება, გამოხატონ თავისი პატივისცემა ხალხისათვის საყვარელი ადამიანისადმი. ასე არ მიაჩნდა ეს იქაურ მთავრობას; იგი ამ ქმედებას ახალი მღელვარების დაწყებად მიიჩნევდა.

თბილისში ჩამოსვლისას, არც თავადი გ. ჭავჭავაძე და არც მისი თანმხლები თავადები არ წარდგნენ მმართველთან, როგორც ეს მიღებული იყო. მმართველმა მოითხოვა თავადი ჭავჭავაძისაგან წერილობითი წარდგინება და უბრძანა აღმასრულებელ ექსპედიციას, როგორც მას, ასევე მასთან ერთად ჩამოსულ თავადებს მიაღებინონ ერთგულების ფიცი. ჭავჭავაძემ, რომელმაც ჯერ კიდევ პეტერბურგში შეჰფიცა, შეასრულა ეს მოთხოვნა. მივიდა რა ექსპედიციაში, მან განმეორებით დაიფიცა რუსი იმპერატორის ერთგულებაზე, თუმცა ამით ვერ აიცდინა მითქმა-მოთქმა, რომელიც მასზე შემდგომში გავრცელდა.

ჩვენი დედაქალაქიდან ასეთი პირის ჩამოსვლა, ბუნებრივია, რომ აღძრავდა ქართველების ინტერესს, საკუთარი მდგომარეობის გასარკვევად. ხალხი იკრიბებოდა ყოველი მხრიდან და ითხოვდა შეხვედრას თავად გარსევან ჭავჭავაძესთან. თავადებს შორის დაიწყო შეხვედრები, აზრთა გაზიარება, ხოლო ხალხში - ლაპარაკი. კოვალევნსკი წერდა, რომ თავადი ჭავჭავაძე არღვევს საზოგადოებრივ სიმშვიდეს და გამოსცა პროკლამაცია, რომელიც კრძალავდა თავყრილობებს, შეკრებებსა და თათბირებს [Акты, 1866, 405].

არაკეთილმოსურნედ განწყობილებმა ხალხში მღელვარების წარმოქმნის მიზნით დაიწყეს ხმების გავრცელება, რომ თავადი ჭავჭავაძე უფლებამოსილია შეიმუშაოს ახალი მოსაზრება საქართველოს ხვედრის შესახებ.

ამან კიდევ უფრო მოიზიდა ხალხი მისკენ. კნორინგმა საქართველოს მმართველის წინადადებით შეადგინა საბრალდებო დასკვნა თავად ჭავჭავაძის წინააღმდეგ. – „ქართველმა თავადებმა, - წერდა ის - მიენდვნენ რა მის ჩაგონებებს და მოზიდულნი იქნენ ყოველი მხრიდან, მისი მითითებით, დაიწყეს თავყრილობების, შეკრებებისა და თათბირების მოწვევა, საზოგადოებრივი სიმშვიდის დასარღვევად, ახალი სახის მოძრაობის დასაწყებად. თავადი ჭავჭავაძე და მისი მეუღლე თავისი ძმებთან და სხვა თანამზრახველებთან ერთად იყვნენ ხალხის დაეჭვების მთავარი მიზეზი.

თავადი ჭავჭავაძე, ქართველ თავადებთან გართობის გარდა, ჩაება საზღვარგარეთ მიწერ-მოწერაში, თავისთავად დაიწყო ყაზახი და შამშადილელი თათრების ხელმძღვანელობა, რაც მას ჰქონდა აწ გარდაცვლილი მეფე გიორგის პერიოდში. ისინი, არ თვლიდნენ თავიანთ ზემდგომად რუსულ ხელისუფლებას და არ ემორჩილებოდნენ საქართველოს მმართველის ბრძანებებს, მათზე მიმაგრებულ მოხელეს. შედეგად სიძნელეები წარმოიქმნება თათრებისაგან ხაზინაში შესატანი ხარკის აკრეფაში, მათ მაგალითზე ამ მორჩილებისაგან სხვებიც თავს იკავებდნენ"....

თავადი ჭავჭავაძე არ მალავდა თავის შეხედულებას და ცხადად გამოთქვამდა, რომ ქართველები ბედნიერები უნდა იყვნენ იმით, რომ შეერთებულნი არიან რუსეთთან, მაგრამ მათი კეთილდღეობა არ იქნება და არც მყარი საფუძველი ექნება, სანამ ისინი მმართველობის ასეთ ფორმას უნდა დაქვემდებარონ. კოვალენსკის არ მოსწონდა ეს გავრცელებული ხმები. საქართველოს მმართველმა იცოდა, რომ თავადი ჭავჭავაძე იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც აღკვეთა მისი გავლენა გიორგი XII-ზე მაშინ, როდესაც ის დანიშნულ იქნა სრულუფლებიან მინისტრად ქართველი მეფის კარზე. ის პოზიტიურად არ იყო განწყობილი თავად ჭავჭავაძის მიმართ. თავადმა იცოდა ამ განწყობის შესახებ, მაგრამ იმედი ჰქონდა იმ რეპუტაციისა, რომელიც მას, როგორც რუსეთის ჭეშმარიტად ერთგულ პირს ჰქონდა შექმნილი პეტერბურგში.

ჭავჭავაძე არ მალავდა ხელხის საყოველთაო უკმაყოფილებას და დრტვინვას იქაური მმართველობის მიმართ, ამბობდა, რომ აღარ იცის, როგორ დააღწიოს თავი ყოველი მხრიდან ჩამოსულ მომჩივნებს, რომლებიც ითხოვდნენ ზომების გატარებას, საყოველთაო სურვილის განაცხადზე შეიცვალოს მთავრობა, რომელიც ხალხისთვის ზომაზე მეტად მძიმეა.

- აზროვნების ასეთი ფორმა, - ეუბნებოდა სოკოლოვი თავად ჭავჭავაძეს, - ჩაითვლება არც მეტი, არც ნაკლები, მმართველობაში საქართველოში დადგენილ უმაღლეს ნებასთან შეუსაბამოდ. ეს იქნება რუსი იმპერატორისადმი მიცემული ფიცის ჭეშმარიტი დარღვევა.

- ჩვენ სიამოვნებით დავდებთ თავს ყოველგვარ დასჯაზე, - პასუხობდა ჭავჭავაძე, თუკი უმაღლესი ნების საწინააღმდეგოდ ვიმოქმედებთ, მაგრამ ჩვენი სურვილები და განზრახვები ამისკენ არ იხრება.

ჩვენ მხოლოდ გვინდა პირქვე დავემხოთ კეთილმოწყალე მონარქის წინაშე უმდაბლესი თხოვნით, რითაც ავხსნით ჩვენს მთელ სავალალო მდგომარეობას, ამ თხოვნის გაგზავნა გვინდა საზოგადოების სახელით არჩეული თავადის მეშვეობით.

„ბევრად უკეთესი იქნებოდა, წერდა ის ლაშქარევს, თუ შეიცვლებოდა აქაური მთავრობის გეგმები და დადგინდებოდა სხვა სახის მმართველობა. ჩემის მხრივ კი, როგორც ერთგული მონა და ქვეშევრდომი, შევეცდები შევასრულო ყოველივე ის, რასაც მიბრძანებენ. თუ მმართველობა ასეთივე საფუძველზე გაგრძელდა, მე ვერავითარ სარგებლობას ვერ ვხედავ და ამიტომ დაბეჯითებით გთხოვთ იზრუნოთ ჩემზე, რომ ჩემი ოჯახით შემეძლოს მქონდეს მანდ საცხოვრებელი ჩემი უმოწყალესი ხელმწიფის პროტექციით, რამეთუ ჩემთვის აქ ცხოვრების შესაძლებლობა აღარ არის არავითარი სახით“.

გავრცელებულმა ხმებმა საქართველოს მმართველობაში არსებულ უწესრიგობასა და ბოროტად გამოყენებაზე, მიიპყრეს პეტერბურგის კაბინეტის ყურადღება. საპყრობილედან უფლისწულ კონსტანტინეს განთავისუფლების საკითხზე იმერეთში გაგზავნილ კოლეგიის მრჩეველ სოკოლოვს იმპერატორმა ალექსანდრემ დაავალა, რომ მიიღოს თხოვნები და საჩივრები მთის ყველა თავადისაგან, მფლობელთაგან და საერთოდ ყველა აზიელი ხალხისგან, რა წოდებისა და სარწმუნოების მატარებელნი არ უნდა იყვნენ, მასვე დაევალა მიაქციოს ყურადღება ქართველი ხალხის მიერ ჩვენი მმართველობისადმი გამოვლენილი უკმაყოფილებისა და დრტვინვის მიზეზებს, „ხომ არა აქვთ მათ მხედველობაში განსაკუთრებული რამ, რომლისადმი ხალხს აქვს მეტი მოთხოვნა“.

ცალკეული ადამიანების მიმართვები, მოგზაურთა მონათხრობები ქვეყნის მნახველი და ბოლოს თვითონ ქართველთა წერილები ჩვენი მთავრობის სათავეში მდგომი ზოგიერთი პირისადმი თანაბრად გვარწმუნებენ საქრთველოს მთავრობაში არსებულ უწესრიგობაში და ცხადხყოფენ ქართველი ხალხის უკიდურეს დამონებას. მმართველობის უწესრიგობა ხორციელდებოდა როგორც ზოგიერთი პირის თვითნებობის, ასევე სახალხო ხასიათისათვის უცხო, განსაკუთრებული წესებით საქმეთა წარმოების გამო. მმართველობა ვერ შეერწყა ხალხს, არ მოინდომა სახალხო ჩვეულებებისა და ხასიათის შესწავლა. ისინი მოქმედებდნენ ჭეშმარიტი რწმენით, რომ გამგეობა ხალხის კეთილდღეობისათვის კი არ არსებობდა, არამედ ქართველები

არიან შექმნილნი მმართველობის თვითნებობისათვის, რომ მმართველი კი არ არის მოწოდებული საქართველოში ქვეყნის მოწყობისა და თითოეულის კათილდღეობისათვის, არამედ საქართველო შექმნილია მხოლოდ იმისათვის, რომ კოვალენსკიმ მართოს იგი. ცხადია, რომ ასეთი შეხედულებებისას არ შეიძლება წესრიგი ყოფილიყო ქვეყნის მმართველობაში, ხალხი ვერ იქნებოდა კმაყოფილი მმართველობით და, ბუნებრივია, სურდა მისი შეცვლა.

უკეთესი წესრიგის დამყარებისა და სიმშვიდის დამკვიდრებისათვის, მმართველობის სათავეში აუცილებელი იყო ისეთი ადამიანის დაყენება, რომელსაც ეცოდინებოდა რა ხალხის ხასიათი, შევიდოდა მის მდგომარეობაში, გაიგებდა მის გაჭირვებასა და მოთხოვნილებებს, შეძლებდა გაეწმინდა ქვეყანა მასში დაგროვილი ნაგვისაგან, შესაბამისად, ექნებოდა მტკიცე ხასიათი და დიდი ენერგია. ასეთი იყო გენერალ-ლეიტენატი თავადი პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი.

1802 წლის სექტემბერში იმპერატორმა ალექსანდრემ გენერალ კნორინგის გაწვევა მხარის მართვისაგან უცილობლად მიიჩნია, საჭიროდ ჩათვალა შეეცვალა კოვალენსკი და დაენიშნა თავადი ციციანოვი კავკასიაში მთავარსარდლად. წარმოშობით ქართველი თავადი ციციანოვი მოწვეულ იქნა წესრიგის დასამყარებლად მმართველობაში და იმპერატორის ყველაზე ბრწყინვალე არჩევანის გამართლებისათვის.

1802 წლის ამბებს ასევე ეხებოდა რუსი ავტორი სოკოლოვი, რომლის თხზულებას განიხილავდა გაზეთი„დროება“.

წერილს, რომელიც გაგრძელებებით იბეჭდებოდა გაზეთ „დროებაში“ 1882 წელს, პირველ ნაწილში ავტორი არ ჰყოლია, მეორე სტატიას ფსევდონიმით ეწერა „ფრიდონიან-და- გოჩა“, ქუთაისი, 27 იანვარი.

ტენდენციურობის მიუხედავად, იმდენად ნათლად იკვეთება საერთო-სახალხო და კავკასიური მასშტაბის წინააღმდეგობრივი გამოსვლა კავკასიაში რუსეთის შემოსვლის გამო, იმდენი ანტირუსული სულისკვეთება ჩანს, რომ 80-იან წლებში, ალბათ, რთული იქნებოდა ამ თუ გნებავთ უწყინარი რუსი სამხედრო ავტორის ტექსტის მთარგნელს თავისი ნამდვილი გვარ-სახელი გაემხილა.თუნდაც იმისთვის, რომ მას გაუჩნდა სურვილი ამგვარი ტქსტის თარგმნისა, ჩაეთვლებოდა ანტისახელმწიფოებრივ განწყობილებად და ამისთვის ადვილად შეიძლებოდა პასუხი

მოეთხოვათ. ამგვარი წერილის გამოქვეყნება სერგეი მესხის გაბედულებასა და მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზეც მეტყველებს.

სოკოლოვი უნდა იყოს სწორედ 1802 წელს საქართველოსა და შემდეგ იმერეთის სამეფოში მყოფი ის რუსი მოღვაწე, რომლის პატაკებსაც იყენებდა დუბროვინი თავის თხზულებაში. მოვიტანთ ნაწყვეტს სოკოლოვის ამ თხზულებიდან: „1802 წელს, ივნისის თვის დამლევს, საქართველოს მთავარმმართველმა გაიგო, რომ ალექსანდრე ბატონიშვილის აზნაური, გვარად ნახუცრიშვილი, და მასთან ერთად ერევანის ხანის ერთი ჩინოვნიკიც ჩასულან იმერეთში, მიუტანიათ იმერეთის მეფისათვის და ბატონიშვილის იულონისათვის ეპისტოლე. ამ ეპისტოლეში, სხვათა შორის, ეწერა: მეფე აგროვებს ჯარსო და ვითომ სურსო ომი დაეწყო დადიანთან. აგრეთვე თავრიზში ჯარის შესაკრებად იყო ბაბა-ხანის სარდარი, რომ იმათის შემწობით ჩამოეგდოთ ტახტიდან ნუხის მაჰმად-ასსან-ხანი. ამისთანა ბევრი რამ ჰქონდათ სახეში... უმთავრესი მათი მიზანი იყო, შესულიყვნენ საქართველოში, აეოხრებინათ ეს ბუნებითი მდიდარი და შემკული ქვეყანა. ამისთანა ამბები ისმოდა უცხო ქვეყნებიდან. ამ დროს მთავარმმართველი ლაზარევი ბანაკში იყო. ეს ამბავი იმას, რასაკვირველია, არ ეჭაშნიკა. იმავე დროს ერთმა ქართველმა სარდარმა - ივანე ორბელიანმა, რომელიც კეთილგანწყობაში იყო რუსეთთან, შეატყობინა მთავარმმართველს, რომ დედოფალ დარიას, მეფის მემკვიდრეს და დავითს მხურვალეს გულით სურთ დასვან ტახტზედ ბატონიშვილი იულონი, ამისთვის ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ მიიკედლონ ხალხი და ჯარისკაცები, რადგან ამ უკანასკნელებს შეეძლოთ გადაწყვეტა მათი ბედისა და უბედობისა...

თავადი ორბელიანი ურჩევდა მთავარმმართველს: საჩქაროდ დაემშვიდბინა აღელვებული ხალხი, მოესპო მათი ბოროტი განზრახვა და შეთქმულება. ამას კიდევ დასძენდა, რომ ვითომ დარია დედოფალი თავად მას შეევედრა, რომ მათი მხარე დაეჭირა, ამისთვის აღუთქვა მას სარდარობისა და სახლთუხუცესობის ღირსების დაბრუნება. მაგრამ თავადმა ორბელიანმა პირმოთნეობით მოსთხოვა დედოფალს წერილობითი პირობა, რომ ის არ დაარღვევს თავის სიტყვას. დედოფალი ამაზეც დათანხმდა., ოღონდ ორბელიანს უნდა დაეფიცნა, რომ ის დაეხმარება მას. მაგრამ სარდარმა ამაზე უარი გამოუცხადა, თქვა, „მე ერთხელ დავიფიცე, ერთგულობა უნდა გავუწიო მის იმპერატორობით უდიდებულესობას“. ამ დროს თბილისის

მიტროპოლიტი გამოეცხადა საქართველოს მთვარმმართველს და გამგეს, მოახსენა იგივე, რაც თავადმა ორბელიანმა, ნუგეშსაც აძლევდა, ისეთი არა მოხდებაო და სხვა.

ცოტა ხნის შემდეგ გავარდა ხმა, რომ ხანი ემზადება საომრადო, აგრთვე 27 000 ლეკი სხვადასხვა დასებით ემზადებიან, სურსათიც მზადა აქვთ, ახალციხის ფაშასთან შეერთებას აპირებენო და ამნაირად, ფარნაოზის წინამძღოლობით საქართველოს დაცემასო. თეიმურაზ ბატონიშვილმა საშინლად შეაწუხა ხალხი, დაიწყო გადასახადის (ხარკის) მოკრეფა, როგორც თვით სურამში, აგრეთვე გარეშე მცხოვრებლებზედაც. მღვდლებს აუკრძალა რუსეთის იმპერატორის ხსენება ეკლესიებში და მისი სახლობის დღეგრძელობა. იმათ მაგივრად უნდა მოეხსენებინათ საქართველოს მეფეების მემკვიდრეები, თეიმურაზი იმერეთში და ახალციხეში წერდა წერილებს და სურამში ხშირ-ხშირად კრებას იწვევდა, რჩევას აძლევდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

თბილისში მნიშვნელოვანი ამბები მოხდა: საქართველოს თავადაზნაურობამ უთანხმოება გამოუცხადა მაშინდელ მმართებლობას, კახეთში სამსჯავროების დამორჩილება არ სურდათ და მრავალი თავადაზნაურთაგანი ერევნისაკენ ალექსანდრე ბატონიშვლთან გაემგზავრა. ქართლიდან იგივე ამბები ისმოდა, თათრებმა უკუქცევა განიზრახეს. დარიამ, რომელიც ძლიერ სიღარიბეში იყო, ალექსანდრეს, მეფის ძეს 1000 მანეთი გაუგზავნა და მისწერა, რომ ის ამ მოკლე ხანში აპირებს რუსებზე თავდაცემას.

ვახტანგ ბატონიშვილმა, რომელიც ამ დროს დუშეთში იმყოფებოდა, ააღელვა, ააჯანყა ოსები, შეწყვიტა ყოველივე მისვლა-მოსვლა რუსეთიდან საქართველოსთან. აგრეთვე მას შეამჩნიეს, რომ ჰქონდა მიმოწერა თავის ძმებთან იმერეთში და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, აღელვებდა ხალხს.

იმავე დროს დავით ბატონიშვილი მუშა ხალხს აგროვებდა, ვითომ იმ აზრით, რომ სურდა გაეხსნა სპილენძის ქარხანა და კიდევაც მოემზადა ბორჩალოში წასასვლელად, სადაც, როგორც ამბობენ, სპილენძის მადანი აღმოჩნდაო. ამისთანა ბევრ რამეს ამბობდნენ.

ფარნაოზის მოწერილი ბარათებიდან ჩანს, რომ რომ ის თავის მოძმეებს ჰპირდებოდა იმერლებისა და ლეკის ჯარის მიშველებას, ალექსანდრეც მისაშველებლად ემზადებოდა, შეადგინა ჯარი სპარსელებისგან და აღალარებისაგან,

ეს უკანასკნელები დაარწმუნა, რომ იმათ ნურაფრის ეშინიათ, მხნედ იყვნენ, ეს არ მოუტანს მათ არავითარ ვნებას, ამას ის სჩადის მხოლოდ მისთვის, რომ განდევნოს რუსები საქართველოდან. მიიღეს თუ არა ამგვარი ბარათი, აღალარებს ძლიერ გაეხარდათ, გაგზავნეს ალექსანდრესთან დეპუტაცია საჩუქრით, და ყველა დაუყონებლივ ელოდა ხელი გაეწყოთ მისთვის, ერთის პაპა-აღის მეტი.

ბორჩალოს თათრები გაიფანტნენ მთებში და აღალარებთან შეერთებას აპირებდნენ, უცხო ქვეყნებიდან მოდიოდა ამბები, სპარსეთის ჯარი ფირ-ყული -ხანის სარდლობით ერევნის საზღვრებს მოადგაო, განზრახვა ჰქონდა ხანისთვის ჯარიმა (კონტრიბუცია) მოეთხოვაო.

ერევნის ხანი გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო, გაგზავნა თფილისში შიკრიკი ენვარ-სულთანი და ევედრებოდა, რაიმე შემწეობა მიეცათ და გამოეხსნათ ის მტრებისაგან. ამისთვის ის ითხოვდა, რომ რუსის ჯარი მიხმარებოდა მას, მაგრამ მთავარმმართველმა უთხრა, რომ ის შეატყობინებდა ამას ვისაც ჯერ არს და ამ სიტყვებით გაისტუმრა ხანის გამოგზავნილი კაცი.

ამისთანა არეულ-დარეულობის დროს ჩამოვიდა თფილისში, ვითომ ნათესავების მოსანახულებლად, იმერეთის მეფის მდივანი სოლომონ ლეონიძე. დარია დედოფალი დიდხანს ცდილობდა გაეგზავნა (იმერეთის მეფეს) ტფილისში მდივანი ლიონიძე თავისი მიზნის სისრულეში მოსაყვანად. ამ ლეონიძემ მოიტანა ორი ფირმანი, რომელიც ვითომ იყო გაგზავნილი იმერეთის მეფესთან ბატონიშვილ იულონისთვის გადასაცემად ბაბა-ხანისაგან. პირველ ფირმანში სპარსეთის მფლობელი უბრძანებდა მეფეს, მოეხმარა ყოველი ღონისძიება და დახმარებოდა ბატონიშვილ იულონს ტახტზე ასვლაში. მეორე ფირმანით ბაბა-ხანი ქართველ ერს საქვეყნოდ უცხადებდა, რომ იულონი მთელი საქართველოს მეფედ ჯდებაო. ორივე ფირმანი ლეონიძემ წარუდგინა საქართველოს მმართველს და მოახსენა, რომ მეფეს და ბატონიშვილ იულონს არ სურთ ეს ფირმანები გამოიყენონ თავის სასარგებლოდ „სანამ მისი იმპერატორობითი უუდიდებულესობა არ ინებებს ისინი დაამტკიცონო“.ეს ფირმანები, როგორც შინაარსით და სტილით სჩანს, თვითონ ამ ლეონიძისგან დაწერილი უნდა ყოფილიყოოო“, - დასძენდა სოკოლოვი [„დროება“, 1882, №16].

„ლეონიძისადმი უმთავრესი მონდობილობა მდგომარეობდა შემდეგში: პირველად მას ხალხის არეულობა უნდა მოეხდინა, მეორედ შთაეგონებინა ხალხი, რომ მომზადებულიყვნენ იულონის ტახტზე ასაყვანად.

ამ მიზნის ასასრულებლად ლეონიძეს ჰქონდა ხელში ფირმანი, რომელიც იმერეთის მეფემ გამოუგზავნა თავადებს, ამ ფირმანით ის არწმუნებდა მათ, რომ თავიანთ განზრახვას შორს ნუ სდებენ, თვითონ ის კი ყოველგვარ შემწეობას აღმოუჩენს იმ ფირმანით, რომელიც ბაბა-ხანმა გამოუგზავნა მას. მთავარმართებელი მას თავის მეგობარ კაცად სთვლიდა და როცა უკანასკნელი თფილისში ჩამოვიდა, გაუგზავნა მას კაცი და მიულოცა მშვიდობიანი ჩამობრძანება, ბოდიშსაც უხდიდა, რომ ავადმყოფობის გამო თვით სანახავად ვერ ჩამოვედიო.

ლეკებმა თითქმის ყველა სოფლები აიკლეს, რომლებიც თფილისის ახლო-მახლო მდებარეობენ. მათი მტაცებლობა ძლიერ გაძლიერდა. თამამად აოხრებდნენ სოფლებს თითქმის თფილისის მთელს გუბერნიაში, ასე რომ, მთავარსარდალმა ეჭვი აიღო, რომ თვითონ მცხოვრებლები ამ ბოროტ საქმეში მონაწილეობას იღებენო, უმეტესად ისინი, რომლებიც საქართველოს მეფის შთამომავლობას უთანაგრძნობენო...

ამისთვის რუსის სარდლობამ ყველა საშუალება იხმარა ხალხის დასამშვიდებლად. ამასთანავე მხედართმთავრების გამოგზავნილი რაპორტები ამტკიცებდნენ, ვითომ თეიმურაზ ბატონიშვილს და აბაშიძეს ამ არეულობაში მონაწილეობა მიეღოს.

ამისთანა არეულ და აღელვების დროს ლაზარევმა მხედართმთავრისაგან (ე. ი. კნორინგისაგან) საიდუმლო ბრძანება მიიღო, რომ ყოველმხრივი შემწეობა მისცეს კოლეჟსკი სოვეტნიკს სოკოლოვს, რომელსაც ხელმწიფე იმპერატორი სპეციალური მინდობილობით გზავნის იმერეთშიო“..

ლაზარევმა მმართველს (ე. ი. კოვალენსკის) აუხსნა თეიმურაზ ბატონიშვილისა და აბაშიძის სიცოფე და მღელვარება, რაც მათ საზღვრებზე ჩაიდინეს, ასევე მისცა წინადადება გამოეხმო ისინი იქედან თფილისში. მაგრამ მმართველმა თითქოს თავდაპირველადვე გამბედაობა დაკარგა. მას ლაზარევის არცერთ მიწერ-მოწერაზე პასუხი არ მიუგია და არც ერთი იმათგანი სისრულეში არ მოუყვანია. აგრეთვე აცნობეს მას, რომ საზღვრებზედ მცხოვრებნი თანამომიჯნავეებს ავიწროებენო და ამისთვის საერო ძალას უნდა დაეჭირა თვალყური და ისინი ამისგან გამოეხსნა.

მაგრამ ამას ყურადღება სრულიად არ მიაქციეს და ამის ნაცვლად მელიქ-აბოვის სოფლების მცხოვრებლები, რომელიც მმართველის ქვეშევრდომნი იყვნენ, არ იშლიდნენ ახალციხის თათრების საქონლის წართმევას. . რა თქმა უნდა, ამისთანა ყოფაქცევა და თავხედობა შერიფ-ფაშას მუდამ აძლევდა მიზეზს, რომ გზა ეჩვენებინა ლეკებისთვის საქართველოს საზღვრებზედ დასაცემად“.

ამგვარადვე მმართველმა უყურადღებოდ დატოვა ლაზარევის მოხსენება თეიმურაზ ბატონიშვილისა და აბაშიძის სურამიდან სრულად მოშორებაზე. ყველა მოხსენება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და ცარიელ მოხსენებად დარჩა. რადგან ლაზარევის ყოფნა თფილისში საჭირო არ იყო, ამისთვის მან განიზრახა სურამში წასვლა იმ მიზნით, ვითომც მას უნდა სურამის სარდლის გაძლიერება, სოკოლოვის მოსახმარებლად, რომელიც მიემგზავრებოდა იმერეთში. მართლაც, ლაზარევმა გამოართვა მმართველს მიწერილობა გორის მაზრის გამგებლის სახელზე, რომელშიდაც ეწერა, რომ საერო მმართველობას მისთვის იმდენი ძალა მიეცა, რამდენიც საჭირო აღმოჩნდებოდა.

13 ივლისს ლაზარევი სურამში ჩავიდა.იქაც კაპიტანმა ბარტენევმა და თავად მცხოვრებლებმა იგივე უამბეს თავად აბაშიძეზე, რა აზრისაც თვითონ ლაზარევი იყო. გორის მაზრის გამგებელმა აბაშიძეზე საჩივარი შეიტანა, რომ ის სასამართლოს არ დაემორჩილა, თუმცა სამსჯავრომ ის პასუხის საგებად იხმო ერთ საქმეზე, რომელიც თავად მას ეხებოდა. ამ საქმის გამო ლაზარევმა დაიბარა აბაშიძე და გამოჰკითხა ყველა ის მიზეზი, რომლებმაც მას ფიცი დაარღვევინა. აგრეთვე ლაზარევმა ჰკითხა: ვალდებულია თუ არა ერთგულად ემსახუროს მის იმპერატორებით უდიდებულესობას რუსეთის ხელმწიფეს? რისთვის არ გამოცხადდა სამსჯავროში თანახმად მისი დაბარებისა?

თ. აბაშიძემ მედიდურად და მკვახედ მიუგო: - ჩვენ ეხლა ყველანი გლეხებთან გასწორებული ვართ!!.

ლაზარევმა მაშინვე უბრძანა აბაშიძის დაპატიმრება. აბაშიძის სიტყვებმა დაარწმუნა ლაზარევი მასში, რაც ადრევე დაბეზღებით გაგონილი ჰქონდა მასზე. აბაშიძის გარდა საპატიმროში ჩასვეს მისი თანამოაზრე მრავალი თავადი, მათ შორის თეიმურაზ ბატონიშვილის მდივანი - ლორაძე, რომელიც იმერეთში მიწერ-მოწერის დროს ეხმარებოდა მას. ლაზარევმა აბაშიძე და თეიმურაზ ბატონიშვილი გორში

დატოვა, პირველი იმათგანი სამსჯავროში უნდა გამოცხადებულიყო, მეორე კი თავისი ნებით წავიდა სურამიდან. გენერალი თბილისში ჩამოვიდა, ყველაფერი მთავარსარდალს შეატყობინა და თავად ჯარში საქართველოს დასაცავად გასცა ბრძანებები.

ამ დროს, ვახტანგ ბატონიშვილის მეცადინეობით, თბილისიდან მიმავალი გზა მთიულეთისკენ დაკავებული იყო, ისე რომ შიკრიკს და ჩაფარს ამ გზით წასვლა არ შეეძლოთ.

ამ დროსვე თავადმა ერისთავებმა, რომლებიც დიდი ხნიდან რუსეთს მიეკედლნენ, ლაზარევს აღუთქვეს, რომ იმის ყველა ქაღალდებს, მოიმედე კაცების ხელით სხვა გზით გაგზავნიდნენ რუსეთში. ამით ლაზარვმა ისარგებლა და მართლაც, როგორც შემდეგიდან გავიგებთ, შიკრიკი მშვიდობიანად მივიდა სარდალ-მთავრისაგან და კიდეც დაბრუნდა იქიდან სხვადასხვა განკარგულება -ბრძანებით.

მხედართმთავრის განკარგულება მდგომარეობდა შემდეგში: სარდალი ფირ-ყული-ხანი, რომელიც ნახჭევანში ათი ათასი კაცით იდგა, შუშაში წავიდა სარდლით იმისთვის, რომ ბაბა-ხანის ბრძანება სისრულეში მოეყვანა, ესე იგი ნუხის მაჰმად-ასსან-ხანი ტახტიდან ჩამოეგდოთ. რომელსაც რუსეთის მხარე ეჭირა და მის ადგილზე დაესვათ სელიმ-ხანი, რომელიც იმ დროს შუშაში იმყოფებოდა, შემდეგ კი, თავის ძალას რომ გააძლიერებდა, წასვლა უნდოდა ისევ შუშაში. იქიდან კი ბელაქანში აპირებდა წასვლას, სადაც დაღესტნელი ლეკების მიმხრობას აპირებდა. ფირ-ყული ხანი შემდეგში აპირებდა კახეთში გამგზავრებას იმისთვის, რომ თავისი მიზანი, ე. ი. რუსის ჯარის გარეკვა შეესრულებინა. ალექსანდრე ბატონიშვილს მიუვიდა ამ დროს დედოფალ დარიასაგან წერილი, რომ ყველა ღონე ეხმარა განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ამასთან დასძენდა: „ამისთანა მოხერხებული დრო იშვიათად შეგხვდებათ, რადგანაც თვითონ თფილისში რუსის ჯარი ძალიან ცოტაა, ფირ-ყული-ხანისა და ბელაქნის ლეკების შემწეობით ადვილად შეგიძლიათ კახეთში შესვლა და თითქმის ყველა თავადი თქვენს მხარეს დაიჭერსო...

იმერეთის მეფე, იულონ ბატონიშვილი და ფარნაოზი დიდ მზადებაში იყვნენ-შემწეობა აღმოეჩინათ ალექსანდრე ბატონიშვილისთვის, აგრთვე ახალციხის ფაშაც, რომელსც მჭიდრო კავშირი ჰქონდა იმერეთის მეფესთან და ზემოთ მოხსენებულ

ბატონიშვილებთან, სამი ათასი ლეკის მიმატებას აპირებდა. მეფე და ფაშა მხოლოდ ფირ-ყული-ხანისა და ალექსანდრე ბატონიშვილის ალაზანზე გამოსვლას უცდიან...

ამისთანა არეულობის დროს თვითონ შიგნით საქართველოში შფოთი და მოუსვენრობა ხდებოდა სხვადასხვა ადგილებზე ხშირი დაცემისა და აოხრების გამო, რომელშიაც მონაწილეობას მმართველობა მცხოვრებლებს აბრალებდა, ვითომც ისინი შეთანხმებულები იყვნენ მეფის მემკვიდრეებთან იმ მიზნისთვის, რომ რუსის ჯარი გაერეკათ...კავკასიის მხრით, ვახტანგ ბატონიშვილმა, რომელიც დუშეთში იყო, ჯარების გროვება დაიწყო, ააჯანყა ოსები და თაგაურები, რომლებიც მთებში ცხოვრობდნენ, იმ გზაზე, რომელიც საქართველოდან მოზდოკში მიდის.

დავით ბატონიშვილი, ვითომ ავადმყოფობისა და კარგი ჰაერისათვის თბილისიდან ბორჩალოს თათრებთან წავიდა, რომ დაეხმარებინა ისინი საერთო შეთქმულებაში. დარია დედოფალს, მოთავეს ყველა ამ შეთქმულებისა, ჰქონდა განუწყვეტელი მიწერ-მოწერა ალექსანდრე ბატონიშვილთან და იმერეთში მყოფ ბატონიშვილებთანაც. დარიამ თავის სადგომზე ავლაბარში იდუმალად შემოიკრიბა ერთმოაზრენი და მათი საშუალებით ავრცელებდა ხალხში ხმებს, რომ მალე იქნებოდნენ რუსებისგან განთავისუფლებულები. იმისი ბრძანებით დაწვეს თბილისის ავლაბართან შემაერთებელი ხიდი. ეს სიფრთხილე მეამბოხეთაგან ერთი უკეთესთაგანი იყო და იმისთანაც, რომ თუ რუსის ჯარი არ მოშველებოდა ხიდს, უეჭველია, დედოფლის საქმეები კარგად წავიდოდა, რადგანაც ამ ხიდის დარღვევით სრულებით მოსპობდნენ გზას რუსების ჯარებისათვის, რომელნიც გამზადებულნი იყვნენ კახეთში წასასვლელად. იმ დროს მტკვარში გასვლა არასდიდებით არ მოხერხდებოდა უჩვეულო წყალდიდობის გამო...

თბილისის თავადაზნაურთაგან რუსეთის მომხრედ ითვლებოდა ადრინდელი სარდალი ივანე ორბელიანი, რომელსაც კიდევ მხურვალე გულით სურდა რუსეთის ქვეშევრდომობა...თათრებმა თითქმის ყველა მეამბოხესთან შეერთება მოინდომეს, ისინი ყოველ წუთს მზად იყვნენ რუსებთან ბრძოლა დაწყოთ“...[„დროება“, 1882, № 26].

ასეთმა აღმაშფოთებელმა გარემოებებმა, - წერს სოკოლოვი, - ხალხი ძალიან ააღელვა. ყველა შევიწროებული და დაჩაგრული იყო მაშინდელი რუსეთის მმართველობისგან, საქმეების გადაწყვეტილებაში ხელისუფალნი არ

მონაწილეობდნენ, სამოქალაქო ჩინოვნიკები და უფროსები კი განსაკუთრებით მდაბიო ხალხს ავიწროებდნენ, ყველაფერ ამას, მისი აზრით, ემატებოდა კახეთიდან, კერძოდ ქიზიყიდან მოსული ხმები, რომ სულ მალე ალექსანდრე ბატონიშვილი ფირ-ყული ხანთან ერთად თავს დაესხმებოდა თბილისს.

ამას ემატებოდა ჩრდილოეთიდან მოსული ამბებიც: ვახტანგ ბატონიშვილი თითქოს არ უშვებდა საქართველოში მყოფი რუსის ჯარისთვის დამხმარე ძალას, ანდა კიდევ: არსებული რუსის ჯარი თითქოს რუსეთში გაემგზავრა.

ლაზარევს, როგორც საქართველოს მმართველს ებრძანა სპეციალური მიწერილობით საქართველოში მდგარი ჯარის უფროსებისათვის, დაემშვიდებინათ მცხოვრებლები, „დაეყენებინათ სწორ გზაზე ბოროტმოქმედები და რუსეთის მხარეს გადაეყვანათ“. როგორ უნდა მოეხერხებინათ ეს, არავინ იცოდა. ლაზარევმა თბილისელების დასამშვიდებლად და ქალაქის გასამაგრებლად ერთი ბატალიონი ჩამოიყვანა და ქალაქის შესავლელში დააყენა. დუშეთში გაიგზავნა 50 ჯარისკაცი ერთი ოფიცრით, რომელსაც თვალ-ყური უნდა ედევნებინა ვახტანგ ბატონიშვილისათვის.

ლაზარევმა განკარგულება გასცა, თუ მტერი კახეთს დაესხმოდა თავს, ბრძოლით განედევნათ. სოკოლოვის აზრით, ამ დროის კახეთი ყველაზე დიდი არეულობის ბუდე იყო.

„24 ივლისს ლაზარევმა გულიაკოვისაგან (ამ დროს ის თელავში იყო) მოხსენება მიიღო, რომელშიც სწერდა: „შევიტყვე თუ არა ვინც იღებდნენ აჯანყებაში მონაწილეობას, მაშინვე დავატუსაღე. სახელდობრ: თ. სიმონ და დავით ქობულიშვილი, იოსებ ჭავჭავაძე და დეკანოზი ვლემარე. პირველი აღმაშფოთებელ წერილებს და ხელმოსაწერ წერილებს აგზავნიდა მეფის ტახტზე ასაყვანად.“

მეორე დღეს ამათგანვე ლაზარევმა მოხსენება მიიღო, ამათი თანამზრახველნიც დაპატიმრებულნი არიანო. სომეხი ნაზარე და ყვარელში მცხოვრები თ. გიორგი და ბატა ჭავჭავაძეები არ სჩანან, არ ვიცი სად გაიპარნენო.

27 ივლისს გულიაკოვმა მოახსენა ლაზარევს, რომ კახეთის მოსახლეობა დატუსაღებულების განთავისუფლებას ითხოვდა და ცდილობდა ხელისუფლებისთვის ამის გაკეთება აეძულებინა. თავადაზნაურობა დასებად დაიყო,

დღისით ტყეს აფარებენ თავს, ღამით კი სოფლებში ჩამოდიანო. ეკითხებოდა ლაზარევს - დაეტუსარებინა თუ არა ეჭვმიტანილები, მან დასტური მისცა.

„ამ დროს გამოცხადდა ლაზარევთან ლუარსაბ ორბელიანი, რომელიც კახეთის თავადების შეკრებილობაში ბრძანდებოდა, მიუტანა მას წერილი, რომლის შინაარსიდანაც კახეთის თავადაზნაურობის აჯანყება და რუსეთის წინააღმდეგობა ნათლად ჩანდა.“ „საქართველოს მმართველმა, სხვათა შორის, შეატყობინა გენერალ ლაზარევს, რომ სოფელ გურჯაანის მცხოვრებლებს რუსეთის ქვეშევრდომობა არ სურთ და ტახტზედ ასაყვანად ქართველ მეფეს თხოულობენო“.

სოკოლოვის თქმით, ლუარსაბ ორბელიანმავე მიუტანა ამბავი ლაზარევს, რომ მეამბოხეებმა ვახტანგ ბატონიშვილს მისწერეს, რომ ჯარი არ შემოეშვა და მდინარე თერგზე ხიდები დაამტვრიონ, თუ ამის საჭიროება იქნებაო. თუ ლუარსაბ ორბელიანი მეამბოხეებთან იყო, ამის შეტყობინება რა ლოგიკურ კავშირშია მის მიზნებთან, არ ვიცით., თუმცა, მაინცდამინც ლოგიკის ძიებამ ქართულ ეროვნულ მოძრაობაში არა მგონია დიდი შედეგი მოგვცეს.

სოკოლოვი წერს, რომ მხედართმთავრის (იგულისხმება კნორინგი - ე.კ.) საქართველოდან წასვლის შემდეგ „სამსჯავროები და სხვადასხვა მმართებლობის კანცელარიები ათასნაირ სხვადასხვა ბრძანებას იღებდნენ“, ანუ ერთი აზრი და მიმართულება კი არ იყო, უფრო ქაოსი სუფევდაო მაშინდელ რუსულ მმართველობაშიო, რასაც აბრალებს პოლიტიკური მოვლენების ასე გამწვავებას. ცხადი გახდა, რომ ვახტანგ ბატონიშვილი, რომელიც დუშეთში იყო, მაგრამ კავშირი ჰქონდა ანტირუსულ წინააღმდეგობაში ქართველებთან ერთად ჩაბმულ ოსებთან და თაგაურებთან, საფრთხეს წარმოადგენდა ხელისუფლებისთვის, რადგან „ის რუსეთიდან არავის უშვებდა საქართველოში და საქართველოდან რუსეთშიო“.

გენერალმა ლაზარევმა შექმნილი მდგომარეობის გამო თათბირი მოიწვია, რომელსაც დაესწრო რუსი სარდალი ტუჩკოვი, გრაფი მუსინ-პუშკინი (საქართველოს მმართველს უწოდებს მას სოკოლოვი, ალბათ გულისხმობს, რომ მმართველი კოვალენსკი ახალი წასული იყო და რუსეთის ხელმწიფის მიერ გამოგზავნილსა და რუსეთის ტახტის მომხრეს უნდა ემართა დროებით ქვეყანა). ასევე სხდომას დაესწრნენ რამდენიმე ქართველი თავადთაგანი, „რუსეთის კეთილმოსურნენი და იმას მიკედლებულნიო“: ორბელიანები, თარხნიშვილები და მაყაშვილებიო.

მხედართმთავრისგან გამოგზავნილმა შიკრიკმა ამ დროს მოიტანა განკარგულება, რათა ყველაფერი გაკეთებულიყო აჯანყების ჩასაქრობად. იმავდროულად ლაზარევს ერთი პოლკოვნიკისგან მოუვიდა ბარათი, რომ აჯანყებულებს როგორც კი მიუახლოვდნენ, იმათ შებრძოლების მუქარა მიაგებეს; „თუ მოხვედით და არგაგვეცალენით, თოფს გესვრითო“.

ლაზარევი ერთი ბატალიონი ჯარით გაემართა კახეთს, მას გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ ალერსი და დაყვავება არ გაჭრიდა, იარაღიეხმარა [„დროება“, 1882, №42].

1802 წლის სექტემბერში იმპერატორმა ალექსანდრემ გენერალ კნორინგის გაწვევა მხარის მართვისაგან უცილობლად მიიჩნია, საჭიროდ ჩათვალა შეეცვალა კოვალენსკი და დაენიშნა თავადი ციციანოვი კავკასიაში მთავარსარდლად. წარმოშობით ქართველი თავადი ციციანოვი მოწვეულ იქნა წესრიგის დასამყარებლად მმართველობაში და იმპერატორის ყველაზე ბრწყინვალე არჩევანის გამართლებისათვის.

დუბროვინისა და სოკოლოვის მიერ აღწერილ მოვლენებს მისდევს, თუმცა, ახალ ცნობებსაც იძლევა გაზეთ „დროებაში“ 1882 წლის სექტემბერში გაგრძელებებით დაბეჭდილი სტატია - „საქართველოს ისტორიის მასალა და სურათები, აჯანყება საქართველოში 1802 წელს.“ ავტორი აქაც ფსევდონიმითაა მოხსენიებული - ალ. ფრიდონელი“. ეტყობა, ეს იგივე ავტორია, რომელიც წინა ნომრებში წერდა, მაგრამ ვინაიდან ვერ დასრულდა მასალის ბეჭდვა, რედაქციამ იგი გააგრძელა მოგვიანებით [„დროება“, 1882, №№201, 202.]. სტატიაში უფრო დაწვრილებითაა აღწერილი ტუჩკოვის მიერ ვახტანგ ბატონიშვილის შეპყრობა. არც ის პასაჟებია გამოყენებული, ბატონიშვილის დაფრთხობასა და შიშზე, რაც რუს ავტორებთან. დამატებით მოტანილია სოლენიუსის ცნობა აჯანყებულ კახელებზე და მათ მიერ იულონთან დათია ბაცაშვილისა დ მამდეკა დუანიაშვილის გაგზავნაზე. მუხრანბატონების თვლთავალსა და კახეთში გამგზავრებული ლაზარევის მიერ ალექსანდრე მაყაშვილის, ლუარსაბ ორბელიანისა და ბოდბელი მიტროპოლიტის წაყვანაზე. სტატიის ავტორი ამბობს, რომ რუსმა მოხელეებმა დიდი შიში ნახეს აჯანყებულების თამამი ქმედებების გამო, ბოდბელის დაპატიმრების შემდეგ კახელებმა ისეთი ჩვენებები მისცეს, რაშიც დამნაშავე მთავრობის მოხელეები ჩანდნენ, „კახელი თავადების ნამდვილი ჩვენება რუსების ჩინოვნიკებს არ ეჭაშნიკათ და სრულებითაც

ყური არ დაუგდეს“. აჯანყება (ასე უწოდებს სტატიის ავტორი ამ გამოსვლას) მოისპო, მაგრამ რუსებმა აღმოაჩინეს იულონ ბატონიშვილის წერილი ერისთავისადმი, სადაც ის ურჩევდა ერისთავს, რომ აჯანყებაში ჩაბმულიყო. „ასეთი ბარათები მრავლად ყოფილა გაფანტული თურმე ყველა საქართველოს კუთხეებში“ [„დროება“,1882, №202]. აქ არის ცნობა, რომ იულონ ბატონიშვილმა წერილები გაუგზავნა ალექსანდრე მაყაშვილს, რომელმაც უღალატა მას და რუს მოხელეებთან დადგა, ეს ბარათიც ლაზარევს მიუტანესო, _ გვეუბნება ავტორი. წერილები დაეგზავნათ სხვებსაც, იულონმა მისწერა სიმონ აბაშიძეს, თუმცა, ესტატე ციციშვილს, სადაც მათ დახმარებას სთხოვდა. საპასუხო წერილში ციციშვილი მას უხსნიდა ქართლში შექმნილ რთულ სიტუაციას“ [„დროება“ 1882, №212].

ამრიგად, რუსი ავტორები დეტალურად მოგვითხრობენ ქართლ-კახეთის სამეფოში დატრიალებულ პოლიტიკურ მოვლენებს. მართალია, რუსი ოფიციალური ისტორიკოსები ტენდენციურად, თავისი ქვეყნისა და ხელისუფლების ინტერესების დაცვით აფასებენ მოვლენებს, მაგრამ ამ მასალებიდან, რომლებსაც პირველად განვიხილავთ 1802 წლის მოვლენის შესწავლისას, მაინც ჩანს შემდეგი:

1. ფეოდალური არისტოკრატია უკმაყოფილო იყო იმით, რომ რუსულმა ხელისუფლებამ მას წაართვა თანამდებობები და მისგან სარგოს მიღების შესაძლებლობა;

2. უკმაყოფილონი იყვნენ გლეხები, რომელთაც არ აუსრულეს პირობა, - 12 წელი გადასახადებისაგან განთავისუფლებაზე;

3. ქვეყანას კვლავ იკლებდნენ და აწიოკებდნენ ლეკები, რუსეთმა ეს საზარელი მოვლენა ვერ ააცილა მოსახლეობას;

4. მოძრაობა არ ყოფილა ლოკალური: ის ვრცელდებოდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებამდე, აჯანყებული ოსებიც უერთდებოდნენ ქართლ-კახეთის ამბოხებულებს და მოვლენებში დასავლეთ საქართველოს ჩართვის ნიშნებიც გამოჩნდა;

5. ქელმენჩურის მანიფესტანტების გამოსვლა მხოლოდ ერთი მომენტი იყო და ანტირუსული წინააღმდეგობრივი მოძრაობა გაცილებით დიდ გეოგრაფიულ არეალსა და ადამიანურ რესურსებს მოიცავდა; 1802 წლის დიდ წინააღმდეგობრივ მოძრაობაში ჩართული იყო ფართო სპექტრი, მასში სხვადასხვა სოციალური, ეროვნული და რელიგიური კუთვნილების ადამიანი მონაწილეობდა, რომელთაც არ

სურდა რუსეთის კოლონიური უღლის დადგმა, მათ შორის სამღვდელოებამ დიდი როლი ითამაშა ხალხის ანტირუსული განწყობის შექმნაში;

6. მოვლენამ ცხადყო, რომ ქართულ სამეფო ოჯახში არ იყო ისეთი შუღლი და დაპირისპირება ტახტისათვის, როგორც ამას რუსული იდეოლოგია წარმოაჩენდა: ამ დროისათვის ყველა შეთანხმებული იყო იმაზე, რომ სამეფო გვირგვინი იულონ ერეკლეს ძეს დაედგა (ვინაიდან დავით ბატონიშვილმა არ დაიკავა ტახტი);

7. დუბროვინის მიერ მოტანილი ზოგიერთი ისტორიული ფაქტი (ქელმენჩურის ქალაქად სახელდება, აქ 40 ათასი კაცის შეკრება, იმერეთის მეფის მიერ კახელი თავადების აჯანყებისაკენ წაქეზება), გლეხების ხელისუფლების მხარეზე ყოფნა, ისევე როგორც მისი ზოგიერთი შეფასება, არაობიექტურია და კრიტიკას ვერ უძლებს;

8. დუბროვინი უბრალო ხალხს აბრალებდა ლეკებთან და ყაჩაღებთან თანამონაწილეობას, ვითომ ისინი თავიანთი სახლების დაწვასა და სხვა ბოროტმოქმედებებში თავად იყვნენ ჩაბმულნი, რადგან რუსული ხელისუფლება სძულდათ და ბაგრატიონების აყვანა სურდათ ტახტზე, რაც კიდევ უფრო აღიზიანებდათ დაზარალებულ ადამიანებს;

9. 1802 წლის დიდი წინააღმდეგობრივი მოძრაობა არის ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი ფურცელი და არა დუბროვინისგან შეფასებული, „თავადებისგან გაბრიყვებული ხალხის ბუნტი“.

თავი II

1804 წლის ანტირუსული აჯანყება საქართველოს მთიანეთში

§ 1. აჯანყების ისტორიოგრაფია, მიზეზები და ხასიათი

1804 წლისთვის მძლავრმა აჯანყებამ იფეთქა მთიულეთში, რომელშიც 4 ათასამდე კაცი მონაწილეობდა. მთიულეთის გამოსვლა არის მეორე ეტაპი იმ დიდი ომისა, რომელიც რუსეთის მიერ დაყრობილმა საქართველოს მოსახლეობამ, კავკასიის სხვა ხალხებთან ერთად, გაუმართა იმპერიას. ეს ომი უძნელესი იყო დაპყრობილი ხალხისათვის და მასში გამარჯვების იმედი მხოლოდ იმ ტაქტიკური მოსაზრებებით შეიძლებოდა გასჩენოდათ აჯანყების ქართველ მეთაურებს, რომ რუსეთის ჯარი კავკასიაში მუდმივ ომებში იმყოფებოდა და თუ მას გზას ჩაუკეტავდნენ, დამხმარე ძალის მიღების წყაროს მოუსპობდნენ, მაშინ შეუძლებელი აღარ იქნებოდა მისი დამარცხება. ასეთი ტაქტიკური მოსაზრება არსებობდა 1804 წელსაც. პირველ რიგში, აჯანყების მიზეზი და მიზანი პოლიტიკური იყო, რომელსაც თან ახლდა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თუმცა, ყველა ეს პრობლემა, აჯანყებულების მიერ რუსებისგან თავსმოხვეულად, რუსეთის მიერ შემოტანილი წესების შედეგად მიიჩნეოდა.

აჯანყების დეტალებზე საინტერესო წყაროები მოაქვთ **ალექსანდრე ფრონელს** გამოკვლევაში - **„მთიულეთი 1804 წელსა“**, **გიორგი ხაჭაპურიძეს** ნაშრომში - **„გლეხთა მოძრაობის ისტორია საქართველოში XIX საუკუნეში“, ვ. ი. ტოგონიძეს, გამოკვლევაში - „ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება 1804 წელს“, ალექსანდრე ჭავჭავაძეს - „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801 წლიდან 1831 წლამდე“, ნიკოლოზ დუბროვინს , ნაშრომში - „ამიერკავკასია 1803-დან 1806 წლამდე“.** ეს აჯანყება გეოგრაფიულად გაცილებით მასშტაბური იყო, ვიდრე სახელწოდება „მთიულეთის აჯანყება“, ამასთანავე, ნაკლებად კლასობრივი, რაც საბჭოთა ისტოროგრაფიაში მიღებულ „გლეხთა აჯანყებად“ მის დეფინიციას გამორიცხავს. იგი მასობრივი ხასიათის იყო, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მთელი მოსახლეობის, ოსებისა და სხვა კავკასიელი მთიელების ჩართულობით.

აჯანყების შესახებ მის სხვადასხვა დეტალებზე წერენ ქართველი ისტორიკოსები: ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, მამია დუმბაძე, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ნიკო ჯავახიშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ავთანდილ სონღულაშვილი და სხვ.

1804 წლის ანტირუსული აჯანყება კლასობრივ, რელიგიურ და ეთნიკურ ინტერესებზე მაღლა იდგა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში ყველა კლასისა და ერის ინტერესებს აერთიანებდა, აქცევდა ქართველი ხალხის ბრძოლას საერთო-კავკასიურ ბრძოლად რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ. მისი მიზანი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენა იყო, რუსეთთან ურთიერთობა კი 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე უნდა აგებულიყო. რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ის არსებობდა და მხოლოდ საბაბი იყო ახალი ანტირუსული ბრძოლის დასაწყებად.

1802 წლის დიდმა სახალხო აჯანყებამ ცარიზმი საგონებელში ჩააგდო. მან გადაწყვიტა მმართველობისა და ქვეყნის მოწყობის საქმე ახლებურად გაეაზრებინა, უპირველესად, საკუთარი კოლონიური ინტერესების შესაბამისად. გამოჩნდა, რომ თავადაზნაურობა უკმაყოფილო იყო ძველი პრივილეგიების დაკარგვის გამო. საჭირო იყო მათი კეთილგანწყობის დაბრუნება, ახალი ხელისუფლებისათვის სოციალური დასაყრდენის გაჩენა. მთავრობა შეუდგა თავადაზნაურობის საკითხის ისე მოგვარებას, რომ ის თავის ერთგულ მოკავშირედ გაეხადა. ქართველი მემამულეები უფლებრივად რუს თავადებს გაუთანაბრეს, რითაც მათ უფლება მისცეს სურვილისამებრ გასწორებოდნენ ყმებს - დაესაჯათ, ციმბირს გაესახლებინათ თუ სხვა [ხაჭაპურიძე, 1931, 5].

§ 2. აჯანყების, ხასიათი და მიმდინარეობა

კოვალენსკის, ლაზარევის და სხვა რუსი მოხელეების შემდეგ, რომელთა ანტიჰუმანურმა და უკანონო მოქმედებებმა ხალხში დიდი პროტესტის გრძნობა გააჩინა, კავკასიის მმართველად გამოგზავნილი თავადი ციციანოვი ვერც თავისი ნიჭითა და სიმამაცით, ვერც ქართველობით ვერ უჩუყებდა გულს

„თანამემამულეებს“, რადგან მისთვის წმინდათაწმინდა მხოლოდ რუსეთის იმპერიული ინტერესები იყო. ციციანოვის რეფორმებმა ვერც მმართველობა გარდაქმნა ქართველი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ. რუსეთი მასზე ამყარებდა კავკასიის სრული დაპყრობის იმედს და ამიტომ მოქმედებაში განუსაზღვრელ თავისუფლებას აძლევდა. მისმა გაბედულებამ მართლაც შეზღუდა კავკასიელ მთავართა წინააღმდეგობრივი სულისკვეთება, დაიმორჩილა ისინი და აიძულა იმპერატორის ხელით პატივის მიღების მოლოდინის ნაცვლად, თავად მიეცათ სიმდიდრე და საჩუქრები იმპერიის მმართველებისა და სახელმწიფო სალაროსთვის. სპარსეთისა და ოსმალეთის ანტირუსული პოლიტიკაც მას უნდა გაენეიტრალებინა კავკასიის მღელვარე ეთნიკურ-რელიგიური მრავალფეროვნების ფონზე და აქაური ხალხები რუსეთის სახელმწიფოს ნამდვილ მოქალაქეებად ექცია. თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში პავლე ციციანოვმა თითქმის შეასრულა ეს მიზანი.

ციციანოვმა „თავადთა და აზნაურთა მიმართ“ დიდი მოხერხებით გაატარა სათანადო პოლიტიკა, თავად-აზნაურებს მიენიჭა ყველა უფლება და უპირატესობა „რუსეთის ტახტის დასაყრდენ კეთილშობილთა წოდებისა“. თავადაზნაურთ ეძლევათ კარისკაცთა წოდება, ჩინები, ორდენები, საჩუქრები, ენიშნებათ პენსიები იმ სახელოთა თუ თანამდებობების ნაცვლად, რაც მათ უკანასკნელი ქართველი მეფეების დროს ჰქონდათ ნაბოძევ-ნაწყალობევი“ [ტოგონიძე, 1951, 61].

ქართველი თავადაზნაურობა, რომელმაც დაუმტკიცა რუსეთის სამეფო ტახტს თავისი ერთგულება, წინასწარი მომზადება გაიარა რუსეთის სამხედრო სამსახურში, რწმენით ემსახურებოდა მას და თავისი სიცოცხლის ფასად ეხმარებოდა ისედაც თავალუწვდენი იმპერიის გაფართოებაში, შინაგან სახალხო აჯანყებათა ჩაქრობაში და სხვ.

აჯანყების დაწყების დროს ციციანოვი ერევნის ციხესთან იბრძოდა სპარსეთის არმიის წინააღმდეგ. როგორც მკვლევრები წერენ, ქართველებიც და რუსებიც, „რაც რამ ჯარი მოიპოვებოდა, მეციხოვნეთა გარდა, სულ თან ჰყავდა წაყვანილი. რუსეთთან მოწყვეტა და გზის შეკვრა საქართველოს მეორე საზღვარზე ლაშქრობის დროს სიკვდილი იყო მთავარმართებლისათვის. პეტერბურგსა და საქართველოში ყველას ეგონა, რომ ამ საშინელს განსაცდელს რუსეთი ვერ აიტანს, რომ თავად ციციშვილის მცირე მხედრობა, ისედაც შესუსტებული და დაქანცული, ცალკე

უსურსათობით და ცალკე საშინელის სიცხით, სრულიად ამოწყდებოდა სპარსელების ხელით, „რადგან კავკასიის ლინიიდან მაშველი ჯარი ვეღარ მოვა მეამბოხეთა წყალობით და ამგვარად ბოლო მოეღება რუსეთის მართვა-გამგეობას საქართველოშიო" [ფრონელი, 1896, 4]

რუსი მოხელეები არაგვის ხეობის მოსახლეობას მონურ შრომას აიძულებდნენ, რათა დაეჩქარებინათ საქართველოს სტრატეგიული სამხედრო გზის მშენებლობა. არ ინდობდნენ არც კაცებს და არც ქალებს. დავით ბატონიშვილი თავის „ახალ ისტორიაში", ამ პერიოდის შესახებ წერდა: „მაშინ იყო შემჭირვებაი დიდი ქართველთა ზედან... სადაცა განვლიდიან რუსნი, ამჭირვებდიან სოფელთა ცემითა, ტაცებითა და რთმევითა..." [ბატონიშვილი, 1941, 40].

კიდევ უფრო მძიმე სურათს ხატავდა მაიორი ჭილაშვილი (ჩილაევი), რომელსაც რუსებმა მთიულეთის მოსახლეობის მდგომარეობის აღწერა დაავალეს [Акты, 1878, 349].

გლეხთა გადასახადების სიმძიმეს აჩვენებს ჭილაშვილის მიერ აღწერილი საგლეხო ვალდებულებანი: „ისინი ვალდებულნი არიან:

1. მიაწოდონ უფასოდ საქართველოს სამხედრო გზაზე მთებში განლაგებულ საგუშაგოებს შეშა;

2. მიიტანონ კაიშაურის საგუშაგოზე ორცხობილას გასახმობად შეშა;

3. მიაწოდონ ხე-ტყე ყველა საგუშაგოს სახაზინო შენობებისათვის, ხიდებისა და მოაჯირებისათვის, რისთვისაც თითო მორში მიიღებენ თითო მანეთს ასიგნაციებით, ხან კი - არაფერს;

4. მიიტანონ თივა საქართველოს სამხედრო გზაზე მიმავალი ცხენოსანი ჯარისთვის 10 კაპიკად ფუთი;

5. უფასოდ უზრუნველჰყონ გამვლელი ჯარი ურმებით ეკიპაჟების გასაყვანად;

6.გადაიტანონ მთებზე სახაზინო ამუნიცია ლარსიდან თბილისამდე ერთ მანეთად და 34, 5 კაპიკად;

7. უზრუნველჰყონ დაბალი სამხედრო ხარისხის ავადმყოფთა გადაყვანა ჰოსპიტლებში უფასოდ;

8. მოსულ მოხელეთა დასახმარებლად საჭირო რაოდენობით გამოიყვანონ ხარები, ქირის გადახდის თვით ბატონების ნებაზე მინდობით;

9. უზრუნველჰყონ ზვავის ჩამოწოლისას ანდა თერგის ადიდების დროს ფოსტის გადატანა ზურგით, უფასოდ;

10. ზაფხულობით საქართველოს სამხედრო გზის შეკეთება ზოგჯერ ფასად, მაგრამ მეტწილად უფასოდ, ზამთარში კი გზა თოვლისაგან უნდა გაეწმინდათ“ [Акты, 1878, 298].

ეს ცნობები საკმარისია იმისთვის, წარმოვიდგინოთ, რა მდგომარეობაში იყო ხალხი. გაუსაძლისმა პირობებმა ხალხი აჯანყებამდე მიიყვანა. ყველა ისტორიკოსი, რუსი თუ ქართველი, საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფია ამ აჯანყების მიზეზებად სწორედ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ასახელებენ. რუსი ისტორიკოსები უმთავრესად მოხელეების უვარგისობასა და გადამეტებულ ექსპლოატაციაზე საუბრობენ. მაგალითად, ნიკოლოზ დუბროვინი წერდა: „რუს მოხელეთა ბოროტმოქმედება უმაღლეს ხარისხამდე ავიდა. თვითნებობა სათემო პოლიციისა მოუფიქრებელი და ერის ზნისა და ხასიათის შეუფერებელი განკარგულება იყო მიზეზი, რომ საქართველოს მორჩილი მთის ხალხი და თვით საქართველოც სრულიად აღელდა და ამბოხება მოხდა“ [Дубровин, 1866: 75].

რუსი ავტორი ა. ოლონეცკი წიგნში - „დიდებული მეგობრობის ისტორიიდან“ საუბრობს იმ დადებით ტენდენციებზე, რაც რუსეთმა მოუტანა საქართველოს, „მიუხედავად რუსეთის ცარიზმის რეაქციული პოლიტიკისა, რომელიც მკაცრ ექსპლოატაციას უწევდა იმპერიის ხალხებს, პირველ რიგში კი - რუსებს“. ის საუბრობდა ორ რუსეთსა და ორ საქართველოზე: რეაქციულსა და მშრომელების ქვეყნებზე. 1954 წელს თბილისში გამოცემული ეს წიგნი ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგიის ნამდვილი გამოძახილია, სადაც მოვლენები შეფასებულია ამ იდეოლოგიის ნამდვილი კონიუნქტურული შტრიხებით [Олонцкий, 1954: 5]. ის წერდა XIX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოების სოციალურ დაყოფაზე, გლეხებისა და თავადების დამოკიდებულებაზე, ქვეყანაში რაც ცუდი ხდებოდა, ყველაფერს ქართველ მებატონეებსა და უგულო რუს მოხელეებს აბრალებდა, აბრალებდა ცარიზმს და არა რუსეთის დამყრობლურ ინტერესებს, რაც არც კომუნისტურ ხანაში შეცვლილა და გამხდარა ქართველი ხალხის ინტერესების გამომხატველი.

დოკუმენტი, რომელიც ერევანში მყოფ ციციანოვს გადაუგზავნა ვოლკონსკიმ, რომელსაც ეს რუსის მოხელე „არაგვის მთიელთა პრეტენზიებს“უწოდებდა, ხოლო

აქტებში მოხსენიებულია დეფინიციით: „მთიელთა აჯანყების მიზეზები“, მიუთითებს იმ მოვლენებზე, რამაც ხალხი ახალი რეჟიმის წინააღმდეგ გამოიყვანა.

„1. კაცისაგან თითქმის მოუთმენელ სიცივეში სტეფანწმინდიდან ანანურამდე საშინელი თოვლი გვახვეტინეს და გზა გავწმინდეთ;

2. ჩვენგან გაკეთებულ ამავე გზაზე წვიმისგან შეიქმნა ტალახი, გვაჭრევინეს ფიჩხი და ტალახში გვაყრევინეს, ამ დაფენილს ფიჩხში ყაზახის ცხენს ფეხი ჩაუვარდა, მოგვდგენ და მათრახის ცემით ორი კაცი მოკლეს, ერთი გუდამაყრელი ჩოხელი და ერთიც ლაკათხეველი ჯაუნარისძე;

3. მოვიდა თოვლი და ამოივსო ჩვენგან გაკეთებული გზა. ასეთ დროს მოგვიყვანეს საკეთებლად, რომ ზვავი მოდიოდა და სიკვდილს არ დაგვრიდეს. წამოვიდა ზვავი და ცოტას მოვრჩით, რომ ქვეშ არ დაგვიტანა. კიდევ ტიმოთემ ხმლის ცემით მიგვყარა. წამოვიდა ზვავი და შიშით ერთმანეთს რომ ვეცენით, ტიმოთე და სამი ჩვენი იქ გაიჭყლიტა;

4. მოვიდნენ 80 სალდათი და 12 ცხენოსანი ყაზახი, ამათ უნდოდა დღეში სალდათს ათი საკლავი და ყაზახთ ორი საკლავი: ქათამს, ყველს და ერბოს ვინ იანგარიშებს;

5. ცხენსა და ხარს ბარგის ზიდვით ტყავი აღარ შერჩათ და არ მოუციათ ქირა, ერთჯერ მოგვცეს თითო მანეთი - ესეც მოვითმინეთ;

6. ორი დედაკაცი უღელში შეაბეს, მარხილი მოუბეს და სალდათები უკან დედაკაცებს მათრახებით სცემდენ;

7. გვიბრძანეს და ოთხი საკირე დავწვით: ერთი ზაქათკარს, მეორე ბურდულის კარს, მესამე ნადიბაიძის კარს და მეოთხე ამირიძის კარზე;

8. თავადმა ერისთავმა თორნიკემ ჯარს რომ დაუძახა, ჩვენ გამოგვიცხადეს ერთობით ჯარში უნდა წახვიდეთო და იქიდან გავიგონეთ. წინ ჩვენ უნდა წავეყვანეთ, ჩვენთან მოდევნებით ქსნის ჯარი და ჩვენს უკან სალდათნი და შეწყვდეულნი ცემით რუსეთს უნდა გადავერეკნეთ. დედაკაცნი და რომელნიც წვრილნი შინ დარჩებიან, ხიდების გასაკეთებლათ კირი იმათ უნდა ვაზიდვინოთო, - ესენი იმათგან გავიგონეთ;

9. დაგვიდეს ფიცი - შვიდი წლის სითარხნე , არც ერთი წელი არ დაგვაცალეს, წელს ცხვრისა, თოხლისა, ერბოსა და სხვისაც, დებულებისა მაგივრად, სულ თეთრი

(ფული) გამოგვართვეს ორის წლისა, რომელიც ჩვენგან შესაძლებელი არ იყო და ვერსად ვიშოვეთ და ჩვენის ეკლესიებიდან გამოგვატანიეს თეთრი და წაიღეს. გამოგვართვეს ცხვარზე ხუთი აბაზი, თოხლზე ოთხი აბაზი, ერბოზე ოთხი აბაზი, თივაზე, ხუთ ლიტრა ქერზე და ერთ პურზე გამოგვართვეს ხუთი აბაზი;

10. ვისაც თითო კოდი ჰქონდა და თივა, უფასოდ წაგვართვეს, რომელიც ჩვენს მოხელეთაც არა ჰკითხეს;

11. ბრძანება იყო, რომელიც ყაზახნი ადგილ-ადგილ იდგნენ, ქერი და თივა ფასით უნდა ეყიდნათ, ჩაფარიც თავიანთი ცხენით უნდა მიეყვანათ და მოეყვანათ, ქერსა და თივას უფასოთ გვართმევენ და ცხენსაც უქირაოდ და კურიერიც ჩვენი ცხენით დაჰყავთ“ [Акты, 1868, 311].

დოკუმენტი ქართველ თავადს, ანანურის მაზრის მარშალს თორნიკე ერისთავს მიართვეს და ზეპირი ახსნა-განმარტებაც დაურთეს: რომ სიკვდილი ერჩიათ იმ დამცირებას, რასაც რუსების მხრიდან განიცდიდნენ.

ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებული მკაფიო არგუმენტების მიუხედავად, რაც აჯანყების მიზეზი უნდა ყოფილიყო, ხელისუფლება მაინც ვარაუდობდა, რომ ამბოხებას სათავეში ედგა ალექსანდრე ბატონიშვილი, რომლის წერილებმა თაგაურელი ოსები მიიმხრო. ამ ფაქტზე მიაქცევინებდა ყურადღებას 1804 წლის 17 ივლისის პატაკში ვოლკონსკი ციციანოვს [Акты, 1866, 321]. „მაიორ ყაზბეგის პატაკიდან, - წერდა იგი, - თქვენი ბრწყინვალება იხილავს მთიულთა ამბოხების საბაბს და იმ გავლენას, რაიც მათზე და თაგაურელებზე იქონიეს ალექსანდრე ბატონიშვილის წერილებმა“.

1951 წელს გამოცემულ წიგნშიც კი, საბჭოური იდეოლოგიის აღზევების ჟამს, მკვლევარი ვარლამ ტოგონიძე უარყოფს აზრს ალექსანდრე ბატონიშვილის როლის გადამწყვეტი მნიშვნელობის შესახებ და ამბობს, რომ „ბატონიშვილთა მოწოდებებს ხალხში გამოხმაურება არ ექნებოდა, თუ ნიადაგი არ იქნებოდა აჯანყებისთვის შემზადებული თვითონ ხელისუფლების მიერ ხალხის იმ სისტემატური ჩაგვრა - შევიწროებით, რასაც შემაძრწუნებლად მოგვითხრობენ ზემორე „პრეტენზიები“ [ტოგონიძე, 1951, 79].

აჯანყების მთავარი საბაბი გახდა მთიელების ჯარში გაწვევა, რასაც ანანურის მაზრის მარშალი თორნიკე ერისთავი მოახსენებდა ციციანოვს: თქვენი

ბრწყინვალების ბრძანებისამებრ შევკრიბე ანანურის მაზრის ქვეითი და ცხენოსანი ჯარი, ავიყვანე კაიშაურში და წაველ ხევის ჯარის შესაკრებადაც, მაგრამ ალმასიანში ჩასვლისას შევიტყვე, რომ თითქოს ჯარს არ უნდა მოსვლა. ამის გამო მათ კაცი გავუგზავნე, რომელიც კინაღამ არ მოეკლათ, და უარი თქვეს ლაშქრად წასვლაზე. ამიტომ კიდევ ორი აზნაური, ფარემუზ ჭილაშვილი და ბეჟან კობიაშვილი გავგზავნე მოხელეებთან ყალთაბანდობის შესატყობად. ამაზე იმათ პასუხი შემომითვალეს: ჩვენ და ჩვენთან ერთად ხალხი არ გაგატარებთ, კაიშაურსა და ციხისძირში მყოფი კაზაკები ყველა ამოვხოცეთ და ანანურისკენაც ჯარი გავგზავნეთ მთლად რუსობის ამოსაჟლეტადო“ [Акты, 1868, 306].

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ გამწარებული ადამიანები მზად იყვნენ ოჯახებთან ერთად დაღუპულიყვნენ, ოღონდ არ დაეთმოთ მჩაგვრელებისათვის და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებრძოლენ მათ. მოხელეებიც შეაშინა ხალხის ასეთმა მტკიცე გადაწყვეტილებამ. ვოლკონსკი 16 ივნისს უპატაკებდა ციციანოვს, რომ მან დაპირებების მიცემით სცადა ხალხის დაშოშმინება, მისმა ასეთმა რბილმა მოქცევამ , დაპირებამ - გზის გაწმენდაშიც ფულს მოგცემთ და ჯარშიც არ გაგიწვევთო, - უკომპრომისო ციციანოვს უკმაყოფილება აღუძრა თავისი მოადგილის მიმართ, რაც აშკარად ჩანს 4 და 15 აგვისტოთი დათარიღებულ მის მოხსენებებში [Акты, 1868, 319].

რუსი მოხელეების არაადამიანური ქცევის საუკეთესო მაგალითია არქეოგრაფიული კომისიის აქტებში მოტანილი კაპიტან-ისპრავნიკების შემდეგი საქციელი: „ანანურის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკი მოვიდა ჟამურის ხეობაში, შეიპყრო ოსები, გობში, საიდანაც ძაღლებს აჭმევდნენ, ჩაასხა ყველის გამოხდის შემდეგ დარჩენილი შრატი, ჩაყარა შიგ დახოცილი კატები, ადამიანის განავალი და ეს აჭამა. ამავე ოსების 8 სახლს წაუკიდა ცეცხლი, სადაც 3000 კოდი ქერი დაიღუპა“[Акты, 1868, 305].

§ 3. აჯანყების მსვლელობა და აჯანყებულთა პირველი ბრძოლები

(1804 წლის ივნის-ივლისი)

მკვლევარი ვარლამ ტოგონიძე აჯანყების 8 მეთაურს ასახელებს: ლევან ნაზღაიძე, დეკანოზი შიო ბურდული, მთიულეთის მამასახლისი სამუკა ამირიძე, ასევე 5

ადამიანი, რომელსაც პოლკოვნიკ დრენიაკინის დამოწმებით მიიჩნევს აჯანყების ხელმძღვანელებად. ესენია მამასახლისები: ხევისა - თათარა ჩქარეული, გუდამაყრისა - პაპუნა ჩებოლაური, მთიულეთის - ნინია და ომანა ბედოიძენი და ნინია ბედიანიძე. ეს რვავე ადამიანი დაბალი წრიდანაა გამოსული, რაც მკვლევარს კიდევ ერთ საბუთს აძლევს დაასკვნას, რომ აჯანყება არ ყოფილა თავადაზნაურულ-არისტოკრატიული წრეებისგან ორგანიზებული და მათი მიზნების აღმსრულებელი, ის საყოველთაო-სახალხო ხასიათისა იყო და ქართველი ხალხის სანუკვარ მიზანს - დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას ემსახურებოდა. დუბროვინის აზრით, ბატონიშვილები - ალექსანდრე, იულონი და ფარნავაზი აქტიურად მონაწილეობდნენ აჯანყებაში და სახელმძღვანელო მითითებებს აძლევდნენ აჯანყებულებს [Дубровин, 1866, 361].

ელიზბარ ერისთავი 4 ივნისს მოახსენებდა ციციანოვს, რომ აჯანყებულები არ მალავდნენ იმერეთში კაცის გაგზავნას ბატონიშვილებთან. იულონთან შაჰის გამოგზავნილი კაცი - სოლომონ შანშიაშვილიც მივიდა და შაჰის მხრიდან დახმარებისთვის მზადყოფნა გააგებინა.

ივნისის შუა რიცხვებში ბატონიშვილები ქართლში გადმოვიდნენ და კავშირი დაამყარეს ქართლის თავადებთან, კერძოდ, გიორგი ამილახვართან. ამილახვარი, რომელიც მანამდე ვითომ ბატონიშვილთა მომხრედ გამოდიოდა, ამჯერად ღალატის გზას დაადგა და ციციანოვის მოადგილეს - ვოლკონსკის გადაუგზავნა მათი წერილები, სადაც ისინი მისგან აჯანყებულების ადგილმდებარეობას, მიზნებს, რუსთა ჯარების განლაგებასა და სხვა წვრილმანების გაგებას ითხოვდნენ.

ასევე განუდგა მათ მიხეილ ერისთავიც. იმერეთიდან ქართლში ჩასული ბატონიშვილები ბორჯომის ხეობაში იყვნენ და აქედან ცდილობდნენ არაგვის ხეობაში გადასვლას და აჯანყებულებთან შეერთებას. რუსული ჯარის მეთაურები მათ მოძრაობას თვალყურს ადევნებდნენ და მზად იყვნენ შეეპყროთ ისინი. ქართლის თავადებიც ცნობებს აწოდებდნენ რუსებს მათ ადგილამყოფზე. 24 ივნისს შტაბს-კაპიტანი ნოვიცკი და იასაული კონდრაშოვი სოფელ აბისში მივიდნენ, იმერეთის საზღვარზე გავიდნენ და ხუთი მზვერავით დაიწყეს ადგილის დათვალიერება. მზვერავებმა შეიპყრეს ბატონიშვილების მეთვალთვალე, აიძულეს, რომ მიეყვანათ

ბატონიშვილების სამყოფ ადგილზე, საწურბლეს, სადაც ორმხრივი იერიშის შემდეგ შეიპყრეს იულონი, ფარნავაზმა კი თავს გაქცევით უშველა [Акты, 1868, 317].

ასე ჩამოაშორეს იულონი აჯანყებას, ფარნავაზიც მალე იქნა დაჭერილი ისე, რომ მანაც ვერ შეძლო აჯანყებულებისათვის რაიმე ქმედითი მითითება მიეცა, ან დახმარება გაეწია.

გამოსვლა თიანეთში დაიწყო და არაგვის ხეობაში გავრცელდა. მალე აჯანყება მთელ ქართლის მთიანეთს მოედო. მასში მონაწილეობდნენ ფშავლები, ხევსურები, ოსები. აჯანყებულებმა გადაწყვიტეს საქართველოდან განედევნათ რუსები და ბაგრატიონთა დინასტია აღედგინათ. 1804 წლის ივლის-აგვისტოში მთიელთა ლაშქარმა დაიკავა დარიალისა და არაგვის ხეობებში განლაგებული ციხე-სიმაგრეები, თითქმის მთლიანად გაწყვიტა იქ მყოფი რუსი ჯარისკაცები. აჯანყებულებმა დაიკავეს ხევის მნიშვნელოვანი პუნქტი - სტეფანწმინდა, დარიალის ხეობის ჩამკეტი საგუშაგო ლარსი და სხვა ადგილები.

აჯანყებულთა შესახებ საყურადღებო ცნობებს შეიცავს პოლკოვნიკ დრენიაკინის წერილი ციციანოვისადმი, რომელიც 1804 წლის 30 ივლისითაა დათარიღებული. „რათა გაემრავლებინათ თავიანთი მომხრეები, აჯანყებულები ავრცელებდნენ ხმებს, ვითომ საქართველოში მყოფი ყველა რუსი ამოწყვიტეს. ამით მათ შეძლეს თავიანთ მხარეზე ბევრის გადაბირება. დუდარუკომ (თაგაურელთა ბელადი) მათ ხელი შეუწყო იმით, რომ არ გაატარა ჩვენი ჯარები უღელტეხილზე. მთიულებმა სხვა ხალხებს სთხოვეს დახმარება, მათ შორის ხევსურებსაც, რომლებიც უკვე მზად იყვნენ ბრძოლისათვის“[Акты, 1868, 321].

აჯანყებულებმა მოითხოვეს მაიორ გაბრიელ ყაზბეგისაგან მათ მხარეზე გადასვლა, მაგრამ მან უარი განაცხადა, რადგან „რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე ჰქონდა ფიცი დადებული“ [ტოგონიძე, 1951, 99].

რუსების მხარეზე თავდადებით იბრძოდნენ ქსნისა და არაგვის ხეობის ერისთავები. ალექსანდრე I-ს ციციანოვი უმტკიცებდა: „ქსნის ერისთავები იმდენად ერთგულნი არიან, რამდენადაც მე შემიძლია ვიამაყო თქვენდამი ჩემი ერთგულებით, და ბუნებრივი იქნებოდა განა, მას შემდეგ, რაც თქვენი იმპერატორებითი უდიდებულესობის წყალობით დაუბრუნდათ 4000 კომლი, მეფეთაგან

ჩამორთმეულნი, უმადურნი დარჩენილიყვნენ? პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ ისინი არიან , ვისაც მე ვენდობი ისევე, როგორც ვენდობი რუსებს“ [Акты, 1868, 377].

აჯანყებულებმა ივნისის ბრძოლებში ძალზე შეავიწროვეს ერისთავები და რუსის ჯარი. ლარსის საგუშაგოზე აჯანყებულ ქართველებს თაგაურელები მიეხმარენ. ლარსის საგუშაგოს უფროსმა შჩიგოლევმა მაიორ ყაზბეგს მისწერა, რომ იმდენად გაუჭირდათ მის მებრძოლებს, რომ მთელი კვირა ბალახით იკვებებოდნენ, რის გამოც დაავადმყოფდნენ, ამით ისარგებლეს თაგაურებმა და მაშინ დამესხნენ თავს, როდესაც ავადმყოფთა რიცხვი იმატებსო [Акты, 1868, 614].

კობის სანახებში დაბანაკებული აჯანყებულები ფშავლებსა და ხევსურთა დამხმარე ძალებს ელოდებოდნენ. ერისთავები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს მათ კოორდინირებას. 10 ივნისს შეტაკება მოხდა კაიშაურის ახლოს, ჯვარივაკეში. ერისთავებმა უკანდახევა უბრძანეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით ავიღებთ თქვენს სიმაგრეებსო. მიუხედავად იმისა, რომ აქტებში მოტანილი ერისთავების პატაკი ციციანოვისა და სხვა რუსი მეთაურებისადმი მათ წარმატებებსა და აჯანყებულების მარცხზე მიუთითებს, ეს სინამდვილეში ასე არ ყოფილა. ერისთავები ხევში თითქმის ალყაშემორტყმულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რასაც ასევე ბევრი დოკუმენტური მასალა ცხადყოფს. 11 ივნისს ერისთავებმა ლომისის მთის ძირას შექმნეს თავდაცვითი ხაზი, სადაც მივიდა მიხეილ ერისთავი ქსნის ჯარით, ხოლო მალე ლომისაში დაბანაკებულ ერისთავებს ვოლკონსკიმ მიაშველა ასეული ერთი ქვემეხით. მაიორი მელლა, რომელიც აჯანყების დროს ერისთავებთან ერთად იბრძოდა, 1804 წლის 12 ივნისს წერდა: „აქედან ცხადია, რომ მათ არ სწადიათ ამ საქმეზე ხელის აღება და ის ადგილები, რომელიც დავიკავეთ და გავწმინდეთ მათგან, ხელმეორედ დაკავებულია მათ მიერ, ხმებისა და თვით ჩვენი დაკვირვების თანახმად, ყველა აქური მცხოვრები (მათი რიცხვი კი ძალიან დიდია) აჯანყებულთა რიცხვს ეკუთვნის“ [Акты, 1868, 620]. მაიორი აქვე უმატებდა, რომ აქაურმა მცხოვრებლებმა, ყველამ იარაღს მოჰკიდა ხელი, გზები გააფუჭეს და დიდ წინააღმდეგობას გვიწევენო.

13 ივნისს, ვოლკონსკის ბრძანებით, რომელიც ციციანოვის არყოფნის გამო მთელ საბრძოლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა, როგორც მისი მოადგილე, ლომისის განლაგების უფროსად მიხეილ ერისთავი დაინიშნა. ის უნდა მიშველებოდა ყაზბეგს სტეფანწმინდაში [Акты, 1868, 623].

14 ივნისს, სანამ დამატებით ჯარს შეკრებდნენ ქსნის ხეობაში, აჯანყებულებმა ერისთავებზე მიიტანეს იერიში. 6 საათის იერიშის შემდეგ აჯანყებულებმა ვერ აიღეს ერისთავების დაკავებული სიმაგრე და გადაწყვიტეს შემოვლითი ოპერაციით ალყის შემორტყმა. ერისთავების ჯარი ორგანიზებული და კარგად შეიარაღებული იყო აჯანყებულების სტიქიურ და ცუდად აღჭურვილ მებრძოლებთან შედარებით, თუმცა, სამთავრობო ძალებსა და მათ დამხმარე ქართველ რენეგატებს ადვილად არ მოსდიოდათ გამარჯვება. 14 ივნისსვე გაგზავნილი ელიზბარ ერისთავის ცნობის მიხედვით, აჯანყებულებთან ბრძოლა მათ იაფი არ დაჯდომიათ. ერისთავებმა ბრძოლაში დაკარგეს: 3 მოკლულის სახით, 7 დაიჭრა, აჯანყებულთაგან დაიჭრა 2 ქართველი აზნაური და 2 გლეხი, ამ წერილის მიხედვით, სულ 40-მდე დაჭრილი აჯანყებული იყო“ [Акты, 1868, 623].

15 ივნისს ციციანოვი აუწყებდა იმპერატორს: „არაგვის ხეობის, ჭართლის, გუდამაყრის, ხანდოს და მთიულეთის მცხოვრებნი შეუერთდნენ ხევსურებს და ფშაველებს, ჩახერგეს გზა კაიშაურიდან ანანურამდე, ხოცავდნენ გამვლელებს, ამოჟლიტეს ყაზახთა საგუშაგო კაიშაურში, გადარჩა მხოლოდ 2 კაცი. განზრახული აქვთ თავს დაესხან ანანურს 4000 კაცით. აღნიშნული არეულობა გამოწვეულია ფარნაოზ ბატონიშვილის მიერ, რომელმაც ფარულად გაიარა ამ სოფლებზე. აჯანყებულთა რიცხვი მატულობს, რის გამოც ანანურს გაემგზავრა გენერალი თავადი ვოლკონსკი, და გენერალ ტალიზინს ებრძანა წასულიყო თბილისის ბანაკიდან გრენადერთა ბატალიონითურთ“ [Акты, 1868, 624].

მივიდა თუ არა ვოლკონსკი ანანურს, აჯანყებულებმა მიუგზავნეს რწმუნებულები: რევაზ ერისთავი, გიორგი ამილახვარი, თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანსკი და კავთისხევის მონასტრის არხიმანდრიტი დოსითეოს ფიცხელაური. მათი პირით აჯანყებულებმა იგივე მოთხოვნები გაიმეორეს, რაც 11 ივნისს ჰქონდათ გამოთქმული“ [Акты, 1868, 626].

ვოლკონსკიმ შესრულება აღუთქვა, ოღონდ უნდა დაბრუნებულიყვნენ შინ, დახმარებოდნენ რუსებს თაგაურელების დასჯაში, მიეღოთ მონაწილეობა გზის შეკეთებაში და სხვ. ამ მოლაპარაკებას შედეგები არ მოჰყოლია, რის გამოც ტალიზინს ებრძანა აჯანყებულები დაესაჯა, თუ ისინი მოთხოვნებს არ დაემორჩილებოდნენ.

ტალიზინი ამ ძნელი დავალების შესრულებას შეუდგა.

რაც დრო გადიოდა აჯანყებული ლომისის უბანზე მდგომარეობა რთულდებოდა. ამას მოწმობს გაბრიელ ყაზბეგის მოხსენება ციციანოვისადმი 1804 წლის 25 ივნისს და 27 ივნისს მიხეილ ერისთავის წერილი ვოლკონსკისადმი [Акты, 1868, 633].

ამავე ხასიათის იყო მაიორ მელლას მოხსენება ვოლკონსკისადმი, სადაც წერია, რომ მთიულები სძლევენ ქართველებს (ანუ ქართლის ერისთავების მეომრებს), ერთადერთი ქსნის გზა რჩება მათგან დაუკავებელი, მაგრამ მასაც ალბათ მალე დაიკავებენ, ქართველები ისე ცოტანი არიან, პოდპოლკოვნიკ თავად ერისთავის ოსებს კი ჩვენს მხარეზე ბრძოლა არ სურთო [Акты, 1868, 634].

6 ივლისს ვოლკონსკი მოახსენებდა ციციანოვს, რომ ლომისის განლაგებას მუდმივად თავს ესხმიან აჯანყებულები და ახლა ამ უბანზე მათი რიცხვი, ხმების თანახმად, 3000 კაცს არ აღემატებაო [Акты, 1868, 636].

აჯანყებულები მედგრად იცავდნენ თავდაცვით სიმაგრეებს. ერისთავი სამხედრო ხელმღვანელებთან მიწერილ ბარათებში არ მალავს, რომ მის ჯარს ბევრს ესროდნენ, „მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღების მხრივ დიდი უპირატესობა გვქონდა, ზარბაზანიც კი გვქონდაო“, და ეს მაშინ, როდესაც აჯანყებულები მხოლოდ ხელთოფებით იყვნენ შეიარაღებულნი, ბევრ მათგანს, ალბათ, ისიც არ ჰქონდა, როგორც მკვლევარი ვ. ტოგონიძე ვარაუდობს [ტოგონიძე, 1951, 96]. ამის მიუხედავად, მთიელებმა პირველი იერიშები მოიგერიეს, მხოლოდ მეორე იერიშის დროს, როდესაც ერისთავებმა და მათმა რუსულმა ჯარმა ზარბაზნები გამოიყენეს, რითაც დაანგრიეს აჯანყებულთა ციხიეების კედლები, ისინი იძლებულნი გახდნენ მიეტოვებინათ ბრძოლის ადგილები და მთებს შეხიზნულიყვნენ.

ბრძოლის II ეტაპზე ხევი კიდევ უფრო შეუპოვრად დაუპირისპირდა რუსულ ჯარსა და მის რიგებში მეომარ ქართველ კოლაბორაციონისტებს. ლომისის მთაზე დაბანაკებულ ერისთავებს ამაგრებდა სტეფანწმინდაში მყოფი, ცარიზმის მხარეზე მეომარი მაიორი გაბრიელ ყაზბეგი. აჯანყების მეთაურებს სწორედ სტეფანწმინდის ხელში ჩაგდება სურდათ, რადგან აქედან გზა ორად იყოფა: დარიალისკენ მიმავალი და გუდამაყარ-ხევსურეთისკენ განშტოებული, ამიტომ იყო სტრატეგიულად მნშვნელოვანი სტეფანწმინდის ხელში ჩაგდების საკითხი.

1804 წლის 14 ივლისს შანშე ერისთავი ვოლკონსკის უპატაკებდა, რომ ქვემეხებით, თოფებით, ყველანაირად ცდილობდნენ აქაური სოფლების რბევა-დაწიოკებას და

ხალხის დაშინებას. „ჩვენ რამდენჯერმე გავისროლეთ ქვემეხები და დავჭერით ხალხიო", - წერდა ერისთავი [Акты, 1868, 321].

აჯანყებულებმა სხვადასხვა ადგილას დაბანაკებული რუსული სამხედრო ნაწილების ურთიერთობა ისე მოშალეს, რომ ფაქტობრივად შეწყდა მათ შორის კავშირი, რადგან ერისთავებიც და სხვა მეთაურებიც გამუდმებით წერდნენ ციციანოვს, ამდენი მოხსენებითი ბარათი გამოვგზავნეთ, თქვენგან კი პასუხი არ არისო.

ივლისის შუა რიცხვებიდან აჯანყებულები უპირატესობას აღწევენ, რაზეც მოწმობს პოლკოვნიკ დრენიაკინის წერილი, სადაც ის აღწერს რუსული ჯარის ნაწილების გაჭირვებას: „ჩვენ გაუგებრობაში ვიმყოფებოდით, რადგან არ ვიცოდით თუ რა მოგვეხერხებინა აჯანყებულებისათვის, რადგან პოლკოვნიკი თავადი ერისთავი გვატყობინებდა, რომ იგი ანადგურებს მოწინააღმდეგეს და აღარავითარი საშიშროება აღარ იყო, ჩვენ კი, ამის მიუხედავად, ვერ გავექეცით უბედურებას. დრო და დრო დიდ გაჭირვებაში გვაგდებს მტერი, ასე რომ მაიორ ყაზბეგის ყველა ცდას და ჩვენს ორივე მხარეს გაგზავნილ მოხსენებებს არ მოჰყვა სათანადო შედეგი ჩვენი განთავისუფლებისათვის იმ უბედურებისაგან, რაც შემდეგნაირად ვითარდებოდა: რათა გაემრავლებინათ თავიანთი რიგები, აჯანყებულები ავრცელებდნენ ხმებს, ვითომ საქართველოში მყოფი ყველა რუსი ამოწყვიტეს, ამით მათ შესძლეს თავის მხარეზე ბევრის გადაბირება. დუდარუკომ მათ ხელი შეუწყო იმით, რომ არ გაატარა ჩვენი ჯარები უღელტეხილზე. მთიულებმა სხვა ხალხებს სთხოვეს დახმარება, მათ შორის ხევსურებსაც, რომლებიც უკვე მზად იყვნენ ბრძოლისათვის" [Акты, 1868, 321].

დრენიაკინის წერილში მოტანილია ამ პროცესის მსვლელობაც, ნათქვამია, რომ 14 ივლისს მდინარე სნოს ნაპირას თავი მოიყარა 700-მა ხევსურმა, აჯანყებულებს შეუერთდნენ ხევის, ღუდუშაურისა და გუდამაყრის ხეობის მცხოვრებნიც. აქვე მოვიდნენ თრუსოელებიც, ასე რომ, დრენიაკინის ცნობით, რუსეთის ჯარის წინააღმდეგ იარაღასხმულთა რიცხვმა 1300 კაცი შეადგინა [Акты, 1869, 322].

გაბრიელ ყაზბეგის ერთგულების გამო აჯანყებულებს არ შეუერთდნენ სოფლები: სტეფანწმინდა, გერგეთი, კობი, ყანობი, ქურტიზი, აჩხოთი და არში.

აჯანყებულთა ხევის დაჯგუფებას სათავეში ედგნენ: ხევიდან - თათარა ჩქარეული, გუდამაყრიდან - პაპუნა ჩობოლაური, მთიულთაგან ნინია და ომან ბედოიძეები და ნინია ბედიანიძე. ისინი ყაზბეგს რუსებისგან განდგომასა და მათ მხარეზე გადასვლას

უთვლიდნენ, თუმცა, ყაზბეგმა ამ მოთხოვნას უარით უპასუხა: მისი განცხადებით, მან უკვე დაიფიცა რუსთ ხელმწიფის ერთგულებაზე და არ ჰქონდა სურვილი ფიცის დარღვევის, რამაც მასთან მოლაპარაკების უაზრობაში დაარწმუნა აჯანყების მოთავენი. მომდევნო საომარი შეტაკებები მათი წარმატებით დასრულდა.

15 ივლისს აჯანყებულებმა ალყაში მოაქციეს გერგეთის ციხეში გამაგრებული ჯარი, იმავე დღეს, მეორე ნაწილმა შეუტია სტეფანწმინდას, სადაც მოსახლეობის უმეტესობა (სამი ოჯახის გარდა, რომლებიც ყაზბეგის მოგვარე-ნათესავები იყვნენ) მათ მხარეზე გადავიდა.

16 ივლისის დილით აჯანყებულების დასახმარებლად მოვიდა დუდარუკო 300 ოს-ქისტით. აჯანყებულთა რიცხვი 3000-მდე ავიდა, რომლებმაც სტეფანწმინდას სრულად შემოარტყეს ალყა. მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა. მთიულები და თაგაურები დროშებქვეშ იფიცებდნენ, რომ ერთმანეთს ბოლომდე უერთგულებდნენ და რუსეთის ჯარს სრულად გაანადგურებდნენ.

გაბრიელ ყაზბეგმა მესამედ თქვა უარი აჯანყებულთა წინადადებაზე და სცადა ხევსურების თავის მხარეზე გადაყვანა, თუმცა, ესეც არ გამოუვიდა.

17 ივლისს აჯანყებულებმა ციხე დაიკავეს და რუსის ჯარს ყველაფერი წაართვეს. აქ მდგარი რუსული ჯარი აიძულეს „საქართველოში“ ანუ ქართლში წასულიყო. ხევსურების თანხლებით მათ დატოვეს ხევი და ქართლისკენ გაემგზავრნენ.

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა აჯანყებულების მოსყიდვაც სცადეს: მათ მთაში მიავლინეს ამბროსი ნეკრესელი და თავადი რევაზ ერისთავი, რომელთაც გაატანეს ფული აჯანყებულთა მოსასყიდად. ამავე დროს ვოლკონსკიმ ფშავ-ხევსურეთში გაგზავნა თავადი მაყაშვილი და ქობულაშვილი საგანგებო დავალებით, რის შედეგად მათ მოახსენეს ვოლკონსკის - „რამდენიმე ხევსურის ოჯახის ჩამოშორებაზე, რომლებიც მიდიოდნენ მთიულების დასახმარებლად“, ხოლო ორი დღის შემდეგ, 30 ივლისს შეატყობინეს, მთიულებთან მიმავალი 1000 ხევსური ბრძოლას ჩამოვაშორეთო [Акты, 1868, 645].

აჯანყებულები ატყვევებდნენ მათ წინააღმდეგ გაგზავნილ ჯაშუშებს, მაგალითად, დაატყვევეს არქიმანდრიტი პაფნუტი, რის გამოც ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა.

§4. აჯანყებულთა ბრძოლები 1804 წლის აგვისტო-სექტემბერში

როგორც დავინახეთ, ქართველმა ბატონიშვილებმა სცადეს აჯანყება ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენისთვის გამოეყენებინათ. მას სათავეში ჩაუდგა ერეკლე II-ის ძე ფარნაოზ ბატონიშვილი... აჯანყებულებმა იმერეთიდან მოიწვიეს იულონი და ფარნაოზი. რუსულმა სამხედრო რაზმმა ბატონიშვილებს სურამთან გზა გადაუკეტა და იულონი დაატყვევა.

ფარნაოზი ჯერ კახეთში ჩავიდა და შემდეგ 120-მდე კახელი თავად-აზნაურით გადავიდა არაგვის ხეობაში. მისი მეთაურობით აჯანყებულებმა რუსთა ჯარი ორგზის დაამარცხეს და 700 კაცი მოუკლეს. უფლისწულმა ანტირუსული აჯანყების არე გააფართოვა; იმედი, რომ სპარსეთი დამხმარე ძალას მოაშველებდათ, არ გამართლდა.

ამის მიუხედავად 1804 წლის აგვისტოსთვის აჯანყებულებმა მთელი სამხედრო გზის ხელში ჩაგდება შეძლეს.

3 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც მათ მიგზავნილი არქიმანდრიტი და სხვა ჯაშუშ-პროპაგანდისტები დააკავეს, ტალიზინს შეუთვალეს: „ჩამოდი ლომისიდან და ანანურს წადიო“. ტალიზინმა არ მიიღო ეს წინადადება და მოხდა შეტაკება. როგორც ტალიზინი წერს, 4 აგვისტოს ზემო და ქვემო მლეთის ორი სოფელი გადაწვეს მათი ქონებიანად და დიდი ნაწილი „ქართველებმა“ (ქართლელებმა) გაძარცვეს. შეუწყვეტელი ბრძოლა 5 საათს გაგრძელდა. ტალიზინისვე თქმით:„ბრძოლა უსასტიკესი იყო და აჯანყებულთა თავგანწირვა უმაგალითო“ [Акты, 1868, 326].

ამ ბრძოლაში, როგორც აჯანყებულთა შუაკაცები რევაზ ერისთავი და ამბროსი ნეკრესელი მოახსენებდნენ ვოლკონსკის, ტალიზინისა და ერისთავის თავგასულობა უკიდურეს საზღვარს აღწევდა, „სალდათები არ ინდობდნენ არც ქალებს, არც ბავშვებს, ანგრევდნენ საცხოვრებელ სახლებს“.

ამ სისასტიკემ კიდევ უფრო დაძაბა ვითარება. 3 აგვისტოს შემდეგ აჯანყება ახლ ფაზაში შევიდა. იარაღი აისხეს ჟამურმა, ჭურთამ, მუჯუხმა, ოხირმა, ლომისამ. აჯანყებულთა გასამხნევებლად გამოცხადდა 500 ხევსურიც, ამავე დროს მოვიდა ალექსანდრე ბატონიშვილის გამოგზავნილი კაციც გამამხნევებელი წერილით.

9 აგვისტოს მაიორ მელლას მეთაურობით აჯანყებულთა მთელ ძალებთან ბრძოლა მოუხდათ რუსული ჯარისა და მათი მომხრე ქსნის ერისთავების ჯარს. 12 აგვისტოს ამ ბრძოლის შესახებ მაიორი მელლა ასე მოახსენებდა ვოლკონსკის: „9 აგვისტოს აღმოვჩნდით ალყაში. საგუშაგოებს არსაითკენ გზა არ ჰქონდათ და მისი გახსნის საშუალებაც არ იყო“. აჯანყებულებმა მელლას მოთხოვეს მთელი სამხედრო და პირადი ქონება. მელლამ ამ მოთხოვნაზე უარით უპასუხა. მან ბრძანა ყველაფრის დაწვა, თვითონ კი ღამით უნდა გაპარულიყვნენ [Акты, 1868, 327].

მელლას ხელქვეითებმა მართლაც გაანადგურეს იარაღი, ამუნიცია და ბევრი მიწაშიც ჩაფლეს. აჯანყებულები მათ მისდევდნენ და ანადგურებდნენ. მოუკლეს, დაუჭრეს და ტყვედ ჩაიგდეს 48 ჯარისკაცი.

მაშასადამე, აგვისტოს ბრძოლების შემდეგ აჯანყებამ მოიცვა მთლიანად ქართლის მთიანეთი, არაგვისა და ქსნის ხეობები, ისინი ანადგურებდნენ რუსეთის ერთგული ერისთავების სამფლობელოს, მათი 4000 კომლის სახლ-კარს [Дубровин, 1866, 367].

ამრიგად, გამოკვეთილი იყო აჯანყების 3 დაჯგუფება: 1. ხევის ჯგუფი, იგი კეტავდა დარიალის კარს და ამით თავისუფლი მოქმედების საშუალებას აძლევდა სხვა ორ დაჯგუფებას; 2. ლომისის დაჯგუფება, კეტავდა მნიშვნელოვან კომუნიკაციებს არაგვისა და ქსნის ხეობებს შორის; 3. ციხისძირის დაჯგუფება, რომელიც ანანურზე იერიშისათვის ემზადებოდა.

20 აგვისტოს აჯანყებულები თავს დაესხნენ დუშეთს და დაწვეს იქაური სახაზინო ყაზარმა. მართალია, იულონი დააპატიმრეს, მაგრამ ფარნაოზი გამოჩნდა და აჯნყების მოთავეობა იკისრა. მანამდე რუსების მხარეზე გადასული ბევრი თავადი და სასულიერო პირი, მისი გამოჩენის შემდეგ, ისევ აჯანყებულთა მხარეს გადმოვიდნენ. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში ვკითხულობთ: „შეიტყვეს რა ფარნაოზის გამოჩენა, ადგილობრივი თავადები და თვით ალავერდის არქიმანდრიტი ბესარიონ ერისთავი, რომელიც 14 რიცხვს დღესასწაულში იმყოფებოდა ალავერდის მონასტერში, შეთანხმდენ ყველა უკლებლივ, მათ შორის სამაზრო სასამართლოს მსაჯულიც სიმონ ქობულოვი და საერო პოლიციიდან ლუარსაბ ჯანდიერი და ხსენებული ქობულოვის ხელმძღვანელობით დაედევნენ ბატონიშვილსა“[Акты, 1868, 138].

შეშფოთებულმა იმპერატორმა ჩრდილოეთ კავკასიიდან გენერალი ნესვეტაევი 3000 ჯარისკაცითა და 30 ქვემეხით გამოაგზავნა, უფროს გენერალ-ლეიტენანტ

გლაზენაპს ებრძანა „სსწრაფოდ კავშირის დამყარება საქართველოსთან და საარტილერიო რაზმის, დრაგუნთა პოლკის, კაზაკებისა და რეკრუტების დაუყონებლივ გაგზავნა“ [Акты, 1868, 295]. სამხრეთიდან კი პავლე ციციანოვმა შეუტია არაგვის ხეობას. აჯანყებულებმა ვერ გაუძლეს რუსული არტილერიისა და რეგულარული ჯარის შეტევას.

§ 5. აჯანყების ჩახშობა და მისი შედეგები

ოქტომბრის დასაწყისში აჯანყების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ჯარის ნაწილები ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდნენ აჯანყებულთა წინააღმდეგობას. ფარნაოზი ყაზბეგის დაკავებას ცდილობდა, მაგრამ რუსული ჯარის ნაწილებმა, რომელიც ყაზანის პოლკის ერთი ასეულის და 300 კაზაკისაგან შედგებოდა და რომელსაც პოდპოლკოვნიკი ბიხალოვი უფროსობდა, დაასწრო და ფარნაოზი იძულებული გახდა სიონისკენ დაეხია და იქ გამაგრებულიყო. 12 ოქტომბერს მოხდა სიონთან ბრძოლა, ფარნაოზის ნაწილებმა აქ დიდი დანაკლისი ნახეს: 100 კაცი მოკვდა და 55 ტყვედ ჩავარდა [[Дубровин, 1866, 370].

12 ოქტომბერს გენერალი ახვერდოვი აცნობებდა სტეფანწმინდიდან ერისთავს ცარიზმის სამხედრო ნაწილების გამარჯვების შესახებ, სთხოვდა მას, შეევიწროებინა მთიულები, 29 ოქტომბერს კი ციციანოვი იმპერატორს ნესვეტაევისა და ბიხალოვის წარმატებებზე უპატაკებდა, აღნიშნავდა, რომ ვლადიკავკავიდან ანანურამდე ყველგან წესრიგი იყო დამყარებული, გზები და ხიდები აღდგენილი, აჯანყებული მოსახლეობა დაშინებული.

ციციანოვის წარდგინებით ამ გამარჯვებისათვის ნესვეტაევს წმ. ვლადიმირის მესამე ხარისხის ორდენი და ფულადი ჯილდო ებოძა. ფარნაოზ ბატონიშვილმა ერევანში გადასვლა სცადა, მაგრამ თბილისიდან 40 კმ-ში თამაზ ორბელიანის რაზმი დაეწია და დააპატიმრა.

საქართველოსა და მისი სამეფო ოჯახის მოძულე, გარუსებულმა პ. ციციანოვმა უმკაცრესად ჩაახშო ეს აჯანყება. იმპერატორისადმი მიწერილ წერილში ის მთიულებს პირუტყვებს ადარებდა: „ეს მთის მცხოვრებნი თავისი აზროვნებით არაფრით არ

განსხვავდებიან პირუტყვებისაგან, რაშიც მე პირადად დავრწმუნდი მათთან ლაპარაკის დროს“, - წერდა იგი [Акты, 1869, 107].

ამ აჯანყების ჩახშობის შემდეგ მან ბატონიშვილები რუსეთში გადაასახლა. იულონი – ტულაში, ფარნაოზი კი ვორონეჟში გადაასახლეს (სხვა ბატონიშვილები და დედოფლები მანამდე გაისტუმრა ჩრდილოეთში) [ზენდიანიშილი, დაუშვილი, სამსონაძე, ქოქრაშვილი, ჭუმბურიძე, ჯანელიძე, 2008, 30-31; 56-59; 138-139.].

ციციანოვი თავად გაემართა აჯანყებული სოფლების დასაშოშმინებლად. მან ჩააქრო ოსთა მღელვარებაც. 1804 წლის დამლევს თვითონ მოაწყო ლაშქრობა ოსურ სოფლებში და დასაჯა დამნაშავენი. 13 ნოემბერს სოფ. კროჟაში მივიდა, სამ დღეს დარჩა იქ და გადაწვა სიმაგრეები, რომლებიც აჯანყებულ ოსთა თავშესაფარს წარმოადგენდა. „არ შემიძლია აგიხსნათ, რა ზიზღით მივმართე სისასტიკის ამ ხერხს“, - წერდა ის ხელმწიფე ალექსანდრე I-ს.

აჯანყების უშუალო წამომწყებნი - ლევან ნაზღაიძე და შიო ბურდული დიდხანს იმალებოდნენ ოსების სოფელ ჟამურში. ციციანოვი კატეგორიულად სთხოვდა ქსნის ერისთავს მიხეილს, დაუყონებლივ ეგდო ხელთ ისინი. ერისთავი გაემგზავრა ბრძანების აღსასრულებლად ჟამურში, მთელი სოფელი გადაწვა, თუმცა მთავარი დამნაშავეები ვერ იგდო ხელთ.

1805 წლის თებერვლის დასაწყისში ციციანოვის ბრძანებით შეიქმნა საგამომძიებლო საიდუმლო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა ტარასოვი, ხოლო წევრებად ხორჯელსკი და ნაგელი.

ასობით აჯანყების მონაწილე დააპატიმრეს. ბევრი მათგანი ციმბირში გადაასახლეს ან ჩამოახრჩვეს. ამ აჯანყებამ კიდევ ერთხელ დაანახა რუსულ მმართველობას, რომ იმ პერიოდში დამკვიდრებული და აპრობირებული ძალადობა ქართველების მიერ უპროტესტოდ არ იქნებოდა მიღებული. ამის მიუხედავად, რუსული სახელმწიფოს ბიუროკრატიული მანქანა ძველებურად განაგრძობდა მუშაობას.

მთიულეთის აჯანყება დამარცხდა. ფარნაოზი მცირე რაზმით დაუსხლტა რუსეთის ჯარს, მაგრამ ყაზახის მიდამოებში მაინც დაატყვევეს. რუსული ჯარის სამსახურში ჩამდგარ ერთ ქართველ მედროვე სამხედროს, რომელიც მთიულებს ფარნაოზის დატყვევებას აცნობებდა და იარაღის დაყრას ურჩევდა, აჯანყებულები წერდნენ: ფარნაოზის დატყვევების ამბავმა ჩვენი გული და გონება განგმირა, მთელი

ხეობა ბაგრატიონთა ერთგულებაზეა დაფიცებული, უნდა იცოდეთ, რომ რუსეთის ჯარის არ გვეშინია. თუ ტყვიას გვესვრიან, ჩვენც ვესვრით, რუსეთის ჯარი რომ ერთ ადგილზე დაგვეცემა თავს, მეორეზე გადავინაცვლებთ. ფარნაოზის დატყვევება ჩვენთვის დიდი უბედურებაა, მაგრამ ღმერთს მადლობას ვწირავთ, რომ ალექსანდრე, თეიმურაზი და ლევანი თავისუფალნი არიან და ბრძოლას მათი მეთაურობით გავაგრძელებთო.

ეს წერილი ადასტურებდა, რომ ქართველი ხალხი ეთაყვანებოდა თავის სამეფო გვარს, ბაგრატიონები სახელმწიფოს სიმბოლოდ და თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშად მიაჩნდა. ის დამარცხებას დროებითად მიიჩნევდა და კვლავ აპირებდა რუსეთის დამპყრობლური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას.

1804 წლის აჯანყებამ ასევე დაანახა ქართველ ხალხს, რომ ჩვენში მოღალატეც ბევრი ჰყავდა, რომლებიც ებრძოდნენ მამაც თანამემამულეებს, ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის რომ დებდნენ თავს. მოღალატეთა შორის იყვნენ გამოჩენილი ოჯახის შვილები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, გაორებული მწერლები, ლექსებში რომ უმღეროდნენ საქართველოს, აკრიტიკებდნენ რუსეთს მისი დაპყრობისათვის, ცხოვრებაში კი ყოველმხრივ, მათ შორის იარაღითაც ეხმარებოდნენ დამპყრობელს საზღვრების გაფართოებაში, კავკასიისა და საკუთარი სამშობლოს დამონებაში.

დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკმა - პავლე ლიტვინოვმა აჯანყებულნი სამ კატეგორიად დაჰყო და საიდუმლო საგამომძიებლო კომისიამ ყველა მათგანი სათანადოდ დასაჯა. 1806 წლის 11 აგვისტოს კომისიის ხელმძღვანელი ლიტვინოვი ატყობინებდა გენერალ ნესვეტაევს ამის შესახებ და ითხოვდა ერეკლეს ასულისა და ივანე მუხრანბატონის ქვრივის - ქეთევანის განთავისუფლებაზე ბრძანების გამოცემას. აჯანყებამ დაანახა ხელისუფლებას ქართველი ხალხის დაუმორჩილებლობა და მონურ მდგომარეობასთან შეურიგებლობა.

იმ უამრავი დოკუმენტური მასალის შესწავლა და ანალიზი, რომლებიც კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში, სხვა რუსულ წყაროებშია თავმოყრილი, ასევე რუსული თუ ქართული ისტორიოგრაფიის მდიდარი მასალა, საარქივო დოკუმენტების გაცნობა საბოლოოდ შემდეგ **დასკვნებს** გვაკეთებინებს:

1. 1804 წლის აჯანყება („რევოლუცია“, „ბუნტი“, როგორც რუსი მოხელეები უწოდებდნენ) იყო საყოველთაო-სახალხო, დიდი ომის გმირული ნაწილი, რომელიც ქართველმა ხალხმა რუსეთის წინააღმდეგ გააჩაღა 1802-1832 წლებში;

2. 1804 წლის ბრძოლები არ ყოფილა „გლეხთა აჯანყება“, როგორი დეფინიციაც მას ჰქონდა საბჭოურ ისტოროგრაფიაში, ის იყო ყველა კლასის, სოციალური ჯგუფისა და ეროვნების გამოსვლა რუსეთის დამპყრობლურ-კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად;

3. მართალია, სამეფო კარის წარმომადგენლებმა, ბატონიშვილებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ გამოსვლებში, მაგრამ მათი როლი განმსაზღვრელი არ ყოფილა, ბრძოლების მთავარი ლიდერები ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები იყვნენ, რომლებიც სამეფო კარის წარმომადგენლებს, როგორც ქართული სახელმწიფოს სიმბოლოს, ისე უყურებდნენ ;

4. 1804 წლის ანტირუსული გამოსვლა იყო მასშტაბური, მას, ისევე როგორც 1802 წლის აჯანყებას, ჰქონდა როგორც ლოკალური ბრძოლები, ასევე ფართო, საერთო-ქართული და საერთო-კავკასიური ხასიათი, მიზეზები და მიზნები.

5. აჯანყებულების თავგანწირულობის მიუხედავად, მათ გამარჯვებას ხელს ბევრი რამ უშლიდა: პირველ რიგში, მათი არაორგანიზებულობა, სურსათისა და იარაღის ნაკლებობა, მოწინააღმდეგის საუკეთესო შეიარაღება და სისტემურობა, თანამემამულეთა კოლაბორაციონიზმი და ღალატი და ა. შ.

6. მიუხედავად საბოლოო მარცხისა, 1804 წლის ქართველ მთიელთა ანტირუსული ბრძოლები ეს იყო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი, ერის თავგანწირვისა და დაუმორჩილებლობის, მონობასთან შეურიგებლობის საუკეთესო მაგალითი და ზნეობრივი გაკვეთილი მომდევნო თაობების ქართველი მამულიშვილებისათვის.

თავი III

1810 წლის იმერეთის საერთო-სახალხო აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ

აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ რუსეთი შეეცადა დასავლეთ საქართველოც, კერძოდ, იმერეთის სამეფო, იმპერიის ფარგლებში მოექცია. იმერეთის მეფე სოლომონ II, რომელიც ცხადად აცნობიერებდა შექმნილ ვითარებას და რუსეთის პოლიტიკის მიზნებს, ქართული სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად აქტიურ ბრძოლას შეუდგა. თავისი სამეფოს გაძლიერებისა და გაერთიანების პარალელურად, ის ენერგულად შეეცადა ქართლ-კახეთში ბაგრატიონთა სამეფო ხელისუფლების უფლებებიც დაეცვა. 1802 წლის 4 აგვისტოს სოლომონ II რუსეთის იმპერატორს მიმართავდა: „სახლი მეფობისა საქართველოისა სახლი არს ჩემი, რომლისაცა დაფარვით განცემასა მეფისა გიორგისაგან და დამხობასა სამეფოსა სახლისასა და გამწარებულსა მწუხარებასა მათსა შევრაცხ უბედურებად ჩემდა. შეიწყალეთ ყოვლად-უმოწყალესო ხელმწიფეო სახლი მეფისა ირაკლისა, ფამილია და ძენი მისნი ... რათა მიიღოს მეფობა იულონ მემკვიდრემან საქართველოსამან“ [Акты, 1866, 558].

იმერეთის მეფემ შეიფარა ქართლ-კახეთში რუსული მმართველობის დამყარებით უკმაყოფილო ბატონიშვილები: ფარნაოზი და იულონი, ასევე, ცნობილი სახლმწიფო მოღვაწე სოლომონ ლიონიძე და სხვები. ისინი იმერეთის მოსახლეობასა და სოლომონ მეფესთან ერთად იბრძოდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად.

რუსეთის პოლიტიკა ამ რეგიონში სამეფო-სამთავროებს შორის არსებული პოლიტიკური წინააღმდეგობის ფონზე წარიმართა და მიზნად ისახავდა იმერეთის მეფის მოწინააღმდეგე სამთავროებში ხელისუფლების გაძლიერებას, სამეფო-სამთავროებს შორის დაპირისპირების გაღრმავებას, იმერეთის მეფის დასუსტებასა და მისი სამეფოს დამორჩილებას. რუსეთი მხარს უჭერდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური დაშლითა და სოლომონ II-ის ხელისუფლების დასუსტებით

დაინტერესებულ ძალებს, თავისი პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ იყენებდა იმერეთის მეფის უთანხმოებას სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან.

სამეგრელოს მთავრის თხოვნას მფარველობაში მიღების შესახებ რუსეთის ხელისუფლება აქტიურად გამოეხმაურა. 1803 წელს სამეგრელოს სამთავრო, საშინაო საქმეებში თვითმმართველობისა და გარკვეული „ავტონომიის“ შენარჩუნების უფლებით, რუსეთის ქვეშევრდომი გახდა. სამეგრელოში რუსთა ჯარი შევიდა. რუსეთის მთავრობამ სამეგრელოს მთავარ დადიანს ურჩი თავადები დაუმორჩილა და ისინი იმერეთის წინააღმდეგ ანგარიშგასაწევ ძალად აქცია. სამეგრელოს სახით რუსეთმა საიმედო დასაყრდენი მოიპოვა იმერეთის სამეფოსა და სხვა სამთავროებზე რუსეთის ზეგავლენის გასაძლიერებლად და საბოლოოდ მათ შესაერთებლად.

იმერეთის მეფეზე ზემოქმედების მიზნით, რუსეთმა მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგის - დავით გიორგის ძის ვაჟის - კონსტანტინე ბატონიშვილის გამოყენებაც სცადა, რომელიც სოლომონ II-ის სამეფო კარზე მძევლად იყო. 1803 წელს ქუთაისში პავლე ციციანოვის მიერ გამოგზავნილ მოხელეს ი. ს. ბრონევსკის, სხვა საკითხებთან ერთად, მეფისთვის კატეგორიულად უნდა მოეთხოვა კონსტანტინე ბატონიშვილის გათავისუფლება. 1803 წლის 30 მაისს რუსეთის ხელისუფლების ზეწოლით იმერეთის მეფე იძულებული გახდა ეს მოთხოვნა აღესრულებინა. გათავისუფლებული კონსტანტინე დასავლეთ საქართველოდან თბილისში ჩამოიყვანეს [Акты, 1866, 346].

პავლე ციციანოვისა და სხვა რუსი მოხელეების დამოკიდებულება იმერეთის სამეფოს მიმართ საკმაოდ ქედმაღლური და მომთხოვნი გახდა. სოლომონ II-ის სამეფო ტახტზე ყოფნას რუსეთის ხელისუფლება ვეღარ ეგუებოდა, მით უფრო რომ ვრცელდებოდა ხმები თითქოს იმერეთის მეფე რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა. პავლე ციციანოვი უკმაყოფილო იყო იმითაც, რომ იმერეთის მეფე სამეგრელოს მთავარ დადიანს ავიწროებდა რუსეთთან მოკავშირეობის გამო. ამგვარ ვითარებაში, პ. ციციანოვი რუსეთის მთავრობას მიმართავდა თხოვნით, რომ იმერეთში ტახტის მემკვიდრედ კონსტანტინე ბატონიშვილი გამოეცხადებინათ და ქვეყანა ძალით დაეკავებინათ [ზერძენიშვილი, 1965, 289-290].

იმერეთის დაკავების რეკომენდაცია რუსეთის მთავრობამ გაიზიარა, თუმცა კონსტანტინეს გამეფება ალექსანდრე I-ს არ სურდა, რადგან იმერეთის მეფის

სოლომონ II-ის ჩამოგდების შემთხვევაში, არ აპირებდა იმერეთში ვინმე გაემეფებინა [ვაჭრიძე, 1999, 64].

რუსეთთან ურთიერთობა სოლომონ II-ს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების მიხედვით წარმოედგინა, რუსეთის მფარველობას მისი ქვეყნისთვის დამოუკიდებლობა და სამეფოს გაძლიერება უნდა მოეტანა. მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისში, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, რუსეთის პოლიტიკა ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ შეიცვალა და მისთვის მისაღები აღარ იყო ამ რეგიონში გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენა. ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, იმერეთის მეფის მიერ 1803 წელს რუსეთში გაგზავნილი სოლომონ ლიონიძის დიპლომატიური მისია, რომელიც იმერეთსა და რუსეთს შორის მფარველობითი ხელშეკრულების ამოსავალ წერტილად სწორედ 1783 წლის ტრაქტატს მიიჩნევდა და მისი გაფორმების შემთხვევაში საერთაშორისო აქტად გამოცხადებას ითხოვდა, მარცხით დასრულდა [დუმბაძე, 1973, 854].

განჯის აღების შემდეგ რუსეთის მთავრობამ ციციანოვისგან იმერეთის სამეფოს დაკავება მოითხოვა. ლაშქრობის დაწყებამდე მთავარმმართველმა სცადა ნებაყოფლობით დაეთანხმებინა სოლომონ II თავის შედგენილ „სათხოვარ პუნქტებზე“, რაც იმერეთის მეფისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. სოლომონ II ქვეშევრდომობას იმ შემთხვევვაში დათანხმდებოდა, თუ ლეჩხუმს დაუბრუნებდნენ და მისი მეფობა ხელშეუხებელი დარჩებოდა. შეთანხმება ვერ მოხერხდა ციციანოვისა და სოლომონის შეხვედრის შედეგადაც.

წინააღმდეგობის მიუხედავად, 1804 წლის 25 აპრილს სოლომონ II იძულებული გახდა სოფ. ელაზნაურში დადებული ტრაქტატით რუსეთის ქვეშევრდომობა ეღიარებინა, იმის შემდეგ რაც იმერეთში რუსეთის ჯარი შევიდა და ხალხის რუსეთის ერთგულებაზე დაფიცება დაიწყო. 1804 წლის 4 ივლისს, იმერეთის სამეფოსა და სამეგრელოს სამთავროს ქვეშევრდომობაში შესვლის ტრაქტატები რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე I-ის სიგელით უცვლელად დადასტურდა [Акты, 1868, 780; ორჯონიკიძე, 1992, 34].

ელაზნაურის ტრაქტატით იმერეთის მეფე სოლომონ II რუსეთის სამუდამო ქვეშევრდომი ხდებოდა, მას შეუნარჩუნდა მეფის ხელისუფლება ტახტზე მისი მემკვიდრეების საშვილიშვილოდ დამტკიცების უფლებით, თუ ვაჟი არ მიეცემოდა,

მემკვიდრედ კონსტანტინე ბატონიშვილი იგულისხმებოდა. მეფე რუსი მოხელეების ნება-სურვილის შემსრულებელი ხდებოდა, რადგან პირობას დებდა ყველაფერში დამორჩილებოდა ხელმწიფის მიერ დანიშნულ საქართველოს მთავარმმართველს. სოლომონი უარს ამბობდა სამეგრელოს სამთავროზე. სამაგიეროდ, არ დაკმაყოფილდა გურიის მთავრის მოთხოვნა, რომ რუსეთთან ცალკე ტრაქტატი გაეფორმებინა, დარჩა იმერეთის მეფის მფლობელობის ქვეშ. ამგვარად, გურიის სამთავრო იმერეთის სამეფოსთან ერთად ჩათვალეს რუსეთის ქვეშვრდომობაში მიღებულად. ქვეყნის ადმინისტრაცია და სამართალი მეფის ხელთ რჩებოდა, თუმცა სისხლის სამართლის საქმეებში რუსული კანონებით უნდა ეხელმძღვანელა. იმერეთში მეფის ხელისუფლების შენარჩუნებით რუსეთს საშუალება მიეცა, ამ რეგიონში ჰყოლოდა ჯარი, რომელიც ბინით, გათბობითა და სურსათით იმერეთის მეფეს უნდა უზრუნველეყო, ესარგებლა გზებით, საჭირო შემთხვევაში ხალხის მხარდაჭერით და კავშირი ჰქონოდა ზღვასთან [ბერძენიშვილი, 1965, 303-304; პაიჭაძე, 1973, 189-215; დუმბაძე, 1973, 856].

1804 წლის მაისში იმერეთში რუსეთის წარმომარგენლად პეტრე ლიტვინოვი დაინიშნა, ციციანოვი მას „იმერეთისა და სამეგრელოს მმართველს უწოდებდა“. იმერეთში რუსეთის ჯარების რაოდენობა თანდათან გაიზარდა. ლიტვინოვი სამეფოში ისე მოქმედებდა თითქოს სრულუფლებიანი მმართველი იყო. 1805 წლის 30 აგვისტოს სოლომონ II ციციანოვს წერდა: ლიტვინოვი, მე ქრისტიან მეფეს, უკანონოს მიწოდებს და აცხადებს - ის (ე. ი. - მე) ძველი მეფეა, ახალი მეფე მე ვარო“[Акты, 1868, 442].

1806 წელს ციციანოვის ბაქოში დაღუპვის შემდეგ დანიშნულ ახალ მთავარმმართველის - ივანე გუდოვიჩის - დანიშვნას სოლომონ II გარკვეული იმედებით შეხვდა. მან როსტომ ნიჟარაძის ხელით „სათხოვარი პუნქტების“ ახალი ვარიანტი გაუგზავნა, რომელიც პრინციპულად განსხვავდებოდა ელაზნაურის შეთანხმების პირობებისგან. სოლომონ II რუსეთის ხელმწიფის მფარველობას ითხოვდა. ამ დოკუმენტმა რუსეთში დიდი გაკვირვება გამოიწვია, რადგან მიაჩნდათ, რომ იმერეთის სამეფო დიდი ხანია რუსეთის ქვეშევრდომობაში იყო [ვაჭრიძე, 1999, 74].

უფრო მეტიც, რუსეთის ხელისუფლებას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი იმერეთში მეფობა გაეუქმებინა და იქ რუსული მმართველობა შემოეღო.

1808 წლის 10 თებერვალს მთავარმმართველმა გენერალმა ივანე გუდოვიჩმა (1806-1809 წწ.) იმპერატორის საიდუმლო ბრძანება მიიღო იმერეთის სამეფოს გაუქმების, მეფის, მისი ოჯახის და ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი კონსტანტინეს რუსეთში გადასახლებისა და იმერეთში დროებითი მმართველობის დაწესების შესახებ, რომლის სათავეში რუსი ოფიცერი იქნებოდა, ახალ მმართველობაში ხელმძღვანელ პოზიციაზე ნავარაუდევი იყო ზურაბ წერეთლის დანიშვნა [Акты, 1869, 154].

ამ პერიოდში ტილზიტის შეთანხმებასთან დაკავშირებით რუსეთ-ოსმალეთს შორის დადებული დროებითი ზავის გამო გუდოვიჩმა გადამწყვეტი ზომებისგან თავი შეიკავა. რუსეთის მთავრობა სოლომონის რუსეთში მოტყუებით გაგზავნასაც შეეცადა, თუმცა უშედეგოდ [ჩხეტია, 1940, 45].

გუდოვიჩის გაწვევის შემდეგ დანიშნულმა ახალმა მთავარმმართველმა ალექსანდრე ტორმასოვმა უკიდურეს ზომებს მიმართა იმერეთის სამეფოს გაუქმებისთვის. მისი დავალებით 1810 წლის თებერვალში პოლკოვნიკი თეოდორე სიმონოვიჩი იმერეთში ჯარით შეიჭრა. ქუთაისში გამოქვეყნდა სიმონოვიჩის მიერ შედგენილი პროკლამაციები სოლომონ II-ის ტახტიდან ჩამოგდების შესახებ. ქალაქის მოსახლეობას რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე აფიცებდნენ.

სოლომონ მეფეს მოსახლეობის დიდი ნაწილი, ვისაც სამეფოს დამოუკიდებლობა სურდა, გვერდით ამოუდგა. ტორმასოვი მიხვდა, რომ უძნელესი იქნებოდა მიღებული დავალების ასრულება, რომ იმერლები მტკიცედ იდგნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მხარეს და ადვილად არ დათმობდნენ პოზიციას. მან ისიც კი შესთავაზა საიმპერატორო კარს, რომ დროებით დაეტოვებინათ მეფე, ოღონდ შეზღუდული უფლებებით, მაგრამ იმერეთის ბედი, ისევე, როგორც მთელი საქართველოსი, რუსეთს უკვე გადაეწყვიტა და მის შეცვლას ტორმასოვის რჩევით არ აპირებდა. ამ რთულ პირობებში, როდესაც სოლომონი ისედაც აპროტესტებდა იმერეთში ასეთი დიდი რაოდენობის ჯარის ყოფნას, კიდევ ახალი ნაწილები გადაიყვანეს ქართლიდან ქუთაისში. ამავე დროს მოღალატე ზურაბ წერეთელს დაევალა უზრუნველეყო დადიანისა და მამია გურიელის თანადგომა. „ზურაბ წერეთელმა ამ დავალებას ჩინებულად გაართვა თავი და სოლომონ II-ის მომხრე და

მისი ქვეშევრდომი მამია გურიელი სამთავრობო უფლებების გაფართოების დაპირებით რუსულ ხელისუფლებას გაუერთგულა“ [ორჯონიკიძე, 1992, 67].

მას შემდეგ, რაც დიდძალი ფულის დაპირებით ვერ მოახერხეს იმერლების მოსყიდვა და სოლომონის მოკვლა, ტორმასოვი სიმონოვიჩს ურჩევდა, მოესყიდა სოლომონ ლიონიძე, რადგანაც ეს უკანასკნელი თავისი დიპლომატიური ჭკუა-გონებითა და განათლების წყალობით რუსეთის ინტერესებს წინ ეღობებოდა იმერეთში და სოლომონის პოზიციებს ანმტკიცებდა. ის არ აძლევდა საშუალებას რუსებს მიეტყუებინათ მეფე, ყოველთვის ჭკვიანურ რჩევებს აძლევდა მას. ტორმასოვი წერდა: „განსაკუთრებით ეცადეთ თავად ლიონიძის მიმხრობას, რომელიც როგორც ეშმაკი და გაიძვერა კაცი, მიჩვეულია სხვადასხვა ცვლილებებს, მან 7 მეფეს უღალატა და ფულისა და დაპირებების ხათრით ახლაც იგივეს გააკეთებსო“ [Потто,1906, 78]. „მართლაც არაფერი უნდა ესმოდეს კაცს და არც არავითარი სურვილი უნდა ჰქონდეს ჭეშმარიტების გარკვევისა, რომ ასეთი უკუღმართი წარმოდგენა იქონიოს ადამიანზე, რომელმაც ჯერ აღმოსავლეთ, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოს სამეფოების შენარჩუნება-განმტკიცებას არამცთუ პირადი ინტერესები ანაცვალა, არამედ მთელი თავისი ოჯახის კეთილდღეობაც მასვე შესწირა“, -სამართლიანად წერს ისტორიკოსი ეთერ ორჯონიკიძე [ორჯონიკიძე, 1992, 68].

1810 წლის იანვარში გორსა და სურამში თავი მოიყარა რუსული ჯარის ნაწილებმა, რათა ისინი სიმონოვიჩის პირველი მოთხოვნისთანავე შეეყვანათ იმერეთში. სოლომონს დროის გაყვანა და გაზაფხულამდე დაპირისპირების გადატანა სურდა, ამიტომ ითხოვა ტორმასოვის კანცელარიის უფროს - მოგილევსკისთან შეხვედრა. გენერალ ლეიტენანტი მოგილევსკი დასავლეთ საქართველოში, მათ შორის აფხაზეთში ბრძოლებითა და საქართველოს დაპყრობაში გამოჩენილი დიპლომატიურ-სამხედრო ნიჭით კარგადაა ცნობილი. ამაში მისი სამხედრო რაპორტებითაც დავრწმუნდებით. მოგილევსკი შეხვდა სოლომონს და გადასცა ტორმასოვის მიერ ჩამოთვლილი იმერეთის მეფის „ურჩობანი“ და წაუყენა მას შემდეგი პირობები: 1.სამი დღის განმავლობაში მიეცა მისთვის ამანათი და პეტერბურგში გასაგზავნი დეპუტატები: ბატონიშვილი კონსტანტინე, მალხაზ ანდრონიკაშვილი, სოლომონ ლიონიძე, სეხნია წულუკიძე, ქაიხოსრო წერეთელი და

როსტომ ნიჟარაძე; 2. დაუყონებლივ დაბრუნებულიყო ქუთაისში თავის სასახლეში; 3. დეპუტატების ხელით გაგზავნილ უქვეშევრდომილეს თხოვნაში გამოეთქვა თავისი მადლიერება იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღების გამო, ეთხოვა პატიება და მომავლისათვის რუსთ ხელმწიფის ერთგული ქვეშევრდომობისა და უსიტყვო მორჩილების პირობა მიეცა. თუკი სოლომონ II ამ პირობებს შეასრულებდა , ტორმასოვი პირდებოდა, რომ ის უშუამდგომლებდა იმპერატორთან, რომელიც აპატიებდა მას „დანაშაულს“ და სამეფოს შეუნარჩუნებდა.

გამოცდილი მეფე მიხვდა, რომ ეს მხოლოდ პოლიტიკური ფანდი იყო, ამ პირობების მიღებით ტორმასოვს სურდა მისთვის უერთგულესი ქვეშევრდომების ჩამოშორება და სასახლეში მიტყუება-დაპატიმრება. ამ პირობებს თან ახლდა სიმონოვიჩისთვის გაგზავნილი პროკლამაცია, რომელიც უნდა გამოექვეყნებინა, თუკი მეფე უარს იტყოდა პირობების მიღებაზე. ამასთანავე სასწრაფოდ უნდა შეეყვანა ჯარი იმერეთში.

1810 წლის 10 თებერვალს დაიწყო შეტევა იმერეთზე. პოლკოვნიკმა სტალმა ორი რაზმი გაგზავნა: ერთი სოფელ ალის გზით, მეორე სურამის მიმართულებით. მალე ეს რაზმები ტორმასოვის პროკლამაციებს უკითხავდნენ მოსახლეობას საჩხერეში, სვირში, ქვეშსა და ჩხარში. სოლომონი ცხადდებოდა იმპერატორის ფიცის მოღალატედ, იმერელი ხალხის ორგულად და მშვიდობის დამრღვევად, მოუწოდებდნენ მოსახლეობას დაეფიცათ რუსეთის ერთგულებაზე [Акты, 1870, 219].

რუსების ჯარის მიერ იმერეთის ციხე-სიმაგრეების აღების შემდეგ, 1810 წლის 21 თებერვალს, სიმონოვიჩმა ტორმასოვის სახელით იმერეთის მოსახლეობას ვრცელი მოწოდებით მიმართა, რომლითაც ის იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და ახლო მომავალში რუსული მმართველობის შემოღების შესახებ აცხადებდა: „იმერეთიდან სამუდამოდ განდევნილია მეფე სოლომონი ... ახლა, იმერეთის საკეთილდღეოდ დაარსდება ხალხის მისწრაფებებსა და წეს-ჩვეულებებთან შეხამებული რუსეთის ლმობიერი დროებითი მთავრობა, რომელიც შედგენილ იქნება იმერეთის თავადაზნაურობის საპატიო წევრთაგან, რუსეთის სამხედრო მოხელის თავმჯდომარეობით“ [ჩხეტია, 1940, 45].

სამეგრელოდან ბელევსკის პოლკის რაზმებთან ერთად იმერეთის წინააღმდეგ დაიძრა ლევან დადიანის მილიციის რაზმები, გურიიდან მამია გურიელი და

ლეჩხუმიდან მილიცია ბერი გელოვანის მეთაურობით. მათ დაიკავეს ჯიხაიში და რაჭა. ვარციხეში მყოფი მეფე 4000 კაცით შეტევისთვის ემზადებოდა. სიმონოვიჩმა კიდევ ერთი ბრძანება გამოაქვეყნა, რითაც განიზრახა მისგან ერთგული თავადების ჩამოშორება: ყველას, ვინც მეფესთან დარჩებოდა, ჩამოერთმეოდა ყმები და მამულები და გადაეცემოდა ხაზინას. მეფისთვის გარსშემოსარტყმელად მან ლისანევიჩის რაზმი გააგზავნა ლოსიანთხევზე, რომელიც ხანისწყლის ხეობაში მდებარეობდა. მეფეს სურდა, თუ გაჭირდებოდა ამ ხეობით გადასულიყო ახალციხეში, მაგრამ რუსის ჯარმა და ლისანევიჩის მოულოდნელმა გამოჩენამ მას ეს იმედიც მოუსპო. [Кавказсий сборник,1868, 15]

ქართველების თავგანწირული წინააღმდეგობის მიუხედავად, ძნელი გახდა ორგანიზებულ და კარგად შეიარაღებულ მტრის ჯართან ბრძოლა. ამას ემატებოდა რენეგატი თავადების, პირველ რიგში ზურაბ წერეთლის ღალატი.

იმერეთის ლაშქარი უძლური აღმოჩნდა წინააღმდეგობა გაეწია, რუსეთის რეგულარული ჯარის წინააღმდეგ და ბოლოს წინააღმდეგობა შეწყვიტა. 1810 წლის მარტში სოლომონ II დაატყვევეს. იმერეთის მეფის დატყვევების შემდეგ უზომოდ კმაყოფილი ტორმასოვი რუსეთის იმპერატორს აცნობებდა: „ურჩი ვასალი სოლომონ მეფე დატყვევებულია. გილოცავთ ამ დიდ შენაძენს - იმერეთის უშუალოდ იმპერიის შემადგენლობაში შესვლას. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ღმერთმა მე მარგუნა იმპერატორის ესოდენ რთული დავალების შესრულება“ [Акты, 1870, 245-250].

სოლომონ მეფე ტყვეობაში დიდხანს არ დარჩენილა. 1810 წლის 10-11 მაისს, ღამით ის თბილისიდან გაიქცა. ამ ფაქტს ქართულ და უფრო მეტად რუსულ წყაროებზე დაყრდნობით ასე აღწერს დევიდ ლენგი: „[დაპატიმრებიდან] ორიოდე კვირის შემდეგ მეფემ შინაპატიმრობიდან გაქცევა მოაწყო შემდეგი ხერხის გამოყენებით: მისი ერთგული მსახური იოანე სალარიძე ყოველდღე მტკვარზე დადიოდა წყლის მოსატანად. მეფის რამდენიმე მომხრე, მათ შორის, წერეთელი, ერისთავი და აბაშიძე, სხვადასხვა საბაბით თბილისში ჩავიდა. დათქმულ დროს სოლომონმა მსახურის ტანსაცმელი ჩაიცვა, ვედრო აიღო და ვითომ წყლის მოსატანად გასწია, სწრაფ ბედაურზე ამხედრებული მეფე, რომელიც მისმა მომხრეებმა მიუყვანეს, მალე თურქეთში იყო“ [ლენგი, 2003, 282].

ახალციხეში ჩასულ მეფეს იქ სოლომონ ლიონიძე და მალხაზ ანდრონიკაშვილი დახვდნენ. მეფემ წერილები და პროკლამაციები დაგზავნა იმერეთის მოსახლეობაში, დაპირდა მათ რუსული ჯარის განდევნას საკუთარი ძალებით და სამეფოს განთავისუფლებას. 1810 წლის მოვლენებს იმერეთში სახალხო აჯანყების დაწყება მოჰყვა. იგივე ლენგი წერს: „ამ გაბედული გაქცევით გამხნევებული იმერეთის მოსახლეობა საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ აღსდგა. რუსებსა და იმერლებს შორის ათი გააფთრებული შეტაკება მოხდა" [ლენგი, 2003, 282].

ეროვნული სულისკვეთების საუკეთესო გამოვლინებაა იმერეთის მეფის სოლომონ II-ის პროკლამაციები იმერეთის მოსახლეობისადმი. ახალციხეში გაქცეული მეფე იმერლებს სწერდა, არ წამოგებოდნენ რუსთა დემაგოგიას და იარაღით დაეცვათ საკუთარი მიწა. თორემ (აღმოსავლეთ) საქართველოსავით „დაიღუპებით"-ო. სოლომონი, იმერეთის მოსახლეობას ასე მიმართავდა: „პირველად, ისინიც (ქართლ-კახეთი, ე. კ.) ფიცითა და ოქროთი და ტკბილის სიტყვებით მოატყუეს და დღეს, მკვდარზედაც, სამი მანეთი ხარაჯა დაუდვიათ და ართმევენ; სახლისა და ცოლშვილის უპატიობისათვის მწარედ ოხრავენ და კვნესიან... და რომელნიც დღეს ოქროს იძლევიან, ხვალ, თქვენის სახლის საცხოვრებელსაც წაგართმევენ, დღეს რომ პატივით გეპყრობიან, ხვალ – ყოვლის ქვეყნისაგან უფრო იმერეთში წმინდად შენახულს ცოლ-შვილის ნამუსსა და პატიოსნებას, უპატიოდ გახდიან!" [ჟორდანია, 1967, 475].

სოლომონ II-მ სპეციალური მოწოდებით მიმართა იმერეთის სამღვდელოებასაც, რომელსაც ჯერ კიდევ ჰქონდა ერთმორწმუნე რუსეთის იმედი და სჯეროდა, რომ რუსეთს სამართლიანობა ამოძრავებდა და ბედნიერების მოტანა შეეძლო ქართველი ხალხისთვის. მეფე სთხოვდა დიდი ავტორიტეტის მქონე და პატიოსან მღვდელმთავრებს_ ექვთიმე გენათელსა და სოფრომ ნიკორწმინდელს, ეშუამდგომლათ იმპერატორის წინაშე, რათა დაეტოვებინა ხელმწიფედ და საშუალება ჰქონოდა მის წინაშე ერთგულება გამოეხატა.

1810 წლის იმერეთის სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა ასუსტებდა თვითმპყრობელობას, რომელიც იმავდროულად სპარსეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ ომში იყო ჩაბმული.

სოლომონ მეფის მეთაურობით იმერეთში დიდი ბრძოლა გაჩაღდა. მეფის მომხრე აჯანყებულებმა ივნისის პირველი რიცხვებიდანვე მოწყვიტეს იმერეთი აღმოსავლეთ საქართველოსთან კავშირის დამყარების საშუალებას, რითაც რუსულ სამხედრო ხელისუფლებას არ შეეძლო თბილისიდან დამატებითი ჯარების გადაყვანა ქუთაისში. რუსული ჯარი აჯანყებულებმა მრავალგზის დაამარცხეს [Акты, 1870, 290, 295, 302-308].

გაწყვეტილი კავშირის გამო, ტორმასოვი ინფორმირებული არ იყო იმერეთში მომხდარ ამბებზე. ეს ამბები მან მოგვიანებით ზურაბ წერეთლისგან შეიტყო. როგორც სიმონოვიჩი შესჩიოდა ტორმასოვს, რუსული ხელისუფლების ერთგული მთელ იმერეთში აღარავინ მოიძებნებოდა. „ჩვენ მდგომარეობას ისიც ართულებს, - წერდა ის ტორმასოვს, _ რომ ჭეშმარიტად ჩვენი ერთგული არც ერთი თავადი და არც ერთი აზნაური არ არის, სხვებზე რომ არარაფერი ვთვათ, თვით სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, იმის მაგივრად, რომ შექმნას თავის მომხრეთა პარტია და ხალხზე თავისი გავლენის წყალობით ჩვენ რაიმე სარგებლობა მოგვიტანოს, მიუკერძოებელ მაყურებლის როლში გამოდის და თუ ფარულად არ ეხმარება აჯანყებულებს, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს სასარგებლოს არაფერს აკეთებს“ [Акты, 1870, 278].

ივნისის ბოლოს სოლომონი ახალციხიდან იმერეთში ჩავიდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ჩაუდგა სათავეში. მთელი იმერეთი ფეხზე დადგა, თუმცა იყვნენ გამონაკლისებიც. ზოგიერთი თავადი (ზურაბ წერეთელი, გიორგი წულუკიძე) რუსებს მიემხრო. ამის მიუხედავად, იმერეთის მეფის ჯარმა 10.000 ათასი კაცი შეადგინა. გურია-სამეგრელოდან მას კიდევ 7.000 კაცი მიეშველა. ბრძოლა მაინც არათანაბარი იყო, რადგან იმპერიას გაწვრთნილი სამხედრო კონტიგენტი ჰყავდა; ასევე, რუსები იყენებდნენ მძიმე არტილერიას, სოლომონის ჯარის დიდი ნაწილი კი სამხედრო ხელოვნებას არ იცნობდა და უბრალო გლეხები იყვნენ.

აღმოსავლური ომებისა და გზის ჩაკეტვის გამო რუსული ჯარის მდგომარეობა გართულდა. გაოგნებული სიმონოვიჩი იმერეთში დატრიალებულ ამბებს „საყოველთაო რევოლუციას“ უწოდებდა. იგი ჩიოდა, რომ „იმერლები საყოველთაო რევოლუციის სულით ისე იყვნენ გაჟღენთილნი, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო რომელიმე მათგანის რაც გინდა დაპირების ფასად ჩვენს მხარეზე გადმობირებაო“ [Акты, 1870, 323].

მთავარმართებელმა განწირულ მდგომარეობაში ჩავარდნილი სიმონოვიჩის დასახმარებლად სასწრაფოდ გაგზავნა 2 ბატალიონი გენერალ ორბელიანის მეთაურობით. მისადმი მიცემულ ინსტრუქციაში ეწერა, რომ შეპყრობილი აჯანყებულები უსასტიკესად დაესაჯათ, თავადები ციმბირში გაეგზავნათ, დაბალი წარმოშობის ხალხი კი, სხვების დასაშინებლად, ადგილზე ჩამოეხრჩოთ, გაენადგურებინათ აჯანყებაში მონაწილეთა სახლ-კარი და მამულები, ცეცხლისა და მახვილის ქვეშ მოეთვინიერებინათ მთელი მხარე.

ტორმასოვი უბრძანებდა სიმონოვიჩს, რადაც არ უნდა დაჯდომოდა მოესყიდა მეფის მკვლელები, ვერაგული ხერხები გამოეყენებინა მის წინააღმდეგ. ის ვერაგული ხერხები, რომლითაც ის იმერეთის მამაცი მეფის მოკვლას ბრძანებდა, თითქოსდა „მიმართული იყო კაცობრიობის გადასარჩენად“ [Потто, 1906, 141].

პირველ ხანებში აჯანყებულები წარმატებით უმკლავდებოდნენ რუსეთის რეგულარულ ჯარებს და, მიუხედავად იმისა, რომ თანდათანობით იმერეთში არტილერიითა და ქვემეხებთ აღჭურვილმა 8 ბატალიონმა მოიყარა თავი, დიდ ზიანსაც აყენებდნენ მათ. აჯანყებულები განსაკუთრებით აღაფრთოვანა ალის ხეობაში მოპოვებულმა გამარჯვება, როცა ბნელათხევში მოწყვდეულ მაიორ ტიხოცკის რაზმის დასახმარებლად მოსული გენერალი ორბელიანი მრავალრიცხოვანი ჯარით იძულებული იყო სურამისკენ გაბრუნებულიყო და იმერეთში ახალი შეჭრა ვახანის მხრიდან დაეგეგმა. ბნელათხევის ბრძოლის მეთაურები _ მალხაზ ანდრონიკაშვილი და როსტომ წერეთელი სოლომონ II-ს სიამაყით აუწყებდნენ ამ ბრძოლის ამბავს და ბედნიერებას უსურვებდნენ [Акты, 1870, 332]. „ეს გამარჯვება, მართალია, დიდი მიღწევა იყო, აჯანყებულებისათვის, მაგრამ ის მაინც ერთი ეპიზოდი იყო იმ უკიდეგანო ბრძოლაში, რომელსაც ერთი მუჭა იმერლები აწარმოებდნენ რუსეთის იმპერიის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ“, _ წერს ისტორიკოსი ეთერ ორჯონიკიძე [ორჯონიკიძე, 1992, 77].

რუსებს ახალი დამხმარე ძალები ემატებოდა, სპარსეთისა თუ ოსმალთა მხრიდან დახმარება კი არსად ჩანდა. აგვისტოს ბოლოს ერევნის ხანი ჰუსეინი, რომელთანაც ალექსანდრე ბატონიშვილი იმყოფებოდა, 10 000 კაცით ახალქალაქთან დადგა, აქ იგი ახალციხის ფაშას _ შერიფს და მის ლაშქარს ელოდა. მაგრამ შერიფი ვერ მოვიდა, რადგან ყოველ წუთს ელოდა აჭარიდან სელიმ ხიმშიაშვილის თავდასხმას, ამიტომ

შიშით ადგილიდან ვერ იძვროდა. ტორმასოვმა ისარგებლა ამით, შეადგინა 1000 კაციანი რაზმი და გენერალ პაულუჩის სარდლობით სასწრაფოდ გაგზავნა ჰუსეინ-ხანის დასარბევად, რუსული რაზმი სპარსელებსა და მათთან მყოფ ალექსანდრე ბატონიშვილს ღამით, მოულოდნელად დაესხა თავს და დაარბია. ჰუსეინ-ხანმა და ალექსანდრემ გაქცევით უშველეს თავს. ამის შემდეგ ერევნის ხანსა და ახალციხის შერიფს შორის მტრული ურთიერთობა ჩამოვარდა და რუსეთის წინააღმდეგ მათ შეთანხმებულ მოქმედებაზე ფიქრიც ზედმეტი გახდა. ასე რომ, სოლომონის იმედებს, რომ ორმხრივ ომში ჩაბმული რუსეთი იმერეთისთვის ვეღარ მოიცლიდა, განხორციელება არ ეწერა. რუსის ჯარით შევიწროებული აჯანყებულები თანდათან თმობდნენ პოზიციებს. ბოლოს სოლომონ II ხანისწყლის ვიწრო ხეობაში შეიკეტა. ბევრს ეცადა სიმონოვიჩი მთავარმართებლის ბრძანების შესრულებას, მაგრამ სოლომონი ვერ მოაკვლევინა. აჯანყებულებს მრავალჯერ ჩაუვარდა ხელთ სიმონოვიჩსა და ტორმასოვის მიმოწერა, რითაც მეფემ კარგად გაიგო მთავარმართებლის განზრახვა და ყველა ბრძოლის შემდეგ ოსტატურად ახერხებდა გაცლა-გაუჩინარებას. 25 სექტემბერს კი, უკანასკნელი თავგანწირული ბრძოლის შემდეგ, იმერეთის მეფემ თავისი ამალით დატოვა იმერეთი და უღრანი ტყეების გადალახვის შემდეგ ახალციხეს მიაღწია. აქედან მან ბერძენი არქიმანდრიტი მიუგზავნა ტორმასოვს და დედოფალ მარიამის მასთან გაშვება ითხოვა. ეს სურვილი მას არ შეუსრულეს, პირიქით, ტორმასოვი თავისთან იწვევდა სოლომონს და ხელმწიფე-იმპერატორის პატიებას ჰპირდებოდა. სოლომონმა კარგად იცოდა რუსეთის ნამდვილი ზრახვები, მთავარმართებლის სიტყვების ფასი და არ დაუჯერა მის დაპირებას.

რუსეთმა ნაცად, ქართული არისტოკრატიული ფენების დაპირისპირებას, ერთმანეთზე გადაკიდებას, ტყუილისა და ორპირობის ხერხებს მიმართა. მის მხარეზე გადაიყვანა სამეგრელოსთან ერთად გურიელიც, რამაც მეფის მომხრე აჯანყებულების პოზიციები შეასუსტა. სექტემბრის ბოლოს აქტიური ბრძოლები მიწყდა, სოლომონ მეფე კი იძულებული გახდა ამ დროს თურქეთის შემადგენლობაში მყოფ ახალციხეში წასულიყო. იმერეთი მთლიანად ააწიოკეს. გაჩნდა შავი ჭირი და დაიწყო შიმშილობა [კაკაბაძე, 1997, 78].

ამით დასრულდა იმერეთის აჯანყება და იმერეთის სახელმწიფოებრივ არსებობასაც ბოლო მოეღო. ტორმასოვმა სოლომონის მეუღლე მარიამი, სოლომონის და_ მარიამ ანდრონიკაშვილი _ მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე და მომავალში ცნობილი გენერლის _ ივანე ანდრონიკაშვილის დედა, ასევე თავად მალხაზ ანდრონიკაშვილი თბილისში მიიტყუა, დაპირებები აღარ შეუსრულა და ვორონეჟში გადაასახლა. რუსებმა არ დაივიწყეს ერთგული მომხრეები და ისინი ჩინ-მედლებით და თანამდებობებით დააჯილდოვეს. 1810 წლის 19 ივნისს გურიის მთავარს - მამია გურიელს, იმ დახმარებისათვის, რაც მან რუსეთის ხელისუფლებას გაუწია სოლომ II-ის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხელმწიფის ქვეშევრდომობაზე დამოუკიდებელი ტრაქტატი გაუფორმა [Акты, 1870, 607].

სოლომონი ახალციხიდან ტრაპიზონში გაიხიზნა. დამარცხებული მეფე სიმშვიდეს ვერ ნახულობდა, მან უკანასკნელად სცადა საერთაშორისო დახმარების მიღება, საამისოდ მიმართა ოსმალეთის, სპარსეთისა და საფრანგეთის მთავრობებს, ჯერ ერევანში ჩავიდა, რათა შაჰის დახმარება მიეღო, მაგრამ მას მხოლოდ მცირე ფულადი სუბსიდია მისცეს, შემდეგ დახმარება სულთანს სთხოვა, ქაიხოსრო წერეთელი გაუშვა სტამბულში ოტომანთა კარისა და საფრანგეთის ელჩისთვის წერილების გადასაცემად. 1811 წლის 5 მარტს, საფრანგეთის ელჩი სტამბულში ლატურ-მობური თავის მთავრობას ატყობინებდა, რომ იმერეთის დელეგაცია თურქებმა კარგად მიიღეს და სოლომონს 20-25 ათასიან ჯარს დაჰპირდნენ სამეფოს დასაბრუნებლად“ [ლენგი, 2003, 283]. სოლომონმა ნაპოლეონს პირადი წერილი გაუგზავნა, სადაც დახმარებას თხოვდა რუსეთთან ბრძოლაში. ცნობილი მოვლენების გამო (რუსეთთან ნაპოლეონის მარცხი და მისი მეფობის საბოლოო კრახი) იმერეთის მეფემ (ის სიკვდილამდე თავს მეფეს უწოდებდა) ვერ მიიღო ნანატრი დახმარება და ტრაპიზონში, სრულიად ახალგაზრდა (41 წლისა) 1815 წ. გარდაიცვალა.

იმერეთში რუსული მმართველობა დამყარდა, მაგრამ მხარის სამხედრო მეთაურს, მრჩევლებად (მდივანბეგებად) ქართველი თავადები გაუმწესეს.

აღმოსავლეთ საქართველოსგან განსხვავებით მმართველობის ექსპედიციებად დაყოფა იმერეთში არ მომხდარა, ასევე, არ შექმნილა მაზრები და სამაზრო დაწესებულებები. იმერეთის ოლქი დაიყო ოთხ ,,ოკრუგად“, კერძოდ: ქუთაისის, ვაკის, შორაპნის, რაჭის. მათ განაგებდნენ ოკრუგის უფროსები, რომლებსაც ორ-ორი

თანაშემწე ჰყავდათ. თანაშემწეებად ძირითადად ქართველი თავადები ინიშნებოდნენ. ოკრუგის უფროსი ოკრუგის ფარგლებში ერთპიროვნული მმართველი იყო. თითოეულ ოკრუგში ჯარისკაცთა ასეული და ოცი კაზაკი უნდა მდგარიყო. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული ერთეულების გამსხვილება მოსახლეობის შემცირებამ, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის სირთულემ განაპირობა. ადგილობრივი რუსული ხელისუფლება ქვეყნის მართვისთვის საჭირო კადრების დეფიციტს განიცდიდა. იმერეთის ასეთი ადმინისტრაციული დაყოფა, ფაქტობრივად, 1846 წლამდე, ქუთაისის გუბერნიის შექმნამდე, შენარჩუნდა [ვაჭრიძე, 1999, 113-115].

სამოქალაქო და სახაზინო საქმეები ქართული კანონმდებლობის მიხედვით ირჩეოდა. სისხლის სამართლის, სამხედრო და პოლიტიკურ დანაშაულებს, რუსული სამართლის მიხედვით, განიხილავდა ქუთაისში დისლოცირებულ რუსულ პოლკთან არსებული „სამხედრო-სასამართლო კომისია". მას მხოლოდ სამხედრო დამნაშავეები უნდა გაესამართლებინა. სამოქალაქო პირთა სისხლის სამართლის საქმეები, იმის გამო რომ იმერეთში სისხლის სამართლის პალატა არ არსებობდა, გადაეცემოდა მმართველ სენატს. საქართველოს მთავარმმართველის - პასკევიჩის მითითებით იმერეთის მმართველმა კ.ჰესემ მინისტრთა კომიტეტის წინაშე დააყენა საკითხი, იმერეთში სამხედრო სასამრთლოების შექმნამდე, სამოქალაქო პირთა სისხლის სამართლის დანაშაულიც ქუთაისის „სამხედრო-სასამართლო კომისიას" განეხილა რაც 1829 წლის 26 თებერვალს იმპერატორის მიერ დადასტურდა. თუმცა აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო პირების საქმეებს „კომისია" ადრეც იხილავდა, იმპერატორის დასტური საკითხის მხოლოდ იურიდიული მხარე იყო. ქუთაისის „სამხედრო-სასამართლო კომისიაში" საქმეებს აგზავნიდნენ არა მხოლოდ იმერეთიდან, არამედ დასავლეთ საქართველოს სამთავროებიდანაც. „კომისიას" გამოჰქონდა გადაწყვეტილება სასჯელის ზომის შესახებ, რომელიც წარედგინებოდა იმერეთის მმართველს და საქმე საბოლოო განაჩენის დასადასტურებლად ეგზავნებოდა საქართველოს მთავარმმართველს. „კომისიის" შტატი საკმაოდ შეზღუდული იყო და შედგებოდა: აუდიტორის, თანაშემწისა და ასესორისგან. მუშაობის ელემენტარული პირობების არარსებობის გამო, საქმეები ხშირად ძალიან ჭიანურდებოდა [ვაჭრიძე, 1999, 155-156].

„სამხედრო-სასამართლო კომისია“, როგორც იმერეთის მართვის სტრუქტურის ერთ-ერთი რგოლი, იარაღით დაპყრობილი მხარის ათვისებისა და კოლონიზაციის მიზანს ემსახურებოდა.

ამ პერიოდში, რუსეთის ხელისუფლება კავკასიაში ჯერ კიდევ მყარად არ იყო დამკვიდრებული; იმერეთში რუსული მმართველობის დამყარებას სისხლისმღვრელი ბრძოლები დასჭირდა. წინააღმდეგობა იმდენად დიდი იყო, რომ საქართველოს მთავარმმართველი გენერალი ერმოლოვი აღნიშნავდა: „იმერეთში შექმნილმა მდგომარეობამ, იქ სრული რუსული მმართველობის შემოღების საკითხი ღიად დატოვა, რადგან იძულებული ვიყავით გვეზრუნა მხოლოდ იმაზე, როგორ შეგვენარჩუნებინა იმერეთი“ [Акты, 1874, 607-608].

ამიტომ იმერეთში რუსული მმართველობის შემოღების პროცესი რთულად და სპეციფიურად წარიმართა. რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა მართვა-გამგეობის ქართული ტრადიციული ფორმები დაეტოვებინა, თუმცა, მიუხედავად ამისა, რუსულმა მმართველობამ იმერეთში გაცილებით მკაცრი და გამოკვეთილად სამხედრო-საოკუპაციო ხასიათი მიიღო. იმერეთში დამყარდა გარდამავალი ანუ „დროებითი მმართველობა“, რადგან რუსეთის საბოლოო მიზანი ამიერკავკასიაში „წმინდა რუსული“ მართვა-გამგეობის სისტემის და სამართლის შემოღება იყო; შერეული, რადგან ერთდროულად სამხედრო და სამოქალაქო ხასიათს, ასევე ადგილობრივ და რუსული მმართველობის ნიშნებს ატარებდა. იმერეთის ახალმა მმართველობამ იმდენი უკანონობა ჩაიდინა ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ, რომ ამან მისცა საფუძველი 1819-1820 წლების იმ დიდ აჯანყებას, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს მოედო და იმპერიას ახალი საფრთხე დაანახა.

დასკვნა: 1. იმერეთის 1810 წლის აჯანყება, პირველ რიგში, იყო საყოველთაო-სახალხო და განმათავისუფლებელი ხასიათის, ის არ ყოფილა მხოლოდ იმერეთის მეფის ერთგული ხალხის გამოსვლა, არამედ რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკით აღშფოთებული ხალხის გაბედული ბრძოლა იყო სამართლიანობის აღსადგენად, ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად;

2. მეფისადმი მხარდაჭერა გულისხმობდა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის მხარდაჭერას, რაც ეჭვქვეშ აყენებს ამ მოვლენის შეფასებებს რუსული და ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მიერ, კერძოდ, მის წარმოსახვას სოლომონ მეფის

ტახტისათვის ბრძოლად და არა იმ დიდი ომის ნაწილად, რომელიც ქართველმა ხალხმა გააჩაღა 1802-1832 წლებში;

3. სოლომონ მეფე შეეცადა გამოეყენებინა უცხო ძალებიც ქვეყნის გასათავისუფლებლად (თურქები, ლეკები, უშედეგოდ სცადა ფრანგების გამოყენებაც), თუმცა, როგორც მოსახლეობისადმი მის თავდაპირველ მიმართვაში წერდა, მას არ უნდოდა იმერეთში უცხო ქვეყნის ჯარების შეყვანა. ზოგადად ეს გზა, გამოუვალი მდგომარეობის გამო რომ აირჩია, არ ნიშნავს მის მოღალატურ საქციელს, ან სისუსტის გამოხატულებას, როგორც ზოგიერთი მკვლევარი აფასებს: ისტორიულად მრავალი მაგალითია საკუთარი სახელმწიფოს გადასარჩენად, ქვეყნის ინტერესებისათვის უცხო (მათ შორის მტრული ქვეყნების), ძალების გამოყენებისა და ეს ამ ქვეყნების ისტორიკოსებს არ ჩაუთვლიათ ამ აქტის განმხორციელებელი მეფეების სისუსტედ და ღალატად;

4. იმერეთის მეფემ გააგრძელა თავისი პაპის - ერეკლეს მემკვიდრეების ომი რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც დაარღვია 1783 წლის ტრაქტატი და გააუქმა ათასწლოვანი ისტორიის მქონე ქართული სახელმწიფო;

5. გარდა იმისა, რომ პატარა საქართველოს ერთი კუთხე იმპერიასთან ბრძოლას ვერ გაუძლებდა და ეს ომი წინასწარ იყო დასამარცხებლად განწირული, ხალხი მაინც არ შეშინდა, თამამად ჩაება უთანასწორო ომში და ბევრმა თავი გაწირა ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის;

6. რუსეთის გამარჯვებას ხელი შეუწყო რთულმა საერთაშორისო და საშინაო პირობებმა: აღმოსავლურ ომებში მეზობელი თურქეთის და სპარსეთის ჩართულობამ (მათ არ ეცალათ საქართველოსთვის), ნაპოლეონის მზადებამ რუსეთის წინააღმდეგ, ქვეყნის შიგნით ფეოდალურმა სეპარატისტულმა ტენდენციებმა და დაშლილობამ, რაც კოლაბორაციონიზმსა და რენეგატულ საქციელს მომგებიანად სახავდა.

თავი IV

1812-1813 წლების ანტირუსული აჯანყება კახეთში

§1. აჯანყების ისტორიოგრაფია, მიზეზები, მიზნები და ხასიათი

1804-1813 წლებში რუსეთის ომებმა სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ საქართველოს მოსახლეობა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. მას ევალებოდა რუსეთის არმიის მომარაგება სურსათ-სანოვაგით, რაც ხალხს მძიმე ტვირთად დააწვა. სიმშვიდის ნაცვლად, რუსეთმა მრავალრიცხოვან აღმოსავლურ ომებში ჩააბა ქართველი ხალხი და მრავალჯერ მისი მიწა-წყალი საომარ არენად აქცია. ომსა და უბედურებას ერთვოდა შავი ჭირი და მოუსავლიანობა, რასაც ასევე ბევრი ადამიანი ემსხვერპლებოდა.

ახალმა, მძლავრმა შეიარაღებულმა აჯანყებამ 1812 წელს იჩინა თავი.

კახეთის აჯანყების შესახებ ძვირფას დოკუმენტურ მასალებს გვთავაზობს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების IV და V ტომები, რუსი სამხედრო ისტორიკოსის - პოტოს ნაშრომი „რუსთა მფლობელობის დამკვიდრება კავკასიაში“. პოტოს თხზულება - „ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ისტორია საქართველოს ფარგლებში (1809-1812)“, სადაც კარგადაა ასახული ის დაუნდობელი ბრძოლა, რაც რუსებმა გაუმართეს საქართველოს, კერძოდ, კახეთისა და კახეთის მთიანეთის მოსახლეობას [ჭუმბურიძე, კიკნაძე, ქოქრაშვილი, სარალიძე, 2016, 381].

კახეთის აჯანყების შესახებ გადმოგვცემს: დავით ბატონიშვილის „მასალები საქართველოს ისტორიისათვის, 1744-1840“, [ბატონიშვილი, 1906], ალექსანდრე ჭავჭავაძის - „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე“ [ჭავჭავაძე, 1940], ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძე) - „ამბოხება კახეთისა 1812 წელს, ისტორიული ამბავი“ [ფრონელი, 1907], აბელ კიკვიძის „გლეხთა აჯანყება 1812 წელს“ [კიკვიძე 1941], ნიკო ბერძენიშვილის [ბერძენიშვილი, 1965],ოლგა მარკოვას [Маркова, 1951], ჩუდინოვის [Чудинов,1951], შოთა ხანთაძის მიერ გამოცემული კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტები [დოკუმენტები, 1999], ნიკო ჯავახიშვილის „გრიგოლ I, უკანასკნელი ქართველი მეფე“ [ჯავახიშვილი, 2008], და სხვ. ნაშრომები.

ყველა აჯანყება, 1802 წლიდან 1832-მდე, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას ისახავდა მიზნად და, ამდენად, საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენას გულისხმობდა. ამიტომ, ბატონიშვილებს დიდი როლი ჰქონდათ ამ გამოსვლებში. უმეტესად, ალექსანდრე ბატონიშვილის გამეფება იყო ხალხის სურვილი. ერეკლეს ვაჟმა ხალხის სიყვარული და პატივისცემა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი უკომპრომისობითა და გაბედული ბრძოლით მოიპოვა. ალექსანდრე ფრონელი მის შესახებ წერს: „„დაუძინებელი მტერი რუსეთისა, ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი ალექსანდრე ერეკლეს ძე სპარსეთის საზღვარზე იდგა და ელოდა მოხერხებულს დროს შემოსეოდა საქართველოს სპარსელთა მხედრობით და ან სულ გაეწყვიტა რუსის ჯარი, ან გადაერეკა კავასიის უღელტეხილს იქით. ბატონიშვილის წერილებით სავსე იყო საქართველო. ერთგულნი მხლებელნი როგორღაც უსხლტებოდნენ რუსის დარაჯებს და მრავლად აბნევდნენ მის პატარა ლაკონურ ბარათებს. სიყვარულით აღსავსე წერილები გულს უთუთქავდა ქართველობას და აძულებდა რუსობას. ასე გასინჯეთ, დაღესტანი, რომელიც ჩვენის მოყვრობით თავს ვერ გამოიდებს, ისიც კი მზად იყო ხელი შეეწყო ტახტის მაძიებლისათვის და ბევრჯერ გაუწევია მასპინძლობა ალექსანდრესთვის. ტანჯვა-ვაებამ და კაეშანმა, დაუსრულებელმა წოწიალ-ხეტიალმა მთასა და ბარსა, შინ და გარეთ, ზღაპრულ გმირად გარდაქმნა ბატონიშვილი ალექსანდრე ქართველთა და მთიულთა თვალში, ტუჩმოკუმული სახე სამეფო მომთაბარესი შეიმოსა შარავანდედით და სადაც კი მივიდოდა ხოლმე, იქ უსათუოდ ამბოხება იფეთქებდა ხოლმე რუსობის წინააღმდეგ“ [ფრონელი, 1907, 9].

1812 წელს კახეთის მოსახლეობაში საეგზეკუციო სამხედრო რაზმები ჩააყენეს. რუსი მოხელეები ძალის გამოყენებით ჰკრეფდნენ სასურსათო გადასახადს, ჩადიოდნენ თვითნებობა-უსამართლობას. – „მეკითხები, - სწერს არქიეპისკოპოსი სტეფანე რუსთაველი მარკიზ პაულუჩის, - რა იყო მიზეზი კახეთის ღრევა-ამბოხებისაო, - მღვდელმთავრული ფიცითა ვარ შეკრული, დაწვრილებით ვერ აგიწერ იმ ტანჯვა-ვაებას, რაც კახელობამ გამოიარა, მაგრამ მაინც, რამდენადაც ჩემი გონება მისწვდება, მოგახსენებ...“ მოახსენებს და აღწერილ სურათს საბოლოოდ სულ სამი სიტყვით აჯამებს :„Великая народная скорбь“. მართლაც, დიდი ეროვნული უბედურება დატრიალდა კახეთში: ძარცვა-გლეჯა, შეურაცხყოფა, დამცირება, რისი ატანაც ადამიანს არ შეეძლო. „სიტყვით არ ითქმის და კალმით არ დაიწერება, თუ რა

სასოწარკვეთილებას ეძლეოდა ერი ამის მნახველი და ამის გამგონე", აღნიშნავს ცარიზმის ხანის ქართველი ისტორიკოსი ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე) [ფრონელი, 1907, 42].

არქიეპისკოპოსს გარდა, საქართველოს მარშალ გენერალ-მაიორ თამაზ ორბელიანსაც დაეკითხა პაულიჩი აჯანყების მიზეზებზე, ვითომ არ იცოდა და ვერ ხვდებოდა სინამდვილეში რა ვითარება ტრიალებდა ახლადდაპყრობილ ქვეყანაში. მანაც ჩამოუთვალა ეს მიზეზები, თან ისიც მოახსენა: შეუძლებელია თქვენს წინამორბედს, გენერალ ტორმასოვს ეს ყველაფერი არ სცოდნოდა, რადგან მრავალჯერ მოხსენდა, მაგრამ უსულგულო ადამიანი იყო და არ ისმენდაო.

გუბერნიის მარშალი გულწრფელი მოხსენებისთვის პაულუჩიმ დააპატიმრებინა, მიზეზად მოვალეობისადმი გულგრილობა დაუსახელა. ხელმწიფე-იმპერატორის წყალობითა ხარ სავსე, არ მეგონა, თუ ასეთ უმადურობას გამოიჩენდიო, - საყვედურობდა პაულუჩი [Акты, 1873, 83-84].

აჯანყებას უამრავი მიზეზი ჰქონდა: სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, საკუთარი შელახული ეროვნული თავმოყვარეობის აღდგენის სურვილი და ა.შ.

ხალხმა გადაწყვიტა დამპყრობლების წინააღმდეგ იარაღით გამოსულიყო. აჯანყების ხელმძღვანელებმა სცადეს კახეთში დაწყებული მოძრაობისთვის საერთო-ქართული და საერთო-კავკასიური მასშტაბი მიეცათ.

აჯანყების მიზეზები მოხელეების საშინელი მოქმედებების გარდა, შიმშილობაც იყო, რომელიც 1812 წელს ჩამოვარდა კახეთში. დავით ბატონიშვილი ასე აგვიწერს ამ პერიოდს: „წელსა ამას 1812, „-ნს ფ. იქმნა ფრიად სიყმილი საქართველოსა შინა და იმერეთსაცა და ჭირიცა ფრიად განგრძელებულიყო, რომელიცა ტორმასოვმა შთამოიტანა ახალციხით, და ოდეს არღარა აქვნდათ პური მცხოვრებთა და ვერ ძალი იდვეს მოსყიდვად, ნაცვლად პურისა ევედრებოდნენ მცხოვრებნი, რათა მიიღონ დედაწულნი მათნი, მაშინ ტირანმან მარკიზმან ჩაუყენა ყველა სოფელსა ეკზეკუცია (ესე იგი იასაულად სალდათნი) და იყო ჭირვებაი და ვალალებაი ერთა ზედა" [ბატონიშვილი, 1941, 9].

პურის ფასმა აიწია და ოქროს ფასადაც კი აღარ იშოვებოდა. ხალხი ბალახ-ბულახს ჭამდაო, - გადმოსცემენ წყაროები. მოსახლეობის საშინელ მდგომარეობას გადმოსცემდა რუსი კაპიტანი და სამხედრო ისტორიკოსი ანოსოვიც.

„ისეთი განწყობილება ჩამოვარდა ქართველებსა და რუსის მხედრობას შორის, - რუსულ სამხედრო ისტორიოგრაფიაზე დაყრდნობით, წერს ალექსანდრე ფრონელი, - რომ გეგონებოდა, ჯარი საქართველოს საპატრონოდ კი არა, ასაკლებადაა მოსულიო. არც სალდათი, არც აფიცერი ქართველს არ ინდობდა, და სადაც კი შესაძლებელი და მოსახერხებელი იყო, თავში უბრაგუნებდა, მასხარად იგდებდა, დოვლათს სტაცებდა და გარყვნილების მორევში აბანავებდა. ჯერ ისევ გენერალი ლაზარევი სჩიოდა 1802 წელსა და ღონეს ღონობდა ეგება როგორმე მოვაშლევინო ჯარს მკვიდრის დაწიოკება-განადგურებაო. ოფიცრები, მარტო ჟინით გატაცებულნი, ითხოვენ საზეგრო ცხენებსა და ურმებს, შაურს არ აძლევენ პატრონებს და ამით ოჯახს უღუპავენო. სალდათები პირადად შეურაცხყოფას აყენებენ მცხოვრებლებს, სტაცებენ საქონელს, ფრინველსა და ხილს, ანადგურებენ ბოსტან-ბაღჩებს, ვენახებს, ღვინოს რომ დალევენ, ქვევრებს მიწით ავსებენ, იქამდე მიდის მათი უგუნურობა, ავზნიანობა და სიგიჟე“ [ფრონელი, 1907, 29].

კახელი გლეხების ცხოვრების სურათებს ასახავენ საარქივო დოკუმენტები, რომლებიც მოსახლეობამ წარუდგინა ხელისუფლების წარმომადგენლებს და დეტალურად აღუწერა მოხელეების მოქმედება, თავიანთი გაუსაძლისი მდგომარეობა. ხსენებული დოკუმენტები მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში იყო დაცული. ის საქართველოდან წასვლამდე მთავარმართებელმა მარკიზმა პაულიჩმა შეკრიბა, როდესაც აჯანყების გამომწვევი მიზეზების შესწავლა დაიწყო. პაულიჩმა ამ საკითხის შესწავლა-გამოძიება დაავალა მაზრების თავადაზნაურთა მარშლებს, თელავისა და სიღნაღის მოურავებს _ სოლომონ ავალიშვილსა და იოსებ ანდრონიკაშვილს, სამღვდელოების წარმომადგენლებს. მათ დიდი შრომა გასწიეს და მთავარმართებელს 20-ზე მეტი საჩივარი მიართვეს. ბევრ სოფელში ჩვენებების მიცემაზე უარი თქვეს. როდესაც პაულუჩი გაათავისუფლეს, რტიშჩევმა შეწყვიტა საგამომძიებლო კომისიის მუშაობა და შეგროვილი დოკუმენტები გადაუგზავნა რუსეთის სამხედრო მინისტრს _ გორჩაკოვს. ეს მასალები მე-19 საუკუნეშივე გამოიყენა ა. მიხაილოვსკ-დანილევსკიმ, რომელმაც საიმპერატორო კარის დავალებით დაწერა ნაშრომი 1804-1813 წლების რუსეთ-ირანის ომზე. რუსმა ავტორმა ხსენებული დოკუმენტების რუსული თარგმანები შეიტანა წიგნში, ქართული დედნები კი, რომელიც ამ სამინისტროს

არქივში დარჩა, ამ არქივში მუშაობისას გადმოიწერა ისტორიკოსმა, პროფესორმა შოთა ხანთაძემ. ის წიგნად მხოლოდ 1999 წელს გამოიცა, რადგან საბჭოთა პერიოდში დოკუმენტების გამოცემის უფლება მეცნიერს არ დართეს.

მოვიტანთ აღნიშნული დოკუმენტებიდან ერთს, - 1812 წლის 15 მარტის მოხსენებას, რომელიც სიღნაღის მაზრის სოფელ ახაშნის მკვიდრთ გადაუციათ მაზრის მოურავის - იოსებ ანდრონიკაშვილისათვის;

„თქვენის ბრწყინვალებისაგან გამოგვეცხადა ბრძანება - რომლის მიზეზით მოხთა ეს შფოთება ან საიდამ დაიწყოვო. შფოთი დაიწყო ზემოთ თიანეთიდამ. ჩუენც ვეღარ მოვითმინეთ ამდენი უსამართლოება. ციციანოვის შემდგომად ერთი დღე განსუენება და მშვიდობა არ მოგვცეს. ამგვარმა მწუხარებამ აღგვძრა ჩუენც, რადგანაც სხვა წამალს ვერა ვპოვებდით, ღვთის სახელით ვფიცავთ, რომ არ მოგვსვლია ორგულობითა, მაგრამ იმედგარდაწყვედილნი ვიყავით, ვირჩივეთ ერთხელ სიკვდილი, ვინამც ამგვარი სიცოცხლე. ღუდოვიჩის დროს ჩვენი სამკვიდრო მამული სადავო გაგვიხადეს, ველისციხელთ სამართალში, დროზე სამართალი არ გვიყვეს, ველიციხელთ გუთნები შემოიტანეს, ხვნა დაუწყეს. ჩვენს მამულში საბძლები ჰქონდათ ნათხოვრათ, მივედით, ის დავსწვით და გამოვეცალენით. გამოგვიდგნენ, მოგვასწრეს, ჯარი გვიყვეს დასახოცათ, ვეხვეწენით, არ მოგვეშვენ, ერთმანეთში სისხლის აღრევა მოგვიხდა. ჯარი ჩაგვიდგა, რაც რამ გვებადა, სულ აგვიკლეს. ჩვენ გადავსცვივდით მთაში და ღრეში. მრავალს მანდილოსანს მუცელი მოსწყდა შიშით. მემრე კიდევ სამი წელიწადი ხუთი კაცი ქალაქს ვეყარენით სამართალში, ხარჯი მოგვივიდა, ორასი თუმანი მეტი ჯარიმაც გამოგვართვეს, ორმოცდათორმეტი თუმანი და ორი მინალთუნი გადაგვიწყვიტეს. გადაწყვეტილის მამულიდამ ღრაფმა სთხოვა მის უწმინდესობას ორას ორმოცდა ათი საჯენი. სამაგიერო მიეცემათ ახაშნელთაო და გასულნი კაცნი ვინც არიან, იმათაც თავიანთ სახლში განისვენონო. არც შეგვირიგეს, არც სამაგიერო მოგვცეს, ღამით ჯარიც თავს დაგვაყენეს, თითო კაცი ხუთას კაცში ხუთჯერ გაატარეს იმ ღამით. მეორე დღეს აგვიკლეს. ის მამულიც დაკარგული გვაქვს. ამთვენი მწუხარებაც გადაგვხდა. მეფის დებულება იყო კომლზე სამი კოდი. უფასოთ ვაძლევდით, მაგრამ სალდათები რომ გამოგზავნიან შესატყობნებლათ, აგვიკლიან ქათმით, პურით, ღვინით და სხვა ხორაგით. დღეში ანგარიში არ ჰქონდათ იმათ პურის ჭამას, მთვრალები ეყარნენ, მრავალს გვცემდენ, ესეც გვითხრიან: თქვენი

ცოლები მოგვგვარეთო. პურს გვთხოვდენ კოდს ექვს აბაზათ. ჩვენ ვყიდულობდით ოთხ მინალთუნათ, არ გვიბრუნებდენ, რომ არ გვქონდა, მალე, მალეო, დაიძახიან. ვიტყოდით _ მოდით, თავები დავიხრჩოთ, სხვა ნუგეში არა ვიცით რა. სამართალში რომ მივედით, ჩვენვე ავად მოგვეკიდიან. ბეგარა იყო ხარით, ურმით, აკლებული ვიყავით. დასასრული არ ჰქონდა იმათ ბეგარას, აღარც ხარი შეგვრჩა, აღარც ურემი, არც საცალო. ასე გაგვიწყვიტეს, რომ საბნებს ნაბდებს ვკერამდით, იმით ვზიდამდით, როცა ზამთარში ჯარი ჩაგვიყენიან, აკლებული ვიყავით, ძალათ ხელი მოგვაწერინიან, ფასი მოგეცითო. შიშით ხმა ვერ ამოვიღით და მოვაწერით. ოთხმოცი ხარი შემოგვიყარეს დაცვივნილები, მოკვდა ოცდასამი ხარი, თითოში თხუთმეტი მინალთუნი წაგვართვეს. თივას გვართმევდენ, ყარაღაჯში გვაზიდვინებდენ, არც იმაში გვაძლევდენ ფასსა, რომელი ერთი მოვიგონოთ იმათგან შეწუხება, ამ ვაებაში ვიყავით და მწუხარებაში.

დაიწერა მარტის იე ფ. [დოკუმენტები, 1999, 24-25].

სოფელ ბოდბის მცხოვრებნიც ანდრონიკაშვილს თავიანთ გასაჭირს დაუფარავად უწერდნენ. აქედან ჩანს, რა ტვირთი დაადგა ქართველ ხალხს მფარველად და მშვიდობისმყოფად შემოსულმა იმპერიამ. გარდა ძარცვისა, წართმევისა, ცოლებისა და ქალიშვილების ნამუსის ახდისა, უზარმაზარი ტვირთი გადადიოდა ქართველთა მხრებზე აღმოსავლური ომების დროს. აი, ანაგელ გლეხთა წერილიდან ადგილი: „ფოთის ქალაქში ზურგით მივიტანეთ სურსათი, ურმები რომ ვერ მიუდგა. ოსმალშიგა დავყავით თხუთმეტი ურმით და რაც იქ ხარი იყო, ერთიც აღარ მოვიდა, და რაც მეხრე იყო, ნახევარი იქ დარჩა და რაც მოვიდა, ისიც დამძრალი. და ამის გარდა, როცა ხელმწიფის ჯარი ომობდა, ჩვენც სურსათი გვიზიდნია: გუმრს, განჯას, ერევანს და საცა საომრად მიდიოდნიან, ჩვენც თან სურსათი გვიზიდნია. და კიდევ ყარაულათ დავდევდით და ჯარითაც და როგორც ესენი იხოცებოდნენ და სისხლსა ღვრიდნენ, ჩვენც ისე ვიხოცებოდით ხელმწიფის ერთგულებისათვის... პურსა, ღვინოსა და საკლავების გარდაცემა და აკლება მეტი იყო...“ [დოკუმენტები, 1999, 26-27].

საინტერესოა კახელ გლეხთა მდგომარეობის აღწერა საჩერქეზიშვილოს მოხსენებიდან პაულუჩისადმი:

„...რომელნიცაღა ჩვენის მეფეებისაგან ხარკი გვერთმეოდა, იგიცა უნაკლულოდ გვართვეს როსიის ერთმთავართა და სხვა მომატებული მწუხარებანიცა მრავალი მოგვივლინეს,

პირველი, რომ ვახტანგ მეფის კანონზედ უნდა ვყოფილიყავით და სამართალიც ისე ესაჯათ, და არ დაგვაყენეს ამ კანონზედ. მეორე, რომ იყო ბრძანებული ხელმწიფისაგან, რათამცა გვეხნა, გვეთესა და გვემუშაკნა, ხარი, ურემი და კაცი სულ ყოველთვის ბეგარას მოუნდა და საკმაოდ ვეღარცა ვხანით და ვეღარცა ვთესეთ. მესამე, რომ გვიცხადებდა მანიფესტი ნივთისა, საქონლისა, ყმისა და მამულის დაცვასა და თავის უფლად ყოფნასა, ჩვენი მამულნი მხედრობამ დაიპყრა, აღარ გვახვნევინა ჩვენს მამულში და აღარც გვათესინა და აღარც ჩუენნი საქონელნი შინ საძოვნელად გაატარა და ეგრეთვე ჩუენნი ყმანი მათს ბეგარას ვერ აუვიდენ და ამის გამო ვიქმენით გაღარიბებულ უძლიერეს პირუელისა ჟამისა და კუალად რაიცა გვექმნებოდა საჩივარი და სალაპარაკო, უნდა ვყოფილიყავით სასამართლოსა შინა სამი-ოთხი წელიწადი, რაზედაც ვსჩიოდით იმისი ფასი დაგვეხარჯის მოსამართლეებზედ და სამართლის მოცემა არსად იყო; ამის გამო, რაიც სიმართლის საჩივარი გვექნებოდა, ჩივილს ვეღარ ვბედავდით...“ [დოკუმენტები, 1999, 120-121].

ამას მოსდევდა დეტალებში, პუნქტებად აღწერილი უსამართლობა, რაც ისეთი ძალადობის შემცველია, რომ მსგავსი, ყოველ შემთხვევაში უფრო მეტი ძალადობა, არცერთ იმპერიულ და კოლონიალურ ძალას არ ექნება ჩადენილი. არადა, დღესაც ხშირად გაისმის რუსეთის მიმართ, მისი კოლონიური პოლიტიკისადმი შემწყნარებელი ფრაზები. ისტორიამ თითქოს ამოშალა ის ფურცლები, რაც საწინააღმდეგოს ამტკიცებს, რასაც უამრავი ქართველის სიცოცხლე ეწირებოდა კავკასიაში მისი შემოსვლის დღიდან.

კახელი გლეხების ცხოვრების საშინელ სურათებს აღწერდა პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძეც იმპერატორ ნიკოლოზ I-ისადმი წარდგენილ მოხსენებაში.

კავკასიაში რუსული ჯარის ოდენობა 1812 წელს 28 ათასს აღწევდა. მართალია, რუსეთი ჯარის ოდენობას ზრდიდა, მაგრამ ანტირუსული აჯანყებები იმდენად ბევრი და მიმე იყო, რომ ეს ჯარიც არ იყო საკმარისი სრული წესრიგის დასამყარებლად. ამას ჯარისკაცების უწესრიგობა, ადგილობრივი მოსახლეობისადმი აგდებული დამოკიდებულება, უსამართლობა ემატებოდა. რასაც ისინი ყოველდღიურად

ჩადიოდნენ, ზრდიდა ხალხის უკმაყოფილებას. მთავარმართებელი რტიშჩევი, რომელმაც პაულუჩი შეცვალა, იმპერატორს მოახსენებდა, რომ კახეთში დაბანაკებული ნარვის პოლკის შეფის - პორტნიაგინის სახელის ხსენებაზეც კი კახელი გლეხები ზიზღს ვერ მალავენო. ასეთივე დამოკიდებულება იყო ყაბარდოს პოლკის მიმართ, რომელსაც რუსი სამხედრო ისტორიკოსი პოტო ხოტბას ასხამდა. თვით რუსმა ავტორმა - ზისერმანმა ვერ აუარა გვერდი ამ ფაქტს, რომელმაც 5-ტომიანი ნაშრომი მიუძღვნა ყაბარდოს პოლკის ბრძოლების ასახვას [Зиссерман, 1881].

ისტორიკოსი **ოლგა მარკოვა თავის მონოგრაფიაში - „აჯანყება კახეთში 1812 წელს“** ასევე ამახვილებს ყურადღებას რუსი ჯარისკაცების უზნეობასა და მრუშობაზე და წერს, რომ ქვეყანაში, სადაც კანონმდებლობა სასტიკად ებრძოდა უზნეობას, იმდენად მკაცრად იცავდა ზნეობას და ოჯახის პატიოსნებას, რომ „პატიოსნების შემლახველი ბატონის მოკვლის შემთხვევაშიც გლეხს სიკვდილით არ სჯიდა, ქვეყნის დასაცავად შემოსული ჯარის მიერ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ოჯახის შეურაცხყოფა-შეგინება განსაკუთრებით მტკივნეული და ძნელად ასატანი უნდა ყოფილიყო ქართველი გლეხისათვის“ [Маркова, 1951, 149].

საგზაო-საურმე ბეგარასთან ერთად, გლეხს მძიმე ტვირთად აწვა ე. წ. „პურის იძულებითი გაწერა“, ანუ ხელისუფლების მიერ დაწესებულ ფასებში ჯარის გამოსაკვებად საჭირო პურის იძულებითი შესყიდვა. ხელისუფლების მიერ დაწესებულ ფასები საბაზროსთან შედარებით დაბალი იყო, გლეხებს უკანასკნელ ლუკმას ართმევდნენ, მეურნეობის წარმოების ხალისს უკარგავდნენ, სამართლის ძიების სურვილს უსპობდნენ. ანკი, რა სამართალზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როდესაც კანონიერების სადარაჯოზე მყოფი უმაღლესი მოხელე, პროკურორი პლახოტინი თვითონ ჩადიოდა უკანონობას და ებრაელებთან შეთანხმებული, მაგარი სასმელებით ვაჭრობდა. შექმნილი მდგომარეობის შესახებ მოსწრებულად წერდა ალექსანდრე ფრონელი: „თორმეტი წლის უსამართლო მართვა-გამგეობამ და დარბევამ საქართველო ააოხრა, გაატიალა. ძველი წესი და ჩვეულება მილეწ-მოლეწა და მის ნანგრევებზე ისეთი შენობა ააგო, რომ პირუტყვს არ შეესვლებოდა შიგა“ [ფრონელი, 1907, 83].

კახეთის აჯანყების **ხასიათსა და მიზნებზე** სწორი შეხედულებებია გამოთქმული ნ.ბერძენიშვილისა და ალ. ბენდიანიშვილის ნარკვევებში. მათი აზრით, მიუხედავად

ერთი შეხედვით სტიქიური ხასიათისა, ის იყო კარგად ორგანიზებული, დიდი ხნის ნაფიქრი გეგმა-პროგრამით აღჭურვილი აჯანყება და მისი ხელმძღვანელები გამოცდილი, ეროვნული იდეებით აღვსილი პიროვნებები იყვნენ [ბერძენიშვილი, 1965, 432; ბენდიანიშვილი, 1980, 66-71].

კახეთის აჯანყების შესწავლა, მიუხედავად მის შესახებ შექმნილი სამეცნერო ნარკვევების სიმრავლისა, კვლავაც გრძელდება. ეს ნამდვილი სახალხო ომი იყო დამპყრობელი რუსეთის წინააღმდეგ, რომელშიც უბრალო ფენებთან ერთად, არისტოკრატიის დიდი ნაწილიც იღებდა მონაწილეობას.

§ 2. კახეთის აჯანყების დაწყება და მიმდინარეობა

1812 წელს პირველი ანტირუსული რაზმები თიანეთსა და ახმეტაში ჩამოყალიბდა. 2 თებერვალს თელავსა და სიღნაღს შორის ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი იყო. იმავე დღეს სიმონ ბებურიშვილისა და ივანე მაყაშვილის ხელმძღვანელობით აჯანყებულებმა თელავი ჩაიგდეს ხელთ. 50 კაცამდე რუსულმა გარნიზონმა კომენდანტ შმატოვის მეთაურობით ძლივს მოასწრო თელავის ციხეში გამაგრება. გენერალ პორტნიაგინის მიერ თელავის საშველად გაგზავნილმა რაზმებმა ქალაქს ვერაფერი უშველეს. აჯანყებულებთან ბრძოლაში ამ რაზმების თითქმის ნახევარი დაიღუპა. დანარჩენმა ძლივს გაიკაფა გზა და მიაღწია ციხეს, სადაც 300-მდე რუსი ჯარისკაცი, კახელების მიერ ალყაშემორტყმული, თითქმის განწირულნი, 32 დღის მანძილზე სავსებით მოწყვეტილი იყო გარესამყაროს [Акты, 1873, 67, 82].

5-7 თებერვალს მეამბოხეებმა ძმების - სიმონ და ადამ ბებურიშვილების, ნინია ანდრონიკაშვილის და ოთარ ქობულაშვილის მეთაურობით აიღეს სიღნაღი, კოდალოს (ქოდალოს - ე.კ.) ციხე მოაქციეს ალყაში, დაამარცხეს ბოდბისხევში მდგარი ყაბარდოს პოლკი. სახალხო ლაშქარმა გაანადგურა რუსული საგარნიზონო რაზმები ანაგაში, კაკაბეთსა და მანავში; სოფელ ანაგაში აჯანყებულებმა ხელთ იგდეს კაზაკთა პოლკის ბინა. შეტევა იმდენად გააფთრებული იყო, რომ კაზაკთა პოლკიდან მხოლოდ ესაული კუზნეცოვი და რამდენიმე კაზაკი გადარჩა. აჯანყებულებმა დაამარცხეს საგარეჯოში მდგარი კახეთის ოლქის უფროსი გენერალი პორტნიაგინი და აიძულეს

ის თავის ჯარის ნაშთებთან ერთად თბილისს გაქცეულიყო. 1200 კაციდან მას 261 კაცი დარჩა. ფაქტობრივად, ამ ბრძოლების შემდეგ, კახეთში რუსის ჯარი აღარ დარჩა.

აჯანყების ცეცხლი ენთო ხევში, დუშეთსა და ფასანაურში, საქართველოს სამხედრო გზა აჯანყებულებმა გადაკეტეს. ოფიციალურ რუსულ დოკუმენტებში წერია, რომ ქართველებმა საშინელი სისასტიკე გამოიჩინეს, ამოხოცეს ბევრი რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი, მაგრამ იგივე დოკუმენტები ვერ ფარავენ იმ მიზეზებს, რამაც აქამდე მიიყვანა ქართული მოსახლეობა; ეროვნული ტრადიციების შეურაცხყოფა, დამცირება, ოჯახის წევრების თვალწინ ქალების გაუპატიურება, ძალა და უხეშობა ჩვეულებრივი რამ იყო რუსი სამხედროებისთვის.

როგორც აღინიშნა, იმპერიის მოუქნელი, ბიუროკრატიული მანქანა საქართველოში ძველებურად აგრძელებდა მუშაობას და არაფრის შეცვლას არ აპირებდა (ალბათ, არც შეეძლო რაიმეს შეცვლა). 1812 წელს კახეთის გლეხების შევიწროებამ და აბუჩად აგდებამ პიკს მიაღწია. სოფლებში საეგზეკუციო სამხედრო რაზმები ჩააყენეს და გადიდებულ სასურსათო გადასახადს ძალით კრეფდნენ. ამავე დროს, მოსახლეობას, როგორც სხვაგან, აქაც მონებივით ექცეოდნენ. დავით ბატონიშვილი წერს: „და სადაც მივიდიან (რუსნი, ე. კ.) იყო ვაებაი მათ ზედა მით, რამეთუ სცემდიან დედაკაცთაცა და ხელითა ჰკიდიან და ართმევდიან პურთა ძალითა… გარნა სხუაცა ბოროტმოქმედებათა შორის ესეცა ჰქმნეს, რომელ თიანეთს მთავალთა აფიცერთა შეიპყრეს დედაკაცი და საშოსა შთაასხეს ძაბრითა ღვინო“ [ბატონიშვილი, 1941, 41].

ასეთ არაადამიანურ ქმედებებს ძლიერი სახალხო მღელვარება მოჰყვა. შეშფოთებული მთავარმართებელი მარკიზი პაულუჩი იმპერატორს უპატაკებდა, რომ ამ „ბუნტს“ ქართველი ბატონიშვილები ედგნენ სათავეში. იგი აღნიშნავდა, რომ აჯანყებულებმა განიზრახეს ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლაში ჩაებათ არა მარტო ქართველები, არამედ დაღესტნის, შირვანისა და შაქის მოსახლეობა [Акты, 1873, 67-68].

აჯანყებულებმა პირველ რიგში დუშეთი და ანანური აიღეს (1812 წ. 9 თებერვალი). აჯანყებაში მოსახლეობის ყველა ფენა ჩაერთო, მაგრამ საომარ მოქმედებებს სათავეში თავადები ედგნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა თავადი ოთარ ქობულაშვილი. მისი ინიციატივით, აჯანყებულებმა ქართლიდან ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე მოიწვიეს და მეფედ გამოაცხადეს. კახეთის

ეკლესიებში, როგორც მკვლევარი ნიკო ჯავახიშვილი აღნიშნავს, „გრიგოლს იხსენიებდნენ, როგორც კანონიერ მეფეს“ [ჯავახიშვილი, 2008, 36].

პაულუჩიმ შეძლო რუსული სამხედრო ძალების კონცენტრაცია და ქართველი თავადების ნაწილიც მიიმხრო. ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა 1812 წ. 1-2 მარტს მოხდა სოფ. ჩუმლაყთან. ამ ბრძოლაში ქართველები თავდადებულად იბრძოდნენ, მაგრამ დამარცხდნენ და გრიგოლ ბატონიშვილი ტყვედ ჩავარდა. აჯანყების პირველი ეტაპი დამთავრდა. აჯანყებულთა ნაწილი, რომლებიც რუსებს ჩაუვარდნენ ხელთ, პაულუჩიმ სასტიკად დასაჯა; მაგრამ ამავე დროს, მან მიმართა იმპერატორს წინადადებით, გარკვეულწილად გაეთვალისწინებინათ მოსახლეობის მოთხოვნებიც... მთავრობამ უმნიშვნელო ცვლილებები მართლაც განახორციელა. კაპიტან-ისპრავნიკების ნაცვლად, სამოურავოები აღადგინა, სასამართლოებსაც მიეცათ უფლება ძველი ქართული სამართლით ეხელმძღვანელათ. მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ მოსახლეობა, „დააშოშმინა“, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ იყო.

მარკიზ პაულუჩი პეტერბურგს აპირებდა წასვლას და ამბოხების მიზეზების დაწვრილებით გამოკვლევა ეჩქარებოდა, რათა იმპერატორისათვის პირადად წარედგინა. 1812 წლის 13 მარტს მის მიერ დანიშნულმა კომისიამ დიდძალი მასალა შეკრიბა, სადაც მოსახლეობის საპროტესტო მოხსენებებიც იყო. აქედან საინტერესოა ბოდბისხეველთა, პრასიანელთა და მირზაანელთა, ასევე, მიტროპოლიტ იოანე ბოდბელის, სტეფანე რუსთაველი არქიეპისკოპოსის, თამაზ ორბელიანის, თელაველი მეამბოხეების და სხვა წერილობითი მოხსენებები.

ბოდბისხეველი გლეხები თავიანთ მოურავს – იოსებ ანდრონიკაშვილს მოახსენებდნენ: „მთავარმართებლის ბრძანებით გვეკითხებით, თუ რამ გვაიძულა გვეღალატნა ხელმწიფისათვის და აჯანყება მოგვეხდინა. ღალატი გულში არ გაგვიტარებია, მაგრამ ცამეტი წლის მანძილზე რაც ხელმწიფემ ღირსი გაგვხადა მფარველობისა, სული ამოგვხადა უსამართლობამ. ამგვარი უღმერთობა და უბედურება არ გამოგვიცდია ლეკთა, ყიზილბაშთა და ოსმანთა ბატონობის დროსაც კი. ვითმენდით, ვიტანდით თავზე დატეხილ ჭირსა, რადგან ერთგულების ფიცი მივეცით ხელმწიფეს. მაგრამ როდესაც ხელიდან ცოლები წაგვგლიჯეს, ვეღარ მოვითმინეთ და ავიშალენით. რუსებმა მოსტაცეს ცოლი ბინობაშვილს, ორი კვირა

ჰყავდათ ბოდბისხევში და შემდეგ დაითხოვეს. ბაღაშვილსა და ხოპაშვილსაც წაართვეს ცოლები, თითო კვირა ჰყავდათ თავიანთსა და მერმე დაითხოვეს. ცოლების გაუპატიურება თავიანთი თვალით აყურებინეს...“ ამ ვრცელ წერილში უამრავი ფაქტობრივი მასალაა თავმოყრილი, რაც ამაზრზენია და კახელ გლეხთა აჯანყების საფუძველი. როდესაც ეს საშინელი და გაუგონარი ამბები მოაქვს, ალექსანდრე ფრონელი (ყიფშიძე) ვერ მალავს საკუთარ აღშფოთებას და წერს: „ჰკითხულობ ამ გულუბრყვილო და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოთხრობილ ამბებს და თვალს არ უჯერებ. ნეტა რა მოთმინება და შეძლება ჰქონია ერსა, რომ კვერცხივით ზედ არ შეასკდა ზნედაცემულს ჯარისკაცსა და მსუნაგსა და გაწუწკებულს მოხელეს!.. უსამართლობა, ცემა-ტყეპა, დარბევა-დაწიოკება სოფლისა, ქურდობა, განზრახ დავიდარაბის ატეხა, უზნეობა-გარყვნილების შეტანა, ქალწულთა და დედაკაცთა ნამუსის ახდა აშკარად, ქმართა და მახლობელთა თვალწინ, ქალისა და კაცის უღელში შებმა, გატიტვლებული დედაკაცის გაჯოხვა, - ეს რაღაც დაუჯერებელი ამბავია, ისეთი ველურობა, რომლის მზგავსი თვით თემურ-ლანგის დროსაც არ იქნებოდა. აკი სჩივიან ბოდბისხეველნი და პრასიანელნი. რაც რუსობამ მწუხარება მოგვაყენა, მაგგვარი თურქთა, ყიზილბაშთა და ლეკთა ჟამთა ბატონობის დროსაც არ გამოგვივლიაო“ [ფრონელი, 1907, 37].

კახეთის აჯანყების დეტალებს, სიღნაღთან ბრძოლას დეტალურად აღწერდა პოტო. აი ეს ადგილი, სადაც რუსი ისტორიკოსი თავის დაღუპულ ჯარისკაცებზე მეტად სწუხს, ვიდრე დარბეულ და აწიოკებულ კახეთზე: „მწარე ხვედრი ერგოთ მცირერიცხოვან ნიჟეგოროდელებსაც, - წერს იგი, - იმ ორი ესკადრონიდან, რომლებიც ყარააღაჯში იზამთრებდა. კერძოდ კი, ის მოხდა, რომ სწორედ იმ მომენტში, როდესაც აჯანყებამ იფეთქა, სიღნაღში, ეგზეკუციაზე, ფეხოსან დრაგუნთა მცირე ჯგუფი იმყოფებოდა, ოთხი უნტეროფიცრისა და 43 რიგითის შემადგენლობით. აქ იყვნენ: თავად პოლკის მეთაური მაიორი პოტლოგი, მე-4 ესკადრონის მეთაური მაიორი ოზეროვი, ოთხი ოფიცერი და პოლკის აუდიტორი. დრაგუნები გარნიზონთან ერთად იქნენ ამოხოცილნი, რომელსაც ქართველები, სავარაუდოდ, მოულოდნელად დაესხნენ თავს. მაგრამ ოფიცრებმა მოასწრეს ეკლესიისთვის თავის შეფარება და იქ ჩაკეტვა. ამბოხებულებმა არ მოისურვეს რა ხალხის დაკარგვა ღია შეტევაზე, მზაკვრობას მიმართეს, ერთ-ერთმა მათგანმა, სახელად დავით ქართველიშვილმა, რომელიც ეკლესიაში ვითომ მომრიგებლის

სახით შევიდა, დაარწმუნა ოფიცრები, რომ ხალხი დამშვიდდა და მათ თავისუფლად შეუძლიათ ყარააღაჯიში დაბრუნება. მაგრამ ეკლესიის კარი გაიღო თუ არა, აჯანყებულები ჯგროდ შეცვივდნენ და ქრისტიანული ტაძრის ფიცარნაგი სისხლით შეიღება: ყველა ოფიცერი აკუწეს, სიკვდილამდე კი ისე ბარბაროსულად აწამეს, რომ პაულუჩიმ, როგორც თავად წერს, ვერც კი გაბედა ხელმწიფის ანგარიშში აღწერა. ასე საზიზღარი ღალატის შედეგად დაიღუპნენ ნიჟეგოროდის პოლკში მაიორები, პოტლაგი და ოზეროვი, შტაბს-კაპიტანი ნაზარენკო, პორუჩიკი ერმაკოვსკი, პრაპორშჩიკი როზენი და აუდიტორი პოპოვი.

სიღნაღში, იმ ეკლესიის გვერდით, რომელიც ოდესღაც ციხე-სიმაგრის კედლებს შიგნით იდგა, ახლაც შეიძლება დრო-ჟამისა და ცუდი ამინდის გამო ნახევრად ჩამოშლილი ყურღანის (ყორღანის - ე.კ.) დანახვა. ეს იმ რუსების საფლავია, რომლებიც აქ კახეთის აჯანყების დროს დაიღუპნენ." [ჭუმბურიძე, კიკნაძე, ქოქრაშვილი,სარალიძე, 2016, 389-390].

პოტო ქართველების კეთილშობილებასაც არ ივიწყებს, რომლებიც რუსის ჯარისკაცებს მალავდნენ და გადარჩენაში ეხმარებოდნენ. „ თუმცა, იმ საბედისწერო დღეს სიღნაღში მყოფ ნიჟეგოროდელთაგან ყველა არ დაღუპულა: ერთი ოფიცერი, პორუჩიკი იანკოვსკი და ცხრა დაბალი ჩინის ჯარისკაცი ჩუმად გადაარჩინეს იმ ქართველებმა, რომლებსაც არ სურდათ ავი სახელი მოეპოვებინათ უსაფუძვლო სისასტიკისა და ბარბაროსობის ჩადენის გამო. ჰყვებიან, რომ ერთმა გულმოწყალე გოგონამ მოასწრო იანკოვსკის გაცოფებულ ბრბოში გაპარება და იგი მამამისის მარანში დამალა, უზარმაზარ თიხის ქვევრში, რომელშიც, ჩვეულებრივ, ღვინოს ინახავენ ხოლმე. ჯარისკაცებმაც თავშესაფარი ახლომახლო მცხოვრები გლეხობის სახლებში იპოვეს, რომელთა შორის ახლაც მოიძებნება სახელმწიფოს მიერ სწორედ ნიჟეგოროდელ ჯარისკაცთა გადარჩენის გამო, გადასახადებისგან გათავისუფლებული რამდენიმე კომლი. ერთი ნაწილის მზაკვრობისა და ბარბაროსული სისხლისღვრის აღწერის შემდეგ, სასიამოვნოა სხვების კეთილშობილებასა და მაღალზნეობრივ საქციელზე შეჩერება. იმ ხალხისა, რომლებიც მხოლოდ მაღალი ზნეობით, ღირსებისა და მოვალეობის გრძნობით ხელმძღვანელობდნენ"[ჭუმბურიძე, კიკნაძე, ქოქრაშვილი, სარალიძე, 2016, 389-390].

1812 წ. 20 აპრილს, პაულუჩი რუსეთში გაიწვიეს. ის ჯერ ნაპოლეონის წინააღმდეგ დასავლეთ არმიის მეთაურად მოიაზრებოდა, მაგრამ შემდეგ, ფინეთის და ბალტიისპირეთის სამხედრო გუბერნატორად დაინიშნა.

ქართველ თავადაზნაურებს არ უნდოდათ მისი გაშვება და სპეციალური დეპუტატიც კი გაგზავნეს პეტერბურგს იმპერატორის წინაშე თხოვნით, დაებრუნებინათ მარკიზი საქართველოში. ეს დეპუტატი ზაქარია ანდრონიკაშვილი იყო. იმპერატორმა არ შეიწყნარა ანდრონიკაშვილის თხოვნა. საბოლოოდ, მარკიზმა რუსეთის სამხედრო კარიერა დატოვა და ისტორიულ სამშობლოში, იტალიაში დაბრუნდა, სადაც ერთ ხანს გენუის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა.

ჩვენი აზრით, მისი გულაცრუება რუსეთის არმიაში სამსახურზე და დამსახურებულ პენსიაზე, დიდწილად, საქართველოში მიღებულმა მწარე გამოცდილებამ განაპირობა.

არის სხვა ვერსიაც, რომელიც ალექსანდრე ფრონელის თხზულებაშია გაჟღერებული: თითქოს პაულიჩს ისე გაუჭირდა, განსაკუთრებით ჩუმლაყის ბრძოლისას, რომ არასასურველი დაპირებანი მისცა „რევოლუციონერ-ბუნტოვშჩიკებს", როგორც ის აჯანყებულებს უწოდებდა. „მეფედ ერთ-ერთ ბატონიშვილს მოგგვრითო, თავიდან მოგაშორებთ მოსამართლეებსა და კაპიტან-ისპრავნიკებსაო". კახელებს ეს ამბავი გახარებიათ და ტყვედ აყვანილი და მათ მიერ თავგადაპარსული 300 რუსი ჯარისკაცი მიუგვრიათ მარკიზისთვისო [ფრონელი, 1907, 173].

„მარკიზ პაულიჩიმ თავი რომ გაიკლა და საქართველოში დარჩენა აღარ ისურვა, ეს ნაძალადევი „აღთქმანი" ხომ არაა მიზეზი? - კითხულობს ფრონელი. რაკი დაპირებულს ვერ აუსრულებდა, რაკი კაპიტან-ისპრავნიკების ბატონობას ვერ მოსპობდა და რუსეთიდან საქართველოს დაობლებულ ტახტს პატრონს ვერ მოჰგვრიდა, გაქცევის მეტი სხვა რა ღონე ჰქონდა პაულუჩს? ასეც მოიქცა, გუდა-ნაბადი აიკრიფა და პეტერბურგის გზას დაადგა, მიუხედავად იმისა, რომ თავადაზნაურობა კალთებზე ებღაუჭებოდა, წასვლას მარკიზი ისე აშურებდა, თითქოს აქ წყალი ამოუვიდა და რუსეთში ფაფა უცივდებოდა", - არ იშურებს ირონიას ეროვნული სულით გაჟღენთილი მკვლევარი [ფრონელი, 1907, 174].

აქ მეტად გვინდა შევჩერდეთ გრიგოლ ბატონიშვილზე. ამის მიზეზია ის ფაქტი, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად დაფიქსირებული მოვლენის- კახეთის აჯანყებული მოსახლეობის მიერ მისი მეფედ არჩევის ფაქტი, რაც ბევრმა ავტორმა მოიტანა და დოკუმენტურად თავმოყრილ მასალებს შემაჯამებელი დასკვნები გაუკეთა მკვლევარმა ნიკო ჯავახიშვილმა, ჯერ კიდევ არაა სრულად გაზიარებული და კვლავ გრძელდება გიორგი XII_ის ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფედ სახელდება. როგორც ცნობილია, ის ერთი თვით მეფობდა, რაც სავსებით საკმარისია (ერთი საათიც რომ იყოს მსოფლიო გამოცდილებით საკმაო უნდა იყოს სამეფო პირის ლეგიტიმაციისთვის), რომ ის ჩაითვალოს ქართლ-კახეთის უკანასკნელ არჩეულ და კურთხეულ მეფედ.

ახალი მთავარმართებელი გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ თევდორეს ძე რტიშჩევი 1812 წლის აპრილში ჩამოვიდა თბილისში.

სიტუაცია საქართველოში კვლავ დაიძაბა, როდესაც ნაპოლეონ I 1812 წ. ივნისში რუსეთის საზღვრებში შეიჭრა. 1812 წ. სექტემბერში ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთიდან დაბრუნდა და კახეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას მოუწოდა საბოლოოდ განედევნათ რუსები საქართველოდან. მის მოწოდებას სწრაფად გამოეხმაურა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა (კახეთი, ფშავი, ხევსურეთი, არაგვისა და დარიალის ხეობები, ქართლის მცირე ნაწილი). ბატონიშვილს დაღესტნიდან 1200 მეომარი მოეშველა. საქართველოს ახალმა მთავარმართებელმა ნიკოლოზ რტიშჩევმა ალექსანდრეს შეპყრობისათვის (ან მოკვლისათვის) 20.000 მანეთი დააწესა, რაც მაშინდელი დროისათვის ძალიან დიდი თანხა იყო. შემდეგ, რუსულმა ხელისუფლებამ, ჩვეულ მზაკვრულ გეგმას მიმართა – ალექსანდრეს წინააღმდეგ რუსულ ჯარს, ქართველი გენერალი დიმიტრი ორბელიანი ჩაუყენა სათავეში. ის ჯერ კიდევ 1810 წელს თავდადებით იბრძოდა იმერეთში, სოლომონ II-ის წინააღმდეგ. ეს გადაგვარებული დიდგვაროვანი (მამა - ზაქარია ორბელიანი, დედა – სოფიო ერისთავი), თავს არ ზოგავდა და სიამოვნებდა, რაც მეტ პატრიოტ ქართველს მოუღებდა ბოლოს [ბერძნიშვილი, 1983, 138-139].

მარკიზმა პაულიჩიმ პეტერბურგში ჩაიტანა ამბავი კახეთის „რევოლუციის“ ჩაქრობისა. იტალიელი პაულიჩი ამ გამოსვლას რევოლუციას უწოდებდა. მისი პროგნოზი ნაადრევი აღმოჩნდა. აჯანყებამ ახალი ძალით იფეთქა.

დიმიტრი ორბელიანს გარდა, რომელმაც საკუთარი თანამემამულეეების წინააღმდეგ ჯერ კიდევ იმერეთის ანტირუსულ აჯანყებაში და სოლომონ II-ის, ასევე ალექსანდრე ბატონიშვილის დევნაში გამოიჩინა თავი, სხვებიც არ ჩამოუვარდებოდნენ, მათ შორის სასულიერო პირებიც იყვნენ, ფრონელის თქმით, არქიმანდრიტ ელეფთერ ზუკაკიშვილის მსგავსნი, თუმცა მრავლად იყვნენ მოძღვარნი, რომლებიც, „სამშობლოს აღსადგენად შეკრებილ ქართველ მხედრობას ლოცვა-კურთხევით ისტუმრებდნენ ბრძოლის ველზე ჯვრითა და სახარებით აღჭურვილნი დარაზმულ მხედრობას სულის და მხნეობის აღმაფრთოვანებელ ქადაგებებს ეუბნებოდნენ. ბევრი მათგანი ტყვიამ განგმირა, ბევრმა მოწამებრივ განუტევა სული და სისხლი თვისი აიაზმად აპკურა თავისუფლების მაძიებელ ერის გარჯა-მეცადინეობას" [ფრონელი, 1907, 177].

ალექსანდრე ყიფშიძე (ფრონელის) სიტყვები, რომელიც ჩვენგან ას წელზე მეტი ხნის წინ, ხოლო კახეთის ამბოხებიდან 100 წლის წინაა დაწერილი, დღესაც საოცრად ჟღერს და ჩვენს გულისტკივილსაც საოცრად ეხმიანება სამშობლოს მოღალატე ადამიანების მიმართ: „ასი წლის ამბავია, - წერს ფრონელი, - შორიდან უყურებ ერის განწირულ სულისკვეთებას და გაშტერებული რჩები, ასე როგორ უნდა გასწიროს ადამიანმა თავისი დამბადებელი და გამზრდელი ქვეყანა, ასე როგორ უნდა გაქვავდეს და გაკლდევდეს, რომ დაიმსახუროს მაშინდელი ქართველისათვის უცნაური სახელი ტირანისა."

ფრონელი ერთსაც სწორად ხვდება: მაჰმადიანი ხანები ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ, ერთიანი ენის გამონახვა უჭირდათ, „რუსების მოძულეთ ვერ შეიგნეს საერთო გეგმისა და მოქმედების სიავ-კარგე, იბრძოდნენ ცალ-ცალკე და ამის გამო ყველგან მატლსავით ისრისებოდნენ" [ფრონელი, 1907, 180].

ფრონელი წარუმატებლობის მეორე მიზეზსაც ასახელებს: ქართველი კაცის მორალურ სახესა და ზნეობრივ პორტრეტს ხატავს და ამას მიიჩნევს შექმნილი უბედურების სათავედ. დიდი ილიას სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს, ეროვნული სულით სავსე ისტორიკოსს, არ შეეძლო დაემალა ავი, არ ყოფილიყო თვითკრიტიკოსი და არ ეთქვა: „ქართველი კაცის უპირობა, მეზობლური შური და მტრობა, განკერძოებით მოქმედება და მამლაყინწობა, ვინაიდგან დარწმუნებულია, რომ იგია რჩეული და ქვეყნის მხსნელად მოვლენილი,

რომ მხოლოდ მისთავსა და ტვინშია მოთავსებული ქვეყნის სიბრძნე , რომ იგია ერთადერთი დიდებული სარდალი და მძლეთა-მძლე, რომ მარტოოდენ მისი აზრია მართალი და უცოდველი, ხომ კარგად მოგეხსენებათ. ეს ისტორიული სენი ქართველი კაცის ძვალსა და რბილში ღრმად გამჯდარი და ჩაკირული, დღესაც ხომ თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აბა ამ ასი წლის წინათ რა იქნებოდა. დიდი კულტურული და შეგნებული შრომაა საჭირო ამ ისტორიული შხამის ძირფესვიანად ამოსაგდებად" [ფრონელი, 1907, 181].

ამ აზრების მატარებელი ფრონელი სწორედ რომ დაუფარავ აღტაცებას გამოხატავს გმირებისადმი და ზიზღს მოღალატეებისადმი. განსაუთრებული სიყვარულით მისი კალამი მოსავს სამშობლოსთვის მებრძოლ ბატონიშვილებს, მათ შორის ამაყ და უშიშარ ალექსანდრეს. ის დაწვრილებით მიმოიხილავს ალექსანდრეს მონაწილეობას აჯანყებაში, მის მრავალჯერად გმირულ მოქცევას მტრების მიმართ.

როდესაც კახეთის მოსახლეობის სურვილი გაიგო მისი ჩამოსვლის შესახებ, ბატონიშვილმა პოლიტიკურად გათვალა აჯანყების შედეგები. მას ერევნის სარდარის - ჰუსეინ ყული-ხანის დახმარების იმედი ჰქონდა, ამასთან, მთავარმართებელი რტიშჩევი ყარაბაღში იმყოფებოდა აბას მირზასთან მოლაპარაკების გასამართავად და იქიდან ჯარს ვერ უხელმძღვანელებდა. ყარაბაღში წასვლამდე მან ოქროს ფული შესთავაზა, ვინც ბატონიშვილს ცოცხლად მიჰგვრიდა, რტიშჩევს განსაკუთრებული იმედი თათრებისა და ლეკებისა ჰქონდა, მაგრამ ერთი კაციც კი ვერ აღმოჩნდა შამშადილის სამოურავოში თუ ლეკებში, ბატონიშვლის გასაცემად ამდენ ფულს რომ დახარბებოდა. სამაგიეროდ ეს გააკეთა ყაზახის მოურავმა, პოლკოვნიკმა იოსებ ბებუთაშვილმა. მან ალექსანდრეს დასაბრუნებელი შესაძლო ოთხი მარშრუტი უჩვენა რუსის სარდლობას: ყაზახი, მაგრამ ეს იქვე გამორიცხა, რადგან „ჩემს ყარაულებს არაფერი გამოეპარებათ" და ამიტომ ამ გზით არ წამოსულაო. დანარჩენი სამი იყო: 1. ბოლნისის და ქვეშეს გზა; 2. ქართლში ბორჯომის ხეობა; 3. ხოვლეს გზა [Акты, 1873, 361].

რტიშჩევის მოვალეობას გენერალი დიმიტრი ორბელიანი ასრულებდა. მას სურდა თავი გამოეჩინა და ბატონიშვილი შეეპყრო, მაგრამ ვერ მოახერხა. 10 აგვისტოს ბატონიშვილი თიანეთში აღმოჩნდა. მოსახლეობა აღაფრთოვანა ამ ფაქტმა. იარაღასხმული ხალხი მიდიოდა თიანეთისკენ. მათ გამარჯვების იმედს ისიც უძლიერებდა, რომ ნაპოლეონის ჯარმა მოსკოვი აიღოო, - დადიოდა ხმები. რტიშჩევი

და დიმიტრი ორბელიანი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ სრულიად საქართველოს არ მოსდებოდა აჯანყება. ორბელიანმა პოლკოვნიკი პეჩორსკი გაგზავნა ანანურში, რათა შეეკრა გზები ანანურიდან თიანეთს მიმავლებისათვის, ანდა იმათთვის, ვინც თიანეთიდან ანანურს ჩამოვიდოდა. პეჩორსკის მე-15 ეგერთა პოლკის ერთი ბატალიონი ჰყავდა.

8 სექტემბერს მეორე რაზმი - პოლკოვნიკ ტიხანოვსკის მეთაურობით დაიძრა სიღნაღიდან თელავისაკენ. მას ყაბარდოელების 5 როტა ჰყავდა. ველისციხიდან ერთი როტაც აიყვანა, თელავიდან ერთი ბატალიონი და 13 სექტემბერს გაემართა ალავერდისაკენ. 14 სექტემბერი ალავერდობის დღესასწაული იყო და ვარაუდობდნენ, რომ ამ დღესასწაულზე შეკრებილი მრავალრიცხოვანი ხალხის წინაშე ალექსანდრე ბატონიშვილი თავს მეფედ გამოაცხადებდა. ალექსანდრე კი სოფ. შილდაში იყო, სადაც ალავერდიდან დაბრუნდა ტიხანოვსკი და ჯარითა და ზარბაზნებით აჯანყებულებს შეუტია.

ჩრდილო კავკასიიდან, დაძრულმა რეგულარულმა ჯარმა ჩაკეტილი საქართველოს სამხედრო გზა გახსნა და ჩრდილოეთიდან დაემუქრა აჯანყებულებს. ალექსანდრე ბატონიშვილი იძულებული გახდა, პარტიზანული ბრძოლებისთვის თავი ენებებინა და გადამწყვეტი ბრძოლა გაემართა.

1812 წ. 10 ოქტომბერს, სოფელ შილდასთან, გადამწვეტი ბრძოლა მოხდა ალექსანდრე ბატონიშვილის მომხრეებსა და რუსულ ჯარს შორის. დაძაბული ბრძოლა შვიდი საათი გაგრძელდა და რუსულმა ჯარმა, დიმიტრი ორბელიანის მეთაურობით, სძლია აჯანყებულებს. ქართველებზე გამარჯვებულმა დიმიტრი ორბელიანმა ააოხრა შილდა და საბუე, როგორც „მტრის“ მომხრე სოფლები. ამავე პერიოდში, რუსებმა დაამარცხეს სპარსელები, რომლებიც თბილისზე აპირებდნენ ლაშქრობას. აჯანყების ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. შეტაკებები მოხდა სოფ. ჩალაუბანთან და (1812 წ. 1 ნოემბერი) და მანავთან (26 ნოემბერი). ამ ბრძოლებში ალექსანდრეს დაღესტნელებიც ეხმარებოდნენ (5000 კაცი) [კაკაბაძე, 1997, 82-83; კაკაბაძე, 2004, 86-87].

ალექსანდრე, შილდიდან უკანდახეული, სოფელ საბუეში გადავიდა. კავკასიური აქტებისა და კაპიტან ანოსოვის რწმუნებით, სოფელი შილდა სრულად გაუნადგურებია (დაუწვავს) რუსულ ჯარს.

შილდიდან ტიხანოვსკი ყვარლის ციხეზე მისულა, აქ დატოვა ავადმყოფი და დაჭრილი ჯარისკაცები და თავად ალაზანზე, ფაშაანის ფონზე დაბანაკდა [ფრონელი, 1907, 192].

ფასანაურის, კაიშაურისა და დუშეთის გზებს მაიორი ნიკოლსკი და პოლკოვნიკი პეჩორსკი აკონტროლებდნენ. კახეთში წასული დიმიტრი ორბელიანის ნაცვლად თბილისის გარნიზონს იმერეთიდან გადმოსული გენერალ-მაიორი სიმონოვიჩი სარდლობდა. შეიტყო რა პოლკოვნიკ პეჩორსკის გასაჭირი, მან გაუგზავმა ერთი ბატალიონი მაშველი ჯარი ბორჩალოს დისტანციიდან პოლკოვნიკ ფონ კრაბბეს მეთაურობით.

დავით ბატონიშვილის ნაშრომში, შილდისა და ყვარლის ბრძოლაში კახელების დიდ სიმამაცეზეა ყურადღება გამახვილებული. მათი გამძვინვარება შილდის დაწვას გამოუწვევია და ტიხანოვსკისაც ვეღარ გაუბედავს ბრძოლა ალაზანზე.

მალე აჯანყებულთა რიცხვი შემცირდა. დაღესტნელებიც უბრძოლველად დაბრუნდნენ სამშობლოში. ბრძოლა კვლავ დიმიტრი ორბელიანმა მოიგო და ყველა ღონეს ხმარობდა ალექსანდრე ბატონიშვილი შეეპყრო. დ. ორბელიანის ბრძანებით, აჯანყების მონაწილეთა ნაწილი ადგილზე ჩამოახრჩვეს. იგი შეპირდა აჯანყებულ დიდგვაროვნებს, რომ თუ ალექსანდრე ბატონიშვილს განუდგებოდნენ, სრულ ამნისტიას მიიღებდნენ. მართლაც, ბევრმა თავადიშვილმა ირწმუნა მისი და ბრძოლა შეწყვიტა. დიმიტრი ორბელიანმა კი ისინი შეიპყრო და დასასჯელად მთავარმართებელ რტიშჩევს გაუგზავნა [ბერძნიშვილი, 1983, 139].

§3. ბრძოლა ხევსურეთში

ალექსანდრე ბატონიშვილმა გაქცევა შეძლო და შატილში გამაგრდა.

1813 წ. ივნისში რუსებმა შეძლეს შატილის აღება, თუმცა ამისთვის გამოიყენეს არტილერია და დახოცეს 600 თუ 700 ხევსური. ასევე, მათ გაანადგურეს ხევსურეთის 20 სოფელი.

ხევსურეთში ბრძოლის ბატალიები ზედმიწევნითა და დეტალებშია ასახული პოტოს ნიჟეგოროდის პოლკის ისტორიაში.

რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობაში იმპერიის პოლიტიკური მეთაურების მითითებით ხევსურეთში ექსპედიციის საკითხი საბოლოოდ გადაწყდა. ოთხი რაზმი ერთდროულად, სხვადასხვა მხრიდან უნდა მიდგომოდა მის საზღვრებს. ერთი ასეთი რაზმი, რომელიც გენერალ სტალის ხელმძღვანელობით ფასანაურში შეიკრიბა, შედგებოდა ნიჟეგოროდის პოლკის ოთხი ფეხოსანი როტისგან და 25 რეგულარული ჯარის კაზაკისგან. დრაგუნები ფეხოსნები იყვნენ. თითოეული ესკადრონისგან სტალმა 2-2 ოფიცერი, 4-4 უნტეროფიცერი, თითო მესაყვირე და სამოცი რიგითი დანიშნა, რომლებმაც მაიორ სალიკოვის ხელმძღვანელობით ნაკრები ბატალიონი შექმნეს, 325 დაბალჩინოსნისა და 10 ოფიცრის შემადგენლობით. დანარჩენი ხალხი ორ ცხენოსან ესკადრონად შეიკრიბა და კაპიტან ლუბეცკის ხელმძღვანელობით საქართველოს სამხედრო გზაზე დარჩა, ზურგის დასაცავად და თბილისთან კავშირის დასამყარებლად.

ფასანაურიდან სტალის კოლონა 23 მაისს გამოვიდა, გუდამაყრის ხეობის გავლით. პირველივე ნაბიჯებიდან მისთვის დაიწყო მძიმე ბრძოლა მთის ბუნების ყველა სირთულესთან. აი, როგორ აღწერს ამ ლაშქრობას რუსული ისტორიოგრაფიის საინტერესო წარმომადგენელი - პოტო: „გარემო ყოველი მხრიდან მიუდგომელი იყო, მთებში ისევ უზარმაზარი თოვლი იდო და თეთრ უდაბნოდ მოჩანდა, სიცოცხლის ნიშან-წყალის გარეშე. თოვლის თვალისმომჭრელი სიქათქათე თვალს ჭრიდა და მხედველობას აძნელებდა, გზა კი გაყინულ ბილიკებზე ედოთ, რომლებიც უძირო უფსკრულების თავზე, კლდეების ნაპირებზე გადიოდა. თოვლში ჩაფლული ძლიერი ქარისგან სუნთქვაშეკრული ჯარისკაცები სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევდნენ ღრუბლიან სივრცეში. 25 მაისს, ერთ-ერთ გადასასვლელზე, სტალის კოლონამ ბოლოს და ბოლოს თავისი მტერი დაინახა. მრისხანე კლდეზე, იქ სადაც მუდმივი თოვლი უდნობ მთებად იდო, ხევსურები იდგნენ, მზის კაშკაშა სხივები მათ ფარებსა და მუზარადებზე ირეკლებოდა. სურათი განსაცვიფრებელი იყო, თავისი ველური საბრძოლო სულისკვეთებით. ამ ციცაბო კლდის წინ ჯარი ყოყმანით შეჩერდა. ჯაჭვად გაშლილმა სამმა ნიჟეგოროდულმა ესკადრონმა, შტაბს-კაპიტან იგნატიევის მეთაურობით, ცეცხლი გახსნა, მაგრამ რა ნახეს, ტყვიების ფუჭი ხარჯვა იყო, იარაღი დაუშვეს. მაშინ სტალმა პორუჩიკ გრაბოვსკის უბრძანა, დანარჩენ ორ ესკადრონთან ერთად გაყინულ კლდეებზე ამძვრალიყო და ბილიკით, რომელიც მწვერვალზე რაღაც

უცნაურ ზიგზაგებად იკარგებოდა, მტრის ზურგიდან შემოვლას შეცდილიყო. გრაბოვსკი დაიძრა და მალე მხედველობის არედან გაქრა. მოულოდნელად, ნიჟეგოროდელთა რიგებს, რომლებიც ჯერ კიდევ კლდის ძირას იდგნენ და ყოყმანობდნენ, ორი გამოცდილი ჯარისკაცი გამოეყო. ესენი იყვნენ ვახმისტრი დივინი და რიგითი ივანოვი. ისინი გრანიტის ბუმბერაზ კლდეს მიუახლოვდნენ, თვალით აზომ-დაზომეს და უხმოდ დაიწყეს მასზე აცოცება, თან ერთმანეთს ეხმარებოდნენ. ეს მაგალითი ნებისმიერ სიტყვაზე ხატოვანი აღმოჩნდა და ერთ წუთში კლდეებს მცოცავი დრაგუნები ჭიანჭველებივით შეესივნენ. თეთრ თოვლზე ჯარისკაცთა რუხი შინელები რელიეფურ სურათებად იხატებოდა და შესანიშნავ სამიზნეს წარმოადგენდა, მაგრამ ციცაბო კლდე, ყინულოვანი ლოდები, რომლებიც მღვიმეებს ქმნიდნენ და რომელთა ქვეშაც ეფარებოდნენ ჯარისკაცები, მტერს მათ მიზანში ამოღებაში ხელს უშლიდა, ტყვიები რიკოშეტით სხლტებოდნენ და გვერდით ცვიოდნენ. ასე რომ, ჯარისკაცებმა კლდის თავზე თითქმის დანაკარგის გარეშე ააღწიეს. მათ უკან ფეხოსანთა მთელი ბატალიონი აცოცდა, ფლანგიდან კი გრაბოვსკი გამოჩნდა. შეფიქრიანებული, მაგრამ ჯერ კიდევ საკუთარ გამარჯვებაში დარწმუნებული ხევსურები ხმლებს ეცნენ, შეტევაზე ველური სიმამაცით გადმოვიდნენ, მაგრამ დიდხანს ვერ გაძლეს, ხიშტები მათ საიმედო ჯავშანს ხვრეტდნენ, კონდახები მუზარადებს ფშვნიდნენ, ფარებიც ნამსხვრევებად იქცეოდა. ხევსურებმა პირველად იხილეს ასეთი საშიში იარაღის მქონე მტერი და შედრკნენ. ბრბოს სულმოკლეობამ სძლია, ასეთი ველური ენერგიიდან უსიტყვო პანიკაში გადასვლა საოცარი სანახავი იყო. ჩვენი ჯარი მტერს საღამომდე დევნიდა და ღამე უკვე ხევსურეთის შემოგარენში გაათია [Потто, 1902, 334; ჭუმბურიძე, კიკნაძე, ქოქრაშვილი, სარალიძე, 2016, 380-402]

მეორე დღეს კოლონა აულ ბარისახოს მიადგა, სადაც ხევსურეთის არაგვზე გადასასვლელი იყო. აული ქართველებს ეკავა, რომელთაც პოტო როგორც მტრებს, ისე მოიხსენიებს.. სტალმა, რომელსაც ხალხის დაკარგვა არ სურდა, ჯარი შეაჩერა და მაიორ სალიკოვს უბრძანა, დაღამებამდე დაეცადა, შემდეგ კი მოულოდნელად შეეტია მოწინააღმდეგისთვის. სალიკოვმა საღამოს საფუძვლიანი დათვალიერება ჩაატარა და დარწმუნდა, რომ არავითარი შეტევა საჭირო არ იყო, მან უბრალოდ დაიკავა სახელმძღვანელო სიმაღლეები და ერთი გასწვრივი ცეცხლით აიძულა ხევსურები

აული დაეტოვებიათ. დილით რაზმმა მდინარე გადალახა და დასახლება ლებისკარისკენ წავიდა, სადაც მას დანარჩენი სამი კოლონა ელოდა, რომლებიც იქ გენერალ-მაიორ სიმონოვიჩის საერთო ხელმძღვანელობით იყვნენ შეკრებილნი. ქედის გადავლის შემდეგ ჯარი არღუნის ხეობას მიუახლოვდა. „ამ ადგილას სწრაფი არღუნი პატარა, ძლივს შესამჩნევი წყალვარდნილით იწყება, რამდენიმე ვერსის შემდეგ კი მრისხანე ნაკადად გადაიქცევა, რომელიც, მაღალი კლდეების ვიწრო კალაპოტში მოქცეული, ხმაურით ეცემა ძირს ქვის საფეხურებზე ხტუნვით, უზარმაზარ ქაფმოგდებული. ვიწრობი, რომელშიც გაცოფებული მდინარე ბობოქრობს, ზვავით იყო გადახერგილი, მდინარის ორივე მხარეს შემოწყობილი მთები კი ხევსურებს ჰქონდათ დაკავებული. ხეობის მარცხენა მხარის გაწმენდა სიმონოვიჩმა ითავა, მარჯვენა მხარისა კი სტალმა.

ნიჟეგოროდის პოლკი, რომელიც კოლონის სულ ბოლოში იმყოფებოდა, წინ გადმოიყვანეს, მან, მაიორ სალიკოვის მეთაურობით და საფეხმავლო ბატალიონის მხარდაჭერით ,თოვლიან კლდეზე ასვლა დაიწყო. ეს იყო პირველი ივლისი, დღე, როდესაც ნიჟეგოროდელებმა შეასრულეს ერთი ყველაზე ჩინებული საქმე თავისი ხანგრძლივი საბრძოლო, ისტორიული არსებობის მანძილზე. 36 საათის განმავლობაში ისინი თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებდნენ, შესვენების გარეშე. ხევსურები ყოველ ნაბიჯს, მიწის ყოველ მტკაველს იცავდნენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ყველა მხრიდან შევიწროვებულებმა ერთი კლდოვანი სიმაღლე დაიკავეს, რომელიც სწორედ მდინარე არღუნზე ჩასასვლელის თავზე იყო გადმოკიდებული. მისი შემოვლა შეუძლებელი იყო, შტურმის მიტანას კი ისეთი მამაცი ადამიანიც ვერ ბედავდა, როგორიც სალიკოვი გახლდათ; მას ეჭვი ეპარებოდა, ეყოფოდათ კი მის დრაგუნებს ფიზიკური ძალა, ეს უკანასკნელი წინაღობაც გადაელახათ. მაგრამ ძალა გაჩნდა. როგორც ადრე, ვახმისტრი დივინი და რიგითი ივანოვი, ახლაც უნტერ-ოფიცერი ალექსანდრე გროშჩევი, ფედორ ადენკოვი და რიგითი საველიევი პირველები ეძგერნენ ამ საშიშ გრანიტის კლდეს და თავიანთი მაგალითით, თავდადებითა და მზადყოფნით, პირველებს გაეწირათ თავი, დანარჩენებიც უკან გაიყოლეს. მათ კვალდაკვალ, დრაგუნები ორი ნახტომით მოექცნენ კლდეზე და მტერი არღუნში გადაყარეს.

ამ ეპიზოდით ბრძოლა დამთავრდა. სტალის პატაკის თანახმად, „სალიკოვმა, ყველა მისმა ოფიცერმა და დაბალჩინოსანმა ამ დღეს საოცარი მამაცობის, მოთმინებისა და დისციპლინირებულობის მაგალითი მოგვცეს.“ „და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია“, წერდა ის, „ცალ-ცალკე, თითოეული კლდის შტურმირებისას, ნიჟეგოროდელები უზარმაზარ სივრცეზე იყვნენ გაშლილი და ყველა ოცეულს როდი ჰყავდა თვალწინ ოფიცერი“.

ახლა უკვე სტალს, ლამის ღრუბლების სიმაღლიდან, ხეობის ფსკერზე დაშვება ელოდა, რათა შეერთებოდა მთავარ რაზმს, რომელიც მდინარე არღუნის მეორე მხარეს იდგა. მშვიდობიანად დაეშვნენ, მაგრამ მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლა უკვე მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ მოუხდათ. ეს კიდევ ერთი სიტუაცია გახდა საიმისოდ, რომ ეჩვენებინა, ჩვენს რიგებში რამდენი თავმდაბალი და ამ დრომდე ყველასათვის უცნობი გმირი იმალებოდა. როდესაც დრაგუნები ჯგუფად იდგნენ ნაპირთან, ორი უნტეროფიცერი, ალექსეი ივანნიკოვი და ბართლომე კორნიენკო უეცრად საშინელ დინებაში შეცვივდნენ და გაცურეს. ხევსურებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. მტრის ტყვიებქვეშ ცურვა საშიში გახლდათ, მაგრამ კიდევ უფრო საშიში იყო ნაპირზე გამოსვლა, სადაც მათ გაცოფებული მტრის ბრბო დარაჯობდათ. ეს ყოველივე დრაგუნებმა უცებ გაიაზრეს და საკუთარ თავზე არც დაფიქრებულან, გადაეშვნენ მდინარეში მათ დასაწევად, რათა ამხანაგებს მიშველებოდნენ და მარტო არ ჩაეგდოთ მტრისთვის ხელში. ნიჟეგოროდელთა ეს საქციელი ერთი მხრივ სრული თავგანწირვის, მეორე მხრივ კი მეგობრობისა და დახმარების მაგალითი იყო. ბევრს წყალი ფეხებში ცელავდა და დინება მიაქანებდა, ბევრს ქვები და კლდის ნატეხები, რომლებიც საოცარი სისწრაფით ჩამოჰქონდა მდინარეს, ჭრილობებს აყენებდა, მაგრამ ყველანი, ჯანმრთელებიც და დაზიანებულებიც, მხოლოდ ერთი აზრით იყვნენ შეპყრობილნი, რაც შეიძლება მალე მიეღწიათ ნაპირამდე. მიაღწიეს კიდეც და მათი ერთსულოვანი ზეწოლის შედეგად ხევსურები გარბოდნენ. ახლა ბრძოლა უკვე მხოლოდ ერთ არიერგარდში გრძელდებოდა, სადაც დატოვებული იყო ნიჟეგოროდელთა ოცეული, პორუჩიკ შანცის მეთაურობით. ხევსურები მხურვალედ აწვებოდნენ და მხოლოდ მაშინ შეწყვიტეს დევნა, როდესაც მთავარი რაზმის კარვები გამოჩნდა, სოფელ გურის წინ. სტალის რაზმის მისვლის შემდეგ, სოფელი შტურმით იქნა აღებული და რუსული ჯარის წინ შატილისაკენ მიმავალი გზა გაიხსნა.

შატილი ხევსურების მთავარი დასახლებაა. ის პატარა აული გახლდათ სულ ორმოცდაათიოდე კომლით და მთელ სოფელში ორასიოდე შეიარაღებული მამაკაცით. მაგრამ ერთ მუშტად შეკრული, მრავალ ბრძოლაში გამოწრთობილი და საკუთარ მშობლიურ ბუდეს ფანატიკურად მიჯაჭვული ხალხია. აქამდე არა მხოლოდ იგერიებდა ყველა მტრულ შეჭრას, არამედ ხევსურეთის გულში შესასვლელსაც მედგრად დარაჯობდა. 3 ივნისს აულის წინ მედგარი ბრძოლა გაიმართა, რომელსაც ხევსურთა ბედი უნდა გადაეწყვიტა. მთელმა იმ სიტუაციამ, რომელშიც რუსული რაზმი იმყოფებოდა, მეომრები არაჩვეულებრივ საბრძოლო განწყობაზე დააყენა. ველური, პირქუში ხეობა, თავსაღმართული უზარმაზარი კლდეების კალაპოტის გამო მოგუდული არღუნის ღრიალი, გაჭვარტლული კოშკები, რომლებიც თავიდან ბოლომდე ხევსურთა სისხლიანი ტროფეებით იყო შემკული და ბოლოს, თვითონ ხევსურები, რკინაში ჩამჯდარნი, მუზარადებითა და უძველესი ფარებით, ეს ყოველივე მართლაც არაჩვეულებრივად აღაგზნებდა. დრაგუნები ფეხოსანთა მხარდამხარ იბრძოდნენ და შატილი, საუკუნეების მანძილზე საკუთარი შეუვალობით რომ ამაყობდა, რუსული ჯარის წინაშე დაეცა. ბატონიშვილი იქედან რამდენიმე დღით ადრე გაიქცა, კოშკი, რომელშიც ის ცხოვრობდა, ყველაზე განაპირა გამოსასვლელთან, ცარიელი აღმოჩნდა.

შატილის ბრძოლის ბოლო ეპიზოდი იყო იმ ხიდის დაკავება, რომლის საშუალებითაც გზა ქისტეთში გადასასვლელისკენ მიდიოდა. იქ გაგზავნილმა ნიჟეგოროდის პოლკის მონადირეებმა, პორუჩიკ გრობოვსკის მეთაურობით, აღმოაჩინეს, რომ ხიდი დაენგრიათ, მაგრამ მდინარე ცურვით გადალახეს და შატილის უკანასკნელი დამცველებიც განდევნეს.

ალექსანდრე ბატონიშვილის დაღესტანში გაქცევით, რაც, როგორც ცნობილია, მისი პოლოტიკური როლის დასამარება აღმოჩნდა, ექსპედიციის მიზანი მიღწეულ იქნა და ჯარი 15 ივლისს კახეთისკენ დაეშვა. მათ მიერ გაწეული ჯაფა ჭეშმარიტად წარმოუდგენელი იყო; ისინიც კი, ვინც სახელგანთქმული სუვოროვის ალპების ლაშქრობა გაიარა, შემდეგ კი ხევსურეთში აღმოჩნდნენ სიმონოვიჩთან და სტალთან ერთად, გულახდილად აცხადებდნენ, რომ ამ უკანასკნელი ლაშქრობის სიმძიმე და წინააღმდეგობები მრავალწილ აღემატებოდა ალპებში გადატანილ განსაცდელს.

მაშინ რუსები პირველად გამოჩნდნენ კავკასიის მთების მიუვალ სიღრმეში და პირველად იქნა დამარცხებული ხალხი, რომელთაც აქამდე წაგება არასოდეს ეწვნიათ.

ხევსურეთის ექსპედიციამ პოლკის ხელმძღვანელს, გენერალ სტალს ანას ლენტი მოუტანა. სალიკოვმა, არაერთი გმირობისთვის, მეოთხე ხარისხის წმინდა გიორგის ორდენი დაიმსახურა; შტაბს-კაპიტანმა იგნატიევმა - ვლადიმირის ჯვარი; პორუჩიკმა გრაბოვსკიმ - შტაბს-კაპიატნის ჩინი და მესამე ხარისხი ანა ლენტით; იგივე ორდენი მიიღეს: პორუჩიკებმა მარკოვმა, შანცმა და პროპორშჩიკებმა: ნიტკაჩევმა, ჩაბოტკევიჩმა, საჩკოვმა, პეტროსოვმა და კაზანჩეევმა.

ვახმისტრი დივინი, უნტერ-ოფიცრები: ადენკოვი, ივანნიკოვი და კორნიენკო და რიგითები, ივანოვი და საველიევი დაჯილდოვდნენ სამხედრო ორდენის განმასხვავებელი ნიშნით. სწორედ ამ სახელებით იხსნება ნიჟეგოროდელ კავალერთა მომდევნო გრძელი სია. გენერალი სიმონოვიჩი, ხევსურეთში ლაშქრობისთვის დაჯილდოვდა მესამე ხარისხის წმინდა გიორგის ორდენით, მაგრამ მეოთხე ხარისხისა მთელ რაზმში მხოლოდ სალიკოვმა მიიღო“ - ასეთია პოტოს აღწერის დეტალები. ამ ვრცელი ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რა მძიმედ დაუჯდათ რუსებს ეს ბრძოლა, რა თავგანწირვით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ მამაცი ხევსურები, ქალი და კაცი, ყველა ერთად და როგორ არ შეიძლება ამ დიდ ტრაგედიას ვუწოდოთ უბრალოდ „აჯანყება“ და არა დიდი ომი რუსებსა და ქართველებს შორის.

ზუსტი ცნობები არ შემონახულა ხევსურეთში რუსული პოლკის დანაკარგის შესახებ; ოფიციალური დოკუმენტები მოიხსენიებენ ადგილზე მოკლულ მხოლოდ ოთხ რიგითს, ჭრილობებისაგან სამ გარდაცვლილს და ერთ უგზო-უკვლოდ დაკარგულს. მაგრამ ეს დოკუმენტები არაფერს ამბობენ დაჭრილთა შესახებ, თუმცა მათი რაოდენობა, თავად ექსპედიციის სირთულეებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მედგარი თავდაცვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

1951 წელს დაწერილ წიგნში რუსი ისტორიკოსი ოლგა მარკოვა ცდილობს ობიექტურად გაანალიზოს აჯანყების მიზეზები და ხასიათი, არ დამალოს რუსი მოხელეების აღვირახსნილი ქმედებები, მაგრამ მთავარ მიზეზს, რაც იყო ქართველი ხალხის ამ თავგანწირული ბრძოლის საფუძველი, რა თქმა უნდა, არ ამხელს. ის შექმნილი სიტუაციის მაპროვოცირებლად ხან ვითომ ფეოდალური ინტერესებით

შეპყრობილ ქართველ ბატონიშვილებს თვლის, ხან ირან-ოსმალეთს, ხანაც ინგლის-საფრანგეთის აგენტურას, რომელიც შეკრული იყო ქართველ ფეოდალებთან.

ვრცელი მონოგრაფიის რამდენიმე თავს უძღვნის ავტორი ამ ბოლო მოვლენას და საკმაოდ სერიოზულად მსჯელობს აგენტურული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებზე. მკვლევრის აზრით, ევროპის ქვეყნებს ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამარჯვება კი არ სურდათ, ისინი რუსეთის მოწინააღმდეგენი იყვნენ და სიამოვნებით დაუთმობდნენ ამ ქვეყანას (საქართველოს) კვლავ ირან-ოსმალეთს და რუსეთს ამით გაამწარებდნენ [Маркова, 1951, 219].

იხილავს რა ინგლის-საფრანგეთის აღმოსავლურ პოლიტიკასა და საქართველოს საკითხს, მეცნიერი თითქოს ივიწყებს რუსეთის მონაწილეობას ამ საკითხის გადაჭრაში და საქართველოსა და კავკასიის დაპყრობას მის მიერ სწორედ „აღმოსავლეთის სკითხის“ მის სასარგებლოდ გადასაწყვეტად. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის კარგად მცოდნე ისტორიკოსისათვის ძნელი არაა მისი დასკვნითი აზრის სიყალბის ამოცნობა: „საქართველო იყო „დასავლელ მეგობართა“ ხელში მხოლოდ საკუთარ მიზანთა მისაღწევად საჭირო იარაღი, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რომ საერთო ფრონტი გაეხსნათ რუსეთის წინააღმდეგ“ [Маркова, 1951, 310].

იქნებ ამ სიტყვებში სიმართლის მარცვალიც ერიოს, მაგრამ რუსეთის ხელში რა იარაღი იყო ჩვენი ქვეყანა, ან რა იარაღია დღემდე, „საკითხავი, აი, ეს არის“.

მარკოვას წიგნი საკმაოდ მრავალ ფაქტოლოგიურ მასალას მოიცავს, ბევრი რუსული თუ დასავლეთის ქვეყნების დოკუმენტური მასალაა მასში შეტანილი, რომელთა ობიექტური და ახლებური ანალიზი მის მიერ მიღებული დასკვნებისაგან სრულიად განსხვავებული თვალსაზრისის გამოხატვის საშუალებას იძლევა.

§4. კახეთის აჯანყების დამარცხების მიზეზები და შედეგები

კახეთის აჯანყება ისევე დამარცხდა, როგორც სხვა უამრავი ანტირუსული აჯანყება. ეს არც ფეოდალების ინტერესები იყო გლეხების დასამონებლად, როგორც ამას ოფიციალური რუსული ისტორიოგრაფია განიხილავდა ადრე თუ საბჭოურ ხანაში, არც მხოლოდ მოხელეების ჩაგვრით გამოწვეული ამბოხება. ეს იყო ქართველი

ხალხის დიდი სურვილი: უთანასწორო ბრძოლაში გაეწირა თავი, ოღონდ მონობა აერიდებინა, ქართული სახელმწიფო არ გამქრალიყო, გადაერჩინათ ერის ღირსებასა და ტრადიციებთან ერთად.

აჯანყებას ჰყავდა ლიდერები და ესენი „ფეოდალური ინტერესებით" კი არ იყვნენ ჩართულნი ამ ბრძოლაში, არამედ, უწინარესად, ეროვნულით. თავად დამპყრობელიც ხომ სამხედრო-ფეოდალური იმპერია იყო, მისადმი მონობას და მორჩილებას, ხალხს ბუნებრივად საკუთარი მეფის მორჩილება ერჩია, რომელიც ეროვნულ ტრადიციებსა და სულიერებას მეტად გაიგებდა და დაიცავდა.

კახეთის აჯანყების ლიდერი ალექსანდრე ბატონიშვილი სამეფო ტახტის აღდგენას ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენასთან ბუნებრივად აიგივებდა. თუ ეს ადამიანები იძულებულნი ხდებოდნენ, რომ ახალი მტრის წინააღმდეგ ქვეყნის ძველი მტრები გამოეყენებინათ, ესეც არაა გასაკვირი და უცხო ჩვენი ისტორიისათვის. ბატონიშვილებმა კარგად უწყოდენ, რომ ირანიც, ოსმალეთიც და დაღესტანიც ისტორიული მტრები იყვნენ საქართველოსი, მაგრამ მათი დახმარების გარეშე ამ ახალ რეალობაში უფრო ვერაგულად მოსულ მტერს ვერ მოუგებდნენ, ამის გამო მიდიოდნენ ამგვარ სარისკო მოკავშირეობაზე.

ალექსანდრე ბატონიშვილი მრავალჯერ იხსნეს რუსებისგან დაღესტნელებმა, კახეთის აჯანყების მარცხის შემდეგაც იგი დაღესტანში გადავიდა. საბოლოოდ კი, სპარსეთში დაბრუნდა, იქ იცხოვრა რამდენიმე ათეული წელი და გარდაიცვალა თეირანში 1844 წელს. დასაფლავებულია იქვე (შაჰ აბდულ აზიმის უბანში) [ბერძნიშვილი, 1980, 108].

იმპერიის სასამართლომ კახელი აჯანყებულები სამაგალითოდ დასაჯა. 29 ადამიანს სამუდამო კატორღა მიუსაჯა, 31-ს ჯარისკაცად გამწესება რუსეთის იმპერიაში. აჯანყების მონაწილე ორი ქალი ძალით აღკვეცეს მონაზვნად და კურსკის გუბერნიის მონასტერში სამუდამოდ გამოკეტეს. უამრავი ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმეს ადგილზე, „საჭიროების მიხედვით". ასევე, გლეხები დაავალდებულეს, გადაეხადათ დიდი რაოდენობის პური და ჯარიმის სახით კი დიდი რაოდენობის ფულადი გადასახადი. მრავალი სოფელი კახეთში ძირფესვიანად გადაიწვა და ვენახი გაიჩეხა. იყენებს რა რუსი კაპიტნის - ანოსოვის ჩანაწერებს, ალექსანდრე ფრონელი აჯანყების მრავალ დეტალს, რუსი მოხელეების სისასტიკესა და დაუნდობლობას

აჯანყებისადმი მიძღვნილ ნაშრომში შთამბეჭდავად გადმოგვცემს. აჯანყების უამრავ მონაწილეს ჩამოართვეს ადგილ-მამული და ან ხაზინას გადასცეს, ანდა მოღალატე ქართველებს უბოძეს.

ნელ-ნელა ისიც გაირკვა, რომ ბევრმა უდანაშაულომ დაიმსახურა სასჯელი მეზობლების, ანდა მტრების დასმენით, ბევრი 1816 წლის ამინისტიით განთავისუფლდა, ზოგი 1820 წელს შეიწყალა ხელმწიფე იმერატორმა მთავარმართებელ გენერალ ერმოლოვის წარდგინებით. ასე დამთავრდა ეს საერთო-სახალხო მოძრაობა.

ხელისუფლებამ მოღალატე ქართველები დააჯილდოვა. 1815 წელს ანტირუსული აჯანყებების წინააღმდეგ მებრძოლ გაბრიელ ყაზბეგს გენერალ-მაიორის ჩინი ებოძა და დუშეთის მაზრის მთიულების, მოხევეების, გუდამაყრელებისა და სხვათა მართვა-გამგეობა ჩააბარეს. ასევე დაჯილდოვდნენ სხვა ქართველი კოლაბორაციონისტი თავადები, თუმცა მათი სასჯელი ჯილდოზე უარესი გამოდგა: მათი სახელები მოღალატეებად ჩაეწერენ ჩვენი ხალხის თავგანწირული ბრძოლის ისტორიაში, რაც ყველა სასჯელზე უარესია.

როგორც ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავს, გულისტანის ხელშეკრულება, რომელსაც რუსული ხელისუფლება რტიშჩევის დამსახურებად თვლიდა, კახეთის აჯანყებით აფორიაქებულმა იმპერიულმა ხელისუფლებამ აქცია საქართველოს, როგორც რუსული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცნების გაქრობის და მის ნაცვლად „ზაკავკაზიეს“, დამკვიდრების საფუძვლად [ბერძენიშვილი, 1965, 483].

მიუხედავად ამისა, კახეთის აჯანყებამ აჩვენა ქართველი ხალხის უდიდესი სწრაფვა და თავგანწირვა ეროვნული ინტერესების დასაცავად. ის შეიქმნა იმპერიული ძალებისადმი დაუმორჩილებლობისა და თავგანწირული ბრძოლის მაგალითი ქართველთა შემდგომი თაობებისათვის.

თავი V

1819-1820 წლების აჯანყება დასავლეთ საქართველოში

1816-1827 წლებში საქართველოს მთავარმართებელი იყო ალექსი პეტრეს ძე ერომოლოვი.

თუ როგორ უყურებდა ეს დეკაბრისტების იდეებთან თანამოაზრეობით სახელგანთქმული რუსი გენერალი საგამგებლო მხარეს, კარგად ჩანს სხვადასხვა მოხელისადმი გაგზავნილი მისი პირადი წერილებიდან. მიხეილ ვორონცოვისადმი გაგზავნილ ერთ წერილში იგი წერდა: „მართლაც ჭეშმარიტად უნდა გიყვარდეს და გინდოდეს სამშობლოსათვის სასარგებლო საქმის გაკეთება, რომ შეძლო ისეთ ხალხს შორის ხანგრძლივი ცხოვრება, როგორც აქაურები არიან. მე ვერ ვამჩნევ ვერც მადლიერებას მმართველობისადმი, რომელმაც ამდენი კეთილდღეობა მოუტანა მათ და ვერც მათთვის ესოდენ გულმოწყალე ხელმწიფისადმი ერთგულებას. გამონაკლისი მხოლოდ მცირერიცხოვანი სამხედრო პირები არიან, დანარჩენებმა კი სულაც არ დაიმსახურეს ის მზრუნველობა , რომელსაც მათდამი იჩენენ; განა დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც აჯანყება იყო ბატონიშვილის სასარგებლოდ, ბატონიშვილისა, რომელსაც არც უგუნურობითა და არც ფლიდობით ბადალი არა ჰყავს. ხვალ, აქაურ მალემრწმენ და უგუნურ თავადაზნაურობას ოდნავ მაინც ხელსაყრელი ვითარება რომ მოეჩვენოს, საქართველოს უმეტესი ნაწილი უყოყმანოდ კვლავ ბატონიშვილის მხარეზე დადგება. ერთი სიტყვით, ეს ხალხი ღირსი არ არის ალექსანდრე I-ის სათნო მმართველობისა, მას რკინის კვერთხი ესაჭიროება. სხვა აქაური ხალხები გაცილებით უკეთესები არიან, მათ შეგნებული მაინც აქვთ თავიანთი უმეცრება და ადამიანობაზე პრეტენზია არა აქვთ... მე თანდათან ვრწმუნდები, რომ უდიდესი გმირობაა საჭირო, იღვწოდე ისეთი ხალხის სასარგებლოდ, რომლის დამახასიათებელი თვისებაა უმადურობა, და რომელსაც რუსეთისადმი მიკუთვნება ბედნიერებად არ ეჩვენება, რომელსაც მრავალჯერ უღალატნია მისთვის და კიდევ მზად არის უღალატოს. ყოველივე ამის მიუხედავად, მე ნელ-ნელა ვცდილობ წესრიგის დამყარებას. რა არის წესრიგი, აქ არც იციან, ამ სულელებს ყველაფერი ეს

უცნაურობად ეჩვენებათ, ბუზღუნებენ და მე ძალიან არ ვუყვარვარ, მაგრამ მე ჩემი ბრძანებების განუხრელად შესრულებას მოვითხოვ“ [Ермолов, 1885, 527-529].

ეს წერილი 1819-1820 წლების დასავლეთ საქართველოს აჯანყების აღშფოთებულ ერომოლოვს ეკუთვნის და შესაძლოა მართლაც გაგვეგო გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი მმართველისათვის, რომ არა მოგვიანებით, 1825 წელს ვორონცოვისადმი მიწერილი სხვა წერილი. აქაც ბესარაბიისა და ნოვოროსიის მხარის მმართველად დანიშნულ მეგობარს შენატრის, აქებს ყირიმის სილამაზეს და ლანძღავს საქართველოს, საიდანაც სულ რაღაც ორ წელიწადში წასვლა ისედაც უწევდა.

„ რა თქმა უნდა, შენს შრომას შედეგი ექნება, - წერდა იგი. - ოდესა თავისი ვაჭრობით მაცოცხლებელი წყაროა რუსეთის სამხრეთი ოლქებისათვის და უამრავ ადამიანს იზიდავს, საქართველოს კი, მის შესახებ დარხეული ხმების გამო, ყველა უფრთხის. ვგონებ, ჩვენ, რუსები, მის წინააღმდეგ ვართ შეთქმულნი, ვინაიდან არ არსებობს სისაძაგლე, რომელსაც მის შესახებ არ ყვებოდნენ... ივერია უწინ სულაც არ ყოფილა ცნობილი, ძნელი დასაჯერებელია, რომ ძველადაც ის ოდნავ მაინც უკეთესი ყოფილიყო ახლანდელზე. ამის გამო ყველა მოგზაური აღმოსავლეთის საუნჯეს უფრო მოშორებით ეძებს. ჩემს აღფრთოვანებას იწვევს შენს მიერ აღწერილი ყირიმი, შენ კარგად იცნობ საქართველოს და ალბათ დამეთანხმები, რომ ყირიმის სანაპიროს მსგავსი სილამაზის ადგილები ძალიან ცოტაა“ [Ермолов, 1926, 18].

ერმოლოვის დამოკიდებულება ქართველებისა და საქართველოსადმი, პირდაპირ ზიზღის შემცველი იყო და ამას არ შეიძლებოდა თავისი ნაყოფი არ გამოეტანა. მას მიაჩნდა, რომ დაუნდობელი და უკომპრომისო პოლიტიკა იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ კავკასიის შემომტკიცების და რუსულ იმპერიასთან მისი ასიმილაციის საწინდარი. ამით ის ჰგავდა წინამორბედ მმართველთაგან გარუსებულ ქართველ გენერალს _ პავლე ციციანოვს. ციციანოვის მსგავსად, მან დიდი როლი ითამაშა კავკასიის დამორჩილება-გარუსების საქმეში. მოსყიდვა -მოქრთამვის ნაცვლად, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ მისი წინამორბედნი, მის დროს კავკასიის სახანოების იარაღით დაპყრობისა და სამუდამოდ რუსეთთან შეერთების ერა დაიწყო. მისი პოლიტიკა დროებითი, მერყევი მშვიდობა კი არ იყო, არამედ სრული გამარჯვება, ამა თუ იმ სახანოს სრული დამორჩილება, მისი ბოლომდე დაპყრობა. ჯერ კიდევ საქართველოში ახლადჩამოსული ერმოლოვი წერდა ვორონცოვს, რომ

ამიერკავკასიის სახანოების კეთილმოწყობა და სრული დაპყრობა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ ხანებს ამოწყვეტდნენ და მათი ძალაუფლების ნაცვლად აქ რუსულ მმართველობას დაამყარებდნენ. ერმოლოვის პოლიტიკის დასახასიათებლად ამ წერილს დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ მოვიტანთ ვრცელ ამონაწერს წერილიდან: „ ყველა პირუტყვს შორის გამორჩეულმა გრაფმა გუდოვიჩმა, - წერდა იგი, - ციციანოვის სიძულვილის გამო, თავის მოვალეობად მიიჩნია ყველაფერი მის საწინააღმდეგოდ ეკეთებინა. მან სპარსეთში გაქცეული კაცი უკან მიიღო და შაქის ხანად დასვა. ყარაბაღის ავადმყოფი ხანი უშვილოდ აპირებდა გადაგებას, რტიშჩევმა კი, როგორც უნიჭოების განსახიერებამ, მას მემკვიდრე დაუნიშნა, - ჯაფარ ყული-აღა, თავის დროზე სპარსეთში გაქცეული, ჩვენს წინააღმდეგ სპარსულ ჯარს რომ შემოუძღვა და ერთი ბატალიონი გაგვიწყვიტა. რტიშჩევმა კაცი გაუგზავნა სპარსეთში, დაითანხმა დაბრუნებულიყო, აპატია დანაშაული და ხელმწიფის სახელით ხანის მემკვიდრედ გამოაცხადა. და აი, ორი შესანიშნავი და უმდიდრესი პროვინცია დიდი ხნით დაკარგულია რუსეთისათვის. მთავარმართებლების მარტო სისულელე რომ იყოს მიზეზი კიდევ რა უშავდა, მაგრამ აქ კიდევ უფრო მდაბალი მიზეზებია ჩარეული. რტიშჩევი კეთილი თვისებებისა და განზრახვების კაცი იყო, მაგრამ მისი არამზადა, გახრწნილი და ანგარებიანი ცოლი და მის გარშემო შემოკრებილი თაღლითები , აშკარა მძარცველები ატრიალებდნენ მას თავის ჭკუაზე და აი, სუსტმა და არცთუ ისე სავსებით უმანკო ქმნილებამ ჩაიდინა აშკარა უკანონობა“ [Ермолов, 1926, 530-531].

სპარსეთთან ერმოლოვის ურთიერთობა, მის მიერ აბას-მირზას ტახტის მემკვიდრედ ცნობაზე უარის თქმა, გულისტანის ხელშეკრულების დაცვის უმკაცრესი პირობის წაყენება სპარსეთისათვის, ეს ყველაფერი მას ახასიათებდა როგორც შეუვალსა და რისკიან პოლიტიკოსს. XIXსაუკუნის 10-იან წლებში მის მიერ განახორციელებული სახანოების შემოერთების დროს, გამოვლენილი მისი სისასტიკით თვით ერმოლოვის თანაშემწე მურავიოვი იყო გაკვირვებული და გაოცებული. „მარტო შაქის ისმაილ-ხანის მოწამვლა, რაც მან მადათოვის ხელით განახორციელა, - წერდა იგი, - ყველას შეაძრწუნებს“ [ორჯონიკიძე, 1992, 116].

აი, ასეთი ადამიანის ხელში მოხვდა ქართველი ხალხი, რომელიც რუსეთთან უკვე იყო ომში ჩაბმული და ერთხელ კიდევ იფეთქა 1819 წელს ანტირუსული გამოსვლების ტალღამ ქვეყნის დასავლეთ ნაწილში.

1819-20 წლების გამოსვლა, ქართულ ისტორიოგრაფიაში ხან იმერეთის აჯანყებად, ხან „საეკლესიო მღელვარებად" არის მოხსენიებული. ისევე, როგორც წინანდელი ანტირუსული გამოსვლები, ესეც იყო ნაწილი საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღსადგენად რუსეთის იმპერიის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ გამართული 30-წლიანი ომისა.

ქართველი ხალხი ვერ შეეგუა დამოუკიდებლობის დაკარგვას და რუსული მმართველობის მიუღებელ მეთოდებს. ქართველ ხალხში ყველაზე დიდი გულისტკივილი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიისთვის 1811 წელს ავტოკეფალიის წართმევამ გამოიწვია. მართალია, პირველი ეგზარქოსად რუსეთმა ქართველი დანიშნა, მაგრამ მალე ქართველი ეგზარქოსი ვარლამ ერისთავი (1818 წელს) ხელისუფლებამ რუსეთში გაიწვია და მის ადგილზე საქართველოს ეგზარქოსად რიაზანის ეპისკოპოსი თეოფილაქტე რუსანოვი მოიწვია.

ეგზარქოსმა თეოფილაქტემ სცადა საეკლესიო მმართველობის გარდაქმნა, გადაწყვიტა საეკლესიო ქონების ხაზინისათვის გადაცემა, ეპარქიების მინიმუმამდე შემცირება, დააწესა რუსული წირვა-ლოცვა, რასაც ქართველი ხალხის აღშფოთება მოჰყვა.

რუსული საეკლესიო პოლიტიკისა და ამდროინდელი მოვლენების გამო დიდი ქართველი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი გულისტკივილით წერდა: „საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან 16 წლის შემდეგ ქართველებს მოესპოთ საშუალება საქართველოს დედაქალაქის კათედრალურ ტაძარში ღვთისმსახურება თავის მშობლიურ ენაზე მოესმინათ, იმ ენაზე, რომელზეც 1400 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მხურვალე ლოცვა აღევლინებოდა.არც სპარსელებს, ცეცხლთაყვანისმცემლებსა და მაჰმადიანებს, არც არაბებს, არც წარმართ მონღოლებს, არც თურქებს არ გაუკეთებიათ ქართული ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესიისთვის ის, რაც გაუკეთა რუსულმა მმართველობამ და მათმა ეგზარქოსმა" [ჯავახიშვილი, 1998, 111].

თეოფილაქტე რუსანოვი ენერგიულად შეუდგა ქართული ეკლესიის რუსულ ყაიდაზე გარდაქმნას. მის მიერ შედგენილი და უწმინდესი სინოდის მიერ დამტკიცებული გეგმით გადაწყვეტილი იყო საეპისკოპოსოთა გაერთიანება, ეკლესიების შემცირება, საეკლესიო მამულების ჩამორთმევა და გადაცემა ხაზინისათვის, საეკლესიო გლეხთა ადასახადების გაზრდა და სხვ.

იმერეთის 12 ეპარქიიდან თეოფილაქტემ მხოლოდ სამი დატოვა: იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში. ახალ საეკლესიო პოლიტიკას აქტიურად დაუპირისპირდა როგორც დასავლეთ საქართველოს სასულიერო, ასევე საერო წოდება.

იმერეთიდან დაწყებულმა უკმაყოფილებამ საერთო-სახალხო აჯანყების სახე მიიღო. რუსი სახელმწიფო მოხელეები და საეკლესიო წრეები დარწმუნებულები იყვნენ, რომ ქართული მოსახლეობა ძალისმიერი მეთოდებით იმდენად მოათვინიერეს, რომ ახლა ყველა რუსული „რეფორმა“ უმტკივნეულოდ ჩაივლიდა. ამ განზრახვით იყო შთაგონებული ეგზარქოსი თეოფილაქტე (რუსანოვი), რომელმაც უხეშად დაიწყო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რუსულ ყაიდაზე რეფორმირება. კერძოდ, მან დაიწყო საეკლესიო მამულების, გლეხებისა და ქონების აღწერა, რათა სახელმწიფო ხაზინაში ჩაერიცხა ისინი. ასევე, დაგეგმილი იყო საეკლესიო ეპარქიების გაუქმება და მათი მინიმუმამდე დაყვანა (სამართავად ასე უფრო იოლი იყო). ამ უცერემონიო „რეფორმამ“ უპირველესად იმერეთში, შემდეგ კი რაჭასა და გურიაში ფართო მასშტაბიანი უკმაყოფილება გამოიწვია. ეგზარქოსი თოფილაქტე უკან არ იხევდა და ვერაფრით წარმოედგინა, რომ უზარმაზარ იმპერიას ეს მცირერიცხოვანი ხალხი რაიმე წინააღმდეგობას გაუწევდა. თანდათან, მოსახლეობის უკმაყოფილებამ იმატა და ფართო მასშტაბიანი აჯანყების ფორმა მიიღო. იმერეთის გარდა, მასში ჩაება რაჭის და გურიის მოსახლეობა და ნაწილობრივ სამეგრელო. მოსახლეობის ყველა ფენა გაერთიანდა „საეკლესიო ძალადობის“ წინააღმდეგ. სხვადასხვა ადგილზე მოსახლეობა თავყრილობაზე იკრიბებოდა და ხშირად, შეკრებილთა რიცხვი 2000-ს აჭარბებდა. ზოგიერთი ცნობით, გაიგზავნა მოწვევა, აჯანყებულებისთვის ალექსანდრე ბატონიშვილს ეხელმძღვანელა, მაგრამ მან ვერ შეძლო (თუ არ მოინდომა) იმერეთში გადასულიყო.

მაშინ აჯანყებულებმა თავის მეფედ გამოაცხადეს ივანე აბაშიძე, რომელიც დედის მხრიდან სოლომონ I-ს შვილიშვილად ერგებოდა [მახარაძე, 1942, 85].

აბაშიძე გარკვეულ სიმტკიცეს ვერ იჩენდა და ზურაბ წერეთელივით რუსებთანაც მიმოწერას აწარმოებდა. ქრთველი თავადების დაპირისპირებასა და ორჭოფობას იმპერიული რეჟიმი საუკეთესოდ იყენებდა, თუმცა ხალხის დიდი ნაწილი თავდადებით იბრძოდა ეროვნული ინტერესების დასაცავად [დუმბაძე, 1957, 233].

აჯანყებული იმერლები აღშფოთებას ვერ მალავდნენ: თუკი ებრაელთა, სომეხთა და კათოლიკეთა რწმება დაეკლესია ხელშეუხებელი რჩება, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ გამონაკლისი, რა დავაშავეთ, ეკლესიებს რომ გვიხურავენ და და ეპისკოპოსებს გვართმევენო“ [Акты, 1874, 391].

აღელვებული მოსახლეობა თეოფილაქტეს გადადგომას ითხოვდა. იმერეთის მმართველი კურტანოვსკი ყვირილის საგუშაგოსთან შეკრებილ აჯანყებულებთან თავად გამოცხადდა და მოლაპარაკებით სცადა მათი დამშვიდება, მაგრამ ვერაფერს გახდა და იძულებული შეიქნა, ხალხის ნება აღესრულებინა.

ახლა კი შეშინდა ეგზარქოსი თეიფილაქტე და ქუთაისიდან თბილისში გაემგზავრა. დაცვის სახით მას 300 რიგითი, ათობით ოფიცერი და 2 ზარბაზანი მიაცილებდა [დუმბაძე, 1957, 74].

თავდაპირველი მღელვარება თითქოს ჩაცხრა, მაგრამ, როგორც საქართველოს მმართველის, ველიამინოვის დაზვერვამ დაადგინა, აჯანყებას უფრო ფართო ხასიათი მიეღო: იმერეთის ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იმერეთის სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლაში გადაზრდილიყო. აჯანყების ხელმძღვანელობა ყველა ზომებს იღებდა მისი გაფართოებისათვის. ხალხი სამეგრელო-გურიის გარდა, იგზავნებოდა ქართლ-კახეთშიც. კავშირის დამყარებას ცდილობდნენ დაღესტანთან და ირან-ოსმალეთთანაც. იმერლები ისხამდნენ იარაღს, იმარაგებდნენ ტყვია-წამალს, ფიცს სდებდნენ, რომ თავდადებით იბრძოლებდნენ რუსული მმართველობის გასაუქმებლად და დამოუკიდებელი სამეფოს აღსადგენად. ეპისკოპოსები ლოცავდნენ აჯანყებულებს, მეფობის კანდიდატებად ასახელებდნენ

მას შემდეგ, რაც იმერეთში თავი მოიყარა რუსული ჯარის დიდმა რაოდენობამ, ხოლო იმერეთის მოხუცი მმართველი გენერალი კურნატოვსკი შეცვალა პოლკოვნიკმა პუზირევსკიმ (1820 წ. თებერვალი), მდგომარეობა ისევ დაიძაბა. ახლა უკვე რუსული სამხედრო მანქანა შეტევაზე გადავიდა. პირველ რიგში, გადაწყდა დაეპატიმრებინათ ივანე აბაშიძე და ორი მღვდელმთავარი: დოსითეოს ქუთათელი

(რომელიც ფაქტობრივად, აფხაზეთ-იმერეთის კათოლიკოსის მოვალეობას ასრულებდა) და მაქსიმე გენათელი. ეს უკანასკნელი, როგორც შემდეგ თავის მოგონებებში მთავარმართებელი ერმოლოვი იგონებდა, მხოლოდ იმიტომ შეიპყრეს და მიუსაჯეს გადასახლება, რომ „სათანადო პატივს არ სცემდა“ „ამპარტავან ბერ“ თეოფილაქტეს [მახარაძე, 1942, 89].

ერმოლოვის მოადგილე მთავარმართებლის პოსტზე ველიამინოვი, იმერეთის მმართველ პუზირევსკის სწერდა: „ამბობენ, რომ ყველაზე რთულია შევიპყრათ ქუთათელი და თავადი ივანე აბაშიძე; მოიფიქრეთ რამე, რომ ეს ვაჟბატონები არ გაგვეპარონ («Сообразите, чтобы эти молодцы не ускользнули»). თუ შეუძლებელია მათი ცოცხლებად შეპყრობა, მაშინ გაანადგურეთ“ [Акты, 1874, 576].

1820 წ. 4 მარტს მართლაც, აჯანყების ყველა მოთავე (ივანე აბაშიძის გარდა) დააპატიმრეს. ამასთან, როგორც ამ ოპერაციის მონაწილე რუსი ოფიცერი ი. დუბეცკი იგონებდა: „ერთი მათგანის (იგულისხმება მოხუცებული ქუთათელი მიტროპოლიტი, ე. კ.) შეპყრობის დროს, მისი წინააღმდეგობის გამო, გამოყენებულ იქნა კონდახები და ხიშტები, ასე რომ არქიელი დასისხლიანებული და ნაცემი, ძალით იქნა დასმული თავის ცხენზე“ [Дубецкий, 1895, 121; მოამბე, 1896, 9].

პოლკოვნიკ პუზირევსკის „გულმოდგინება“ იქამდეც კი მივიდა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ტყვეები: ეპისკოპოსები გენათელი და ქუთათელი, ასევე ხანდაზმული დარეჯან ბატონიშვილი და სხვები, თუ გზაზე იმერლები დაესხმოდნენ თავს, დაეხოცათ და მდინარეში გადაეყარათ, გზაში კი, ერთმანეთი რომ არ დაენახათ და წყნარად ყოფილიყვნენ, თავზე ტომარა ჩამოეფარებინათ და კისერთან და წელთან თოკშემოკრულები წამოეყვანათ [Акты, 1874, 578].

პუზირევსკის ამ გადაწყვეტილებას ველიამინოვიც კი შეუშფოთებია და თამამი პოლკოვნიკისთვის ურჩევია ასეთი რამ არ გაეკეთებინა, გზაში ტყვეების დახოცვა თუ გახდასაჭირო მდინარეში ნუ გადაყრით, რადგან თუ წყალმა გამორიყა და ხლხმა ამოიცნო მათი გვამები, შესაძლოა ამ ამბავს დიდი არეულობა მოჰყვეს, ამიტომ ჯობს მოზდოკამდე მაინც ატაროთ გვამები და იქ დაფლათო [Потто, 1906, 509-513].

(«... против сопротивления одного из них (Досифея), были употреблены приклады и штыки, так что архипастыр избитый и окровавленый был связан и так посажен на лошадь свою»). მაგრამ რუსი სამხედროები ამას არ დასჯერდნენ. ორივე მღდელმთავარს

ჩამოაცვეს ტომრები და ცხენებზე დასმულები თოკებით მიაბეს. ისინი ასე უნდა გაეყვანათ სამხედრო გზით რუსეთში. ასეთ მოპყრობას, მოხუცებულმა და დაუნდობლად ნაცემმა მიტროპოლიტმა დოსითეოსმა ვერ გაუძლო და გზაში, სურამთან გარდაიცვალა. ამის მიუხედავად, მისი გვამი იმავე სახით (ტომარაჩამოცმული და ცხენზე მიბმული) ანანურამდე ატარეს და იქ დამარხეს, მისი სიკვდილი ჯარისკაცებისთვისაც კი არ გაუგებინებიათ. [კაკაბაძე, 1997, 88; ნარკვევები, 1973, 930-934.].

რაც შეეხება ექვთიმე გელათელს, ის რუსეთში ჩაიყვანეს. შთაბეჭდილების მოსახდენად, იგი იმპერატორსაც წარუდგინეს, მაგრამ როგორც ჩანს, გენათელმა არ გამოიჩინა სათანადო მოწიწება და არ გამოხატა „მონანიება“, რის გამოც მიტროპოლიტი პეტერბურგიდან რამდენიმე ასეული კილომეტრის დაშორებით სვირსკის მონასტერში გამოკეტეს, სადაც 1822 წ. აპრილში გარდაიცვალა [კაკაბაძე, 1997, 88].

ამის შემდეგ აჯანყება შენელდა, მაგრამ მთავრობამ შეცდომა დაუშვა, ხალხს „ცოდვის მონანიება“ და იმპერატორის ერთგულებაზე დაფიცება მოთხოვა. ამან გააღიზიანა დაწყნარებული მოსახლეობა და აჯანყება განახლდა. აჯანყებულებმა სცადეს ქუთაისის დაკავება, მაგრამ რუსულმა ჯარმა ქალაქის ყველა შესასვლელი ჩაკეტა. აჯანყება ახალი ძალით გაჩაღდა რაჭაში, გურიასა და სამეგრელოს ნაწილში.

რაჭაში შეიკრიბა საზოგადოების ფართომასშტაბიანი ყრილობა, რომელმაც მიიღო სპეციალური მიმართვა: ეგზარქოს თეოფილაქტესა და მის ხელქვეითებს განზრახული აქვთ ბევრი ჩვენი წმინდა ეკლესია დახურონ და დაანგრიონ, წმინდანების ნაწილები და ჯვრები ჩამოგვართვან, ჩვენთვის მლოცველი ეპისკოპოსები და მღვდლები წაგვართვან, საშუალებას გვისპობენ - ვადიდოთ ქრისტე. აგარიანთა ბატონობის დროსაც არ მოუყენებიათ ჩვენთვის ასეთი შეურაცხყოფაო... რუსული ხელისუფლებისგან ისინი ითხოვდნენ თეოფილაქტე რუსანოვის გადაწყვეტილების შეჩერებას, ქართველი ხალხის საეკლესიო ტრადიციების პატივისცემას.

რაჭაში საეკლესიო რეფორმის ჩასატარებლად გამოგზავნილი მოხელეები არ მიიღეს, გზები ჩახერგეს, მოითხოვეს ეგზარქოს რუსანოვის იმერეთიდან გაძევება.

რაჭის ოკრუგის უფროსი - მაიორი ცაცკა თავისი სამხედრო რაზმით კვარას ციხეში ჩაიკეტა და გარეთ გამოსვლას ვერ ბედავდა.

აჯანყებულებმა ფიცი დადეს საერთო და შეთანხმებულ მოქმედებაზე. მღელვარება გურიასა და ნაწილობრივ სამეგრელოსაც მოედო.

გურიაში გლეხთა წინააღმდეგობას სათავეში ჩაუდგა მეფედ შერაცხული ივანე აბაშიძე. მას ცოლად მამია გურიელის ასული ჰყავდა, მაგრამ არა მასთან (ის რუსეთის ერთგული იყო), არამედ მის ბიძასთან - ქაოხოსრო გურიელთან დაიდო ბინა. ქაიხოსრო გურიელი აჯანყებულებს თანაუგრძნობდა და ეხმარებოდა. გენერალი პუზირევსკი, რომელიც აგრესიულობის და უხეში ძალის დიდი მოტრფიალე იყო, დამშვიდებული გაემართა გურიაში ეროვნული მოძრაობის მოთავეთა (მათ შორის ქაიხოსრო გურიელის) „შესაპყრობად და ამოსაძირკვად“. პირველივე შემხვედრ წვრილ აზნაურ ბოლქვაძეს მან მათრახი გადაუჭირა და ლანძღვა-გინებით მოითხოვა ქაიხოსრო გურიელის ადგილსამყოფელის ჩვენება. ასეთ ქცევას მიუჩვეველმა ბოლქვაძემ, ადგილზე მოკლა გენ. პუზირევსკი [Потто, 1887, 755].

აჯანყებულმა გურულებმა მდ. ბჟუჟთან მთლიანად ამოწყვიტეს პოდპოლკოვნიკ ზგორელსკის რაზმი, მოსპეს ჩოხატაურში მყოფო ჯარიც. ამასობაში, იმერეთში კვლავ დაიძაბა სიტუაცია. იქ ივანე აბაშიძის ნაცვლად, ახალ მეფედ გამოახადეს ვახტანგ ბატონიშვილი, იმერეთის მეფე დავით II-ის უკანონო ვაჟის - როსტომის შვილი. რუსეთის ერთგული სამეგრელოს მთავარი იმერეთის საზღვარზე დადგა, რათა იქიდან არ გადმოეშვა აჯანყებულები [Акты, 1874, 672].

გურიელი ვერ ბედავდა აჯანყებულთა წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას, მთავარმართებელი ერმოლოვი კი მას არწმუნებდა, რომ მისთვის ქაიხოსროს ტახტის წართმევა სურდა (მთავარი ტახტის წამრთმევი თავად იყო, რაც 1828 წელს გურიის სამთავროს გაუქმებით გამოიხატა) [Акты, 1874, 675].

თავად ერმოლოვმა ამ დროს დასვა საკითხი კავკასიის სამთავროებისა და სახანოების გაუქმების შესახებ. ადრე გაფორმებული „სამფარველობო ხელშეკრულებები“ ამ დროს სცნეს „Уступками, Вырванными у царизма в дни его слабости“ .ერმოლოვმა დაასაბუთა სამთავროთა ლიკვიდაციის აუცილებლობა [Акты, 1874, 630].

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის - ნესელროდესადმი მიწერილ წერილში ერმოლოვი დასავლეთ საქართველოს მთავრებს იხსენიებდა როგორც „ფეოდალური სიმახინჯის ნაშიერებს“, რომელთა თვითნებობას ზღუდავდა რუსეთი [Акты, 1874, 652-653].

ასეთი ცნობიერების ადამიანი ატყუებდა მის მომხრე მთავრებსა და თავადებს და დრომდე იყენებდა მათ რუსული იმპერიული პოლიტიკის გატარებაში.

სამეგრელოში, აჯანყებას სათავეში ჩაუდგა გიორგი დადიანი. როგორც მამია დუმბაძე აღნიშნავს, ის „გამთავრებისათვის იბრძოდა“, თუმცა, საკმაო ზიანი მიაყენა რუსეთის სამხედრო ძალებს. სამეგრელოს მთავარმა ის ადვილად დაამარცხა[დუმბაძე 1957:236].

რუსულმა ხელისუფლებამ თბილისიდან გამოაგზავნა იმერეთის ახალი მმართველი პოლკოვნიკი გორჩაკოვი. ჯარის ახალი ნაწილთან ერთად ქუთაისის მმართველი პირველად გაემართა რაჭისკენ და იქ ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდა აჯანყებულებს: თავადებსაც და გლეხებსაც. გარდა იმისა, რომ ბრძოლებში უამრავი ადამიანი იღუპებოდა, ტრაგედია ისიც იყო, რომ რუსი სამხედროების წაქეზებით თანამოძმენი ერთმანეთს მტრად უხდებოდნენ. ეს იწვევდა ერის გათიშვასა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასუსტებას.

გურიასა და სამეგრელოში გაჩაღებულმა ბრძოლებმა იმერეთში აჯანყების ახალი აზვირთება გამოიწვია. 1820 წლის ზაფხულში გურიიდან გადმოვიდა ივანე აბაშიძე და სათავეში ჩაუდგა ბრძოლას. მდინარე ჩოლაბურთან მან მთლიანად გაანადგურა კაზაკების სადარაჯო პუნქტი და რუსულ ჯარს აღმოსავლეთ საქართველოსთან დაკავშირების საშუალება მოუსპო. მიუხედავად ამისა, გენერალმა ველიამინოვმა მაინც შეძლო დასავლეთ საქართველოში დიდი ჯარის შეყვანა და მოსახლეობის წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიების გატარება. ამის შემდეგ მან რაჭაში გაგზავნა 2000 კარგად შეიარაღებული რაზმი. აჯანყებულმა რაჭველებმა იაშვილის მეთაურობით, კვარასციხესთან მათ დიდი წინააღმდეგობაც გაუწიეს, თუმცა საბოლოოდ უკან დაიხიეს.

რუსების მიერ დაპატიმრებულმა აჯანყების ერთ-ერთმა წინამძღოლმა - ლომკაც ლეჟავამ, რომელსაც ერმოლოვის სახელით ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, თავის გადარჩენის მიზნით გასცა აჯანყების გეგმა და დაასახელა მეთაურები. მან მიუთითა, რომ

აჯანყების ქარტია ინახებოდა თავად გიორგი წულუკიძის მამულში. რუსებმა ხელში ჩაიგდეს ეს დოკუმენტი. ნათელი გახდა, რომ აჯანყების მიზანს რუსების საქართველოდან განდევნა წარმოადგენდა. ქარტიაში ჩამოყალიბებული იყო აჯანყების გეგმა, მას ხელს აწერდნენ მეთაურები, რითაც რუსებს მათი მონახვა და დასჯა გაუადვილდათ. აჯანყების ბევრი მეთაური არმიაშიც მსახურობდა და რუსები ვერ წარმოიდგენდნენ მათ ღალატს. გიორგი წულუკიძეც რუსული ჯარის პოლკოვნიკი და წმინდა ანას ორდენის კავალერი იყო. ქარტიაში დასახელებულებმა არ იცოდნენ ლომკაც ლეჟავას დატყვევების ამბავი, რუსებმაც ხერხს მიმართეს: ქარტიაში დასახელებული ათი ადამიანი სამხედრო დავალების შესასრულებლად გამოიძახეს. მოსვლისთანავე რუსებმა ისინი ალყაში მოაქციეს და შეპყრობა დაუპირეს. იმერელი თავადები ყველაფერს მიხვდნენ. ლევან წულუკიძე ეკვეთა მტერს, მაგრამ ის და მისი ორი თანამებრძოლი ადგილზევე მოკლეს, დანარჩენი დაჭრილები დაატყვევეს [ხომერიკი, 2012, 283-286].

აღმოჩენილი აჯანყების ქარტია, როგორც მკვლევარი მანანა ხომერიკი წერს, „პირველი ქარტიაა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში“ [ხომერიკი, 2012, 285].

რუსი გენერლები იმერეთის მმართველის - გორჩაკოვის მეთაურობით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს სასტიკად გაუსწორდნენ: მათ დაარბიეს რაჭა, ცეცხლს მისცეს სოფლები, დაანგრიეს ციხე-სიმაგრეები, დააპატიმრეს უამრავი ადამიანი, მოსახლეობას წაართვეს იარაღი.

ხანისწყალთან ბრძოლაში რუსებმა სცადეს იმერეთის მეფედ გამოცხადებული ივანე აბაშიძის დატყვევება. რამდენიმე შეტაკების შემდეგ ივანე აბაშიძემ უკან დაიხია და ახალციხეში მოახერხა გადასვლა, სადაც მკვლელი მიუგზავნეს და მოკლეს. რაც შეეხება გურიას, ველიამინოვმა 3200 ჯარისკაცით შეუტია შემოქმედის ციხეს, სადაც აჯანყებულ გურულთა მთავარი ნაწილი იდგა. ქართველები უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდნენ. როდესაც რუსები ციხეში შევიდნენ, მათ მხოლოდ 5 ცოცხალი ქართველი მეომარიღა დახვდათ და ისინიც ხიშტებზე წამოაგეს. შემდეგში ერმოლოვი თავის ჩანაწერებში ასე აღწერდა გურიაში ჩატარებულ რუსულ რეპრესიებს: „ამბოხებული სოფლები გავანადგურეთ და გადავბუგეთ, ბაღები და ვენახები ძირებამდე ავჩეხეთ, მრავალი წლის შემდეგაც ვერ აღიდგენენ მოღალატენი

პირვანდელ მდგომარეობას“, - ასე აღწერდა გურიაში ჩატარებულ რუსულ რეპრესიებს თავის ჩანაწერებში ალექსანდრე ერმოლოვი [Ермолова,1863, 112].

თავადები: გ. წულუკიძე, ერისთავები, აბაშიძეთა ორი წარმომადგენელი და იაშვილების ყველა თავკაცი, ციმბირში გააგზავნეს (ყველაზე აშკარად რუსულ ხელისუფლებას თავადი ყიფიანები მიემხრნენ). რაჭის აწიოკების შემდეგ, გორჩაკოვი გურიაში გადავიდა (ივანე აბაშიძე თურქეთში გაიხიზნა). გურიაში რუსებმა მიწასთან გაასწორეს სოფ. შემოქმედი, რუსულმა ჯარმა აჩეხა ვენახი, მოთხარა ბაღები და დაწვა სახლები. მრავალი სოფელი ისე გადაწვეს, რომ ეს ადგილები ათეული წელი ვეღარ აღორძინდებოდა,

აჯანყება დამარცხდა. გამოვლენილ მეთაურებსა და რიგით მონაწილეებს ციმბირში ან რუსეთის შიდა გუბერნიებში გადასახლება მიესაჯათ. მათგან უდიდესმა ნაწილმა სამშობლოში დაბრუნება ვეღარ შეძლო. სამაგიეროდ, დაასაჩუქრეს გამცემ-მოღალატენი. თუმცა ამ შემთხვევაშიც, რუსულმა ხელისუფლებამ სიძუნწე გამოიჩინა. ანაზღაურება ყველას არ ერგო. გრიგოლ წერეთლის თხოვნას (რომელიც მეფის მთავრობის უერთგულესი მსახური იყო) 300 მან. ზარალი აენაზღაურებინათ მისთვის, პოლკ. გორჩაკოვმა ასეთი რეზოლუცია დაადო: „ვინაიდან, (მისი) ღვინო გაძარცულ იქნა მისივე გლეხების მიერ, რომლებიც აჯანყების მონაწილეები იყვნენ, უარი ეთქვას ანაზღაურებაზე“. ასევე, უარი ეთქვათ ანაზღაურებაზე ელო ხანანიაშვილსა და იოსეფ (ოსიპ) აკოპაშვილს, რომლებიც მეფის მთავრობას ერთგულად ემსახურებოდნენ, მაგრამ გორჩაკოვის სიტყვით „გაძარცვულ იქმნენ ყაჩაღთა მიერ და არა აჯანყებულთაგან“ [მახარაძე, 1942, 119].

„სამშობლოს მოღალატე“ იმერელი თავადების შესახებ იმერეთის მმართველმა გორჩაკოვმა 1821 წლის 12 მარტს გამოაქვეყნა პროკლამაცია, რომელსაც ერთვოდა იმპერიის საზღვრებიდან გასაძევებელ პირთა სია. თუ ვინმე ქვეყანაში ნახავდა რომელიმე მათგანს, ცოცხალი ან მკვდარი უნდა მიეყვანა უფროსობასთან, რისთვისაც მიიღებდა გარკვეულ ანაზღაურებას [სცსსა, ფონდი 2, ან. 1, საქმე 4089].

თანდართულ სიაში სულ 27 კაცი იყო ჩამოთვლილი და ყველა მათგანი იმერეთის სამეფო ოჯახისა და ცნობილი თავადების წარმომადგენლები იყვნენ [სცსსა, ფონდი 2, ან. 1, საქმე 1119].

აჯანყების ჩაქრობასა და აჯანყებულთა მიმართ დაუნდობელი ქმედების მთავარი მბრძანებელ-განმკარგულებელი საქართველოს მთავარმართებელი ალექსი პეტრეს ძე ერმოლოვი იყო. ერმოლოვს ეზიზღებოდა დამთმობი პოლიტიკა, რასაც მისი წინამორბედები ხშრად მიმართავდნენ. მას კავკასიელ მმართველთაგან მხოლოდ ციციანოვი მოსწონდა სიმკაცრის გამო. გადაამჭრელი მოქმედებებისათვის მზადყოფნას ამჟღავნებდა ის არაკჩეევისადმი მიწერილ წერილში, სადაც შემრიგებლური პოლიტიკა მიაჩნდა აჯანყებების მთავარ მიზეზად კავკასიასა და საქართველოში. „არაჩვეულებრივ სიმკაცრეს გამოვიჩენ თავნება, ურჩი, თავისუფლად მოაზროვნე პირების მიმართ, რომლებიც თავისი აღმაშფოთებელი შეგონებებით ხელისუფლების წინააღმდეგ განაწყობენ ხალხს. მე არ მივიღებ სუსტ ზომებს, რომელსაც ჩვენთვის ზიანის მოტანის მეტი არაფერი შეუძლია, ჩემი საქციელი სულ სხვაგვარი იქნება. მე კანონის ძალის გარდა სხვა არაფერი ძალაუფლება არ გამაჩნია, მაგრამ ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ კანონის ძალას გამოვიყენებ სრულიად განურჩევლად, ყველას მიმართ. ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ ძალიან მალე უჩუმრად დამემორჩილებიან. აქ ყველას ისე ჰგონია, რომ საყოველთაო უკმაყოფილება, რომელიც, როგორც წესი, აჯანყებაში გამოიხატება, ძალიან საშიშია. მსგავსი ამბებით აშინებდნენ მთავარმართებლებს და აიძულებდნენ დათმობაზე წასვლას. მე არაფრის არ მეშინია და ვაღიარებ, რომ მსგავსი შემთხვევები ან სრულიად აღარ იქნება, ან იქნება ძალზე იშვიათად" [Ермолов, 1912, 93].

დამარცხების მიუხედავად, ქართველმა ხალხმა დამპყრობლებს კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ეროვნულ ჩაგვრას ვერასოდეს შეურიგდებოდა, რომ საქართველოში არ გამოილეოდნენ სამშობლოსთვის თავდადებული ადამიანები. აჯანყებამ, სამწუხაროდ, ისიც აჩვენა, რომ რუსი დამპყრობლები არაფრით განსხვავდებოდნენ ბაღებისა და ვენახების ამკაფავი მომთაბარე თურქ-სელჩუკებისა და ოსმალო-ყიზილბაშებისაგან. რუსი მოხელეების მიერ „საეკლესიო ბუნტად" მონათლული დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის აჯანყება, სინამდვილეში ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირული ფურცელი იყო.

თავი VI

1832 წლის პოლიტიკური მოვლენები და ქართული საზოგადოება

§1. საკითხის კვლევის ისტორიოგრაფია

1832 წლის პოლიტიკური მოვლენები ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ძირითადად, შეთქმულების სახელწოდებითაა ცნობილი. არსებობს სხვა დეფინიციებიც: აჯანყება, შეთქმულებრივი მოძრაობა, განმათავისუფლებელი მოძრაობა და სხვ.

„შეთქმულების“ კვალიფიკაცია პირველად 1832 წლის მოვლენას მისცა რუსმა მოხელემ, კავკასიის მთავარმართებელმა, ბარონმა გრიგოლ როზენმა. მოვლენა შეფასდა ქართველი არისტოკრატიის ნაწილის შეთქმულებად, უმნიშვნელო მოვლენად, რაც მისი მასშტაბისა და ქართველ პატრიოტთა თავგანწირვის დამცრობას ისახავდა მიზნად.„ხელმწიფე მპერატორმა ინება უზენაესად ებრძანებინა ზოგიერთ ქართველთა შორის აღმოჩენილი შეთქმულების შესახებო“, წერდა როზენი. შეთქმულების გარემოებათა გამომრკვევი კომისიის თავმჯდომარე, გენერალ-მაიორი ჩევკინი კი ასე მიმართავდა ქართველ თავადაზნაურთა კრებას: „მის იმპერატორებით უდიდებულესობას , ყოვლადმოწყალე ხელმწიფეს ჩვენსას, მოხსენდა რამდენიმე ქართველი თავადისა და აზნაურის მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულების თაობაზე“.

ასეთი შეფასების კვალიფიკაციის დამკვიდრებას ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ხელი შეუწყო იოსებ სტალინის მიერ 1904 წელს გამოთქმულმა თვალსაზრისმა, სადაც ის პირდაპირ ეთანხმებოდა როზენისა და ჩევკინის აზრს, რომ 1832 წელს მხოლოდ „ზოგიერთი (რამდენიმე)თავადის შეთქმულება“ მოეწყო[სტალინი 1953:33]. გარდა იმისა, რომ რამდენიმე თავადი კი არა, საქათველოს მაშინდელი არისტოკრატიის მეტი ნაწილი აღმოჩნდა მოძრაობაში ჩაბმული, ეს ისევე არ ყოფილა ერთი სოციალური კლასის გამოსვლა, როგრც დანარჩენი წინა წლების ანტირუსული აჯანყებები. სხვა რომ არაფერი, აჯანყების მთავარი იდეოლოგი - სოლომონ დოდაშვილი არ იყო არისტოკრატიული წარმოშობის, ის ეროვნული

სულისკვეთებით ჩაება მოძრაობაში და მხოლოდ ერთი მიზანი - საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ჰქონდა.

მკვლევარი დიმიტრი შველიძე 2014 წელს გამოცემულ ნარკვევში - „1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან“ ზედმიწევნით აანალიზებს აღებულ ისტორიულ მოვლენას და მას არა შეთქმულებად, არამედ ფართო „შეთქმულებრივი ხასიათის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობად“ წარმოგვიდგენს. „საიდუმლო ორგანიზაციის წევრთა რიცხვი სულ ცოტა 300 კაცს აჭარბებდა და, ჩვენი ვარაუდით, - წერს მკვლევარი, - 500 კაცამდე მაინც აღწევდა. უკვე ორგანიზაციის მონაწილეთა ამგვარი და უფრო მეტი რაოდენობა იმას ნიშნავს, რომ პატრიოტული ორგანიზაცია შეთქმულთა ვიწრო ჯგუფს კი არ წარმოადგენდა, არამედ ფართო მასშტაბის იდეურ-პოლიტიკური მოძრაობის ქსელს. უფრო მეტი იქნებოდა შეთქმულთა თანამგრძნობების რიცხვი“ [შველიძე, 2014, 10].

შეთქმულება რომ არ ყოფილა ვიწრო წრეში მოქცეული, ამასმოწმობს ისიც, რომ არსებობდა რამდენიმე საიდუმლო საზოგადოება. ერთ-ერთი ასეთი იყო დავით და დიმიტრი თარხნიშვილების მეთაურობით არსებული ორგანიზაცია, რომელთაც თამარ ბატონიშვლისთვის მიუგზავნიათ მართა მესხიშვილი და მისთვის აჯანყების მესვეურობა უთხოვიათ. „თვით შეთქმულთა მეთაურები თავიდანვე ფიქრობდნენ, რომ ერთი ორგანიზაცია კი არ შეექმნათ, არამედ რაც შეიძლება ბევრი საზოგადოებები, რომლებიც პატრიოტულ-საგანმანათლებლო საქმიანობას გასწევდნენ. კერძოდ, დიმიტრი ბატონიშვილი შეთქმულებს პატრიოტული მიზნების განსახორციელებლად და საზოგადოების მისამხრობად პირველ საშუალებად ახალგაზრდებისაგან საზოგადოებების შედგენას, განათლებასა და ამ საზოგადოებების გავრცელებას აღიარებდა [გოზალიშვილი, 1935, 16].

1832 წლის მოვლენები ყველაზე ღრმად და მასშტაბურად განიხილა გიორგი გოზალიშვილმა. ამ თემას მან სამი ტომი მიუძღვნა, სადაც საკუთარ ანალიტიკურ მასალასთან ერთად, მოტანილია ქართულ ენაზე თარგმნილი საგამოძიებო დოკუმენტები, დაკითხვის ოქმები, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებიდან ამოღებული წყაროები [გოზალიშვილი, 1935, 1970, 1976].

1832 წლის პოლიტიკურ მოვლენებს ეხება პავლე ინგოროყვა, ბარათაშვილზე დაწერილი შრომის შესავალში [ინგოროყვა, 1945].

მე-19 საუკუნის 30-იანი წლებში „თავადაზნაურული მოძრაობის შესახებ საუბარია გ. ხაჭაპურიძის ნაშრომში [ხაჭაპურიძე, 1950].

1832 წლის პოლიტიკური გამოსვლის ერთ-ერთ იდეურ ხელმძღვანელზე - სოლომონ დოდაშვილზე საუბარია: მ. გოცაძის [გოცაძე, 1955], ალ ქუთელიას [ქუთელია, 1949], ა. სურგულაძის [სურგულაძე, 1968], ლ. ებანოიძის [ებანოიძე, 1968] ნაშრომებში, რ. ჩხეიძის დოკუმენტურ რომანში – მისიონერი" [ჩხეიძე, 2014]. საქართველოს ისტორიის აკადემიურ გამოცემებში, ასევე „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მე-4 ტომში შეტანილ ნარკვევში საკითხის ანალიტიკური მიმოხილვა და გაკეთებული დასკვნები ძალზე ჰგავს ერთმანეთს და მასში ის შეფასებებია წარმოდგენილი, რაც საბჭოური იდეოლოგიისთვის კანონიზირებული იყო.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საკითხის კვლევას უფრო თავისუფალი ხასიათი მიეცა, შეიქმნა ისეთი ნარკვევები, სადაც მოვლენები სიღრმისეულად განიხილება, ამასთან, შეფასების კრიტერიუმი არის ქართული სახელმწიფოებრიობა, მისი აღდგენისა და დაცვისათვის ბრძოლა. ეს ავტორები არიან: აკაკი ბაქრაძე, ალექსანდრე ბენდიანიშვილი, დიმიტრი შველიძე, თამაზ ჯოლოგუა, ზაზა აბზიანიძე, ვაჟა კიკნაძე, დოდო ჭუმბურიძე, მანანა კვაჭანტირაძე და სხვ.

მართალია, 1832 წლის დეფინიციის საკითხი - შეთქმულებაა ის, შეთქმულებრივი მოძრაობა, აჯანყება, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფორმა, პატრიოტული მოძრაობა „მამულის გამოხსნისათვის" თუ ქართველი ხალხის ანტირუსული, 30 წლიანი ომის ერთი მონაკვეთი - ჯერ დადგენილი არაა, მაგრამ მიმდინარეობს საინტერესო მსჯელობანი, ფაქტებისა და მოვლენების კომპლექსური შესწავლა-შეფასება, მსოფლიოს მსგავსი ისტორიული მოვლენების მაგალითებთან მისი შედარება და, საბოლოოდ, ალბათ, ობიექტური სამეცნიერო დასკვნებიც დაიდება. ამაზე ჩემი მოკრძალებული აზრიც ამ თავის დასკვნებში იქნება წარმოდგენილი.

§ 2. ქართული საზოგადოება XIX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოსა და 30-იანი წლების დასაწყისში

XIX საუკუნის 30-იან წლებში ქართული არისტოკრატია კიდევ ერთხელ ჩაფიქრდა იმაზე, რა მოელოდა თავისუფლებადაკარგულ საქართველოს. გენერალი ივანე ნიკოლოზის ძე აფხაზი 1831 წელს შეწუხებული იყო შექმნილი სიტუაციით. იგი მეგობრებს ასე მიმართავდა: „აწინდელი ჩვენი საზოგადოება არს მკვდარი მამულისთვის. ცხოვრობენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოუკვლოდ, ვითარცა ბნელსა ღამესა შინა; ყოველი ფიქრობს საკუთარისა თავისა სარგებლობისათვის... ანგარება არის მათთვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაც გვეკარგება პატიოსნება... ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათი წლის მორჩილებისა“. ამას გადმოგვცემს გრიგოლ ორბელიანი თავის დღიურებში [ორბელიანი, 1988, 238].

მაგრამ ივანე აფხაზი, ისევე როგორც არისტოკრატიის დიდი ნაწილი, გაორებული ბუნების იყვნენ. თან დამოუკიდებელი საქართველო სურდათ (თუმცა აფხაზი განსაზღვრავს, რომ ეს შესაძლებელია მხოლოდ 100 წლის შემდეგ!), თანაც მეფის არმიის ყველა ბრძანებას უსიტყვოდ ასრულებდნენ. ივანე აფხაზი, მაგალითად, თავისუფლებისმოყვარე კავკასიელებს მუსრს ავლებდა. ამავე დროს, იგი იფიცებოდა, რომ საქართველო ყველაზე მეტად უყვარს და მზად არის თავი შესწიროს მას. ძალზე საინტერესოა გრ. ორბელიანის კამათი მასთან. გრიგოლი ამბობს: „აწ თვით ყიზილბაში და ოსმალოც ხედვენ შეცდომილებათა თვისთა, რომელ საქართველომ მათგან შეიწროებულმან, დაუმეზობლა (მათ) ესოდენ საშინელი მათთვის მეზობელი რუსეთი და არღა მოინდომებენ რომელ საქართველომ კვლავცა მოსთხოვოს მფარველობა რომელსამე ძლიერსა სახელმწიფოსა ევროპასა შინა“ [ორბელიანი, 1988, 237].

10-20-იან წლებში გაორებული იყო თვით ისეთი რადიკალური მოაზროვნე ეროვნულ საკითხში, როგორიცაა ალექსანდრე ორბელიანი. დიმიტრი შველიძე სამართლიანად მიიჩნევს, რომ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდა თავადიშვილები იმპერიის ერთგული მსახურები იყვნენ მანამ, სანამ ისინი არ გამოაფხზლეს და ეროვნული აზროვნებით არ დამუხტეს რუსეთში გადასახლებულმა ბატონიშვილებმა. „რუსეთის ხელისუფლება, წერს იგი, - სამართლიანად თვლიდა

შეთქმულების თავდაპირველ და მთავარ ინსპირატორებად მოსკოვ-პეტერბურგში მცხოვრებ ქართველ ბატონიშვილებს. დიმიტრი და ოქროპირ ბატონიშვილებმა „განმსჭვალეს“ შეთქმულთა პირველი მოთავეები და აქტივისტები პატრიოტებად და ნაციონალისტებად. მათ ჯერ იდეოლოგურად, მსოფლმხედველობრივად მოამზადეს ახალგაზრდა ქართველი თავადაზნაურები და ზოგიერთი დაბალი ფენის წარმომადგენლებიც, ხოლო შემდგომად ამ მოსამზადებელი ეტაპისა, ისინი უშუალოდ შეთქმულებრივ მოძრაობაში ჩართეს“ [შველიძე, 2014 23-24]. მკვლევარს მოაქვს ალექსანდრე ორბელიანის მაგალითი. 1802 წელს დაბადებული ერეკლე მეორის შვილიშვილი და თეკლა ბატონიშვილის ვაჟი, რომელიც ცნობილია რუსების მიმართ შეურიგებელ მოწინააღმდეგედ, 1819-1820 წლებში იმერეთში ებრძოდა აჯანყებულ ქართველებს და იმპერატორის ერთგული ჯარისკაცი იყო. 17-18 წლის ჭაბუკი ალექსანდრე ოქროპირ ბატონიშვილს უყვება მისი „გმირობის“ შესახებ, წედისთან ბრძოლის დროს როგორ გადაეშვა ბრძოლაში და როგორ გაუსწორდა იმერლებს. პუპლიას გამბედაობა რუსებმა შეუქეს, „ლომი ყოფილხარ, მალადეც, მალადეცო“.

ალექსანდრე (პუპლია) ორბელიანი გაკვირვებული დარჩა, როცა ოქროპირ ბატონიშვილმა უთხრა: „ეგ არ არის ვაჟკაცობაო“. ამის შემდეგ ოქროპირი უხსნის ალექსანდრეს, რომ ნამდვილი ვაჟკაცობა მამულის ერთგულებაა და უყვება ბერძნულ ისტორიას. ალექსანდრე ორბელიანის ჩვენებაში ვკითხულობთ: „ასეთს ამბებს მოჰყვა, რომ სულ გამაგიჟა, ვამბობდი, ნეტავ მეც იმათში ვყოფილიყავ-მეთქი“. ბატონიშვილი სულ აქაურ ამბებს ჰყვებოდა და ახალგაზრდებს გვამუნათებდა: „თქვენ, ქართველები, ვერ გრძნობთ თქვენსა მამულსაო“. „ამგვარ თემებზე მუდმივი საუბრებით, მსჯელობა-განხილვებით, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მოწოდებებით, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ალექსანდრე ორბელიანის პიროვნებაში ფსიქო-პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი გარდატეხა მოხდა და იმპერატორის ყოფილი ოფიცრისაგან პატრიოტულ-ნაციონალისტური საიდუმლო შეთქმულებისა და მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ჩამოყალიბდა. ალექსანდრეს მსგავსი ფსიქო-ნაციონალისტური ევოლუცია მოძრაობის არაერთმა მონაწილემ განიცადა. ამის შესახებ საგამოძიებო კომისიის მასალები მეტყველებენ“ [შველიძე, 2014, 25].

ბატონიშვილებმა უდავოდ დიდი ზეგავლენა მოახდინეს სოლომონ დოდაშვილზეც, რომელიც თავისი ნიჭიერებითა და განათლებით გამორჩეული იყო ამდროინდელ ქართველ ახალგაზრდებში. სოლომონ დოდაშვილი (1805-1836)არ იყო თავადი, მღვდლის ხელმოკლე ოჯახიდან გამოსულმა მიიღო საუკეთესო განათლება და იმპერიის მასშტაბით 23 წლის ასაკში გამოირჩა როგორც სამაგისტრო ნაშრომის, ფილოსოფიური ტრაქტატის - „ლოგიკის“ ავტორი, უაღრესად გონიერი და პროგრესული მოაზროვნე. მან ახალი სიტყვა თქვა იმდროინდელ ევროპულ ფილოსოფიაშიც კი, რაზეც კარგად მიუთითებს შალვა ნუცუბიძე დოდაშვილისადმი მიძღვნილ ნაშრომში.

1802-დან 1832-დე მრავალი სისხლისმღვრელი აჯანყება მოხდა, ბევრმა გულწრფელმა და გულანთებულმა მამულიშვილმა სიცოცხლეც გასწირა ქვეყნის ხსნისათვის, სამართლიანობის აღდგენისათვის. მაგრამ დიდი იყო მაინც კოლაბორაციონიზმის, ეროვნული ნიჰილიზმისა და ღალატის წილი. და მაინც დაიწყო ახალი შეთქმულებრივი დიდი ქართული მოძრაობა მომავალი აჯანყებისა და ე. წ. „რუსების გაყრისათვის“. მოძრაობაში ჩაბმული ჭკვიანი ქართველები თითქოს მიზანმიმართულად იტყუებდნენ თავს: ევროპა დაგვეხმარება, ყველა ერთმანეთს დავუჭერთ მხარს და მთელი ქვეყანა ჩვენს მხარეზე იქნებაო, ზაქარია ჩოლოყაშვილმა ამბავი ჩამოიტანა, დეკაბრისტებს თურმე პოლონეთისა და საქართველოს რუსეთისგან გამოყოფა სურთო და სხვ. რუსეთის გულში მოტრიალე ადამიანებმა ისიც კი ვერ გაიგეს, რა უნდოდათ დეკაბრისტებს, რა ეწერა „რუსკაია პრავდაში“ და რას ნიშნავდა მშფოთვარე კავკასიელების აყრისა და რუსეთის სიღრმეში გადასახლების იდეა, ქართველებზე მეტ მშფოთვარედ რომელი კავკასიელი ერი ჩაითვლებოდა მთიულეთის, კახეთის და იმერეთის სისხლიმღვრელი აჯანყებების შემდეგ, ჩრდილო კავკასიის ომი ხომ ჯერ არ ჩანდა.

არადა, ბატონიშვილები საქართველოსთან დაკავშირებულ მასალებს სულ ეძებდნენ პეტერბურგისა და მოსკოვის საცავებში და ეცნობოდნენ, ნუთუ მათ არ ეცოდინებოდათ ის სიგელები, რომელიც შემდეგ ალექსანდრე ცაგარელმა შეკრიბა და გამოსცა, სადაც ბევრი რუსული ვერაგობა ჩანდა ჩვენი ქვეყნს მიმართ, თუ გნებავთ ეკატერინა I–ის წერილი ვახტანგ VI–ისადმი, სადაც

ამცირებს ქართლის მეფეს და ჰუსეინ-ყული ხანად მიიხსენიებს, 1726 წელს იმპერატრიცა საყვედურობდა: რუსეთის მიმართ პრეტნზიები რატომ გაქვთ, როდესაც სულ უბრალო ბრძანება არ შეასრულეთ იმპერატორისო (ანუ პეტრესი), არ გადაასახლეთ თქვენი ქვეშევრდომი ქართველები და სომხები კასპიისპირეთში და ტყუილ საბუთად მოიტანეთ ამ ხალხის უარიო.

ისტორიული ანამნეზი (მოგონება - ე.კ.) თითქოს გამქრალია, მაგრამ მაინც საკვირველი 32-იანელთა მოქმედებებში კიდევ სხვაცა: იქვე, ხელისუფლების მიერ შექმნილი საიდუმლო პოლიციის შესახებ რატომ არაფერი იციან ისეთმა მაღალჩინოსნებმაც კი, როგორებიც ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი თუ სხვები არიან. საქმე ის არის, რომ 1831 წლის 23 მაისს გენერალმა ივანე პასკევიჩმა მიმართა გენერალ-ადიუტანტ ბენკენდორფს, კავკასიაში, მის ცენტრში – თბილისში, საიდუმლო პოლიციის შექმნის პროექტით, რომელიც იმპერატორმა მოიწონა და დაამტკიცა ამავე წლის 7 ივლისს. 29 პარაგრაფისაგან შემდგარი დოკუმენტის პირველივე თავში ეწერა, რომ „საქართველოსა და კავკასიის სხვა ქვეყნების მოსახლეობაში, რომლებიც უმრავლეს შემთხვევაში რუსული იარაღის ძალით იქნენ დამორჩილებულნი, არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არასწორი აზროვნების შედეგად , რუსებს ისე კი არ უყურებენ, როგორც მფარველებს, არამედ როგორც დამპყრობლებს და ამიტომ რუსული მთავრობის მიმართ არაკეთილგანწყობილნი არიან.“ ასეთი ვითარების გამო პროექტის ავტორი იმპერატორს სთავაზობდა მრავალ სადაზვერვო საიდუმლო ღონისძიებას, რომლებიც ხელისუფლებას თავიდან ააცილებდა შეთქმულებებს და შფოთს. დოკუმენტის მე-8 პარაგრაფში ნათქვამია, რომ ყველგან, სადაც ხალხი იყრის თავს (ჩამოთვლილია ამგვარი ადგილები) საიდუმლო აგენტები უნდა დააყენონ. მომდევნო პარაგრაფებში წერია: ფოსტაში უნდა მოწმდებოდეს მიმოწერა, საიდუმლო პოლიციამ უნდა უთვალთვალოს მათ, ვინც თავისუფალ აზრებს გამოთქვამს, ვინც რელიგიისა და მთავრობის წინააღმდეგ თავხედურად მსჯელობსო, ანუ ამ ორგანოს მიზანი პირდაპირ 1832 წლის მსგავსი ფაქტების პრევენცია იყო და, ალბათ, საიდუმლო აგენტებიც მიჩენილი ჰყავდათ მათ, ვინც ამ ისტორიულ მოვლენას ედგნენ სათავეში. ამდენად, შეთქმულებაში რომ შეგზავნილი იყო ვიღაც და სოლომონ დოდაშვილზე, როგორც ამ დროის

გამორჩეულ მოღვაწეზე განსაკუთრებული თვალთვალი და ინსპირაციებიც იქნებოდა, ამას ეჭვი არ უნდა. ის კონსპირაცია კი, რაც „აქტი გონიურით“ იყო განსაზღვრული, ბევრს არაფერს მოიტანდა. სამი ადამიანის მიერ შეტყობილი საიდუმლო საქართველოში, ხალხური გამოთქმისა არ იყოს (რომელიც ორს შორის საიდუმლოს დამალვის შეუძლებლობაზეა), რომ ვერ დაიმალებოდა, თქმა არ უნდა. იასე ფალავანდიშვილს, როგორც საიდუმლო აგენტს, „დღიურ ზაპისკებად“ამიტომაც ჰქონდა ყველაფერი და ვოლხოვსკის, რომელიც ამ საიდუმლო პოლიცის ზედამხედველი უნდა ყოფილიყო, თავად მიართვა რუსულად თავისივე გადათარგმნილი. ვოლხოვსკიმ სცადა მისი სახელის დამალვაც ალექსანდრე ორბელიანთან, მსუბუქი სასჯელიც მიაგეს, დოდაშვილს კი, რომელსაც მანამდე ღირსეული ბიოგრაფია ჰქონდა, რუსული ხელისუფლებისთვისაც კი მისაბაძი, ფაქტობრივად შეუბრალებლად მოექცნენ.

ადამიანები, რომლებიც ამ დიდ ეროვნულ ბრძოლაში ჩაებნენ, გათვითცნობიერებულნი უნდა ყოფილიყვნენ ამ ბრძოლის სისასტიკესა და სიძნელეში, ისეთი მაინც, როგორიც სოლომონ დოდაშვილი იყო.

საქმე ისაა, რომ, ზოგადად, ქართველი ხალხის ეროვნულ ნიშნად იქცა წინასწარ დამარცხებულ ბრძოლებში შესვლა. ასეთი იყო 1832 წლის მოვლენაც. მაგრამ ასეთ ომში ბრძოლა სულაც არ ნიშნავს დამარცხებას, თუ ფიზიკურად მარცხდებოდა, ერი სულიერად და მორალურად მაინც იმარჯვებდა, რადგან არ თმობდა ქვეყნის ინტერესებს, თავის მეობას, ათასწლოვან ისტორიასა და კულტურას.

მაშინდელი გაორებულობის ამბავი საყოველთაოდ იყო ცნობილი მე-19 თუ შემდეგდროინდელი ქართველი მოაზროვნეებისათვის., რის გამო სოლომონზე არჩილ ჯორჯაძეც წერდა: „1827 წელს იმპერატორს შესხმას უწერს, 1831 წელს კი შეთქმულების სამზადისშია და პროპაგანდის მიზნისათვის გაზეთსაც აარსებს 1832 წელსო.“ ამას დავამატოთ: რუსულად წერს „ლოგიკას“, ადგენს ქართული ენის გრამატიკას და „ქართულ-რუსულის „რაზღავორნი ლექსიკონს“. არის თიანეთის მაზრის უფროსის თანაშემწეც, პედაგოგიც, ჟურნალისტიც, ეგ კი არადა, დუქნების შეძენაც უნდა, ეგებ ფული იშოვოს საზოგადო საქმეებისათვის, არის გარუსებული პოლონელის ქმარი, რომელმაც ქართულიც ვერ ასწავლა

შვილებს, ეფერება რუს მოხელეებსა და სწავლულებს, მაგრამ მაშინ რაღაა მისი ლექსი – „მაისის თვესა იქმნეს ძახება, გამოხატული ქართველთ უფლება, აღვიპყრათ ხელთა მახვილი, მივცეთა მტერთა შიში ძრიელი, შემოვიკრიბოთ გულით მხურველნი, ვეცეთ ვეძგერეთ გაგულვებლნი, განვდევნოთ სოფლით ძალით მოსრულნი, ჩვენ მამულისა მაოხრებელნი...“ ერთად იყო ეს ყველაფერი, ქართველი კაცის მხიარულად და გულიანად შესვლა დასამარცხებლად განწირულ ომში. დანარჩენი ის, რაზეც ჯორჯაძე მიუთითებდა, ფონი იყო იმ თავგანწირული ომის გმირისთვის, იქამდე მისასვლელი გზა, გულისგარეშე ამბები, აღგზნებული გულით კი იმ ომში შედიოდა, რომელიც იმპერატორის სასიამოვნოდ ნამდვილად არ ყოფილა გამართული.

მწერალი კიტა აბაშიძეც მიაქცევდა ყურადღებას ქართული საზოგადოების გაორებასა და მოღალატეობას, „მარტიროლოგიაც (წამებულთა ცხოვრება - ე.კ.) არის ჩვენი ისტორია და მოღალატეობის დაუსრულებელი მატიანეცო“, წერს მწერალი და მართლაც, ასე იყო.

სოლომონ დოდაშვილის სახელი მარტიროლოგიას ემატება, მის თანამედროვეთაც ხომ უკვირდათ, – გლეხი იყო და განა მთავრობის ხელშეწყობით არ აღზევდა, იმას მაინც რა უნდოდაო, ისიც ბატონიშვილი ხომ არ იყოო, ტახტს ეძებდა თუ სკიპტრასო, ბევრი იფიქრებდა მაშინ და ცოტა გაიგებდა, რას ეძებდა და რისთვის გადასდო თავი სოლომონ დოდაშვილმა. არც სხვა ქართველები გამოსულან მაშინ ტახტისა და სკიპტრის საძიებლად, სამშობლოს გადასარჩენად გამოვიდნენ. და რა ჰქონდა გადასარჩენი მაშინდელ საქართველოს, ივანე აფხაზმაც კი იცოდა, სოლომონ დოდაშვილზე უკეთ კი არავის ესმოდა ეს სატკივარი.

სოლომონ დოდაშვილი წინ აღუდგა „ცარიელობის“ პრობლემას, როგორც არა მარტო ფილოსოფიურ კატეგორიას, არამედ მისი დროის ქართული ყოფის არსს. მან ლიტერატურული ჟურნალიც კი აქცია პოლიტიკურ იარაღად ხალხის გამოღვიძებისათვის. სურდა ძველი კულტურული კერები აღედგინა, ახალი შეექმნა, რადგან „სახელმწიფოს ამოგებისათვის“ ეს ყველაფერი აუცილებელი იყო. საჯარო ბიბლიოთეკისა და ლიტერატურული წრეების დაარსებაც უნდოდა, დრო არ ჰყოფნიდა. იმდენს აკეთებდა, რომ პეტერბურგელი და მოსკოველი

ქართველები სახელმწიფო კაცს ეძახდნენ. ეს „ცარიელობის პრობლემა“ იქცა შემდეგ თერგდალეული მწერლებისა და მოაზროვნეებისთვის მათი ტექსტების მთავარ პრობლემად. „მარტიროლოგიას “ ემატება ფილადელფოს კიკნაძის და 32-ის სხვა გმირების სახელებიც. ბევრი ეს ადამიანი, ისე, როგორც სოლომონ დოდაშვილი არ ყოფილა „გაორებული“, მოღალატე და მხდალი, მაგრამ უფრო მეტნი ასეთები იყვნენ, ამას ემატებოდა ურთულესი ეპოქა, რუსული იმპერიის აღზევებისა და მძლავრობის ხანა, უსახელმწიფო, მცირერიცხოვანი ერის დაბნეულობა, პოლიტიკურ ლიდერთა საქართველოდან შორს ყოფნა, იმპერიის გულში, სადაც მათ ბოროტი სამხედრო მანქანა ყოველთვის ზუსტად აკონტროლებდა. მარცხი გარდაუვალი შეიქმნა, „მარცხი - გამარჯვების ტოლფასი“.

§3. საიდუმლო ორგანიზაციების შექმნა საქართველოში და მათი იდეური პროგრამები

ასეთ გაურკვეველ ფიქრებში იყო ქართველი ინტელექტუალების და არისტოკრატიის ზედა ფენა, როდესაც პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ბატონიშვილები ჩამოვიდნენ და თან ევროპულად განათლებული თავადები: გიორგი, ელიზბარ და დიმიტრი ერისთავები, დიმიტრი ორბელიანი, ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ჯორჯაძე და სხვები ჩამოიყვანეს. ასევე ოქროპირ ბატონიშვილი, სოლომონ დოდაშვილი, თამარ ბატონიშვილი. ისინი აშკარად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრებს, რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში ძალიან ცუდი სიტუაციაა, მაგრამ სამშობლოზე ძალიან ცოტა ვინმე თუ ფიქრობსო. 1830-1832 წწ. გამოიკვეთა სამი ლიდერი: ალექსანდრე ორბელიანი, ელიზბარ ერისთავი, სოლომონ დოდაშვილი. 1830 წელს შეთქმულთათვის წესდება („აქტი გონიური“) შეადგინა ამ წრის აქტიურმა წევრმა ფილადელფოს კიკნაძემ, რომელიც, აგრეთვე რუსეთიდან ჩამოვიდა.

ეროვნული მოძრაობის აღორძინება, როგორც აღინიშნა, დაკავშირებულია საქართველოს სამეფო ტახტის ჩამომავლების მოღვაწეობასთან. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბატონიშვილები: დავით გიორგის ძე, ფარნაოზ ერეკლეს ძე,

დიმიტრი იულონის ძე და ოქროპირ გიორგის ძე. ეს ბატონიშვილები მოსკოვსა და პეტერბურგში სხვადასხვა გზით მოხვედრილ ქართველებს თავიანთ სახლებში იწვევდნენ და მათთან საქართველოს მომავალზე ჰქონდათ საუბარი. 1825 წელს, დიმიტრი ბატონიშვილმა, პეტერბურგში შემოიკრიბა იმ დროს იქ მყოფი მოაზროვნე ქართველები და პირველი საიდუმლო წრე ჩამოაყალიბა. 1826 წ. კი, ოქროპირ ბატონიშვილმა ასეთივე წრე შეკრიბა მოსკოვში. შემდეგ წლებში, ბევრი მათგანი თბილისში ჩამოვიდა და აქ განაგრძო ფარული საქმიანობა. როგორც ჩანს, შეთქმულებს ერთგვარი სტიმული მისცა 1825 წელს ე. წ. დეკაბრისტთა გამოსვლამ პეტერბურგში. თუმცა, ქართველ შეთქმულებს მათთან არანაირი იდეური კავშირი არ შეიძლება ჰქონოდათ, რადგან ე. წ. დეკაბრისტების პროგრამის მიხედვით ეროვნული თვითგამორკვევა რუსეთის იმპერიის ერებისთვის არ იყო გათვალისწინებული. პირიქით, კავკასიის შესახებ მათი პროგრამა ე. წ. „რუსკაია პრავდა“ უაღრესად რეაქციული და შოვინისტური იყო [კლდეკარი, 1992, 186-187].

შეთქმულებმა გარკვეული კავშირი დაამყარეს თბილისში არსებულ უცხოურ საკონსულოებთან. მაგალითად, საფრანგეთისა და ოსმალეთისა. ასევე ცდილობდნენ დაკავშირებოდნენ ალექსანდრე ბატონიშვილს სპარსეთში [კაკაბაძე, 1997, 105].

შეთქმულებმა თავისი გეგმები გაანდეს თბილისის პოლიცმეისტერ მელნიკოვს, საქართველოს ყოფილ სამოქალაქო გუბერნატორ ზევილეისკის, დუშეთის მაზრის კაპიტან-ისპრავნიკ პაუშენკოს .

შეიძლება ითქვას, რომ მათი ასეთი ქმედებები საკმაოდ გულუბრყვილოდ გამოიყურება. ის, რომ აღნიშნული პირები შეთქმულებს სიტყვიერად თანაუგრძნობდნენ, სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ რეალურად, ისინი რაიმე ანტისამთავრობო ქმედების მომხრეები იყვნენ.

მოსკოვიდან და პეტერბურგიდან ჩამოსულმა ბატონიშვილებმა უთუოდ იცოდნენ იმ დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობის შესახებაც, რასაც ადგილი ჰქონდა 1828-1830 წ. პოლონეთში, კერძოდ, რუსეთისადმი დაქვემდებარებულ მის აღმოსავლეთ ნაწილში. ვიდრე საქმე შეიარაღებულ წინააღმდეგობამდე მივიდოდა, პოლონეთში გაჩნდნენ საიდუმლო საზოგადოებები და პატრიოტული კავშირები. ერთ-ერთი ასეთი ლეგალური პატრიოტული კავშირი იყო „ფილომატების საზოგადოება“ ანუ „მეცნიერების მოყვარული“ საზოგადოება. მისი მთავარი მიზანი იყო განათლებული, პატრიოტულად

განწყობილი ადამიანების აღზრდა. ამ საზოგადოების წევრები იყვნენ ადამ მიცკევიჩი, ტომაშ ზანი, ალექსანდრე ხოდკო, ეგნატე დომეიკო. ძალიან მალე მათი უმრავლესობა რუსულმა ხელისუფლებამ ან დააპატიმრა, ან რუსეთის შიდა გუბერნიებში გადაასახლა. „პოლონეთის სამეფოსა“ (ანუ პოლონეთის იმ ნაწილში, რომელიც რუსეთის იმპერიას ემორჩილებოდა) და ვარშავის სამთავროს ყოფილ ოფიცერთა შორის, ამავე ხანებში, შეიქმნა საიდუმლო საზოგადოება, რომელიც ცნობილია „ნაციონალური მასონობის“ სახელით. მისი დამფუძნებელი იყო მაიორი ვალერიან ლუკასინსკი; ის ძალიან სწრაფად დააპატიმრეს, საშინლად აწამეს და უმკაცრეს პირობებში 40 წელი საპყრობილეში ამყოფეს [Дибковская, Жарын, 1995, 175-176].

აღმოსავლეთ პოლონეთში შეიქმნა აგრეთვე „პატრიოტული საზოგადოება“, რომელიც სამად გაყოფილი პოლონეთის თითოეულ ნაწილში მოქმედებდა (მისი მეთაური იყო პოლკოვნიკი სევერინ კშიჟანოვსკი). 1830 წ. 29 ნოემბერს შეთქმულები თავს დაესხნენ ბელვედერის სასახლეს ვარშავაში სადაც რუსეთის დიდი მთავრის, კონსტანტინეს რეზიდენცია იყო მოთავსებული. კონსტანტინემ გაქცევით უშველა თავს. ასე დაიწყო შეთქმულთა აჯანყება. 1831 წ. 25 იანვარს პოლონეთის სეიმმა, ნიკოლოზ I პოლონეთის ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა [Дибковская, Жарын, 1995, 175-176].

ცხადია, ყველაფერი, რაც პოლონეთში (და ევროპაში) ხდებოდა, ქართველ შეთქმულთა ზედაფენამ კარგად იცოდა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი ხელიდან გაუშვეს (ანუ არ გამოიყენეს პოლონეთის აჯანყების ყველაზე დაძაბული პერიოდი, როდესაც რუსეთის იმპერია მთლიანად ვარშავის აჯანყების ჩახშობაზე იყო კონცენტრირებული), 1831 წ. სექტემბერში, რუსეთის არმიის გენერალმა და საქართველოს ყოფილმა მთავარმართებელმა (1797-1831) ივანე პასკევიჩმა, ვარშავა შტურმით აიღო. ამის შემდეგ, ქართველი შეთქმულების გამარჯვების შანსები მინიმალური იყო. ამაზე მიანიშნებს შეთქმულებთან დაახლოებული პირის პაუშენკოს ჩვენება. ჯერ ერთი, იგი გამოძიებას ამცნობს, რომ მხოლოდ იმიტომ ურთიერთობდა აღნიშნულ პირებთან, რომ გაეგო: „ხომ არ იმალებოდა აქ შეთქმულება“, შემდგომი მისი ჩვენება კი უფრო საფუძვლიანია: „(რ)ოდესაც, ვარშავა აიღეს რუსებმა და პოლიაკები დასთრგუნეს, შემდეგ მე სულ განზრახვა არა მქონია,

რომ ... წინააღმდეგობა რამე გამევლო არამც (თუ) საქმით, არამედ ფიქრშიაც" [გოზალიშვილი, 1935, 10, 12, 390].

მთავარ საკითხად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ შეთქმულთა მიზანი საქართველოს რუსეთისგან გამოყოფა და დამოუკიდებლად არსებობა იყო. რაც შეეხება იმას, თუ რა სახის სახელმწიფოს ჩამოყალიბებას გეგმავდნენ შეთქმულნი, ამაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება. ცხადია, რომ ძირითადად, შეთქმულები ფიქრობდნენ ქართული მონარქიის აღდგენას. მცირე ნაწილი, შეზღუდული მონარქიის შექმნას ვარაუდობდა. ერთ-ერთი შეთქმული გიორგი ერისთავი, საგამომძიებო კომისიას შემდგომში უჩვენებდა, რომ მან ელიზბარ ერისთავის კარნახით და იასე ფალავანდიშვილის თანდასწრებით საქართველოს მმართველობის ასეთი გეგმა შეიმუშავა: უნდა შექმნილიყო ორი სამთავრობო პალატა („სამმართველო"): პირველში მოიაზრებოდა: 1) მეფე (კერძოდ, ალექსანდრე ბატონიშვილი) და მინისტრები: 2) სამხედრო, 3) იუსტიციის, 4) ფინანსთა, 5) შინაგან საქმეთა და განათლების, 6) საგარეო საქმეთა; მეორე პალატაში კი უნდა შესულიყვნენ ყველა მაზრის დეპუტატები, რომელთაც სასამართლო (საჩივრის) საქმეები უნდა განეხილათ [გოზალიშვილი, 1935, 92].

რაც შეეხება იმას, რომ შეთქმულების ნაწილს (მაგალითად, ოქროპირ ბატონიშვილს და სავარაუდოდ სოლომონ დოდაშვილს) საქართველოს მომავალ სახელმწიფო მმართველობით ფორმად რესპუბლიკა მიაჩნდათ, ამის შესახებ მხოლოდ ირიბი მოწმობა არსებობს. კერძოდ, ვახტანგ ორბელიანი გამოძიებას უჩვენებდა, რომ გაიგონა სოლომონ დოდაშვილის სიტყვები, რომელიც თავის მხრივ, მან ოქროპირ ბატონიშვილისგან მოისმინა. ოქროპირ ბატონიშვილს უთქვამს, რომ მას სურს დამოუკიდებელი საქართველო, მაგრამ არა ბაგრატიონებით სათავეში, არამედ რესპუბლიკის მსგავსი მოწყობის ფორმით [გოზალიშვილი, 1935, 92].

შეთქმულებს, როგორც აღინიშნა, რამდენიმე იდეური მეთაური ჰყავდათ. სოლომონ დოდაშვილმა შეადგინა მოწოდება-პროკლამაცია საქართველოს მოსახლეობისადმი, ფილადელფოს კიკნაძემ კი საიდუმლო ორგანიზაციის წესდება ე. წ. „აქტი გონიური". ეს უკანასკნელი, იმდენად მისტიურ საბურველშია გახვეული, რომ მის მიხედვით, შეთქმულთა რეალური მიზნების დადგენა ჭირს. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ეს წესდება, შედგენილია მასონური ფარული საზოგადოების

წესდებების ზეგავლენით და რომ ეს ლიტერატურა ფილადელფოსისთვის ხელმისაწვდომი გახდა ოქროპირ ბატონიშვილის მეშვეობით. თუმცა მკვლევრები აღიარებენ იმასაც, რომ თვითონ ფილოდელფოსი მასონი არ ყოფილა და „მასონურ იდეოლოგიას არავითარი გავლენა არ მოუხდენია შეთქმულებაზე. მასონური გავლენა ფარული საზოგადოების მხოლოდ ორგანიზაციულ მხარეს ეტყობა, მაგრამ ესეც კი გაცნობიერებული იყო შეთქმულების წევრების მიერ, რომლებიც ეროვნულ ნიადაგზე იდგნენ და შორს იყვნენ მასონობისგან“ [ხომერიკი, 1999, 118-119].

ფილადელფოსის სხვა მოღწეული ნაწარმოებებიც იმდენად განყენებული და თეოლოგიურ-მისტიური ხასიათისაა, რომ კონკრეტულად საქართველოს დამოუკიდებლობის ბრძოლისკენ მოწოდების ამოცნობა მათში, ძნელია. შედარებით გამჭვირვალედ გამოიყურება „აქტი გონიურის“ პუნქტი №8, სადაც საუბარია ამ ორგანიზაციის წევრობის საიდუმლოს დაცვაზე; სხვა პუნქტები კი, გარდა მისტიურ-რელიგიური შეფერილობისა, საკმაოდ ძნელად გასაგები ენითაა ნაწერი. მეტ-ნაკლებად გამჭვირვალეა მისი ერთი ლექსის პირველი ორი სტრიქონი“: „ვინ ხარ, რომელს, სიცოცხლეს ჩემის, გასაღები ხელთ გიპყრია, // ჩემო ხელმწიფევ როდის გნახო გვირგვინ-სკიპტრიან?!“ [გოზალიშვილი, 1935, 85].

ამ სტრიქონიდან თითქმის აშკარად ჩანს, რომ ფ. კიკნაძე თავის სამშობლოს და მის დამოუკიდებელ ხელმწიფეს გულისხმობს და არა ზოგადად „ხელმწიფე“-ს. რაც შეეხება სოლ. დოდაშვილის მოწოდება-პროკლამაციას, ის ღია და გახსნილია. პროკლამაციაში ვკითხულობთ: **„ქვეყნის დაარსებითგან, მამულსა ჩვენსა, აქვნდა თავისი საკუთარი მდგომარეობა, აქვდა თვისი სჯულნი, თვისი სარწმუნოება, თვისი ენა და თვისი ჩვეულება და ჰყავნდა ყოველსა დროსა საკუთარი თვისთ ხელმწიფე და აროდეს არ იყო მოკიდებული (ე. ი. დამოკიდებული) სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი... ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა (ანუ წინაპართა). მაშა რაისთვისა ვცოცხალვართ“** [გოზალიშვილი, 1935, 96].

საკმაოდ გაურკვეველია ე. წ. „პირველი ღამის განკარგულების“ ასე ვთქვათ რეალური ქმედების კოეფიციენტი. ის შეიქმნა დიმიტრი ერისთავის მიერ, იასე ფალავანდიშვილის სახლში, ალ. ორბელიანის, გიორგი და ელიზბარ ერისთავების თანდასწრებით [გოზალიშვილი 1935, 89].

იასე ფალავანდიშვილი კარგად იცნობდა ამ დოკუმენტს და სხვებსაც ის აცნობდა მის შინაარსს (მაგალითად ალექსანდრე ჭავჭავაძეს, ალექსანდრე ორბელიანს და სხვებს) [გოზალიშვილი, 1935, 215].

თავის ჩვენებაში, იასე ფალავანდიშვილი დაწვრილებით აღწერს ამ საკმაოდ „თეორიული" აჯანყების გეგმას. შეთქმულება აჯანყებაში უნდა გადაზრდილიყო ლუარსაბ ორბელიანის სახლში საგანგებოდ მოწვეული წვეულების დროს; იასე აჩვენებს: „როგორც კი ღამის 1-ლ საათზე შესაკრები ადგილიდან რაკეტებით ნიშანს მისცემდნენ, მაშინათვე უნდა დაეწყოთ ხოცვა და იქიდან (მეჯლისიდან) არც ერთი რუსი არ გამოეშვათ. ხოლო თუ ვინმე ქართველთაგანი გაბედავდა წინააღმდეგობის გაწევას, ისიც რუსებთან ერთად უნდა მოეკლათ" [გოზალიშვილი, 1935, 91].

გეგმა თითქოს კარგადაა გათვლილი, მაგრამ ჩვენი აზრით, უამრავ კითხვას აჩენს. ჯერ ერთი, ყველაფერი ხდებოდა ღიად, ყოველგვარი კონსპირაციის გარეშე („აქტი გონიური" თავისთვის, განყენებულად არსებობდა). ამასთან, ეს სახიფათო, მნიშვნელოვანი ანტიიმპერიული გამოსვლა არ იყო შემაგრებული არანაირი რეალური ძალებით და საკმაოდ გულუბრყვილოდ გამოიყურებოდა. ყველაფერთან ერთად, შეთქმულებს არ ყავდათ ერთი აღიარებული მეთაური. ალ. ორბელიანი, დაკითხვისას აჩვენებდა, რომ შეთქმულებმა ჯერ მას შესთავაზეს საერთო ხელმძღვანელობა, შემდეგ იასე ფალავნიშვილს სთხოვეს ეხელმძღვანელა და ბოლოს, ელიზბარ ერისთავს თვით უკისრია მეთაურობა: „მე ვიქნები თქვენი კომანდირიო" - უთქვამს მას [გოზალიშვილი, 1935, 29].

შეიძლება გვეფიქრა, რომ ალ. ორბელიანი და სხვა შეთქმულნი განგებ აუბრალოებდნენ ვითარებას, მაგრამ ყველა გარემოება ადასტურებს შეთქმულების მოუმზადებლობას და არასერიოზულობას. შეთქმულებს არ ჰქონდათ რეალური დასაყრდენი ბაზა. ცალკეული მისი არისტოკრატი მონაწილის დაპირებები რომ 200 ან 1000 კაცამდე (გლეხს, ჯარისკაცს) საჭირო დროს გამოიყვანდნენ, არასერიოზულად გამოიყურება. თავის დროზე (1906 წ.) ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა: „... შესაძლოა დარწმუნებით ითქვას, რომ ი. ფალავანდოვის ღალატის გარეშეც, შეთქმულებას არ შეიძლება ჰქონოდა არანაირი წარმატება და არა იმიტომ, რომ ქართულ საზოგადოებაში, საკმარისი არ იყო ის გაბოროტება და უკმაყოფილება, რაც რუსული მთავრობის მიერ დამყარებული რეალობის წინააღმდეგ არსებობდა, არამედ

იმიტომ, რომ ზუსტად ამ დროს, ქართველი გლეხობის წიაღში ადგილი ჰქონდა ძლიერ დუღილს (ბატონყმობისგან თავდასაღწევად) და ისინი მხარს არ დაუჭერდნენ თავად-აზნაურთა წოდების აჯანყებას“ [ჯავახიშვილი, 1998, 448].

ჩვენ ვიზიარებთ ივ. ჯავახიშვილის ამ სავსებით სწორ პოზიციას; ამასთან ერთად, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ახალ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რაც შეთქმულებს უკავშირდება. კერძოდ, რატომღაც, გამოკვლევებში არსად არ ფიგურირებს ის ფაქტი, რომ 1831 წლის 23 მაისს, გენერალ-ადიუტანტ ბენკენდორფს მიმართა გენერალმა ივანე პასკევიჩმა (საქართველოს მთავარმართებელმა) და წარუდგინა ამიერკავკასიაში (ცენტრით თბილისში) საიდუმლო სამხედრო პოლიციის შექმნის პროექტი. იგი შესდგება 29 პარაგრაფისაგან და სავარაუდო შტატების განაწესისგან. პროექტი იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა მოიწონა და დაამტკიცა იმავე წლის 7 ივლისს [Акты, 1878, 345].

მის პირველივე პარაგრაფში, საგულისხმო სიტყვებია ნათქვამი: „საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა პროვინციების მოსახლეობაში, რომლებიც, უმრავლეს შემთხვევაში რუსული იარაღის ძალით იქნენ დამორჩილებულნი, ბევრია ისეთი ადამიანები, რომლებიც არასწორი აზროვნების შედეგად, რუსებს ისე კი არ უყურებენ როგორც მფარველებს, არამედ როგორც დამპყრობლებს და ამიტომ, რუსული მთავრობის მიმართ არაკეთილგანწყობილნი არიან“ [Акты, 1878, 343].

ასეთი ვითარების გამო, პროექტის ავტორი იმპერატორს სთავაზობს მთელ რიგ სადაზვერვო საიდუმლო ღონისძიებას, რომლებიც, მთავრობას თავიდან აარიდებს შეთქმულებებს, შფოთს და ა. შ. პროექტის §8-ში მაგალითად, ნათქვამია, რომ პროვინციებში, პოლკებში სასამართლო დაწესებულებებში, პორტებში, საბაჟოებზე, სასაზღვრო კარანტინებზე, უცხოეთის საკონსულოებთან და საერთოდ უცხოელ მოქალაქეთა თავშეყრის ადგილებში, საჭიროა საიდუმლო პოლიციას ჰყავდეს თავისი საიდუმლო აგენტები; §9-ში კი საუბარია იმაზე, რომ საფოსტო უწყება უნდა ამოწმებდეს და აკონტროლებდეს საეჭვო მიმოწერას და იქ არსებულ შესაძლო დაშიფრულ ინფორმაციას. §10-ში იმაზეა საუბარი, რომ საეჭვო პირების ტანსაცმელი და პირადი ნივთებიც კი ფარულად უნდა შემოწმდეს საზღვრის გადაკვეთის დროს. §19-ში ნათქვამია, რომ საიდუმლო პოლიციას, აუცილებლად მხედველობაში უნდა ყავდეს: „ადამიანები, რომლებსაც თავისუფალი აზროვნება და რელიგიისა და

მთავრობის წინააღმდეგ თავხედური გამოსვლები ახასიათებთ“. §-24 ეხება საჯარო ნაწილებს და საიდუმლო უწყების ჩინოვნიკებს დავალება ეძლევათ გამოარკვიონ, ხომ არ არის: „ოფიცერთა შორის, რაიმე საიდუმლო საზოგადოებები ან ხომ არ არსებობენ თავისი შინაარსით მავნე პარტიები და ინტრიგები: (უნდა გაირკვეს) რაში მდგომარეობენ ისინი და ვისგან მომდინარეობენ“ [Акты, 1878, 344].

როგორც ვხედავთ, ახლად ჩამოყალიბებული საიდუმლო საპოლიციო უწყება ძალიან მძლავრი იარაღი ხდება რუსული იმპერიული სახელმწიფოს ხელში. მისი მთავარი დანიშნულება კი სწორედ 1832 წლის შეთქმულების მსგავსი მოვლენების გამოვლენა და პრევენციაა. ვფიქრობთ, შეთქმულების ყველა დეტალი და ნიუანსი თუ ადრე არა, 1831 წ. ივლისიდან მაინც, მთავრობისთვის ცნობილი იყო. რატომღაც ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არ არის გაშუქებული იასე ფალავანდიშვილის „მოღვაწეობა,“ შეთქმულთა შორის, მისი ჩასახვის მომენტიდან დაწყებული. სრულიად აშკარაა, რომ ის თავიდანვე დასახელებული საიდუმლო სამხედრო პოლიციის დავალებებს ასრულებდა და მისი აქტიური წევრი იყო. თვით იასე ფალავანდიშვილი ერთ-ერთ დაკითხვაზე (1832 წ. 8 იანვარი) აჩვენებდა, რომ ის შეგნებულად დაუახლოვდა ალექსანდრე ორბელიანს და: „განძრახ ველაპარაკებოდი მას სასიამოვნო ამბავს, რომ ჩემთან არღარა დაეფარა რა... მე განძრახ, კიდეც ვპატიჟობდი სოვეტნიკს ორბელიანოვს (ალექსანდრეს) თავის ძმებით, კაპიტანს ჩოლაყაევს და ელიზბარ ერისთოვს ხან ვახშამზე, ხან ჩაიზე, რადგანაც ყველა ამათ, საქმის გარემოება უწყოდნენ (და), რომ არა დაეფარათ რა თავიანთი საიდუმლო ჩემთან; არც არას მიფარავდნენ... როდესაც წავიდოდნენ, მაშინათვე დავჯდებოდი, რას (რომელ) თვეში და ან რომელს რიცხვში, რას მელაპარაკებოდნენ, ან ადრე რა ჰქონდათ დაწყობილება (გეგმები) ამას ვნიშნავდი, რომ არ დამავიწყდეს და ვაცნობო, ვითარცა ერთგულმა ხელმწიფე იმპერატორის ყმამ, სადაც ჯერ იყო... რასაც შევიტყობდი მათგან, ვნიშნავდი, ასე რომ ბევრჯერ ვერ მომისწვრია ქაღალდი (და) ჩემის ოთახის კედელზედ მინიშნავს, რომ არ დამავიწყდეს,“ შემდეგ ფალავანდიშვილი განმარტავს, რომ თავისი დასმენის მასალები საკმაოდ გვიან იმიტომ გააცნო ხელისუფლებას, რომ სურდა პირადად მთავარმართებლისთვის წარედგინა ისინი, (ეშინოდა ინფორმაციის გაჟონვისა და შეთქმულთა მხრიდან

შურისძიებისა). მთავარმართებელი კი თბილისში კარგა ხანს არ იმყოფებოდა [გოზალიშვილი, 1935, 257-258].

იასე ფალავანდიშვილი, ცხადია, არ განმარტავს, რომ საიდუმლო პოლიციისგან დავალება ექნებოდა მიღებული - დროზე ადრე არ გაემჟღავნებინა თავი და დალოდებოდა მოვლენათა განვითარებას. საბოლოოდ, იასე ფალავანდიშვილიმა შტაბ-ოფიცერს, გენერალ-მაიორ ვოლხოვსკის ვრცელი „დასმენა" მიართვა, რომელიც ქართულიდან რუსულად თვითონვე უთარგმნია [გოზალიშვილი, 1935, 258].

ალ. ორბელიანი ერთ-ერთ ჩვენებაში ამბობს: „სიონის ქუჩის პირში დამხვდა იასე ფალავანდოვი, მთხოვა (ინებოთ) ჩემთან ამობრძანდეთ ჩაიზეო... შემდეგ გაყრისა მთხოვა, სირცხვილი არ არის შენთვის, რომ ერთად შეზრდილნი ვართო და ჩემთან არ დადიხართო, მთხოვა, ხშირად სიარული... ჩემის სიარულის დროს მასთან, რუსებზე უკმაყოფილებას ლაპარაკობდა" [გოზალიშვილი, 1935, 336].

ვფიქრობთ, სრულიად ნათელია იასეს როლი შეთქმულებაში თავიდანვე და არა მის მიერ შეთქმულთა შემთხვევით გაცემა, როცა მან ყველაფერი ძმას, თანამდებობის პირს გაანდო. ზაქარია ჩოლოყაშვილი ადასტურებდა იმას, რომ ალ. ორბელიანი „აძაგებდა თ(ავად) ფალავანდოვს როგორც ისეთ პირთაგანს, რომლებიც მას მოსვენებას არ აძლევენ და რომლებმაც იგი დაღუპეს" [გოზალიშვილი, 1935, 441]..

ალ. ორბელიანი აშკარად ცდილობს იასეზე მთავრობის საგამოძიებო კომისიის წევრებს ეჭვი აღუძრას, იმასთან დაკავშირებით რომ ის ორმაგ თამაშს ეწეოდა. ალექსანდრე კომისიას შემდეგს უჩვენებდა: „კომისიასა შინა თ(ავადმა) იასე ფალავანდოვმა... ღენერლებთან აღიარა, ვითომც ის ყოფილიყოს შპიონი და ჩვენი ყოველი განზრახვა უნდა შეეტყო, მაშინ როდესაც, რომ ჩვენი საზოგადოება მას პირველ ჩლენად რაცხდნენ და დიდამც პატივსაც ვსცემდით... მაშ ხომ თ(ვ)ითონ დაწერა პირველი ღამის რასპორაჟენიე (განკარგულება). მაშასადამე, თავის თავზე ყოფილა შპიონი" [გოზალიშვილი, 1935, 389].

ვრცელ ჩვენებაში, ალექსანდრე ორბელიანი აშკარად ცდილობს დაარწმუნოს კომისია, რომ იასე, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს იმიტომ კი არ სჩადიოდა, რომ თავისი როლი დაეფარა („რომ ჩვენს საზოგადოებას ეჭვი არ მიეტანათ იმისი შპიონობისა"), არამედ იმიტომ, რომ ნამდვილად შეთქმულებს თანაუგრძნობდა [გოზალიშვილი, 1935, 392].

ეს იყო გულუბრყვილო მცდელობა დაეჭვება გამოეწვია მთავრობის კომისიაში. იგივეს ცდილობს ალექსანდრეს ძმა ვახტანგი, რომელიც მთავრობის მოხელეთა მიმართ იესეს დაგეგმილ სისასტიკეში ადანაშაულებს და მრავალი სხვა, ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების განზრახვას მიაწერს [გოზალიშვილი, 1935, 457-458].

ალექსანდრე ორბელიანი, მოგვიანებით დაწერილ მოგონებაში, საინტერესო დეტალს იხსენებდა; როდესაც ის საგამოძიებო კომისიაში წაიყვანეს, ალექსანდრემ „საზოგადოების" დამბეზღებლის და გამცემის ვინაობა იკითხა: „ღენერალმა, შტაბნაჩალნიკმა ვოლხოვსკიმ ერთი დასტა დაწერილი ქაღალდი გადმომიღო და წინ დამიდო; რა წამს დავხედე, მაშინვე ვიცან, რომ ჩვენი ამხანაგის თ(ავად) იასე იოსების ძის ფალავანდოვის ხელი იყო. თუმცა მოვინდომე თვით მე წამეკითხა, მაგრამ არ დამანება (ვოლხოვსკიმ) და თვითონ დაიწყო კითხვა, რომელმაც მგონია სამ საათამდის იკითხა. იმ საბეზღარის წიგნით მივხვდი, ყოველი ჩვენი საქმე დღიურ ზაპისკებად (ჩანაწერებად) ეკეთებინა [გოზალიშვილი, 1935, 125].

ძალიან მნიშვნელოვანი მოწმობაა, ეს თანხმობაშია თვით ფალავანდიშვილის აღიარებასთან. შემდეგ, ალექსანდრე ორბელიანი წერს: „იასე ფალავანდოვი საბეზღარი დასტა ქაღალდი, შემდეგ ვეღარავინ ნახა კომისიაში... ყოვლის ცდით იასეს ჰფარავდნენ დამბეზღებლად და სხვას, უცოდველსა აბრალებდნენ, რადგან იმის ძმა ღუბერნატორი იყო... მეც დავწერე რაც ვიცოდი, ნამეტნავად იასე ფალავანდოვს მივყავ ხელი, რას დასზოგავდი იმ იუდას და დიდ დამნაშავედ აღმოვაჩინე..." [გოზალიშვილი, 1935, 127].

საბოლოოდ იასე ფალავანდიშვილი, შეთქმულთა გულუბრყვილო მცდელობის მიუხედავად, მაინც არ იქნა დასჯილი. იგი არ იქნა აღიარებული შეთქმულების რეალურ და აქტიურ წევრად. ი. ფალავანდიშვილი, მისივე თხოვნის შესაბამისად (მას საქართველოში აღარ დაედგომებოდა), გააგზავნეს ფინეთში მდგომ ერთ-ერთ რუსულ ბატალიონში უნტერ-ოფიცრად. ი. ფალავანდიშვილი, გათავისუფლდა სამართალში მიცემისაგან და არც წოდება ჩამოერთვა [გოზალიშვილი, 1935, 508].

მართალია მთავარმართებელი როზენი მას უარყოფითად ახასიათებს, მის მერყევ და არათანმიმდევრულ ხასიათზე საუბრობს (როზენი იასეს უწოდებს „ეშმაკს", „თაღლითს" და „უზნეოს"), მაგრამ ეს ცარიელი სიტყვები იყო, საქმით კი, რუსულმა

იმპერიულმა ხელისუფლებამ იასეს „ღვაწლი“ დაუფასა. ფინეთში მისი გადაყვანა იმ პირობებში, როდესაც ი. ფალავანდიშვილის როლი შეთქმულების გაცემაში აშკარა გახდა, საუკეთესო გამოსავალი და მისი გადარჩენის ტოლფასი იყო [გოზალიშვილი, 1935, 503].

სამთავრობო სენატმა ასევე მთლიანად გაამართლა ზავილეისკი [გოზალიშვილი, 1935, 506], რაც გარკვეულ ეჭვებს ბადებს. სამაგიეროდ, არ დააკმაყოფილეს უმძიმესად დაავადებული სოლომონ დოდაშვილის თხოვნა. ფილტვების ჩირქოვანი ანთების გამო, იგი ითხოვდა, ნება მიეცათ გადასახლება ვიატკის ნაცვლად სამხრეთის რომელიმე გუბერნიაში გაეტარებინა. ამ თხოვნით, სამხედრო მინისტრი ჩერნიშოვი თვით იმპერატორს წარუდგა, მაგრამ სხვების მიმართ „გულმოწყალე“ ნიკოლოზ I ამ შემთხვევაში, ოდნავ დათმობაზეც არ წავიდა. თხოვნის გაგზავნიდან (10 ივლისი) ზუსტად ერთ თვეში (10 აგვისტოს) ს. დოდაშვილი ვიატკაში გარდაიცვალა [გოზალიშვილი. 1935, 515-517].

კვლავ დავუბრუნდეთ კანონს სამხედრო საიდუმლო პოლიციის შექმნის შესახებ. შესაბამისი დებულების მიხედვით, ამ უწყების მეთაური – სამხედრო პოლიცმეისტერი, უშუალოდ კავკასიის მთავარმართებელს ემორჩილება (§-4). იგი აირჩეოდა შტაბ-ოფიცერთაგან და მთავარმართებლის თანხმობით, ჟანდარმთა კორპუსში ჩაირიცხებოდა ($-5). მას ხუთი დამხმარე ეყოლებოდა, შტაბ- ან ობერ-ოფიცერთა წოდებიდან. აქედან პირველი, „საქართველოში“ (ანუ ქართლ-კახეთში) იქნებოდა მისი მოადგილე (§-7) ამ მონაცემების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, შესაძლებელია, დავადგინოთ ამ უწყების პოლიცმეისტერის სავარაუდო პიროვნება (უწყების არც ერთი დოკუმენტი შემორჩენილი არ არის. შესაძლოა გაიტანეს რუსეთში ან გაანადგურეს). ასეთ პირად ჩვენ მიგვაჩნია ვოლხოვსკი, ვლადიმერ დიმიტრის ძე (1798-1841). იგი კარგად იცნობდა საიდუმლო ორგანიზაციების სტრუქტურას. იგი დეკაბრისტული „ხსნის კავშირის“ და „ჩრდილოეთის კავშირის“ წევრი იყო. ამის მიუხედავად, მოვგიანებით, მუშაობდა იმპერატორის არმიის გენერალურ შტაბში. 1826 წ. გამოიგზავნა პასკევიჩთან თბილისში. 1828-1829 წწ. მსახურობს კავკასიის კორპუსში, პოლკოვნიკის წოდებით. 1831 წ. მონაწილეობდა პოლონეთის აჯანყების ჩახშობაში. პოლონეთში ვოლხოვსკი ბარონ როზენთან ერთად მსახურობდა ლიტვის კორპუსში და პოლონელთა აჯანყების წინააღმდეგ აქტიური ქმედებებისთვის

გენერლის წოდებას მიაღწია. 1831 წ. აგვისტოში, კავკასიაში სარდლად დანიშნულმა როზენმა ის თავისთან გადმოიყვანა თბილისში. 1832 წელს ვოლხოვსკი ასრულებს კავკასიის შტაბის უფროსის მოვალეობას [ბერძნიშვილი, 1983, 25].

იგი აქტიურადაა ჩართული 1832 წლის შეთქმულების საგამომძიებლო კომისიაში. როგორც ალ. ორბელიანის მოგონებიდან ჩანს, იასე ფალავანდიშვილის შეთქმულთა მამხილებელი „ჩანაწერების“ დასტა, სწორედ მის ხელშია. ვოლხოვსკი არის შტაბ-ოფიცერი (გენერალი) და უშუალოდ ემორჩილება მთავარმართებელს (მისი ნდობით აღჭურვილი პირიცაა). ეს კი კავკასიის საიდუმლო სამხედრო პოლიციის მეთაურის პოსტზე დასანიშნად, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

საიდუმლო საპოლიციო სამსახური უთვალთვალებდა არა მარტო თანამდებობის პირ ქართველ მოხელეებს, არამედ პედაგოგებს, მწერლებს, სხვადასხვა სალონურ თუ ოჯახურ შეკრებებს, ამოწმებდა ყველასა და ყველაფერს. იასე ფალავანდიშვილის გარდა. მას ბევრი სხვა ქართველი აგენტიც უნდა ჰყოლოდა.

§4. 32-იანელთა პოლიტიკურ-იდეოლოგიური საფუძვლები და ჟურნალი - „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“

32-იანელები ვიწრო კონსპირაციულ-შეთქმულებრივ ჩარჩოში რომ არ აპირებდნენ მოქმედების დატოვებას, კარგად ჩანს იქიდან, რომ მათ ხალხის ორგანიზებისა და მოძრაობაში მასობრივი ჩართვისათვის დააარსეს ჟურნალი - „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. მოძრაობის ლიდერებმა ორ ფრონტზე გაშალეს მუშაობა: ერთი იყო საიდუმლო ორგანიზაცია, სადაც მხოლოდ განდობილთა ვიწრო ძმობის წარმომადგენლებს იღებდნენ და მეორე ფრონტი, სადაც ცდილობდნენ ფართო საზოგადოების ჩართვას პოლიტიკურ მოვლენებში, მათ იდეურად მომზადებასა და პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავებას, მთელი საზოგადოებისათვის პროპაგანდას. ამისთვის დაარსდა ჟურნალი და შეირჩა ის ადამიანები, რომლებიც ჟურნალს სწორედ ამგვარი დანიშნულების აღსრულების იარაღად აქცევდა.

პირველი - საიდუმლო ორგანიზაციაში მიღების კონსპირაციული წესი, მათ იქნებ მასონური ლოჟებისგან აიღეს, თუმცა, ამ დროს საქართველოში მასონები არ იყვნენ, მაგრამ რუსეთში მცხოვრებ ქართველთაგან ზოგიერთი უკვე გახდა ამ ლოჟის წევრი. შესაძოა, გადმოსახლებულ დეკაბრისტებისგან უფრო აიღეს ეს ცოდნა შეთქმულებრივი მოძრაობის დროს, ვიდრე რომელიმე ქართველისაგან. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ კონსპირაცია ზერელე იყო, რადგან განდობილთაგან სამმა იცოდა ერთმანეთის შესახებ, ეს სამივე სხვა სამს უკავშირდებოდა, თანაც ეს საქართველოს ის არისტოკრატია იყო, რომელიც კერძო საუბრებითა და ასე რომ ვთქვათ, ჭორებით ცხოვრობდა. ამდენად, კონსპირირებულ-დამალული ძნელად თუ დარჩებოდა საიდუმლო ორგანიზაციების გეგმები. იმდენი კაცი იყო ეჭვმიტანილი თუ დაპატიმრებული, ფაქტობრივად, მთელი საზოგადოების უმეტესობამ ყველაფერი იცოდა. კონსპირაციას თუნდაც მეორე სახის მოღვაწეობა: იდეურ-პოლიტიკური პროპაგანდა და ჟურნალის პატრიოტული სულისკვეთება გამორიცხავდა. ამ მიზნით დაიწერა სოლომონ დოდაშვილის პროკლამაცია და ლექსი - „მაისი“.

ჟურნალის გამოცემაზე ფიქრი შეთქმულებაში ჯერ კიდევ 1830 წლიდან დაიწყეს. მკვლევარი თამაზ ჯოლოგუა ამ ფაქტს (ჟურნალის გამოცემას) თვლის იმის საფუძვლად, რომ შეთქმულება სინამდვილეში საზოგადოებრივი იდეურ-პოლიტიკური მოძრაობა იყო. მისი აზრით, ჟურნალის საშუალებით უნდა მომხდარიყო საზოგადოებრივი შეგნების ამაღლება, ქართული ენის, როგორც ეროვნული ცნობიერების განმსაზღვრელი ფაქტორის შენარჩუნება და განვითარება; ქართველი ერის ისტორიისა და კულტურული მონაპოვრების პოპულარიზაცია, როგორც მძლავრი სტიმული დენაციონალიზაციის მომაკვდინებელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად; განათლების გავრცელება; ლიტერატურული ცხოვრების აღორძინება; მეცნიერული აზრის ჩამოყალიბება; საზოგადოებრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ევროპეიზაცია. კონკრეტულ შემთხვევაში ისეთი მასალები უნდა გამოქვეყნებულიყო, რომელიც ხელს შეუწყობდა მომავალი შეიარაღებული აჯანყებისათვის საზოგადოებრივი აზრისა და განწყობის მომზადებას [ჯოლოგუა, 2011, 57].

რაც შეეხება ევროპეიზაციის პრობლემას, ეს ორიენტაცია ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში უკვე მე-18 საუკუნეში , ჯერ კიდევ ერეკლე მეორის მეფობაში განვითარდა, შემდეგ 32-იანელების აზროვნებაში გაიზარდა და, ბოლოს, თერგდალეულებისა და მომდევნო თაობების აზროვნებაში გადამწყვეტი ადგილი დაიჭირა.

„მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველო მსოფლიო პროგრესის საერთო ფერხულიდან გამორიცხული არ ყოფილა“, - წერს 1832 წლის მოვლენების ყველაზე აკადემიური მკვლევრი (მან რამდენიმე წიგნი მიუძღვნა ამ ისტორიულ ფაქტს) გიორგი გოზალიშვილი. მართლაც, სოლომონ დოდაშვილი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ფილადელფოს კიკნაძე, გიორგი ერისთავი, ზაქარია ჩოლოყაშვილი დასხვები ევროპული ტიპის მოაზროვნეები, ღრმა განათლების მქონე ადამიანები იყვნენ. ისინი ნამდვილად არ ჩამრჩებოდნენ თავიანთი საქმიანობითა და იდეებისადმი ერთგულებით თანამედროვე მსოფლიოს პროგრესულ მოღვაწეთა პლეადას [გოზალიშვილი, 1970, 32]. რა თქმა უნდა, შექმულების მონაწილენი ერთფეროვან საზოგადოებას არ წარმოადგენდნენ, ისინი განსხვავდებოდნენ საზოგადოებრივ-სოციალური მდგომარეობით, განათლებითა და მოწინავე იდეებით აღჭურვის მხრით, მაგრამ შეთქმულთა წყარო ერთი არ იყო.რამდენიმე სხვადასხვა მხრით მოგროვილმა გარემოებამ შექნმა ერთი კვანძი, რომლის ირგვლივაც სხვადასხვა წრის ხალხი აღმოჩნდა დარაზმული.

ევროპა 32-იანელთა „შეთქმულებრივ მოძრაობას ორი ფაქტორის გამო აინტერესებდათ. პირველ შემთხვევაში, ევროპის წამყვანი სახელმწიფოები განიხილებოდა, როგორც მოკავშირე და დამხმარე ძალა, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მეორე შემთხვევაში, ევროპა 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობისათის იყო სოციალურ-ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ინტელექტუალური განვითარების ნიმუში, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარებულიყო საქართველო და ქართველი ხალხი. კერძოდ, კონსტიტუციური მონარქიის ფორმით უნდა მომხდარიყო ქართული სახელმწიფოს დემოკრატიზაცია, მისგან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული შედეგებით“ [შველიძე, 2014, 58].

მოძრაობის ლიდერს, სოლომონ დოდაშვილს ევროპეიზაციის გზამკვლევი ეჭირა ხელში და პირველი ჰკვალავდა გზას ამ სიტყვებით: **„არა თავისა თვისისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვმუშაკობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა“.** მანამდე, სანამ ევროპა საქართველოს სცნობდა, საქართველოში უნდა ეცნოთ ევროპა. დოდაშვილის თვალსაზრისს შემდეგში კიდევ უფრო განავრცობდნენ ილია ჭავჭავაძე,იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, რომლებიც იდენტურად ხედავდნენ ევროპულსა და საკუთარ ეროვნულ ღირებულებებს. ესაა, სოლომონივით ისინიც გარეგნულად ვითომ რუსეთს კი არ სწუნობდნენ, მოხელეებს აბრალებდნენ ყველაფერს, მაგრამ სინამდვილეში კარგად იცოდნენ მთავარი დამნაშავის ვინაობა.

თავად დოდაშვილი ერთ-ერთი დაკითხვის დროს, ჟურნალის მიზნად ასახელებდა **„სამშობლოს სიყვარულის გავრცელებას“**. მართალია, უსახსრობის გამო, ჟურნალის მხოლოდ 5 ნომერი გამოვიდა, ვერც პოლიტიკურმა მოძრაობამ მიაღწია დასახულ მიზანს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ჟურნალმა თავისი დანიშნულება ვერ შეასრულა. უნდა ვაღიაროთ, რომ მოძრაობამ მთელი მაშინდელი განათლებული ქართველობა მოიცვა. განსაკუთრებით დიდი იყო სარედაქციო ჯგუფის დამსახურება ქართულ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. ესენი იყვნენ: ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანები, ელიზბარ, დიმიტრი და გიორგი დავითის ძე ერისთავები, სოლომონ რაზმაძე, დიმიტრი ყიფიანი, ზაალ ავთანდილაშვილი, გრიგოლ ორბელიანი.

გარდა ჟურნალის და მასში დაბეჭდილი პატრიოტული მასალებისა, მოძრაობის თავკაცებს პოლონეთის ანტირუსული აჯანყებაც აძლევდათ ბრძოლის მოტივაციას. ამ აჯანყების რუსეთის მიერ სასტიკად ჩაქრობამ ისინი დააფიქრა, მაგრამ ბრძოლაზე ხელი ვერ ააღებინა. დაიწყო უფრო მეტი მუშაობა ორგანიზებული დისციპლინის, ევროპის მაგალითზე აჯანყების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. გადაწყდა ხელმძღვანელისა და აჯანყების ორგანიზატორი საბჭოს არჩევა. დაკითხვის დროს ალექსანდრე ორბელიანმა აჩვენა, რომ ხელმძღვანელობა შესთავაზეს მასაც და იასე ფალავანდიშვილსაც, მაგრამ მათ უარი თქვეს, ამის შემდეგ „კამანდირობა“ელიზბარ

ერისთავს მიენდო. თავად ელიზბარი უარყოფდა ამ ფაქტს, ეს გასაგებიცაა, რადგან „ზაგავორის კამანდირობა“ ხელისუფლებისგან აუცილებლად მკაცრად დაისჯებოდა.

საბოლოოდ, პოლიტიკური მოძრაობის 4 ლიდერი გამოიკვეთა: **სოლომონ დოდაშვილი, ელიზბარ ერისთავი, ალექსანდრე ორბელიანი და იასე ფალავანდიშვილი.** აქედან იასე ფალავანდიშვილი უდავოდ წინასწარ შეგზავნილი აგენტი იყო, რასაც ზემოთ უკვე ნათქვამ ფაქტებთან ერთად, მოწმობს მისი რუსეთში სამუდამოდ დარჩენა (მას უფლება მისცეს სამშობლოში დაბრუნების 1838 წლიდან, მაგრამ არ დაბრუნდა), ამასთანავე, რუსი ავტორის - მაქსიმოვის მასზე დაწერილი წიგნი, რითაც ჩვენ ვგებულობთ, თუ რა დიდი რუსეთუმე და ქართველთა მოძულე ყოფილა ეს ადამიანი, ისიც, თუ როგორ შერაცხეს მოღალატე ქართველი - იასე ფალავანდიშვილი რუსებმა წმინდანად და ა.შ.

მაშასადამე, 1832 წლის მოვლენების მონაწილეებმა შექმნეს სპეციალური სტრუქტურა, რომელსაც ჰქონდა პროგრამა (გაზეთის და იქ დაბეჭდილი პროკლამაციის თუ სხვა მასალის სახით), ჰქონდა წესდება - „ფილადელფოს კიკნაძის მიერ შემუშავებული „აქტი გონიურის“ სახით, ჰყავდა ხელმძღვანელი სტრუქტურული ორგანო - საბჭო, რომელიც აირჩიეს, ან უნდა აერჩიათ და ვერ მოასწრეს. სტრუქტურის არსებობა უკვე ნიშნავდა, რომ ეს უბრალო შეთქმულება კი არა, კარგად ორგანიზებული ფართო სახალხო პოლიტიკური მოძრაობაა, რომლის მიზანი იგივეა, რაც წინა აჯანყებების (ომების) იყო: ქართველი ხალხის განთავისუფლება რუსი დამპყრობლების უღლიდან და ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა. ყველაფრიდან ჩანს, რომ ორგანიზატორებს სურდათ ამ დროის ევროპა-ამერიკის მსგავსი პარტიული ორგანიზაციის შექმნა. საქართველოსთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო უცხოეთის, განსაკუთრებით საფრანგეთში მომხდარი მოვლენების არსში ჩაწვდომა, მათი მაგალითების მიხედვით მოქმედება. ამ შემთხვევაშიც, ამავე საუკუნის 20-იანი წლების საფრანგეთში მიმდინარე **კარბონარების** მოძრაობას უნდა ჰქონოდა ზეგავლენა ქართულ მოძრაობაზე. კარბონარები იტალიაშიც და საფრანგეთშიც ჰქმნიდნენ საიდუმლო ორგანიზაციებს და წარმართავდნენ ოპოზიციურ და რევოლუციურ მასობრივ მოძრაობას. ისინი 1822 წელს დამარცხდნენ, თუმცა, 1830 წლამდე მათი მოძრაობა არ

შეწყვეტილა, 1830 წლის რევოლუციამ კი ის მიზანი, რაც კარბონარებს ჰქონდათ - ბურბონების დამარცხება - განახორციელა.

ქართველ შეთქმულთა მოძრაობას თავისი ევროპული - კარბონარებისა და რუსული - დეკაბრისტების ანალოგების მსგავსად ორი მიზანი ჰქონდა: საზოგადოებაში სამშობლოს სიყვარულის გავრცელება, ეროვნული ფასეულობების დაცვა და მეორე: აჯანყების მომზადება და ორგანიზება. ეს მოძრაობაც დამარცხდა, მაგრამ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების სიტყვით, უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში.

§5. 1832 წლის პოლიტიკური მოძრაობის შედეგები და ისტორიული მნიშვნელობა

თითქმის რვა წლის იდეური და ორგანიზაციული მზადების მიუხედავად, 1832 წლის მოძრაობა „უშედეგოდ“ დამთავრდა, - ასეთია ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის შეფასება. მაგრამ, თუ უფრო ობიექტურად შევხედავთ მოვლენას, შესაძლებელია ვთქვათ: 30-იანელთა პოლიტიკური პოზიცია, შეხედულებები, მიზანი და, რაც მთავარია, მოქმედების ფორმები და საშუალებები საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. ეს იყო ეროვნული იდეურ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში, რომელიც თვისობრივად განსხვავდებოდა წინა საპროტესტო გამოსვლებისაგან. მას აქამდე მომხდარი აჯანყებებივით სპონტანური სახალხო ამბოხის ხასიათი კი არა, არამედ საერთო ქართული მასშტაბის ორგანიზაციული და იდეური მოძრაობის ფორმა ჰქონდა. ოცდაათიანელთა მოძრაობა საქართველოს მთელი მასშტაბით საერთო აჯანყებაში უნდა გადაზრდილიყო და ამას სხვა კავკასიელებიც უნდა შემოერთებოდნენ, **„მთელი კავკასია, შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდისინ, სრულიად მთებისა და ბარის ხალხი უნდა გავერთიანებულიყავით და ერთიანი აღრეულობა უნდა მოგვეხდინა,“** - იგონებდა ალექსანდრე ორბელიანი. მისივე სიტყვებით: **„ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან, ან არადა, მამული გამოგვეხსნა საშინელის ჩვენის მტრის - რუსეთისაგან“.**

30-იანელთა მორაობა არა მარტო აჯანყებისთვის ემზადებოდა, არამედ ეს იყო იდეოლოგიზებული ნაციონალიზმის გამოვლენა. სოლომონ დოდაშვილი, ფილადელფოს კიკნაძე, იოსებ მამაცაშვილი და სხვები საზოგადოებას „მამულის სიყვარულისკენ“ მოუწოდებდნენ.

რუსეთის ადმინსტრაცია ძალზე შეაშფოთა ფარული საზოგადოების არსებობის ფაქტმა და მოწინავე ქართული ინტელიგენციის ოპოზიციურმა გამოსვლამ. ვინც მისი დასაყრდნი უნდა ყოფილიყო, ის მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, არადა ამ ელიტას ჰქონდა სწორედ გადამწყვეტი გავლენა მთელ ქართველ მოსახლეობასა და საზოგადოებაზე. ამიტომ იყო, რომ ხელისუფლებამ არაორდინალური გადაწყვეტილება მიიღო: თუ ადრინდელი აჯანყების მესვეურები და აქტივისტები სასტიკად დაისაჯნენ, ამჯერად დამნაშავეებს მსუბუქი სასჯელი ერგოთ. რამდენიმეწლიანი პატრიოტული მოძრაობა რამდენიმე ქართველი თავადისა და აზნაურის „შეთქმულებად“ მოინათლა. გამონაკლისის სახით მოხდა სოლომონ დოდაშვილის დასჯა, მას სამხრეთის პროვინციებშიც არ მისცეს სასჯელის მოხდის უფლება, არადა, სასტიკი სენით შეპყრობილზე ჩრდილოეთ რუსეთის ჰავა დამღუპველად მოქმედებდა და დაიღუპა კიდეც.

1832 წლის შეთქმულება მეფის ხელისუფლებამ ძირშივე ჩაახშო. 145 მონაწილეს და თანამზრახველს სხვადასხვა სასჯელი მიესაჯა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვით, სასჯელი შედარებით მსუბუქი იყო. მთავარმართებელ, ბარონ როზენის სიტყვით, ყოველივე იმიდან, რაც მოხდა, საქართველოს ყოფილი სამეფო კარის წევრებმა ჭკუის სასწავლი მაგალითი მიიღეს. ისინი ამიერიდან „გამოეთხოვებიან ფუქსავატსა და დამღუპველ იდეებს“ იმის თაობაზე, რომ როდესმე დაბრუნდებიან საქართველოში, როგორც მმართველები და მეტოქეობას გაუწევენ რუსეთის იმპერატორს-ო [გოზალიშვილი, 1935, 504].

ამრიგად, 1832 წლის პოლიტიკურ მოვლენებზე შეძლება ასეთი დასკვნები გავაკეთოთ:

1. ეს მოძრაობა რუსეთის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის პირველი ორგანიზებული ბრძოლის ფორმა იყო: მისი ხელმძღვანელები საიდუმლო ორგანიზაციებისა და ეროვნულ-იდეოლოგიური პროპაგანდით შეეცადნენ,

წინანდელი სტიქიური აჯანყებებისაგან განსხვავებით, ახალი ფორმა მიეცათ ბრძოლისათვის და მეტი გამარჯვების შანსი მოეპოვებინათ;

2. მოძრაობა იყო პოლიტიკური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი, საერთო-სახალხო და არა „თავადაზნაურულ-არისტოკრატიული“ როგორც ხშირად აფასებენ მას. მართალია, მისი ორგანიზატორები, ძირითადად, არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ მისი მთავარი ლიდერები (სოლომონ დოდაშვილი, ფ. კიკნაძე) არ იყვნენ უმაღლესი სოციალური ფენიდან და არისტოკრატია მათ ლიდერობას სრულიად ბუნებრივად აღიქვამდა;

3. 1832 წლის პოლიტიკური მოვლენები ქართულ და რუსულ ისტორიოგრაფიაში „თავადაზნაურულ შეთქმულებად“ დეფინიცირდება, რაც არაა სწორი: ეს არის ქართველი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლის ნაწილი, რუსეთ-საქართველოს 30 წლიანი ომის ბოლო ეტაპი, როდესაც მოძრაობის ხელმძღვანელებმა გამოიყენეს მრავალი ახალი მეთოდი: საიდუმლო ორგაბნიზაციების დაარსების, ეროვნული იდეების პრესითა და აგიტაციის ფორმით პროპაგანდის, ევროპულ-ამერიკული გამოცდილების გაზიარების (კარბონარების მოძრაობა, პოლონეთის აჯანყება, დეკაბრისტების გამოსვლა რუსეთში) და სხვ, მეთოდები;

4. 1832 წლის პოლიტიკური მოძრაობა შეიძლება ასე სახელდებოდეს: შეთქმულებრივი მოძრაობა (დიმიტრი შველიძე), ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოლიტიკური მოძრაობა, რუსეთ-საქართველოს ომის შემადგენელი ანტირუსული მოძრაობა საქართველოში;

5, 1832 წლის აქტმა გამოავლინა როგორც ქართველი ხალხის სიმამაცე და თავგანწირვა საკუთარი სამშობლოს დასაცავად (წინასწარ დასამარცხებლად განწირულ ომში შესვლა, უთანასწორო ბრძოლისთვის მზადყოფნა), ასევე, კოლაბორაციონიზმი, ტყულისა და ღალატის სინდრომი, რაც ასე კარგად გამოჩნდა დაკითხულთა ჩვენებებით, გამოჩნდა ეროვნული ცნობიერების დაბალი დონე, რისი გამოსწორებაც შემდგომში ქართველმა სამოციანელებმა სცადეს;

6. ინტელიგენცია, რომელიც 1832 წლის შეთქმულებრივ მოძრაობაში იყო ჩაბმული, ძირითადად, გაორებული, მერყევი, ეროვნულად არამტკიცე იყო, მაგრამ მისი ლიდერები, განსაკუთრებით სოლომონ დოდაშვილი, არ იყო გაორებული, ის მზად ყო ქართული სახელმწიფოებრიობისთვის ყველაფერი გაეკეთებინა და

სიცოცხლეც უყოყმანოდ გაეწირა. უამისოდ არ შეიქმნებოდა და მისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში არ დაიბეჭდებოდა ის ცნობილი პროკლამაცია და ლექსი, რომელთაც დიდი იდეური დატვირთვა ჰქონდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მასების დასარაზმად.

7. შეთქმულების მიერ დაგეგმილი აღდგენილი ქართული სახელმწიფოს ტიპი - კონსტიტუციური (საპარლამენტო) მონარქია და რესპუბლიკა - ორივე იმ დროისათვის სახელმწიფოს პროგრესული ფორმა იყო და მეტყველებს ქართველ მოღვაწეთა განათლებასა და პროგრესულ სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე.

8. მოძრაობის მარცხის მიზეზი იყო, პირველ რიგში, რუსული იმპერიის სიძლიერე, კავკასიაში, კერძოდ, თბილისში მისი სამხედრო-პოლიციური ფართო ქსელის არსებობა, ქართველი ხალხის ნაკლები დარაზმულობა და მოუმზადებლობა ერთიანი ფრონტით მტრის წინააღმდეგ გამოსასვლელად, საზოგადოების გაორება და ინდიფერენტიზმი, მტკიცე და ერთგული ადამიანების სიმცირე მოღალატეებთან შედარებით;

9. 1832 წლის მოვლენებმა, ფაქტობრივად, დიდი როლი ითამაშა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში, ის იქცა კარგ მაგალითად, მისი ლიდერები გმირებად, მისაბაძ ადამიანებად, მათზე სიამაყით წერდნენ ილია ჭავჭავაძე და ქართველთა შემდგომი თაობები და XX საუკუნის ბოლოს საქრთველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევაში მათი წვლილიც უდავოა.

თავი VII

გურიის 1841 წლის აჯანყება

§1 გურიის სამთავროს გაუქმება და პოლიტიკური ვითარება გურიაში XIX საუკუნის პირველ მეოთხედში

1804 წელს, ელაზნაურის ტრაქტატით იმერეთი რუსეთის მფარველობაში შევიდა. ვინაიდან დასავლურ ქართულ სამთავროებს იმერეთის მეფე თავის ვასალად თვლიდა, ამიტომ, ხელისუფლებამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა სოლომონ II-ის თხოვნა და მფარველობა-ქვეშევრდომობა გურიას იმერეთთან ერთად მისცა. პავლე ციციანოვმა ეს აქტი მიულოცა გურიის მთავარს. მცირეწლოვანი მამია გურიელის ნაცვლად ამ დროს სამთავროს მისი ბიძა ქაიხოსრო ბატონიშვილი მართავდა. მას რუსი ავტორები განათლებულ და ძლიერ პოლიტიკოსად მოიხსენიებენ [Мелешко, "Кавказ", 1848, №1-2.].

ქაიხოსრო გურიელს არ მოსწონდა იმერეთის სამეფოს ნაწილის სახით რუსეთის ქვეშევრდომობა, მაგრამ არც რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება სურდა, ამიტომ იმერეთში მყოფ რუსეთის წარმომადგენელთან – ლიტვინოვთან გაგზავნა თავადი ვახტანგ ერისთავი ციციანოვისათვის მადლობის სათქმელად, ასევე თხოვნით, სარდლობას გამოეგზავნა ვინმე გურიის ბუნებრივი სიმდიდრეების შესასწავლად, რათა ეს სიმდიდრეები რუსეთის მთავრობას გამოეყენებინა.

ამასთანავე, 1804 წლის 18 ივნისს ქაიხოსრომ ლიტვინოვს აცნობა, რომ ახალციხისა და ერზერუმის ფაშებმა, აფხაზეთის მთავარმა ქელეშ-ბეგ შერვაშიძემ მას ელჩები გამოუგზავნეს და მოსთხოვეს – გურიაში რუსები არ შეეშვა [Акты, 1868, 394; ჩხატარაიშვილი, 1985, 20].

გამოჩენილი ერთგულებისათვის რუსეთმა ქაიხოსროსა და მამია გურიელის მხარე დაიჭირა, სანაცვლოდ ქაიხოსრო მუდმივად აწვდიდა ცნობებს რუსეთის სარდლობას იმ გურული თავადების შესახებ, რომლებიც რუსული ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლ იმერეთის მეფეს თანაუგრძნობდნენ და ეხმარებოდნენ.

იმერეთის მეფეს გურიაში მომხრეებთან ერთად გავლენიანი მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. მათ შორის მთავარი იყო მამია გურიელის დედა მარინა, რომელიც იმერეთის მეფის სახლთუხუცესის – ზურაბ წერეთლის და იყო. იგი თავისი ძმის, – რუსეთის ფარული აგენტის ჩაგონებით, ყოველნაირად ებრძოდა სოლომონის გავლენას გურიაში და მეფის ყოველ ნაბიჯს რუსეთის სარდლობას ატყობინებდა.

როდესაც 1805 წლის დასაწყისში სოლომონ II–მ ქუთათელისა და გენათელის პირით აცნობა ქაიხოსროს მოლაპარაკების სურვილი, მან ეს ლიტვინოვს გააგებინა და ეს შეხვედრაც ჩაიშალა, რადგან რუსმა სარდალმა მეფეს ახსნა-განმარტება მოსთხოვა ჯარის შეყრის მიზეზზე [Акты,1868, 427].

მიუხედავად ურჩობისა, 1806 წლის ივნისში ქაიხოსრო იძულებული გახდა სოლომონ მეფისთვის ერთგულება შეეფიცა. თუმცა, არც ეს ფიცი ყოფილა გულწრფელი და ხანგრძლივი. რუსეთის წინსვლას სამხრეთ კავკასიაში, მის მიერ საქართველოს სამეფო-სამთავროების წარმატებით დაპყრობას განაპირობებდა არა არტო მისი სამხედრო სიძლიერე, არამედ აქაური მეფე-მთავრების ურთიერთმტრობა, დაპირისპირება. იმის ნაცვლად, რომ ერთად შეკავშირებულებს ებრძოლათ თავიანთი ქვეყნის გადასარჩენად, ისინი მტრის მხარეზე დგებოდნენ და ერთმანეთს ებრძოდნენ იმ საზღვრებისა და გავლენისათვის, რასაც რუსეთი არც ერთს არ მისცემდა. ამგვარად მოხდა გურიის სამთავროშიც, როდესაც გურიელი ხან რუსების მხარეზე გამოდიოდა, ხანაც იმერეთის მეფეს უკავშირდებოდა.

რუსეთისთვის გურიის საკითხი გააქტიურა ოსმალეთთან 1806 წელს დაწყებულმა ომმა, ასევე ბათუმისადმი ინტერესმა. ციციანოვის დავალებით, ლიტვინოვი გურიის მთავრისაგან ითხოვდა ცნობებს, როდის წაართვა მის საგვარეულოს სულთანმა ბათუმი. ამის შესახებ გარკვეული ინსტრუქცია მიეცა რუსეთის ელჩსაც კონსტანტინეპოლში – იტალინსკის [Акты, 1868, 471].

ციციანოვმა ვერ მოასწრო ქვემო გურიის შემოერთება, ის მალე მოკლეს ბაქოსთან და ეს საქმე კავკასიის ახალმა მთავარმართებელმა გენერალმა ივანე გუდოვიჩმა განაგრძო (1806-1809).

ოსმალეთთან ომის პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების პოზიციას. ამის გამო, გუდოვიჩმა, სოლომონ II–ის გულის მოგების მიზნით, 1807 წლის 1 ივნისს მისწერა მას, რომ გურიას იმერეთის შემადგენლობაში აღიარებდა. ამ დროს ქაიხოსროსა და მამია გურიელის მოწინააღმდეგე ვახტანგ ბატონიშვილს (ქაიხოსროს ძმას) საუფლისწულო მამულები უკვე დაბრუნებული ჰქონდა. რუსეთი ხედავდა, რომ გურიაში შიდადაპირისპირება იყო და ცდილობდა ეს მდგომარეობა გამოეყენებინა. ვახტანგმა სთხოვა გუდოვიჩს, რომ თავის საბატონიშვილო მამულით რუსეთის ქვეშევრდომობაში მიეღო. გუდოვიჩმა 1807 წლის 19 თებერვალს უბრძანა გენერალ რიკჰოფს, პირველივე შესაძლებლობისთანავე გურია დაეკავებინა [Акты, 1869, 132].

ამ დროს შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ოსმალთა მთავარი დასაყრდენი ფოთის ციხე იყო, რომლის აღებაც სცადა გენერალმა რიკჰოფმა, მაგრამ მალევე მოხსნა ალყა, რადგან ცნობა მიიღო რუსთა ჯარის ყარსის ციხესთან დამარცხების შესახებ. ფოთთან ბრძოლისას მას ქაიხოსრო გურიელი აქტიურად ეხმარებოდა, რისთვისაც გუდოვიჩის მადლობაც დაიმსახურა. ფოთის ალყის დროს რუსეთის იმპერატორს იმერეთის მეფემ გაუგზავნა საპროტესტო წერილი 1804 წლის ხელშეკრულების კანონიერებაზე, რუსეთი დაადანაშაულა მისი, როგორც ლეგიტიმური მეფის უფლებების ხელყოფაში და ხელშეკრულების გადასინჯვა მოითხოვა. სოლომონ II აღარ ემორჩიელბოდა რუსულ ხელისუფლებასა და სარდლობას, რის გამოც, 1808 წლის 10 თებერვალს ალექსანდრე I–მა უბრძანა გუდოვიჩს, გაეუქმებინა იმერეთის სამეფო, ხოლო მეფე ოჯახით რუსეთში გაეგზავნა [Петров, 1886, 493].

მკვლევარი ქველი ჩხატარაიშვილი გურია-იმერეთს შორის არსებულ დაპირისპირებას დეტალებში გადმოგვცემს, ოღონდ იმერეთის მეფეს ამტყუნებს იმ კონფორნტაციისათვის, რაც წარმოიქმნა მასა და დასავლეთ საქართველოს სამთავროების მმართველებს შორის. მკვლევარი მეფის ქედმაღლობას მიაწერს ამ სამთავროების სწრაფვას რუსეთისაკენ. „სოლომონ II, როგორც დიპლომატი, – წერს იგი, რუსეთთან ურთიერთობაში სათანადო დონეზე იდგა და არაფერი ეშლებოდა, მაგრამ როგორც მეფე-პოლიტიკოსი, დასავლეთ საქართველოს სხვა

გამგებლებთან ურთიერთობისას, აშკარად მცდარ გზას ადგა. იმის ნაცვლად, რომ დასავლეთ საქართველოს სხვა ხელისუფალნი თავის გარშემო შემოეკრიბა, თავისი ხელისუფლება გაეძლიერებინა და ამით რუსეთთან მეტი მნიშვნელობა ჰქონოდა, რაც იმერეთის, როგორც რუსეთის ხელდებულის, ავტონომიას უფრო რეალურს გახდიდა, სოლომონმა თავისი ხელმწიფური ქედმაღლობით სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან ქიშპს შეალია თავისი სამეფოს ისედაც სუსტი ძალები, ამით ამ სამთავროებს რუსეთთან უშუალოდ დაახლოებისაკენ უბიძგა და იმერეთის სამეფოს აღსასრული მოაახლოვა“ [ჩხატარაიშვილი, 1985, 28].

ამგვარ შეფასებას ვერ დავეთანხმებით. მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის მეფე რუსეთთან დაპირისპირებაში წინასწარ იყო განწირული დასამარცხებლად, მან მაინც გმირულად იბრძოლა ქვეყნის გადასარჩენად. მისი მარცხი მრავალმა ფაქტმა განაპირობა და არა მეფის პირადმა თვისებებმა. მთავარი ისაა, რომ რუსეთს იმერეთის ავტონომია კი არ სურდა, ქართლ-კახეთის სამეფოს მსგავსად მისი დაპყრობა ჰქონდა გეგმაში, იმერეთის მეფეს უნდოდა დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის შენარჩუნება, ფეოდალური მენტალიტეტის მქონე მთავრებს კი – თავიანთ სამფლობელოებში დამოუკიდებლობა, რასაც მათ რუსეთი ყალბად, მიზანმიმართულად ჰპირდებოდა. ეს დიამეტრულად საწინააღმდეგო მიზნები, ცხადია, ვერ მორიგდებოდა და დაპირისპირებაში ძლიერი (ანუ რუსეთი) გაიმარჯვებდა. რუსეთი „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით მოქმედებდა, ჯერ იმერეთის შედარებით ძლიერ სამეფოს დაიპყრობდა, მერე სხვა სუსტ სამთავროებს. რუსული პოლიტიკისა და იდეოლოგიის მახვილი ბოლოს მოტყუებულ მთავრებსაც ისევე სასტიკად დაატყდა თავს, ისევე ტრაგიკულად შეუბრუნდათ, როგორი ტრაგიკულიც იყო სოლომონ II–ის ისტორია.

გურიის მთავრების პოზიცია სწორხაზოვანიც არ ყოფილა, ისინი ხშირად იცვლიდნენ პოზიციას, დაპირისპირებულ რუსეთ-იმერეთს შორის, სიტუაციის მიხედვით, ხან ერთს ემხრობოდნენ, ხან მეორეს. მაგალითად, როდესაც 1809 წელს ახალ მთავარმართებელს – გენერალ ალექსანდრე ტორმასოვს (1809-1811) მიმართეს იმერელმა თავადებმა და ქუთაისიდან რუსული ჯარის გაყვანა

მოსთხოვეს, ამ დოკუმენტს მამია გურიელიც აწერდა ხელს. ხელისმომწერნი ითხოვდნენ იმერეთის სამეფოსთვის ლეჩხუმის დაბრუნებას, ახალი ხელშეკრულების დადებას იმერეთსა და რუსეთს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რუსეთს აღარ დავეხმარებითო [კაკაბაძე, 1956, 377].

რუსეთი ცდილობდა მამია გურიელის დაპირისპირებას სოლომონ II–სთან ზურაბ წერეთლის საშუალებით, მაგრამ, ვიდრე გენერალი დიმიტრი ორბელიანი თავის სიძეს – ვახტანგ ბატონიშვილს იცავდა, ამას ვერ ახერხებდა. რუსეთის ერთგული დიმიტრი ორბელიანი 1809 წლის ივნისში შეეცადა ფოთის უომრად აღებას, ფოთის კომენდანტს – ბათუმის ბეგს ქუჩუკ შერვაშიძეს ვახტანგ ბატონიშვილი (გურიელი) და მიხეილ (გურიის) ერისთავი გაუგზავნა და ციხის ნებით ჩაბარება მოსთხოვა. ორბელიანს არ ენდენ და რედუტ-კალეში მოსალაპარაკებლად მასთან არ მივიდნენ ქუჩუკ-ბეგი და სოსლან-ბეგ შარვაშიძეები [Акты, 1869, 389].

1809 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ფოთის ციხეს სამეგრელოს მთავრის დახმარებით ალყა შემოარტყა დიმიტრი ორბელიანმა [დადიანი, 1962, 199].

ციხის აღებას მამია გურიელი ეწინააღმდეგებოდა. ის ამჯერად სოლომონს უჭერდა მხარს და რუსეთის სარდლობას არწმუნებდა ციხის აღების სიძნელეში. რუსეთის სარდლობა კარგად ხედავდა სოლომონის როლს ფოთის აღების მსვლელობაში და იმერეთში მყოფმა პოლკოვნიკმა სიმონოვიჩმა ურჩია ალექსანდრე ტორმასოვს – შეეკრიბა სამეგრელოსა და გურიის ჯარები, ვითომ ბათუმზე გასალაშქრებლად და იმერეთში შესულიყო, სოლომონი გადაეყენებინათ და გაემეფებინათ სოლომონ I–ის შვილიშვილის – გიორგის ვაჟი ალექსანდრე, რომელიც იმ დროს დედასთან ერთად გურიაში იმყოფებოდა [დადიანი, 1962, 412].

სოლომონ II–მ, რუსების წინააღმდეგ გამოსვლის სანაცვლოდ, გურიის მთავარს საჯავახოს გადაცემა აღუთქვა, შერიფ-ფაშა კი ქობულეთის დაბრუნებას შეპირდა, თუ რუსების წინააღმდეგ იბრძოლებდა. დიმიტრი ორბელიანი 1809 წლის 31 აგვისტოს მთავარმართებელს ატყობინებდა, რომ მამია გურიელმა ფოთის საშველად მიმავალ თურქებს საკუთარი ნავსადგური დაუთმო, დამხმარე რაზმი მისცა და გამცილებელი გააყოლა [კაკაბაძე, 1956, 408].

დიმიტრი ორბელიანმა იცოდა, რომ გურიელის გარეშე ფოთის ციხის აღება შეუძლებელი იყო და საქმეში ჩარია ნიკოლოზ ჯუმათელი და მამია გურიელის ბიძა ზურაბ წერეთელი. შემდეგში წერეთელი ტყდებოდა იმაში, რომ მრავალი მოისყიდა რუსების მხარეზე გადასაყვანად, „წარვაგე ნივთი და ოქრო მრავალი ჩემი"-ო [კაკაბაძე, 1956, 419].

რუსეთის სარდლობა გურიელს დაპირდა იმერეთის სამეფოდან გამოყოფას, და მართლაც, იმპერატორის ხელმოწერილი ტრაქტატიდან გურია ამოღებული იქნა. ეს იმერეთის სამეფოსგან გურიის ჩამოშორების და მისი რუსეთის მხარეზე გადაყვანის ფასად მოხდა. რუსეთის ხელისუფლებასა და გურიის სამთავროს შორის დადებული ხელშეკრულება ამ სახით გაფორმდა:

1. გურიის სამთავრო შედის რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში;

2. გურიაში რჩება მთავრის მემკვიდრეობითი ხელისუფლება. ყოველ მთავარს იმპერატორი ამტკიცებს;

3. სამთავროს ტერიტორიაზე სამოქალაქო საქმეების განსჯა გურიელის კომპეტენციაში რჩება, სისხლის სამართლის საქმეებს კი იმერეთის დროებითი მმართველობა (ე. ი. რუსეთის ხელისუფლება) განიხილავს და წყვეტს;

4. გარეშე მტრისგან დასაცავად გურიის ტერიტორიაზე დგება რუსეთის ჯარის ნაწილი;

5. თუ გურიაში რაიმე მადნის საბადო აღმოჩნდება და დამუშავდება, შემოსავლის ნაწილი მთავარს მიეცემა (დანარჩენი რუსეთისაა);

6. თუ რუსეთი გურიის ტერტორიაზე ახალ ქალაქს ააშენებს, ამ ქალაქის შემოსავლის ნაწილი გურიელს მიეცემა;

7. ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულების სანაცვლოდ გურიელი იმპერატორის მორჩილებას კისრულობს;

8. გურიელი სამთავროში მყოფ რუსის ჯარს შეშით, სანთლითა და ბინით უზრუნველყოფს;

9. მთავარი რუსის ამ ჯარს მოამაგებს პურით, ღომით, ქერითა და თივით;

10. თუ გურიაში მადანი აღმოჩნდება, მთავარი ამ მადნის დამმუშავებელ რუსებს მიაწვდის მუშა-ხელს, – რუსთა მიერ დადგენილი ქირით;

11. თუ გურიაში გემსაშენი ტყე მოიძებნება, იგი უფასოდ დაეთმობა რუსეთს, რუსებმა მხოლოდ მისი მოჭრისა და გატანის ქირა უნდა გადაიხადონ;

12. თუ რუსები გურიაში ნავსადგურს ააგებენ, მისი შემოსავლის მეოთხედი მთავარს მიეცემა;

13. მთავარი იმპერატორისგან მიიღებს ღირსების ნიშნებს, ხმალსა და დროშას [Акты, 1869, 438]..

მამია გურიელმა 1810 წლის 19 ივნისს ხელი მოაწერა ამ ხელშეკრულებას. ამრიგად, გურიის სამთავრო ცალკე ხელშეკრულებით შევიდა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობაში.

როგორც ხელშეკრულება გვიჩვენებს, მთავრის უფლებები ძალზე შეზღუდული იყო. რუსეთის ზეგავლენა იმდენად დიდი გახდა, რომ ფაქტიურად გურიის სამთავროს უფლებები დაპყრობილი ქვეყნის მდგომარეობამდე დავიდა. გურიელი ნომინალური ძალაუფლებით დარჩა, რეალურად, სამთავროს რუსული ჯარი და სარდლობა მართავდა.

განსაკუთრებული სისასტიკე რუსული ხელისუფლებისგან გურიის სამთავრომ 1819-1820 წლის აჯანყების დროს განიცადა.

1826 წელს მამია გურიელი გარდაიცვალა. მისი მემკვიდრის მცირეწლოვნობის გამო, მთავარმართებლის განკარგულებით, გურიას მართავდა თავადებისგან შემდგარი საბჭო, რომლის თავმჯდომარე გურიელის ქვრივი – სოფიო იყო. სოფიო იმერელი წულუკიძეების იმ საგვარეულოს ეკუთვნოდა, რომელიც „რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ უმთავრეს შეთქმულებებში მონაწილეობდა“ [Акты, 1874, 676].

ამის გამო, რუსეთის ხელისუფლება მას არ ენდობოდა, თანაც სურდა მთავრის გარდაცვალებით ესარგებლა და ეს ფაქტი სამთავროს გაუქმების საბაბად გამოეყენებინა. სოფიო გურიელი კარგად ხედავდა, რომ რუსული ხელისუფლება მის უფლებებს ზღუდავდა, აკონტროლებდა მას საბჭოს საშუალებით; ამიტომ, მომავალი საფრთხის თავიდან აცილებას ოსმალეთის დახმარებით შეეცადა. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, სოფიო გურიელმა, რუსეთისაგან თავის დახსნის მიზნით, ოსმალებთან სცადა კავშირის დამყარება. ცხადია, მისი საქციელი რუსულმა ხელისუფლებამ ღალატად შეაფასა.

1828 წლის ოქტომბერში რუსული ჯარი შევიდა გურიაში, სოფიო გურიელი შვილებთან ერთად ოსმალეთში გაიქცა. 1829 წლის დეკემბერში ნიკოლოზ I-მა გურიის სამთავრო გააუქმა.

იძულებითი ემიგრანტი გურიელების სამთავრო სახლი საერთაშორისო დიპლომატიის დახმარებით ცდილობდა სამშობლოში დაბრუნებას. მაგრამ ყველა მცდელობა ამაო იყო, რუსეთის იმპერიული პოლიტიკა ვინმეს წინაშე უკან დახევას არ აპირებდა.

შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ გურიაში ვითარების დაძაბვა-დესტაბილიზაცია გამოიწვია. რუსული მმართველობის სისასტიკე და სიუცხოვე ხალხს არა მარტო აღიზიანებდა, არამედ პროტესტის ღრმა გრძნობას უჩენდა, რამაც რამდენიმე წლის შემდეგ სრულად იჩინა თავი.

1841 წლის აჯანყება გურიაში ღრმა ეროვნულ-პოლიტიკურ ნიადაგზე აღმოცენდა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისადმი პროტესტის საბაბით იფეთქა.

§ 2. გურიის აჯანყების მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები

1841 წლის მაისში დაიწყო აჯანყება გურიაში. გურიის აჯანყების მიზეზი იყო რუსული ადმინისტრაციისა და სასამართლოს დაწესება და ამ ცვლილებებით გამოწვეული მოსახლეობის მდგომარეობის გაუარესება. მთავრობამ გურიის მოსახლეობას ახალი ბეგარა-გადასახადები შეაწერა, რაც ფულის სახით უნდა გადაეხადათ. მოსახლეობას არ ჰქონდა რუსული ფული, აიკრძალა ოსმალური ფულის გამოყენება, რომელიც ქობულეთ-ბათუმის სიახლოვის გამო აქაც ვრცელდებოდა. დადიოდა ხმა, თითქოს მთავრობა სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემოღებას და ხალხის ჯარში გაწვევას აპირებდა [ხაჭაპურიძე, 1931, 42].

აჯანყება დაიწყო სოფელ აკეთში, საიდანაც გადასახადების ამკრეფი მოხელეები გაყარეს. ამბოხება მთელ გურიას და მიმდებარე იმერეთსაც მოედო. აჯანყებულებმა დაიკავეს გურიის რეგიონის სტრატეგიული ადგილები. მთავარმართებელმა გოლოვინმა დაღესტნის ფრონტიდან მოხსნა და გურიაში გამოგზავნა პოლკოვნიკი

ბრუსილოვი, რომელმაც მოახერხა სამაზრო ცენტრში - ოზურგეთში შესვლა, მაგრამ ამბოხებულებისგან გურია-ქუთაისის გზის გაწმენდა ვერ შეძლო.

9 აგვისტოს დიდი ბრძოლა მოხდა სოფელ გოგორეთში. აქ, მხილოდ ერთ ბრძოლაში, 1841 წლის 9 აგვისტოს პოლკოვნიკ ბრუსილოვის ჯარმა 77 კაცი დაკარგა [დუმბაძე, 1957, 271].

ბრძოლაში ბრუსილოვი დამარცხდა და ოზურგეთში გაბრუნდა. აჯანყებულებმა მომდევნო დღეს შეკვეთილის ციხე აიღეს, რუსი ჯარისკაცები, რომლებიც ციხეში იყვნენ, გაუშვეს, მათი იარაღი და სურსათ-სანოვაგე კი თავად დაიტოვეს. 11 აგვისტოს გლეხებმა ალყა შემოარტყეს სისასტიკით გამორჩეულ თავად ნაკაშიძის მამულს. ნაკაშიძე ღამით გაიქცა და მისი მამული აჯანყებულებს დარჩათ.

გურიის აჯანყება მეტად სერიოზულ მოვლენას წარმოადგენდა საქართველო-ამიერკავკასიაში, რუსეთის მთავრობას კვლავ დაუდგა სახიფათო მომენტი, მის უძნელეს მდგომარეობას ჩრდ. კავკასიაში განცდილი დამარცხებები და აჯანყებული გურიისადმი მთელი დას. საქართველოს მოსახლეობის თანაგრძნობის მომენტიც განაპირობებდა. ცარიზმის ერთი ისტორიკოსი შენიშნავდა კიდეც, რომ ამ დროს მხოლოდ იმერეთისა და სამეგრელოს ნაწილი თავადაზნაურთა ოჯახები ერთგულებდნენ რუსეთს, ხალხი კი მთლიანად მის წინააღმდეგ იყო [Чудинов, 1951, 266; დუმბაძე, 1957, 272].

აჯანყებულთა ამ წარმატებულმა ბრძოლებმა ოზურგეთი მოწყვიტა გურიის დანარჩენ თემებს, გადაიკეტა გზა ფოთი-ყულევისა და ქუთაისისკენ. მთელ გურიაში, ოზურგეთს გარდა, გაუქმდა რუსული ხელისუფლება და ყოველგვარი მმართველობა. ბრუსილოვი ოზურგეთში ჩაკეტილი აღმოჩნდა.

ოზურგეთის გარნიზონის გამოსახსნელად გაემართა სამეგრელოს მთავარი, მაგრამ აჯანყებულებმა სოფელ გოგორეთთან დადიანი სასტიკად დაამარცხეს. ასეთივე ბედი ეწია იმერეთიდან რუსების დასახმარებლად ჩასულ წერეთელსაც. დასავლეთ საქართველოში რუსები კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: ამ დროს ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში შამილს ებრძოდნენ, აფხაზეთში უტევდნენ ჩერქეზთა ტომებს - უბიხებსა და შაფსუღებს. რუს სამხედროებს ეჩვენებოდათ, რომ ჩერქეზები და გურულები მათ წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ. ამასთანავე, გურულებმა კავშირი გააბეს ქობულეთის მმართველ -ჰასან-ბეგთან. ბრუსილოვმა ის

ოქროთი მოისყიდა. რუსეთის ჯარის დასახმარებლად და გურიის აჯანყების ჩასაქრობად ხელისუფლებამ გაგზავნა პოლკოვნიკი არღუთინსკი-დოლგორუკოვი.

პროფესორებს - მამია დუმბაძესა და გიორგი ხაჭაპურიძეს, აღნიშნული ისტორიული მოვლენისადმი მიძღვნილ ნაშრომებში, მოტანილი აქვთ მაშინდელი ლენინგრადისა და მოსკოვის ისტორიული არქივების მასალები რუსი გენერლებისა და ისტორიკოსების შეხედულებებზე გურიის აჯანყების მასშტაბურობასა და რუსეთისთვის საგანგაშო ხასიათის შესახებ. ამ აჯანყების თვითმხილველი ერთი რუსი გენერალი წერდა: მე დავინახე, თუ როგორი სისწრაფით გავრცელდა ცნობა გურიის აჯანყების შესახებ მთელ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, როგორი სიმპათიები და იმედები გუღვიძა მან არა მარტო ზოგიერთ ხალხს, არამედ იმათაც კი, რომელთაც ბევრი სიკეთე აქვთ მოხვეჭილი ჩვენი ხელისუფლების ქვეშევრდომობის წყალობით". შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეთა სარდალი გენერალი ანრეპი წერდა სამხედრო მინისტრ ჩერნიშევს, რომ აღნიშნული აჯანყება რუსების წარუმატებლობის მიზეზი გახდა უბიხების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისტორიკოსი ვოლკონსკის აზრით, გურიის აჯანყებამ „ელვისებური სისწრაფით ჩაფუშა" ზღვისპირის მთიელთა დაყრობის საქმე, მან„ფრიად საზარალო გადატრიელება მოახდინა ხალხთა შეგნებაში" [დუმბაძე, 1957, 272; ხაჭაპურიძე, 1931, 54].

შვიდი დღის მანძილზე რუსულმა ჯარმა და ქართულმა მილიციამ გაწმინდეს ფოთი- ქუთაისის გზა. 31 აგვისტოს არღუთინსკი-დოლგორუკოვი შეუერთდა ეწერში დაბანაკებულ წერეთელს.

1 სექტემბერს აჯანყებულებმა იერიში მიიტანეს ოზურგეთზე. ბრძოლას მეთაურობდნენ აბესა ბოლქვაძე და ქაიხოსრო გუგუნავა. შეტევა ისეთი ძლიერი იყო, რომ ალყაშემორტყმული რუსის ჯარი პანიკამ მოიცვა, მაგრამ მალე დაბნეულობა დაძლია. რამდენიმე საათის შემდეგ რუსული გარნიზონის უპირატესობა აშკარა გახდა. აჯანყებულებმა 150 კაცი დაკარგეს, თუმცა ბრძოლა არ შეუწყვეტიათ [Акты, 1866-1904, 173].

მათ მეორე დღეს ბრუსილოვთან მოლაპარაკება გამართეს, წინადადება მისცეს - დაეტოვებინა ოზურგეთი. ბრუსილოვმა იცოდა, რომ მის დასახმარებლად არღუთინსკი-დოლგორუკოვი მოემართებოდა, ამიტომ აჯანყებულთა წინადადებას არ დათანხმდა. ცოტა ხნის შემდეგ გურულებმაც გაიგეს დამხმარე ძალის მოახლოება,

მოხსნეს ოზურგეთის ალყიდან საუკეთესო ძალები და არღუთინსკი-დოლგორუკოვის შესაკავებლად გაგზავნეს ნაგომარი-ჩოხატაურის მიმართულებით. მათ სპეციალურად გაამაგრეს და დიდძალ ხალხს მოუყარეს თავი ნასაკირალთან. ფიქრობდნენ, რომ აქ მოუწევდათ გენერალური ბრძოლის გამართვა რუსულ ჯართან, რომელსაც ქართული მილიციაც ეხმარებოდა. არღუთინსკიმ გაიგო რა აჯანყებულთა ამ ტაქტიკის შესახებ, მოხერხებულ მანევრს მიმართა: ძირითადი სამხედრო ძალა, ნასაკირალის გვერდის ავლით, ოზურგეთისკენ გაგზავნა, რომელსაც 7 სექტემბერს მიადგა.

აჯანყებულები ორმხრივ ცეცხლში მოხვდნენ, მოულოდნელი შეტევით არ დაიბნენ და ბრძოლას მაინც არ შეუშინდნენ. ისინი გააფთრებული იცავდნენ საალყო ხაზს. აჯანყებულთა მთავარი ძალა ამ დროს ნასაკირალთან იმყოფებოდა, ამიტომ ვერ გაუძლეს რუსული ჯარის შემოტევას და დამარცხდნენ. უამრავი ადამიანი დაიღუპა, უმრავლესობამ ტყეს შეაფარა თავი, ბევრი დაიჭირეს და დააპატიმრეს. არღუთინსკი-დოლგორუკოვი თავის ოფიცრებს და აღდგენილ რუსულ ადმინისტრაციას მთავარი დამნაშავეებისა და ამბოხების ხელმძღვანელთა განსაკუთრებული სისასტიკით დასჯას თხოვდა. აჯანყების ყველაზე თვალსაჩინო ხელმძღვანელი _ აბესა ბოლქვაძე რუსებმა შეპყრობისთანავე მოკლეს, 50-მდე მონაწილე დააპატიმრეს და სხვადასხვა ვადით გადაასახლეს ციმბირში. განსაკუთრებით მკაცრად დაისაჯნენ ამბაკო შალიკაშვილი, ქაიხოსრო გუგუნავა, ძმები ვადაჭკორიები და სხვები.

მთავარმართებელ გოლოვინის მიერ დამტკიცებული განაჩენი ძალიან მკაცრი იყო , მაგრამ ნიკოლოზ I-მა ის შეარბილა. მისი რწმენით, ეს განსასჯელებს ხელმწიფის დიდსულოვნებაში, მათ მიმართ კეთილ სურვილებში დაარწმუნებდა და მათში ტახტისა და ხელისუფლების ერთგულებას განამტკიცებდა.

გურიის 1841 წლის აჯანყება, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, იყო ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი, რუსული თვითმპყრობელობის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლის კიდევ ერთი მაგალითი. აჯანყებულთა მიზანი ქართველი ხალხისთვის საძულველი რუსული ხელისუფლების დამხობა იყო.

დასკვნა

XIX ს.-ის დასაწისში, 1802 წლიდანვე, როგორც კი რუსულმა მმართველობამ თავისი უაღესად დესპოტური სახე გამოაჩინა, ქართველობა რუსეთის წინააღმდეგ უთანასწორო ომში ჩაება და ამით სცადა იმ დიპლომატიური მარცხის გამოსწორება, რაც რუსული ორიენტაციის ქართველ პოლიტიკოსებს დაემართათ.

სუვერენული უფლების აღსადგენ ამ დიდ ომში ჩაბმული იყო ქართველი ერის სხვადასხვა სოციალური კლასი და ფენა, კლასობრივი საფუძვლების ძიება ამ ომში გაუმართლებელია, რადგან ეს მხოლოდ მაპროვოცირებელი მომენტი იყო ომის მასშტაბების გაშლაში და არა ერთადერთი მიზეზი უთანასწორო ბრძოლებში ჩაბმული ხალხისათვის.

პირველივე აჯანყებაში, რომელმაც ომის ფორმა შეიძინა, 1802 წელს, ნათლად გამოჩნდა ფეოდალური არისტოკრატიის უკმაყოფილება იმით, რომ რუსულმა ხელისუფლებამ მათ წაართვა თანამდებობები და მისგან სარგოს მიღების შესაძლებლობა; უკმაყოფილონი იყვნენ გლეხები, რომელთაც არ აუსრულეს პირობა, _ 12 წელი გადასახადებისაგან განთავისუფლებაზე; ქვეყანას კვლავ იკლებდნენ და აწიოკებდნენ ლეკები, რუსეთმა ეს საზარელი მოვლენა ვერ ააცილა მოსახლეობას.

ქელმენჩურის მანიფესტანტების გამოსვლა მხოლოდ ერთი მომენტი იყო და ანტირუსული წინააღმდეგობრივი მოძრაობა გაცილებით დიდ გეოგრაფიულ არეალსა და ადამიანურ რესურსებს მოიცავდა; 1802 წლის დიდ წინააღმდეგობრივ მოძრაობაში ჩართული იყო ფართო სპექტრი, მასში სხვადასხვა სოციალური, ეროვნული და რელიგიური კუთვნილების ადამიანი მონაწილეობდა, რომელთაც არ სურდა რუსეთის კოლონიური უღლის დადგმა, მათ შორის სამღვდელოებამ დიდი როლი ითამაშა ხალხის ანტირუსული განწყობის შექმნაში, თუმცა რუსული ისტორიოგრაფია ირწმუნება ეკლესიის მათ მხარეზე ყოფნას; მოვლენამ ცხადყო, რომ ქართულ სამეფო ოჯახში არ იყო ისეთი შუღლი და დაპირისპირება ტახტისათვის, როგორც ამას რუსული იდეოლოგია წარმოაჩენდა: ამ დროისათვის ყველა შეთანხმებულია იმაზე, რომ სამეფო გვირგვინი იულონ ერეკლეს ძეს დაედგა (ვინაიდან დავით ბატონიშვილმა არ დაიკავა ტახტი).

რუსული ადმინისტრაცია უბრალო ხალხს აბრალებდა ლეკებთან და ყაჩაღებთან თანამონაწილეობას, ვითომ ისინი თავიანთი სახლების დაწვასა და სხვა ბოროტმოქმედებებში თავად იყვნენ ჩაბმულნი, რადგან რუსული ხელისუფლება სძულდათ და ბაგრატიონების აყვანა სურდათ ტახტზე, რაც კიდევ უფრო აღიზიანებდათ დაზარალებულ ადამიანებს;

1804 წლის აჯანყებაც („რევოლუცია“, „ბუნტი“, როგორც რუსი მოხელეები უწოდებდნენ) იყო საყოველთაო-სახალხო, დიდი ომის გმირული ნაწილი, რომელიც ქართველმა ხალხმა რუსეთის წინააღმდეგ გააჩაღა მისი ოკუპაციისთანავე. ეს ბრძოლა არ ყოფილა „გლეხთა აჯანყება“, როგორი დეფინიციაც მას ჰქონდა საბჭოურ ისტოროგრაფიაში, ის იყო ყველა კლასის, სოციალური ჯგუფისა და ეროვნების გამოსვლა რუსეთის დამპყრობლურ-კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ქართული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად;

მართალია, სამეფო კარის წარმომადგენლებმა, ბატონიშვილებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამ გამოსვლებში, მაგრამ მათი როლი განმსაზღვრელი არ ყოფილა, ბრძოლების მთავარი ლიდერები ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები იყვნენ; 1804 წლის ანტირუსული გამოსვლა იყო მასშტაბური, მას, ისევე როგორც 1802 წლის აჯანყებას, ჰქონდა როგორც ლოკალური ბრძოლები, ასევე ფართო, საერთო-ქართული და საერთო-კავკასიური ხასიათი, მიზეზები და მიზნები. აჯანყებულების თავგანწირულობის მიუხედავად, მათ გამარჯვებას ხელს ბევრი რამ უშლიდა: პირველ რიგში მათი არაორგანიზებულობა, სურსათისა და იარაღის ნაკლებობა, მოწინააღმდეგის საუკეთესო შეიარაღება და სისტემურობა, თანამემამულეთა კოლაბორაციონიზმი და ღალატი და ა. შ.

იმერეთის 1810 წლის აჯანყება, პირველ რიგში, იყო საყოველთაო-სახალხო და განმათავისუფლებელი ხასიათის, ის არ ყოფილა მხოლოდ იმერეთის მეფის ერთგული ხალხის გამოსვლა, არამედ რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკით აღშფოთებული ხალხის გაბედული ბრძოლა იყო სამართლიანობის აღსადგენად, ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მეფისადმი მხარდაჭერა გულისხმობდა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის მხარდაჭერას, რაც ეჭვქვეშ აყენებს ამ მოვლენის შეფასებებს რუსული და ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მიერ, კერძოდ, მის წარმოსახვას სოლომონ მეფის ტახტისათვის

ბრძოლად და არა იმ დიდი ომის ნაწილად, რომელიც ქართველმა ხალხმა გააჩაღა რუსეთის კოლონიური უღლის წინააღმდეგ. სოლომონ მეფე შეეცადა გამოეყენებინა უცხო ძალებიც ქვეყნის გასათავისუფლებლად (თურქები, ლეკები, უშედეგოდ სცადა ფრანგების გამოყენებაც), თუმცა, როგორც მოსახლეობისადმი მის თავდაპირველ მიმართვაში წერდა, მას არ უნდოდა იმერეთში უცხო ქვეყნის ჯარების შეყვანა. ზოგადად ეს გზა, გამოუვალი მდგომარეობის გამო რომ აირჩია, არ ნიშნავს მის მოღალატურ საქციელს, ან სისუსტის გამოხატულებას, როგორც ზოგიერთი მკვლევარი აფასებს: ისტორიულად მრავალი მაგალითია საკუთარი სახელმწიფოს გადასარჩენად, ქვეყნის ინტერესებისათვის უცხო (მათ შორის მტრული ქვეყნების), ძალების გამოყენებისა და ეს ამ ქვეყნების ისტორიკოსებს არ ჩაუთვლიათ ამ აქტის განმხორციელებელი მეფეების სისუსტედ და ღალატად. იმერეთის მეფემ გააგრძელა თავისი პაპის – ერეკლეს მემკვიდრეების ომი რუსეთის წინააღმდეგ, რომელმაც დაარღვია 1783 წლის ტრაქტატი და გააუქმა ათასწლოვანი ისტორიის მქონე ქართული სახელმწიფო. ეს ომი წინასწარ იყო დასამარცხებად განწირული, თუმცა, ხალხი მაინც არ შეშინდა, თამამად ჩაება უთანასწორო ომში და ბევრმა თავი გაწირა ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის.

რუსეთის გამარჯვებას ხელი შეუწყო რთულმა საერთაშორისო და საშინაო პირობებმა: აღმოსავლურ ომებში მეზობელი თურქეთის და სპარსეთის ჩართულობამ (მათ ნაკლებ ეცალათ საქართველოსთვის), ნაპოლეონის მზადებამ რუსეთის წინააღმდეგ, ქვეყნის შიგნით ფეოდალურმა სეპარატისტულმა ტენდენციებმა და დაშლილობამ, რაც კოლაბორაციონიზმსა და რენეგატულ საქციელს მომგებიანად სახავდა.

ის, რომ ყველა ცალკეული აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ იყო ქართველი ხალხის ერთიანი სულისკვეთების გამოხატულება და არა ლოკალური გამოსვლა, კარგად აჩვენა კახეთის 1812-1813 და იმერეთის 1819-1820 წლის წლების აჯანყებებმა. ეს ომები, დამპყრობლების წინააღმდეგ ერის თავგანწირული ბრძოლის მაგალითი იყო. აჯანყებებმა აჩვენა ქართველი ხალხის უდიდესი სწრაფვა ეროვნული ინტერესების დასაცავად, ეს ომები გახდა ქართველთა შემდგომი თაობებისათვის იმპერიული ძალებისადმი დაუმორჩილებლობისა და თავგანწირული ბრძოლის მაგალითი.

1832 წლის პოლიტიკურმა მოძრაობამ რუსეთის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის პირველი ორგანიზებული ბრძოლის ფორმა მიიღო: მისი ხელმძღვანელები საიდუმლო ორგანიზაციებისა და ეროვნულ-იდეოლოგიური პროპაგანდით შეეცადნენ ახალი ფორმა მიეცათ ბრძოლისათვის და გამარჯვების მეტი შანსი მოეპოვებინათ. მოძრაობა იყო პოლიტიკური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი, საერთო-სახალხო და არა „თავადაზნაურულ-არისტოკრატიული" როგორც ხშირად აფასებენ მას. მართალია, მისი ორგანიზატორები, ძირითადად, არისტოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ მისი მთავარი ლიდერები (სოლომონ დოდაშვილი, ფ. კიკნაძე) არ იყვნენ უმაღლესი სოციალური ფენიდან და არისტოკრატია მათ ლიდერობას სრულიად ბუნებრივად აღიქვამდა. მოძრაობის ხელმძღვანელებმა გამოიყენეს მრავალი ახალი მეთოდი: საიდუმლო ორგანიზაციების დაარსების, ეროვნული იდეების პრესითა და აგიტაციის ფორმით პროპაგანდის, ევროპულ-ამერიკული გამოცდილების გაზიარების (კარბონარების მოძრაობა, პოლონეთის აჯანყება, დეკაბრისტების გამოსვლა რუსეთში) და სხვა მეთოდები. 1832 წლის პოლიტიკური მოძრაობა შეიძლება ასე სახელდებოდეს: შეთქმულებრივი მოძრაობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი პოლიტიკური მოძრაობა, რუსეთ-საქართველოს ომის შემადგენელი ანტირუსული მოძრაობა საქართველოში. 1832 წლის აქტმა გამოავლინა როგორც ქართველი ხალხის სიმამაცე და თავგანწირვა საკუთარი სამშობლოს დასაცავად (წინასწარ დასამარცხებლად განწირულ ომში შესვლა, უთანასწორო ბრძოლისთვის მზადყოფნა), ასევე, კოლაბორაციონიზმი, ტყუილისა და ღალატის სინდრომი, რაც ასე კარგად გამოჩნდა დაკითხულთა ჩვენებებით, გამოჩნდა ეროვნული ცნობიერების დაბალი დონე, რომლის აღმოფხვრა შემდგომში ქართველმა სამოციანელებმა სცადეს. შეთქმულთა მიერ დაგეგმილი ქართული სახელმწიფოს ტიპი - კონსტიტუციური (საპარლამენტო) მონარქია და რესპუბლიკა - ორივე იმ დროისათვის სახელმწიფოს პროგრესული ფორმა იყო და მეტყველებს ქართველ მოღვაწეთა განათლებასა და პროგრესულ სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე, მათ ერთგულებაზე ევროპული ღირებულებებისადმი. მოძრაობის ლიდერები: სოლომონ დოდაშვილი, ელიზბარ ერისთავი, გიორგი ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ვახტანგ ორბელიანი, ფილადელფოს კიკნაძე, ზაქარია ჩოლოყაშვილი და სხვები ნამდვილი ევროპული ტიპის მოაზროვნეები იყვნენ.

მთელი აჯანყებების ჯაჭვი, მოყოლებული 1802 წლიდან 1832 წლამდე ქართველი ხალხის ერთ მთლიან ომად უნდა იქნას გააზრებული რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ: ერი შეებრძოლა ძალას, რომელიც მოვიდა ტყუილით, იარაღით, ქვეყნის ანექსიითა და ოკუპაციით, მართვის სასტიკი მეთოდებით, ეროვნული ფასეულობების არად ჩაგდებისა და ქართველი ხალხის ძალით ასიმილაციის პოლიტიკით. ამის გამო უთანასწორო, წინასწარ დასამარცხებლად განწირულ ომში ჩაბმული ქართველობა დიდ სულიერ, მატერიალურ და ფიზიკურ დანაკლისს განიცდიდა, უამრავი ადამიანი იღუპებოდა იმ იმედით, რომ ოდესმე მათი ბრძოლა კეთილ ნაყოფს გამოიღებდა, ისტორიაც არ დაივიწყებდა მათ სახელებს, მათი სამშობლო გადარჩებოდა;

30-წლიანი ომის შემდეგ რუსულმა იმპერიულმა პოლიტიკამ მოახერხა ქართველი ერის მებრძოლი სულის მოთვინიერება, მისი გარუსების ფორმების დახვეწა, მებრძოლი სულის მიძინება (ილია ჭავჭავაძე). გურიის აჯანყება შეურაცხყოფილი და ყოველმხრივ შევიწროებული ხალხის ბოლო გაბრძოლება იყო, სადაც უბრალო ადამიანები ისევე სასტიკად მოექცნენ მტერს, როგორც ისინი იქცეოდნენ დაპყრობილი ხალხის მიმართ. მათ აჩვენეს, რა შეუძლია ამაყ და ღირსების მატარებელ ადამიანებს, როცა მათ ამ ღირსებასა და სიამაყეს ულახავენ.

ეს მასშტაბური აჯანყებები (1802, 1804, 1810, 1812-1813, 1819-1820, 1832, 1841) ქართველი ხალხის მიერ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ წარმოებული ხანგრძლივი ომის კულმინაციურ გამოვლინებებს წარმოადგენდა. აჯანყებებს შორის პერიოდში კი მუდმივად არსებობდა ქართველი ხალხის ანტირუსული განწყობა, რომელიც სხვადასხვანაირად ვლინდებოდა და ამდენად, ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლა რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ აღნიშნულ პერიოდში არ შენელებულა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. Берже, А. (ред.). (1866). **Акты,** собранные Кавказской Археографической комиссией. (Т. I).
2. Берже, А. (ред.). (1868). **Акты**, собранные Кавказской Археографической комиссией. (Т. II).
3. Берже, А. (ред.). (1869). **Акты,** собранные Кавказской Археографической комиссией. (Т.III).
4. Берже, А. (ред.). (1870). **Акты**, собранные Кавказской Археографической Комиссией. (Т. IV). Тиф.
5. Берже, А. (ред.). (1873). **Акты**, собранные Кавказской Археографической Комиссией. (Т. V).Тиф.
6. Берже, А. (ред.). (1874). **Акты**, собранные Кавказской Археографической Комиссией. (Т. VI), (ч. I).Тифлис.
7. Берже, А. (ред.). (1878). **Акты**, Собранные Кавказской Археографической Комиссией, (Т. VII). Тифлис.
8. Берже, А. (ред.). (1866-1904). **Акты**, Собранные Кавказской Археографической Комиссией, (Т. IX), Тифлис.
9. **Бутков, П.** (**1869**). В Материалы для новой истории Кавказа съ 1722 по 1803годъ.: СПБ.
10. **Блиев, М. М., и Дегоев, В. В. (1984)** . Кавказ и Средняя Азия во внешней политике России. Вторая половина XVIII-80 -е годы XIX в.:М.
11. **Болохвитинов, Е. А.** (**1802).** Грузия, в политическомъ, церковномъ и учебномъ ея состоянии.: СПБ.
12. **Дибковская, А. М.**, и **Жарын,** Я. **(1995).** История Польши с древнейших времен до наших дней. Варшава: Научное издательство ПВН.
13. **Дубецкий, И. П. (1895, Апрель).** Записки. Журнал: «Русская Старина». СПб: №4.
14. **Дубровин, Н.** (**1888).** История войны и владычества русских на Кавказе. (Т. I-VI).
15. **Дубровин, Н.** (**1868).** Тысяча-восемсот- второй год в Грузии.: СПБ.
16. **Дубровин, Н.** (**1869**). История войны и владычества русских на Кавказе. (Т.I-VI).: СПБ.

17. **Дубровин, Н.** (**1866)**. Закавказье от 1803-1806 г. : СПБ.

18. **Дубровин, Н.** (**1867),** Горгий XII, последний царь Грузии и присоединение ее к России.: СПБ.

19. **Дубровин, Н.** (1871). Главнейщих деятелей в царствование императора. СПБ.

20. **Ермолов, А. П. (1885, месяцы XI-XII),** А. П. Ермолов в его письмах к. кн. М. С. Воронцову 1816-1852 г. г. Журнал "Русская старина", стр. 527-529.: СПБ

21. **Ермолов, А. П. (1926).** А. П. Ермолов, "Письма".: Махач-кала.

22. **Ермолов, А. П. (1912).** Алексей Петрович Ермолов, 1777-1861 гг.: СПБ.

23. **Записки Ал. П. Ермолова, (1863)** Записки Ал. П. Ермолова, Журнал посольства в Персию, Чтения в Императорском Обществе Древностей Россиских при Московском университете", кн. II, стр. 112. : М.

24. **Зубов,** П. (**1834).** Картина Кавказского края, принадлежащего Росии и сопредельных оному земель, в исторических, статистических, этнографических отошениях,: СПБ.

25. **Зубов, П.** (**1831).** Картина последней воины России с Персией, 1826-1828.: СПБ.

26. **Зиссерман, А. (1881).** История 80-20 пех. Кабардинского ген-фельдм. кн. Барятинского полка -1726-1880. (Т.1-5).: СПБ.

27. **Иваненко,** В. (**1901).** Гражданское управление Закавказьем от присоединения Грузии до на¬мес¬т¬ни¬чес¬тва великого Михаила Николаевича.: Тифл.

28. **Иоаннисян,** А. Р. **(1958)**. Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия.: Ереван.

29. **Киняпина,** Н. С. (ред.). **(1978).** Восточный вопрос во внешней политике России. Конец XVIII начапо XX в.в.: Москва,

30. **Кавказский Сборник. (1876-1899).** Кавказский Сборник, в 20 т. :Тифлис.

31. **Кавказсий сборник.** (1868).Чудинов: Имеретинская неурядица в 1809 и 1810 годах. (Т.15):Тифлис.

32. **Маркова,** О. **(1951).** Восстание в Кахетии 1812 г.: М.

33. **Олонецкий, А. А. (1954).** Из истории великой дружбы.:Тбилиси,

34. **Петров,** А. (1886). Война России с Турцией 1806-1813, (Т..2): СПБ,

35. **Потто, В. А. (1902)**. История 44-го драгунскаго Нижегородскаго полка.(Т.1): С.Петербург

36. **Потто, В. А.** (**1887).** Кавказсская война в отдельных очерках,эпизодах и биографиях. (Т1), (глава 20 , С. 268). Занятие Тифлиса русскими. СПБ.

37. **Потто, В. А.** (1889), Кавказсская война в отдельных очерках,эпизодах и биографиях, (Т1.): СПБ.

38. **Потто,** В. А. **(1906).** Утверждение русского владычества на Кавказе. (Т. 1-4).Тифлис.

39. **Чудинов, А. (1951).** Восстание гурийцев в 1841 г. Москва.

40. ახვლედიანი, ხ. (**1957**), სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში.: თბილისი,

41. ბარამია, ლ. (**1951**). 1832 წლის შეთქმულების შესახებ საქართველოში.: თბილისი.

42. ბატონიშვილი, ბ. (**1941**). ახალი მოთხრობა.: თბილისი.

43. ბატონიშვილი, დ.(**1941**). ახალი ისტორია.: თბილისი,.

44. ბატონიშვილი, დ.(**1906**). მასალები საქართველოს ისტორიისათვის (1744-1840),: თბილისი.

45. Baddeley, J. F. (1908), The Russian Gonquest Of The Gaucasus, John F. Baddeley,: London, (წიგნი ქართულად ითარგმნა გამომცემლობის მიერ), (2012). თბილისი: ლიტერა.

46. ბენდიანიშვილი, ალ. (**1980**), ეროვნული საკითხი საქართველოში, 1801-1921 წ.წ., თბილისი: მეცნიერება

47. ბენდიანიშვილი, ალ. (**1999**), საქართველოს ისტორია, თბილისი.

48. ბენდიანიშვილი, ალ. (**2006**). ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვთარების ეტაპები. თბილისი: მემატიანე.

49. ბენდიანიშვილი, ალ.(**2008**),. თერგდალეულთა ეროვნული იდეოლოგია და განმათავისუფლებელი მოძრაობა. წიგნში: ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, ა., სამსონაძე, მ., ქოქრაშვილი, ხ., ჭუმბურიძე, დ., და ჯანელიძე, ო. „რუსული კოლონიალიზმი საქართველოში".: თბილისი.

50. ბენდიანიშვილი, ალ., დაუშვილი, ალ., სამსონაძე, მ., ქოქრაშვილი, ხ., ჭუმბურიძე, დ., და ჯანელიძე, ო.(2008). რუსული კოლონიალიზმი საქართველოში. (გვ.30-31; 56-59; 138-139.). თბილისი.

51. ბერძენიშვილი, ნ. (1965). საქართველოს ისტორიის საკითხები (IIტ.). თბილისი: მეცნიერება.
52. ბერძენიშვილი, ნ.(1967). საქართველოს ისტორიის საკითხები. (IVტ.). თბილისი: მეცნიერება.
53. ბერძნიშვილი, მ. (**1983**). მასალები XIX ს. I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. (Iტ.)I,: თბილისი.
54. გაწერელია, აკ. (**1965**), რჩეული ნაწერე. (IIტ.) .:თბილისი.
55. გოზალიშვილი, გ. .**(1935)**. 1832 წლის შეთქმულება. თსუ: ტფილისი,
56. გოზალიშვილი, გ. (**1970**). 1832 წლის შეთქმულება. თბილისი: მერანი
57. გოზალიშვილი,, გ. (**1976**). 1832 წლის შეთქმულება. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
58. გონიკიშვილი, მ. (**1978**). იმერეთის სამეფოს გაუქმება.: თბილისი.
59. გოცაძე, მ. (1955). სოლომონ დოდაშვილი.: თბილისი,
60. გოცაძე, მ. (**1973**). ბრძოლა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის 20-30-იანი წლების მიჯნაზე. საქ. ისტორიის ნარკვევები, (IVტ.). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
61. გურული, ვ. (**2008**). ერთმორწმუნე რუსეთი.: თბილისი,
62. გურული, ვ. **(2010),** საქართველო და რუსეთი..: თბილისი
63. გურული, ვ. (2010)., მფარველობიდან ანექსიამდე.: თბილისი,
64. გურული, ვ. (**2011**)**.,** საქართველო და გარესამყარო.: თბილისი,
65. გურული, ვ. (**2013**). გეორგიევსკის ტრაქტატი (1783): თბილისი,
66. დადიანი, ნ. (1962). ქართველთ ცხოვრება. (ბურჯანაძის რედაქციით).: თბილისი.
67. დუმბაძე, მ. (**1957**). დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში.: თბილისი.
68. დუმბაძე, მ. (**1953**). აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან.: თბილისი,
69. დუმბაძე, მ.(**1973**). იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართელოში. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები,.(IVტ.), თბილისი,: საბჭოთა საქართველო.

70. დიასამიძე, ბ. (**2009**). ბათუმის საკითხი XVII-XIX საუკუნეების რუსეთ-თურქეთის ომებში., წიგნში: "ისტორიული ეტიუდები".: ბათუმი,
71. **დოკუმენტები 1999,** _ დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის, (გამოსაცემად მოამზადა პროფესორმა შოთა ხანთაძემ). თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
72. ებანოიძე, ლ. (**1968**). ნიკოლოზ ბარათაშვილი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი საკითხი საქართველოში.: თბილისი,
73. ვაჩნაძე, მ., და გურული, ვ. (**2007**), რუსეთთან და ურუსეთოდ.. თბილისი: არტანუჯი.
74. ვაჩნაძე, მ., და გურული, ვ. (**2007**). ამასიიდან ყარსამდე" (1555-1921). თბილისი: არტანუჯი
75. ვაჭრიძე, გ. (**1999**): იმერეთის დროებითი მმართველობა (1810-1840 წლები).: ქუთაისი.
76. ინგოროყვა, პ. (**1945**). შესავალი წერილი წიგნში: "ნიკოლოზ ბარათაშვილი".: თბილისი.
77. ინგოროყვა, პ. (1956). იმერეთის სამეფოს გაუქმება,. თბილისი: საისტორიო მოამბე,
78. კაკაბაძე, ს. (1956). ქართველი ხალხის ისტორია. (ახალი რედაქციით, 1997).: თბილისი
79. კაკაბაძე, ს. (**2004**), საქართველოს ისტორია XIX ს. სახელმძღვანელო ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. (გურული ვ. და კუპატაძე ბ.. (რედ:). თბილისი.
80. კაპანელი, კ. (**1989**). ფილოსოფიური შრომები.: თბილისი.
81. კიკვიძე, აზ. (**1955**), საქართველოს ისტორია.: თბილისი.
82. კიკვიძე, აზ. (**1941**). გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წელს. : თბილისი .
83. მახარაძე, ნ.(**1942**), Восстание в Имеретии 1819-1820 гг. კრებულში: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (ნაკვ. III). თბილისი.
84. ლენგი, დ. (2003). საქართველოს სამეფოს უკანასკნელი წლები.: თბილისი,
85. ლეჟავა, შ. (**1974**). საქართველო აღმოსავლეთის ომებში.: თბილისი.

86. **ორბელიანი, გრ.** (**1988**). საღამო გამოსალმებისა. (გაწერელია ა. და ჯ. ჭუმბურიძე ჯ. (რედ.). თბ.ილისი.
87. **ორჯონიკიძე, ე.**(**1961**). ახალციხის მხარის შემოერთების ისტორიიდან. ისტორიის ინსტიტუტის შრომები .(VI): თბილისი.
88. **ორჯონიკიძე, ე.**(**1973**). რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში (XIX ს-ის I ნახევარი). საქართველოს ისტორიის ნარკვევები, (IVტ.), თბილისი,: საბჭოთა საქართველო.
89. **პაიჭაძე, გ.**(**1973**). იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის 1804 წლის შეთანხმება. კრებულში: ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, (IIტ.): 189-215. თბილისი.
90. **ჟორდანია, თ.**(**1967**). ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. (1700-დან-XIX ს. 60-იან წლებამდე), (გამოსაცემად მოამზადეს გ. ჟორდანიამ და შ. ხანთაძემ), თბილისი.
91. **სტალინი, ი.ბ.** (1953). როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი. (თხზულებანი, ტ. 1).
92. **სურგულაძე, აკ.** (**1968**). ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა,: თბილისი.
93. **ტოგონიძე, ვ.ი.** (**1951**). ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება 1804 წელს. თბილისი.
94. **ფირცხალაიშვილი, ალ.**(**1942**). Имеретия в перид 1804-1840 гг. კრებულში: "მასალები საქართველოსა და იმერეთის ისტორიისათვის"(ნაკვეთი I).
95. **ფრონელი, ალ.**(**1896**). მთიულეთის აჯანყება 1804.: ტფილისი.
96. **ფრონელი, ალ.** (**1907**). ამბოხება კახეთისა 1812 წელს.: ტფილისი.
97. **ქორთუა, ნ.**(**1964**). საქართველო 1806-1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში („რუსი და ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან“).: თბილისი.
98. **ქორთუა, ნ.** (**1978**), ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომში („რუსი და ამიერკავკასიის ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან“). თბილისი: განათლება.
99. **ქუთელია, ალ.**(**1949**). სოლომონ დოდაშვილი და მისი ლოგიკა. წიგნში: "სოლომონ დოდაშვილი", ლოგიკა,: თბილისი.

100. შენგელია, ლ.(**1979**). ამიერკავკასია და ირან-რუსეთის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ მესამედში.: თბილისი,

101. შველიძე, დ.(**2014**). საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ. თბილისი: მერიდიანი.

102. შველიძე, დ. (**2014**). 1832 წლის შეთქმულებრივი მოძრაობის ისტორიიდან.თბილისი: უნივერსალი.

103. ჩხატარაიშვილი, ქ.(**1973**). დასავლეთ საქართველო XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, (IVტ.) (გვ.455-478). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

104. ჩხატარაიშვილი, ქ.(**1973**). დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან. წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, (IVტ.) (გვ.636-648). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

105. ჩხატარაიშვილი, ქ.(**1973**). დასავლეთ საქართველო XVIII ს.-ის 70-80-იან წლებში,წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, (IVტ.) (გვ.664--676). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

106. ჩხატარაიშვილი, ქ.(**1973**). დასავლეთ საქართველო XVIII ს.-ის 80-90-იან წლეში, წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, (IVტ.) (გვ.740-754). თბილისი: საბჭოთა საქართველო.

107. ჩხეიძე, რ. (2014). მისიონერი.თბილისი: ჩვენი მწერლობა.

108. ჩხეტია, შ. (**1940**). რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (1801-1840). აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, (VIII): 45. თბილისი.

109. ჭუმბურიძე, დ.(**2016**). საქართველო რუსეთის აღმოსავლურ ომებში", წიგნში: საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით):320-360. თბილისი, მერიდიანი.

110. ჭუმბურიძე, დ., კიკნაძე, ვ., ქოქრაშვილი, ხ., და სარალიძე, ლ. (2016). რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVIII_XXI საუკუნეებში (სამეცნიერო წყაროებისა და ლიტერატურის მიხედვით“), თბილისი: მერიდიანი.

111. **ჭუმბურიძე, დ.** (**2017**). 1802 წლის დიდი წინააღმდეგობრივი მოძრაობის შეფასებისათვის. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები,: თბილისი.
112. **ხანთაძე, შ.**(**1961**). მასალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.: თბილისი.
113. **ხაჭაპურიძე, გ.** (**1931**). გურიის აჯანყება 1841 წელს. ტფილისი: სახელგამი.
114. **ხაჭაპურიძე, გ.** (**1958**). საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ისტორიული ნარკვევი). (შრომები, I).: თბილისი.
115. **ხომერიკი, მ.** (2012), 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები. თბილისი: უნივერსალი.
116. **ჯავახიშვილი ივ.** (**1998**). Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке. წიგნში: ჯავახიშვილი, ივ. თხზულებანი 12 ტომად, (XIIტ.), მეტრეველი, რ.(რედ.) .(რუსულ ენაზე).: თბილისი.
117. **ჯავახიშვილი, ნ.** (**2008**). გრიგოლ I, უკანასკნელი ქართველი მეფე. თბილისი. უნივერსალი.
118. **ჯანელიძე, ო.**(**2014**). ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან.: თბილისი.
119. **ჯორჯაძე, ა.** (**1911**). ნაწერები. წიგნი I.: თბილისი.

პერიოდული პრესა

1. **„დროება“** (1882, #16), აქვს მინაწერი: „ეს ამბავი ამოკრებილია სოკოლოვის შრომიდან - "Путешествие в Имеретию и Грузию". გაზეთი „დროება, #16, გვ. 2
2. **„დროება“** (1882,#26), „აჯანყება საქართველოში 1802 წელს“, გაზეთი „დროება“, #26, გვ.2-3.
3. **„დროება“** (1882,#42). „აჯანყება საქართველოში 1802 წელს“. გაზეთი „დროება“, გვ.2.
4. **ჯოლოგუა, თ.**(1992, #1). „ერთი უმართებულო მტკიცების გამო“. ჟურნალი „კლდეკარი“, გვ. 186-187.
5. **Мелешко, Е** (1848, №1-2) .” Сцены из минувшего в Гурии”. Газета "Кавказ".стр. 2.

საარქივო მასალები:

1. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), ფონდი 2, ან. 1, საქმე **1119**;
2. საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), ფონდი 2, ან. 1, საქმე **4089.**